

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1
1989

ენისა
და
ლიტერატურის
სერია

2 . 1989

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1989



ქუჩის დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ხ. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიწვევა“, ენისა და ლიტერატურის სერია
1989, № 2

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გაღებულა წარმოებას 30.3.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.06.89; უკ 04337;
ანაწყოების ზომა 7×123/4; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა:
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.7; პირ. სალ.-გატ. 15.4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.92;
ტირაჟი 1500; შეკვეთა 934; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაპარსი

წერილები

ბ. დედაბრიშვილი, ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხი „დროებასა“ და „ივერიაში“	5
ლ. გუგუშვილი, მისე ჯანაშვილის რუსთველოლოგიური ძიებანი	18
ვ. აბრამიშვილი, ვეა-ფშაველას ზოგიერთი უცნობი ფსევდონიმის დადგენისათვის	29
ვ. თოდუა, მართალი სიტყვა მრუდი საქმის წინააღმდეგ	37
ნ. ანანიაშვილი, გ. თუმანიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა გა- ზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში	42
თ. ტაბიძე, შავი (ლურჯი) ფერის სიმბოლიკა „ვისრამიანსა“ და კლასიკური ხანის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში	54
კ. ფრუიძე, გიორგი ახვლედიანის შეხედულებანი პიროვნების ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე	70
ვ. ქუმბურაძე, მიქელ თარხნიშვილი — ქართველოლოგი	77
ნ. მელიქიშვილი, ფსალმუნის ციტირება ეფთვიმე ათონელისა და ედრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე ჰომილეტიკურ თხზულებაში	89
ნ. მირაშვილი, ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული XI საუკუნის ქართული „თთუ- ენის“ თავედ გალობანათვის	97
თ. ცანავა, „კალისტრატეს მარტილობის“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარ- გმანები	103
თ. შურღაია, „ანდაზის“ მნიშვნელობისათვის ქართულსა და სპარსულში	110
ნ. ფანცულაია, „ისქანდერ-ნამეს“ აჰმედნისეული მხატვრული ტრანსკრიფციის საკი- თისათვის	120
ბ. ცხადაძე, ერთი უცხოური გეოგრაფიული სახელი ძველ ქართულში (ბაბილონი)	127
ლ. ჯოხაძე, ა. მესხი, სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, როგორც სტილის- ტიკურ საშუალებათა რეზერვი მხატვრულ ლიტერატურაში	132
მ. ესაკია, ირიბი მეტყველების აქტები და მათი სინტაქსური გაფორმების ვარიანტები მეტყველების დროს	143
მ. ჯაში, უპირობის მოვლენა თანამედროვე გერმანულში	148

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. არველაძე, რ. კუსრაშვილი, „საქმემან შენმან...“	153
კ. დანელია, ახალი ტიპის ნაშრომი ქართულ ლექსიკოგრაფიაში	158
პ. დეიჩისარი, ორი ნაშრომი ბასკურ ზმნა „ყოფნაზე“	162

ქრონიკა და ინფორმაცია

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლინებლად	168
----------------------------------------------------------------------	-----

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

М. А. Дедабришвили, Вопросы оригинальности «Вепхисткаосани» в газетах «Дрозба» и «Иверия»	5
Л. И. Гугушвили, Руствелологические разыскания Мосэ Джанашвили	18
В. И. Абрамишвили, О неизвестных псевдонимах Важа-Пшавела	29
В. В. Тодуа, Слово правды	37
Н. А. Ананишвили, Литературно-критическая деятельность Г. М. Туманишвили в газете «Новое обозрение» (1892—1903 гг.)	42
Т. Р. Табидзе, Символика черного (синего) цвета в «Висрамиани» и в грузинских оригинальных памятниках классического периода	54
К. И. Пруидзе, Взгляды академика Георгия Ахвледиани на вопросы нравственного воспитания личности	70
Т. З. Чумбуридзе, Тархишвили М. С. — грузиновед	77
Н. Г. Меликишвили, Цитирование псалтыри Евфимием Афонским и Ефремом Мцире в переводах гомилетических сочинений Григория Богослова	89
Н. Ш. Мирашвили, Гимнографические каноны с краегранием в древнегрузинской Минее (XI века), хранившейся в Гарвардском университете	97
Т. А. Цанава, Грузинские переводы метафрасной редакции «Мученичество Калистрата»	103
Т. И. Шургая, К значению слова andaza в грузинском и персидском языках	110
Н. Г. Панцулая, К вопросу художественной транскрипции «Искандер-наме» турецким поэтом Ахмедî	120
Б. А. Цхададзе, Об одном иноязычном географическом имени (Вавилон) в древнегрузинском языке	127
Л. Е. Джохадзе, А. В. Месхи, Научно-техническая терминология как резерв стилистических возможностей в художественной литературе	132
М. В. Эсакия, Косвенные речевые акты и варианты их синтаксического оформления в процессе коммуникации	143
М. Н. Джаши, Явление безличности в современном немецком языке	148
Критика и библиография	
Б. В. Арвеладзе, Р. А. Кусрашвили, Дела твои	153
К. Д. Данелия, Труд нового типа в грузинской лексикографии	158
П. де Ирисар — Две работы о баскском глаголе «быть» в сравнительном плане	162
Хроника и информация	
Конкурс на лучшие работы среди молодых ученых	168

მ ა რ ი ნ ე დ ე ზ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი

ვეფხისტყაოსნის ორიგინალის საკითხი „დროებასა“
და „ივერიაში“

ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესწავლა ერთ-ერთი იმ საინტერესო პრობლემათაგანია, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ ვაზ. „დროებასა“ და „ივერიაში“ მოღვაწე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები. სხვა საკითხებთან ერთად, „დროებასა“ და „ივერიაში“ გარკვეული ადგილი ეთმობოდა ვეფხისტყაოსნის ორიგინალის პრობლემას, რაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებში დაისვა. მანამდის ვეფხისტყაოსნის ორიგინალისა და ეროვნულობის თვალსაზრისი მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილის მიერ შემუშავებულ ისტორიულ-ალეგორიულ თეორიას ეყრდნობოდა, რაც ქართველ ხალხში ეროვნულ გრძნობას აღვივებდა¹.

ქართველი ხალხი პოემაში საქართველოს ისტორიულ წარსულს ჭკრეტდა და რუსთაველს საქართველოს სინამდვილით, თამარის პიროვნებით შთაგონებულად თვლიდა. მაგრამ გარკვეულ პასუხს ითხოვდა ვეფხისტყაოსნის პროლოგის მეცხრე სტროფი (ესე ამბავი სპარსული...), რომელიც სვამდა ვეფხისტყაოსნის ეროვნულობისა და ორიგინალის საკითხს. ბარონ სუტნერმა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ამ საკითხს მიუძღვნა, სტატია „Мнение иностранца о „Барсовой коже“, რომელიც დაიბეჭდა ვაზ. „ივერიაში“², ხოლო ქართული თარგმანი გამოქვეყნდა „დროებასა“³ და „ივერიაში“⁴. ბარონ სუტნერი ვეფხისტყაოსნის თვლიდა თავისი დროის ვითარებითა და თავისი ერის თვისებებით გამსჭვალულ პოემად და მიიჩნევდა, სადაურაც არ უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი — სპარსული თუ არაბული, ვეფხისტყაოსანი ყოველთვის იყო და იქნება ქართული ნაწარმოები. ვეფხისტყაოსანი ბარონ სუტნერს მაღალ მხატვრულ ნაწარმოებად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ქართველებმა უნდა იამაყონ რუსთაველის პოემით, რადგანაც „მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა. იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთაველისებურია და მხოლოდ რუსთაველისებური“⁵.

ბარონ სუტნერი იმ აზრს ავითარებს, რომ პოემის სიუჟეტის უცხოური წარმომავლობა (ასეც რომ იყოს) მისი ეროვნულობის საწინააღმდეგოდ არ შეიძლება ლაპარაკობდეს. ვეფხისტყაოსანი რუსთაველის ეპოქის უშუალო ანარეკლია.

ეროვნულ ძეგლად მიიჩნია ვეფხისტყაოსანი ოლივერ უორდროპმაც. სპეციალურ წერილში, რომლის ნაწყვეტები „ივერიის“ მკითხველებს გაეცნო სტუდანე ჭრელაშვილმა, ოლივერ უორდროპი იმ აზრს ავითარებს, რომ ვეფხისტ-

1 ლ. მე ნ ა ბ დ ე, „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, თბ., 1967.

2 Барон С у т н е р, Мнение иностранца о „Барсовой коже“ (По поводу перевода поэмы на французский язык). „Кавказ“, 1884, № 265, 267, 268.

3 უტსოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, ვაზ. „დროება“, 1884, №№ 258, 259, 261, 264, 265.

4 უტსოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, ქურონ. „ივერია“, 1884, №№ XI, XII.

5 ვაზ. „დროება“, 1884, № 265.

ტყოსანი: „თავიდან ბოლომდე ძირ-ფესვიანად ეროვნულია, ქართული. თუმცა ამ პოემაში აწერილი კაცი და ქალი ნახსენებია ზოგი არაბად, ზოგი ჩინელად, ზოგი ინდოელად, მაგრამ ყველა ისინი თავიდან ფეხებამდე ქართველები არიან, ქართული სული უდგათ პირში“⁶.

ოლივერ უორდროპი რუსთაველს მსოფლიო კლასიკოსებს აღარებს, ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნევს და თინათინში თამარის სახეს ხედავს.

ქართული საზოგადოებრიობა საკამათოდ არ თვლიდა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ საკითხთან დაკავშირებით 1889 წ. ვაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის პოლემიკური წერილების სერია, რომელიც მიმართული იყო ძირითადად შოთა რუსთაველის შემოქმედების ტენდენციური გაგების წინააღმდეგ. საქმე იმაში იყო, რომ ივანე ჯაბადარმა 1889 წ. ნარ-დონის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილების სერია — „Письма о Грузии“⁷. ნარ-დონის ნიპილისტური შეხედულებები ამცირებდა ქართული ლიტერატურის ღირსებას და მათ შორის ვეფხისტყაოსნისაც, რომელიც სპარსული ნაწარმოებების მიბაძვად იყო მიჩნეული. ამიტომაც ნარ-დონის წერილებმა ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე ილია ჭავჭავაძე და მასთან ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, დ. კეზელი, ი. მანსვეტაშვილი, ს. ქვარიაძე და სხვები) აღდგა ვეფხისტყაოსნის დამცირების წინააღმდეგ.

ი. მანსვეტაშვილი ივანებს, რომ თავისი სტატიების ხელნაწერები ივანე ჯაბადარს პირველად უჩვენებია ილიასათვის, რომელსაც მაშინვე გამოუთქვამს თავისი აღშფოთება: „არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე ადვილად ვერ დავითმობთ რუსთაველს, დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით ვერ გაიზომება ვეფხვის ტყაოსანი. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა — ქვერული ნავარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა, ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჰკუთთ მხოლოდ, არამედ გულითაც. უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველი გმირის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა“⁸.

ი. მანსვეტაშვილის ცნობით, ივანე ჯაბადარის წერილებში კრიტიკული განხილვა ძირითადად მის ცოლს, რევოლუციონერ ლურატოვიჩის ქალს ეკუთვნოდა.

რუსთაველის სახელისა და ღირსების დაცვა მე-19 საუკუნის მოღვაწეთათვის აქტუალური პრობლემა გახდა და მისი გაშუქება იკისრა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ და ვაზეთმა „დროებამ“.

ილია ჭავჭავაძემ წერილების სერიაში — „აი ისტორია“ — განიხილა ივანე ჯაბადარის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე და მკაცრად გააკრიტიკა იგი⁹. ივანე ჯაბადარმა ილია ჭავჭავაძეს „Новое обозрение“-ში უპა-

⁶ სანო [სტუფანე კრელაშვილი], მოგზაურობა უცხოურ კაცისა კავკასიაში, ვაზ. „ივერია“, 1889, № 11.

⁷ „Северный Вестник“, 1889, №№ 2, 3, 9, 10.

⁸ ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლ. ასათიანის რედაქციით, 1936, გვ. 93.

⁹ ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, ვაზ. „ივერია“, 1889, №№ 71, 77, 78, 83, 89, 90, 106, 116—118, 130, 159 (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, IV, თბ., 1955, გვ. 17—132).

სუხა¹⁰. საპასუხო წერილში ილიამ ამხილა მოკამათის თავგასულობა და უმეტე-
რება¹¹.

ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქართველი საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც. ნიკო ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა ჯაბადარის შეხედულებანი და აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არა აქვს სიუჟეტის სადაურობას, სიუჟეტის სესხება არ ამცირებს რუსთაველს, რადგან მისი პოემა თან აქვს ექვსი საუკუნეა ქართველობას და ერთგვარი დოკუმენტია ამ ერის ავკარგიანობის გასარკვევად¹². ამასთან ნიკო ნიკოლაძის აზრით, სიუჟეტის სესხება შემოქმედს არ ამცირებს, თუ ნაწარმოები სრულყოფილია იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით. მაგრამ, ამის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძემ ი. ჯაბადარის მტკიცება სპარსული კულტურის გავლენის თაობაზე ისტორიული სინამდვილის დამახინჯებად მიიჩნია¹³.

ივანე ჯაბადარმა ისევ გაიმეორა თავისი თვალსაზრისი¹⁴. საპასუხო წერილში ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა ქართული კულტურის თვითმყოფობაზე, შეუწყნარებლად მიიჩნევდა ჯაბადარის შეხედულებებს ნიზამისა და რუსთაველის ურთიერთობის შესახებ და სხვ. მისი აზრით, უცილობაა თამარის ეპოქისათვის ბუნებრივი მანდილოსნის კულტის იგნორირება და მით უმეტეს რუსთაველის პოემის წყაროდ სპარსული მწერლობის მიჩნევა. ქალის კულტი, რაც ვეფხისტყაოსანშიც დასტურდება, განპირობებული იყო ქართული კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით, იგი ეროვნულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგანაც ემანსიპაციური ტენდენცია დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის¹⁵.

ილიამ სტატიაში — «„Новое обозрение“ — წერილის გამო» — ორმაგი პოლემიკა აწარმოვა. ერთი მხრივ, იგი ეკამათება ნარ-დონს, ხოლო, მეორე მხრივ, უკმაყოფილებას გამოთქვამს ივანე ჯაბადარის საწინააღმდეგოდ დაწერილი ნიკო ნიკოლაძის წერილის გამო. ილია ჭავჭავაძე საყვედურობს ნიკო ნიკოლაძეს, რომ მან უყურადღებოდ დატოვა ის ათასი განგებ მოგონილი ტყუილი, განგებ თავდაყირა გადაბრუნებული ამბები, რასაც ნარ-დონის წერილებში ვხვდებით; რუსთაველის დამდაბლება მხოლოდ იმაში დაინახა, რომ ნარ-დონის ვეფხისტყაოსნის ამბავი სპარსულად მიიჩნია. ილია ამბობს: ნარ-დონმა განა მარტო ის თქვა, რომ პოემის ამბავი რუსთაველმა სპარსულიდან გადმოიღო, არამედ ეს იმით დაასაბუთა, რომ სპარსელების ამბებს საგნად სიყვარული აქვს და ვეფხისტყაოსანსაცო. ილიას აზრით, ნარ-დონი განგებ ვერ ხედავს რუსთაველის უებრო ბრწყინვალეობას. იგი უსაყვედურებს ნიკო ნიკოლაძეს: „განა ვეფხისტყაოსანზე კაცმა მარტო ის უნდა სთქვას, რომ, რაკი საქართველოს მთელი ექვსი საუკუნე ეს წიგნი სიყვარულით ხელში ჰქრია, მისი სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუხეპირებია, რაკი მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას, რაკი ყოველივე ეს ასე მიუღია ქართველობას, იგი წიგნი დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ამ ერის ავ-კარგიანობის გამოსარკვევად და სხვა მისი მხარენი — კი უკან დაყენებულ და გაბათილებულ უნდა იქ-

¹⁰ Н. Д., Открытое послание „Иверийцам“, „Новое обозрение“, 1889, № 1847, 1850.

¹¹ ვხადავზა და სხვათა შორის, ვაზ. „ივერია“, 1889, № 105.

¹² Византийские споры, „Новое обозрение“, 1889, № 2022.

¹³ ამ საკითხზე იხ. ვ. აბზიანიძე, რუსთველოლოგიური პრობლემატიკა ქართველ შემოქმედებელთა ნაწარმოებში, კრ. „ლიტერატურული ძიებანი“, XI, 1958, გვ. 332—240.

¹⁴ Н. Д., Поклонение „Современности“ и „Археология“, „Новое обозрение“, 1889, № 2043.

¹⁵ Н. Николадзе, На праздники, „Новое обозрение“, 1889, № 2032.



მნან ჰკუას დამჯდარ მკვლევარისა და კრიტიკოსის თვალში? განა მართლ უნდა ეთქვა „Новое обозрение“-ს სარჩლად რუსთაველისა? ნუთუ ვეფხისტყაოსანი მართო დოკუმენტი, მართო მშრალი პროტოკოლია და სხვა არა-რა?¹⁶

ილიას აზრით, საჭირო იყო ნიკო ნიკოლაძეს რუსი მკითხველისათვის განემარტა ქართველი საზოგადოების მღელვარების მიზეზი, რაც მართო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ნარ-დონმა რუსთაველის პოემა სპარსულად გამოაცხადა, არამედ იმაშიც, რომ ივანე ჯაბადარმა არ დინახა „ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ქართველობის ეროვნული სიამაყისათვის“.

ილია განარისებულია იმის გამო, რომ „Новое обозрение“ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ თუ რა არის სადიდებელი ვეფხისტყაოსანში. ილია არ დააკმაყოფილა ნიკოლაძისეულმა კრიტიკამ, რადგანაც მოწინავე ქართული ინტელიგენცია ვეფხისტყაოსანს უყურებდა, როგორც უბადლო მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც ამტკიცებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ სიძლიერეს და მის კანონიერ უფლებებს ეროვნული თავისუფლებისათვის¹⁷.

ნ. ნიკოლაძის შემდგომი წერილი უფრო მკაცრი იყო, რის გამო „ივერიის“ მხარდაჭერა დაიმსახურა¹⁸.

„ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, რომ ქართველი საზოგადოების აღშფოთება ძირითადად ივანე ჯაბადარის მიერ ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლად გამოცხადებამ გამოიწვია და, თუმცა კარგად ესმოდათ, რომ სიუჟეტის სესხება არ ამცირებდა მწერლის ღირსებას, მაინც ვერ თმობდნენ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს და თავისი გულისტკივილი ძირითადად „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე გამოხატეს.

მოსე ჯანაშვილი (ფსევდონიმით — „ესომ“) „ივერიაში“ აქვეყნებს სტატიას „ისტორიული მიმოხილვა“, რომელშიც ქართველთა ზნე-ჩვეულებების მიმოხილვისას ეხება ვეფხისტყაოსანს, რომელიც წარმოადგენს უტყუარ ძეგლს „ქართველთ სულიერ და გონებით სიბრწყინვალისას“¹⁹. მკვლევარი აკრიტიკებს იმით, ვინც კულტურის უამრავ ნიშან-თვისებას ვერ ხედავს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და ყველაფერს უცხო ქვეყნიდან გადმოიღებულად და გადმონერგილად მიიჩნევს. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში ქართველების თვისებებია გადმოცემული.

რუსთაველის შემოქმედებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ მიმართულია „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტეფანე ჭრელაშვილის წერილი („სანოს“ ფსევდონიმით). სტეფანე ჭრელაშვილმა უსაყვედურა თანამემამულეებს, რომ მათ დაკარგეს ვეფხისტყაოსნის სიდიადის შეგრძნება. იგი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველებშიც მოიპოვებთან ისეთები, რომლებიც უარყოფენ რუსთაველს, „რომლის ღვაწლი ადრე თუ გვიან, უნდა შეიქმნეს საუნჯე საკაცობრიო ხელოვნებისა“²⁰.

„ივერიის“ ერთ-ერთი ავტორი („მამუკას“ ფსევდონიმით) მკაცრად აკრიტიკებს ნარ-დონს. იგი წერდა, რომ ქართველი ხალხი არ გააღმერთებს მწერალს, თუ იგი „თავისი გრძნობითა და გულით არ არის გამოხატველი, წარმო-

¹⁶ ი. ჰავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1955, IV, გვ. 147.
¹⁷ ვ.უ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1966, გვ. 85, იხ. აგრეთვე: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1975, გვ. 287.
¹⁸ [უავტორო], ნარკვევი, გაზ. „ივერია“, 1889, № 252—254.
¹⁹ ესომ [მოსე ჯანაშვილი], ისტორიული მიმოხილვა, გაზ. „ივერია“, 1889, № 24, № 48.
²⁰ სანო [სტეფანე ჭრელაშვილი], ქართველთა შორის (ქვესათაუ-ში) დაწუნებულ რუსთაველი, გაზ. „ივერია“, 1889, № 277.



მადგენელი ერის სულისა და გულისა, მზიდველი, მტვირთველი ერის ქირისა და ლხინისა“²¹.

იაკობ გოგებაშვილმა არამეცნიერული უწოდა ივანე ჯავახიშვილის მეთოდს, ხოლო მისი საქციელი ქამის საქციელს შეადარა მშობლის მიმართ. თუნცა აქვე მიუთითა, რომ ი. ჯავახიშვილმა ქამის საქციელზე უარესა ჩაიდინა, რადგანაც პირველად „ქამმა სიმთვრალე და სიტყვულე მამისა როდი მოიგონა, ცილი როდი დასწამა, ეს სიტყვულე და სიმთვრალე იყო ნამდვილი ფაქტ, სამწუხარო ამბავი. ჩვენნი უკუღმართნი კი თითონ იგონებენ სხვადასხვა სიტყვულეს, სხვადასხვა სისულელეს, აბრალებენ მას ჩვენს წარსულსა, ცილს სწამებენ და მასხარად აკეთებენ.

მეორედ, ქამმა მამის სამწუხარო მდგომარეობა შინაურებში კი ყველას არ შეატყობინა, გაუზიარა მხოლოდ თავის ძმასა და სხვას არავის. ჩვენ კი გავრბივართ ხუთი ათასი ვერსის სიშორეზე და ვებჭდავთ უცხო ენაზე: მთელი ისტორია საქართველოსი წარმოადგენს უღაბნოსა არაფრობისას, უცილობისას და ტუტუცობისასო. ამ ვერანა უღაბნოში ერთი ოაზისიც არ მოიპოვებო. თვით რუსთველმა, პირველმა პოეტმა საქართველოსამ, თავისი ვერაფერი შექმნა და სპარსულიდან ისესხა თავის „ვეფხისტყაოსანი“, და ისიც როგორ ისესხაო? ისე უხეიროდ და დედნების გაუგებრად, რომ საესეა უაზრობით და სისულელითო. და ეს უნიჭო ნასესხი მთელს საქართველოს ერს შეიდის საუკუნის განმავლობაში დიდებულ და თავისებურ ქმნილებად მიიჩნდა და დაბადებას გვერდს უყენებდაო“²². იაკობ გოგებაშვილს ქართველი საზოგადოების ეს ნიპილისტური განწყობილება დიდ უკუღმართობად მიიჩნდა. იგი ვეფხისტყაოსანს ორიგინალურ ნაწარმოებად თვლიდა, რომელშიც მისმა ავტორმა შეფარვით საქართველოს ცხოვრება გადმოგვცა, ნათლად დაგვიხატა ქართველებისათვის დამახასიათებელი თვისებები: „პატივისცემა ქალისა, მფარველობა დაბალი წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა, სამაგლითო ძმობა ქირსა და ლხინსო. ძლიერება სულისა, უშიშრობა ხიფათის წინაშე და სხვანი“²³.

როგორც ლევან მენაბდე შენიშნავს: „ი. გოგებაშვილი თავისებურად ცდილობდა პოემის ორიგინალობის დადასტურებას, გმირთა ხასიათებში ეჭმბლა ქართველთა ნიშან-თვისებებს, ახალ საფუძველს უქმნიდა პოემის ორიგინალობის მტკიცებას“²⁴.

ი. ჯავახიშვილის წინააღმდეგ კამათის გამოხატულებას წარმოადგენს იაკობ მანსვეტაშვილის ლექსი, რომელიც „დონ-იავოს“ ფსევდონიმით საახალწლო მილოცვათა შორის მოათავსა გაზეთმა „ივერია“:

სპარსელნი შეგყვარებია და სპარსეთის პოეტები,
რუსთველს კგობ, უარსა ჰყოფ, მიედები, მოედები,
რა გწაღიან ნეტა გვითხრა, რას აწყდები ლობე-ყორეს?
სახელს მაგით ვერ მოიხვევ, ვერ გააგნებ გზასა სწორეზე²⁵.

1889 წლის 279-ე ნომერში ნარ-დონის საწინააღმდეგოდ გაზეთი „ივერია“ ბეჭდავს ლაერენტი წულაძის სტატიას, რომელშიც ავტორი ნარ-დონს მკაცრად აკრიტიკებს ქართული კულტურის უდიდესი ქმნილების — ვეფხისტყაოსნის შეურაცხყოფისათვის. სტატიის ავტორის აზრით, „თუ რამე სასიქადულო გააჩნდა ჩვენს ხალხს, უპირველეს ყოვლისა, ეს შოთა რუსთაველია, რომელმაც

21 მამუკა, წერილი მეგობართან, გაზ. „ივერია“, 1889, № 254.

22 იაკობ სვიმონიძე [იაკობ გოგებაშვილი], ძირითადი უკუღმართობა, გაზ. „ივერია“, 1890, № 104.

23 იქვე.

24 ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

25 დონ-იავო, ნაცნობებს, გაზ. „ივერია“, 1890, № 1.



დავეიტოვა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ქართველი ხალხი უბით ატარებს, როგორც ავგაროზს; ის „ვეფხისტყაოსანი“ რომელიც ჭირში ჩვენი მოსამძიმრე და მანუგეშებელია და ლხინში თანამოღ-
 ხინე და თანამღერალი, ის „ვეფხისტყაოსანი“ ურომლისოდაც ვერც სიცილი გაგვირკვევია; ვერც ტირილს ვახერხებთ, ის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის თი-
 თოეული სიტყვა ჩვენთვის საბუთია, სამართალი, კანონი“²⁶. ლავრენტი წულაძე
 ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ქართველობისათვის ჭირსა და
 ლხინში. ნარ-დონის დასახსიათებლად ავტორს მოჰყავს რუსთაველის სამი
 სტროფი თავისი რედაქციით, უფრო სწორად გადაკეთებული ნარ-დონის გა-
 საკრიტიკებლად:

მო დავსდეთ. „ნარ-დონისათვის“ ცრემლი გედის შეუშრობელი!
 მისებრ გმირისა არავინ ჯერ არ ყოფილა მშობელი.
 ახალ ნაბარტყი ბრძენია, ჩვენის ყველაფრის მგობრელი,
 მეცნიერების გულისთვის უმცერებისა მკობელი...

მაგრამ ვით ცხენს შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
 მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
 მართ აგრეთვე ცრუ-მეცნიერთ ნამდვილ მეცნიერთ შეტევა,
 როს მოაკლდეს საფანელი და დაიწყოს სიბრძნემ ლევა²⁷.

„ივერიის“ 1889 წლის № 252, №253, № 254 ნომრებში უავტოროდ გამო-
 ქვეყნდა „ნარკვევი“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს ნარ-დონის „Северный
 Вестник“-ში დაბეჭდილ სტატიებს. სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ ნარ-დონი
 აზვიადებს სპარსული კულტურის გავლენას ვეფხისტყაოსანზე. იგი აღშფოთე-
 ბულია იმის გამო, რომ ნარ-დონის აზრით, ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან
 არის აღებული, რადგანაც საქართველოში კულტურა სპარსეთმა შემოიტანაო.
 „აი ამ ცრუ საძირკველზეა აშენებული, ამ აღვილად შესარყევ ბოძეა აგებუ-
 ლი მთელი ოთხი წერილი ნარ-დონისა“²⁸, — ასკენის სტატიის ავტორი და მი-
 უთითებს: ვეფხისტყაოსანი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ „იმისი სენტენცი-
 ები, იმისი სიტყვები და თქმულებანი იმის ზნე ქართველ ერს შეესისხლბორ-
 ცა“²⁹.

ნარ-დონის საწინააღმდეგოდ გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის სტატია —
 „Низами и Руставели“³⁰. რამდენადაც ეს წერილი „ივერიაში“ არ გამოქვეყ-
 ნებულა, ჩვენ მის განხილვას არ შევუდგებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გი-
 ორგი წერეთელს ვეფხისტყაოსანი მიაჩნია ქართული სულიერი კულტურის
 შესანიშნავ ნიმუშად და მკაცრად აკრიტიკებს ივანე ჯაბადარის მოსაზრებებს
 ნიზამისა და რუსთაველის ურთიერთობის თაობაზე.

ქართველი საზოგადოება, როგორც ვხედავთ, აქტიურად გამოეხმაურა
 ივანე ჯაბადარის სტატიებს და ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თვალსაზრის-
 ზე დადგა. ამ მხრივ სწორედ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაიჭრა ყველაზე
 აქტიური პოზიცია; 1890 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე ნანე-
 იშვილის წერილი — „ვეფხისტყაოსნის გამო“, რომლიდანაც აშკარაა, რომ ა. ნა-
 ნეიშვილი ვეფხისტყაოსანს ორიგინალურ ძეგლად, თამარისდროინდელი სა-

²⁶ დათიკო ვერმიცა ნაშვილი [ლავრენტი წულაძე]. წლიურ ანგარიში პრო-
 ვინციელისა, IV, ნაფიქრი და ნაზრევი, გაზ., „ივერია“, 1889, № 279.

²⁷ გაზ. „ივერია“, 1889, № 279.

²⁸ გაზ. „ივერია“, 1889, № 253.

²⁹ გაზ. „ივერია“, 1889, № 254.

³⁰ „Новое обозрение“, 1890, № 2084, 2086, 2091.

ქართველოს ისტორიული წარსულის შეფარვით ასახვად თვლიდა. იგი ფაქტობრივად ავრძელებდა ილია ჭავჭავაძის მიერ წამოწყებულ დისკუსიას.

აღ. ნანეიშვილის აზრით, ვეფხისტყაოსნის პოპულარობის მიზეზი საქართველოში, ერთი მხრივ, თვით ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაში მდგომარეობს, მეორე მხრივ, კი მას თემატურ-იდეური მოტივები განსაზღვრავდა. „პოემა ამხნევებდა ქართველებს თვით გმირთა მამაცობით, ქველობით და ქართველი ერი მუდამ გარემოცული მტერთა მიერ მართლაც რომ ტარიელ-ავთან-დილობდა“³¹. ვეფხისტყაოსნის შექმნის საფუძველს ალექსანდრე ნანეიშვილი თამარის ბიოგრაფიაში ხედავს, რამდენადაც ტარიელისა და ნესტანის ამბავი თამარის ისტორიის გამოძახილად ესახება. ამ თვალსაზრისით იგი ყურადღებას მიაქცევს და დაწვრილებით განიხილავს ნესტანის ხვარაზმ-შაჰის ძეზე გათხოვების ეპიზოდს, რასაც აკავშირებს თამარის უცხო კაცზე გათხოვების ისტორიულ ფაქტთან. მისი დასკვნით, „რუსთველმა თავისი ჩანგი სწორედ იმათ წინააღმდეგ მიჰმართა ვინც უცხო სიძის შემოყვანებას სცდილობდა და ვინც თამარს ძალას ატანდა“³². დაახლოებით ასეთივე თვალსაზრისს ავითარებს და საქართველოს ისტორიული სინამდვილის გამოხატულებად მიიჩნია ვეფხისტყაოსანი სიმონ ქვარიანს³³. 1903 წ. იუსტინე აბულაძემ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში — „ვეფხისტყაოსნის შესწავლის გამო“³⁴ — სხვაგვარად დასვა ზოგი ეს საკითხი. იგი აკრიტიკებდა სიმონ ქვარიანის თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თაობაზე. იუსტინე აბულაძის აზრით, ვეფხისტყაოსანი გამსჭვალულია არაბულ-მამადაიანური ტენდენციით. თუმცა ქართველ პოეტს ბევრი რამ შეუძელია მასში. ამ სტატიას უპასუხა ს. ქვარიანმა „ივერიაში“. იგი ეკამათება იუსტინე აბულაძეს პოემის ორიგინალობასთან დაკავშირებით, თვითონ კი ვეფხისტყაოსანს ეროვნულ ნაწარმოებად და ქართული ცხოვრების მოთხრობად მიიჩნევს³⁵.

1890 წელს „ივერია“ აქვეყნებს ალექსანდრე ხახანაშვილის სტატიას — „ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და შოთას ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც ავტორმა წამოაყენა თეორია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ხალხურიდან წარმომავლობისა. აღ. ხახანაშვილის აზრით, შოთას ხალხური თქმულება გადაუმუშავებია და ასე შეუქმნია ვეფხისტყაოსანი³⁶.

აღ. ხახანაშვილის ამ შეხედულებას დაუპირისპირდა ვაჟა-ფშაველა. ვაჟა-ფშაველა უსაყვედურებს აღ. ხახანაშვილს ნამდვილი მეცნიერული მეთოდის უქონლობას და აღნიშნავს, რომ „მარტო ბ-ნი ხახანაშვილი არ უცქერს „ვეფხისტყაოსანს“, ცოტა არ იყოს ეჭვიანის თვლით, სხვანიც მოიპოვებიან ჩვენში ამ აზრისანი“³⁷. ამის მიზეზი კი, ვაჟას აზრით, ორნაირია: პირველი — პოემა დიდებულია, რაც ეჭვს იწვევს, ერთი კაცის ტვინის ნაყოფი ვერ იქნებაო, მეორე — ამ ხალხს არ შესწევთ უნარი — ინდივიდუალური შემოქმედება გაარჩიონ ხალხურისაგან. შოთას თითქოს ცოდნია რომ ასეთი რამ მოხდებოდა და ამიტომ პოემის წინასიტყვაობაში გვაფრთხილებს, რომ ამბავი სპარსულიაო, თუმცა იქაც ვერაფერს მსგავს ვერ ვპოულობთ.

31 ა. ნა-ლი, ვეფხისტყაოსნის გამო, „ივერია“, 1890, № 13.

32 იქვე.

33 ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ჟურნ. „მოამბე“, 1903, VII, VIII.

34 იუსტინე აბულაძე, ვეფხისტყაოსნის შესწავლის გამო, ვაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2292, 2293.

35 ს. ქვარიანი, წერილი რედაქციის მიმართ, ვაზ. „ივერია“, 1903, № 25ა.

36 ვაზ. „ივერია“, 1890, № 25.

37 ვაჟა-ფშაველა, ვეფხისტყაოსნის შესახებ, ორიოდე სიტყვა პასუხად ბატონ ხახანაშვილს, ვაზ. „ივერია“, 1890, № 39.



ვაჟა-ფშაველას აზრით, რუსთაველი გვიხატავს თანამედროვე ეპოქას, რუსთაველის საუკუნეს. ვეფხისტყაოსანი იმდენად ქართულია, იმდენად ამოღებულ ქართველის გულიდან, იმდენად გამოხატველია მთელი ერის აზრებისა, რომ იგი შეუძლებელია წმინდა ქართული მოვლენა არ იყოს. ამიტომ შეიყვარა ქართველობამ ეს პოემა და შეისისხლბორცა იგი. იგი წერს: „...ნუთუ რუსთაველი ერს არ ეკუთვნის და ერის ღვიძლი შვილი არ არის... ნუთუ თამარის დიდებული ეპოქა თავისი გამოჩენილი ისტორიული პირებით არ აღაფრთოვანებდა შოთას, არ ააყვრებდა მის ჩანგს, არ აძლევდა მასალას ტიპებს: შექმნისას, შინაარსს ვეფხისტყაოსნისათვის? ნუთუ ისტორიულს ეპოქას ნაკლები მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედებისათვის, ვიდრე საერო თქმულებას? ვგონებ, ერის თქმულებაზეც თვით ეპოქა მოქმედებს და ამიტომ ხდება. რომ ერი შესანიშნავის საუკუნის შესანიშნავს მოვლენას, ამბად, ზღაპრად ან ლექსად გამოიტყვის ხოლმე“³⁸.

ამდენად, ვაჟას აზრით, ვეფხისტყაოსანი ისტორიული სინამდვილის ასახვა და არა ხალხური ზღაპრის გარდათქმა.

აღ. ხახანაშვილი ხალხური და ლიტერატურული ვეფხისტყაოსნის მსგავსებას მარტო აზრის ერთიანობაში ხედავს, რაც, ვაჟას აზრით, სწორი არ არის, რადგან მათ შორის ფორმალურადაც დიდი მსგავსებაა.

ვაჟა-ფშაველა აღ. ხახანაშვილს არ ეთანხმება იმაში, რომ ვეფხისტყაოსანი არის ცალ-ცალკე შექმნილი ხალხური ლექსების შეკოწიწებული ერთობლიობა. ეს რომ ასე არაა, ვაჟას აზრით, ამას ისიც ადასტურებს, რომ რუსთაველის სიტყვით

მოშირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვას ერთი-ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია, მელექსეთა კარგთა სწორი.
განაღ სთქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი შორი;
მაგრა იტყვის, ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჭორი.

ვაჟა-ფშაველამ მიუთითა, რომ აღ. ხახანაშვილმა დაუშვა შეცდომა, როცა ვერ გაიგო, რომ ხალხური ვეფხისტყაოსნის „ედემ და ომარე“ ვეფხისტყაოსნის „აბჯარი სიამარეს“ დამახინჩვებას წარმოადგენს³⁹.

დასასრულ, ვაჟა-ფშაველას სურვილია ბ-ნი აღ. ხახანაშვილი ფრთხილად და ფხიზლად მოეკიდოს ვეფხისტყაოსანს, უფრო ისტორიულის თვალთ უყვიროს. „დარწმუნებულიცა ვარ, როცა შეადარებს ყველა ვარიანტს და დაუპირისპირებს ერთი-ერთმანეთს, დაგვეთანხმება და ბედაუბრად არ ჩამოაბდენს შოთას“⁴⁰.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ შოთა რუსთაველი, ერის სულიერი სამყაროს ანარეკლია და რომ ხალხურ „ტარიელიანს“ რუსთაველის პოემა დაედვა საფუძვლად. ამემაღ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია ხალხურ „ტარიელიანის“ ვეფხისტყაოსნიდან წარმომავლობა. აღ. ბარამიძე მიუთითებს, რომ „ხალხური ტარიელიანისა და შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ერთმანეთთან შედარება უეჭველს ჰყოფს, რომ ტარიელიანი მხოლოდ ძალზე მკრთალი ანარეკლია გენიალური ვეფხისტყაოსნისა. ტარიელიანი შექმნილია ვეფხისტყაოსნის მასალაზე, პოემის ხალხში ზეპირად გაერცელების შედეგად“⁴¹. თუმ-

38 ვახ. „ივერია“, 1890, № 39.

39 ამ საკითხზე იხ. აღ. ბარამიძე, ვაჟა ფშაველას რუსთაველოლოგიური ნაზრები, ნარკვევები, VI, თბ., 1975, გვ. 112; ნანა კოტეტიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი და „ტარიელიანის საკითხები“, მაცნე, ელს, 1974, № 3, გვ. 49—50.

40 ვახ. „ივერია“, 1890, № 39.

41 აღ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 353.

ცა ეს იმას არ ნიშნავს, რუსთაველი არ არგებლობდა ქართული ხალხური მი-
თოლოგიით.

შემდგომი დროის ნაწერებში ვაჟა-ფშაველა იცხადებდა, რომ თუნდაც დე-
იბენოს ვეფხისტყაოსნის ხალხური ან ლიტერატურული საფუძველი, ამით
რუსთაველის პოემას არაფერი დააკლდება. ეს თვალსაზრისი საერთოდ არის
გატარებული ვაჟას თანამედროვეთა ნააზრევში და ვაჟა-ფშაველაც ამ გაკრტე-
ლებული აზრის ერთ-ერთი გამომხატველია. ამის საფუძველი კი, როგორც
ჩანს, ის ვახლდათ, რომ ამ პერიოდში მწვავედ იდგა ვეფხისტყაოსნის ორიგი-
ნალობის პრობლემა⁴².

ალექსანდრე ხახანაშვილის თვალსაზრისი გამოქვეყნებისთანავე გააქრი-
ტიკა მაშინ ახალგაზრდა მეცნიერმა ნიკო მარმა. 1890 წელს გაზ. „თეატრი“
გამოქვეყნებულ წერილში ნიკო მარი დაუპირისპირდა ალ. ხახანაშვილის
თვალსაზრისს და წამოაყენა ვეფხისტყაოსნის სპარსული წყაროდან წარმომავ-
ლობის თეორია. ნ. მარი წერდა: „ჯერ ვინ დავეიმტიკა, რომ რუსთაველი
ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი, რამდენ-
აღ სპარსული ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მამლევეს, მე სრულ ჭეშ-
მარიტებად მიმაჩნია რუსთაველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარ-
გმნი ამბავი უნდა გაეღეჭოს, რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გააერტე-
ლა, ან შეამოკლა, ამოზე სჯა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სპარსული დე-
დანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ“⁴³.

ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა, მაგრამ მკვლევარი იმედს არ კარგავდა,
რომ ოდესმე სპარსულ ლიტერატურაში აღმოჩნდებოდა ვეფხისტყაოსნის დე-
დანი⁴⁴. ჯერ ქართველ საზოგადოებაში დამცხრალი არ იყო ივანე ჯავახიშვილის
შეხედულებებით გამოწვეული მღელვარება, ნიკო მარის გამოსვლამ ვითარება
გაამწვავა. ქართველი საზოგადოებრიობა დაუპირისპირდა ნიკო მარს. პირვე-
ლად მის წინააღმდეგ ხმა აღიმადლა ვახუშტის „ივერიამ“ და მისმა რედაქტორმა
ილია ჭავჭავაძემ. 1899 წელს ილია წერდა: ბატონმა მარმა „კარგა ხანია, რაც
დაიქადა, რომ დამაცადეთ, ეგ თქვენი რაღაც „ვეფხისტყაოსანია“, სულ თავზე
დავაფხრეწეთ. ინგლისში ერთი მანუსკრიპტი მეგულება, იმას ვიპოვი და და-
ვიმტიკებთ, რომ იქიდან არის ეგ ნათარგმნი, ან გადმოღებულიო. ვაა ჩვენო
თავმოსაწინებელი რუსთაველი! თურმე ჭურდი ყოფილხარ და სხვისი შენად
გავისაღებია!“⁴⁵.

ილია ხაზს უსვამდა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ქართველების ეროვ-
ნული სიამაყისათვის და აღნიშნავდა, რომ არ არის საკადრისი მეცნიერმა ასე-
თი რამ დაიქადოს საბუთების განხრევის გარეშე.

„რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არ იცო-
დეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შე-
უგინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი, შეუბღალავოს იგი თითქმის წმი-
დათაწმიდა, რომელსაც შეიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფას
და შეპხარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულის სასოვარს, რომელსაც მთელმა
ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩახებია თავისი

42 ლ. მე ნაბ დე, დასახ. ნაშრ., გვ. 165—166.

43 ნ. მ. მ. რი, წერილი ვეფხისტყაოსნის გამო, გაზ. „თეატრი“, № 890, № 12.

44 Н. М а р р, Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из „Русуданиа-
ни“, „Восточные заметки“, СПб, 1895, გვ. 229.

45 ი. ჭავჭავაძე, სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი, გაზ. „ივერია“, 1899, № 65
(ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, VIII, თბ., 1957, გვ. 95—196).



ნიკო მართან პოლემიკაში ილიას არ დავეწყებია, ხაზი გავსვა იმისათვისაც, რომ ვეფხისტყაოსანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი კაცის ეროვნული სიამაყისათვის. ილია წერდა: „ვის შერქმია თვალში ეს ქართველების ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი, რომ ბ-ნი მარრი აგრე თავზე-ცელალებულად ილწვის ამ ეკლის გამოღებისათვის?“ 47.

ნ. მარის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს ქართველი საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმაც. აღშფოთებული წერილი გამოაქვეყნა „ივერიაში“ მიხეილ ნასიძემ („მე გახლავარ“-ის ფსევდონიმით) — „პრიატ-ლოცენტი მარრი და მისი სამეცნიერო მეთოდი“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ნიკო მარს, რომელიც ყოველგვარი საბუთის გარეშე ვეფხისტყაოსანს სპარსულიდან ნათარგმნად აცხადებს 48.

თათარყან დაღწევილიანი აღნიშნავდა, რომ რუსთაველის მიერ: ამბად გავონილი შეიძლება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული რაიმე სიუჟეტი იყოსო. იგი მიუთითებდა კიდევ სვანეთში გავონილ ზღაპარზე, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა რუსთაველსო 49.

ნ. მარის თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის თაობაზე „ივერიის“ ფურცლებზე დაუპირისპირდა ს. პავლიაშვილი. იგი მკითხველს მოაგონებს ვაზ. „თეატრში“ მარის მიერ გამოთქმულ აზრს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ „მართალია ნ. მარი გვარწმუნებდა, რომ ბრიტანეთის მუზეუმში ინახებაო ვეფხისტყაოსნის დედანი, მაგრამ გავიდა ექვსი წელიწადი, სპარსული ორიგინალი ვეფხისტყაოსნისა ნ. მარმა ვერ გავაცნო, ვგონებ იმიტომ, რომ წინ-აღებული აზრი არ გაუმართლდა, სათუოდ წამოყენებული თეორია უნიადაგო აღმოჩნდა“ 50. ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ „ვეფხისტყაოსნის ამბის პრობლემაზე აღძრული კამათით რუსთაველის სახელის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი. პოემის ორიგინალობა და ეროვნულობა ჭეშმარიტად გამოაცხადა, დაიცვა მისი ღირსება და პოეტის სახელი შარავანდედით შემოსა“ 51.

ვეფხისტყაოსნის ამბის წარმომავლობის პრობლემაზე გაცნარებულ კამათში ჩაება იონა მეუნარგია, რომელმაც „ივერის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა „ივერიაში“ წერილი: „რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ უწერია?“.

იონა მეუნარგიას აზრით, შესაძლებელი იყო, რომ რუსთაველს პოემის შექმნისათვის საფუძვლად აეღო რომელიმე სპარსული ზღაპარი. ეს სრულიად არ დაამდაბლებდა მის სახელს. დიდი შემოქმედნი ხშირად იღებდნენ ხალხურ ამბებს თავიანთი ნაწარმოების საფუძვლად. მაგრამ „ნურავის ჰგონია, ვითომ რუსთაველის უკვდავი სახელი შეიძლებოდეს დამდაბლდეს მით, რომ აღმოჩნდეს ის ამბავი, რომელიც გახდა შინაარსად მისი უკვდავი პოემისა“ 52.

46 ვაზ. „ივერია“, 1899, № 65.

47 იქვე.

48 ვაზ. „ივერია“, 1898, № 80.

49 თათარყან დაღწევილიანი ი., ბ-ნ მარრის შესახებ, ვაზ. „ივერია“, 1902, № 217.

50 ს. პავლიაშვილი, ბ-ნის ნ. მარის აზრი „ამირან ღარეჯიანიანზე“, ვაზ. „ივერია“, 1895, № 161.

51 ლ. ტუმბურიძე, ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხი „ივერიაში“, კრ. „ლიტერატურათმცოდნეობა“, თბ., 1979, გვ. 52.

52 ე. გ. რი, რა წყარო ჰქონდა ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ უწერია, ვაზ. „ივერია“, 1892, № 66.



იონა მეუნარგია ვეფხისტყაოსნის შინაარსს აღარებს ბარამიანის ჯგუფის თხზულებათაგან „ბარამგულიჯანიანს“ და აღნიშნავს, რომ ამ ძეგლისა და ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე თვით მისი გამლექსავი ონანა მდივანი ქობულაშვილი მიუთითებსო. დასახელებულია სტროფი:

მსტქიან: ბარამ ჰგავს ტარიელს, არს ავთანდილის დარია,
ვულჯან — ნესტან-დარეჯანს, თინათინს შინაგვანია [217, 1—2]53.

იონა მეუნარგია მოგვიტოვრობს „ბარამგულიჯანიანის“ შინაარსს და ვეფხისტყაოსანთან მისი მსგავსების საფუძველზე ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის პოემის სიუჟეტის ძირითად წყაროდ გამოუყენებია „ბარამგულიჯანიანი“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იონა მეუნარგიას ეს თვალსაზრისი უშუალოდ კი არ მოაჩნია, არამედ ვარაუდის სახით ვეთავაზობს: „ეს არის მხოლოდ ვარაუდი, არ გვერთხილია, რომ უშუალოდ დაგვებარალოს ვინემ ამ ჩვენგანს საეჭვოდ დადებულის აზრისა“54.

1909 წელს „დროება“ აქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას „ძველი საქართველოს“ გამოცემის თაობაზე. კრებულში მოთავსებული სტატიების განხილვისას ბიბლიოგრაფიის ავტორი ეხება იუსტინე აბულაძის რეფერატს — „მეთორმეტე საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ — და შენიშნავს, რომ, იუსტინე აბულაძის სიტყვით, ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს ერთ იმ თხზულებათაგანს, რომლებიც მეთორმეტე საუკუნეში სპარსული ლიტერატურის გავლენით იწერებოდნენ, იგი „არის ერთი სპარსეთში შემუშავებული არაბულ თქმულებათაგანი აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შესახებ“55. კერძოდ პოემას იუსტინე აბულაძე აღარებს ბარამიანს და ბევრ მსგავსებას პოელობს მათ შორის. აქედან კი ასკვნის: „რუსთაველს ადრე რაღაც უძველესი ბარამიანის ტიპის აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახები სპარსული სადევგმირო ზღაპარი და ის გარდაუქმნია თავისებურად“56. ამის შემდეგ ვაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა იუსტინე აბულაძის წერილი — „კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“57, რომელშიც ავტორი ეკამათება იპოლიტე ვართაგავას ვეფხისტყაოსნის საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ ვვაცნობს ონანა მდივანის შენიშვნებს, რომელთაც, მ.ს.ი. აზრით, მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სადაურობის გასარკვევად. დაბოლოს, იუსტინე აბულაძე ასკვნის, რომ „ონანა მდივანს „ბარამგულიჯანიანი“ ძალიან წააგავს — თითქმის იმეორებს ვეფხისტყაოსნის მოთხრობას, რუსთველის ვეფხისტყაოსანს, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი აღმოჩნდეს სადმე, ბაჰრამიანის ტიპის მოთხრობებში“58.

„ბარამგულიჯანიანის“ შესახებ ექვთიმე თაყაიშვილიც აღნიშნავდა, რომ ძალზე ახლოს დგას ვეფხისტყაოსანთან59. როგორც ზემოთ აღინიშნა, იუსტ. აბულაძემ მიუთითა იმ ადგილებზე, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია ვეფხისტყაოსანსა და „ბარამგულიჯანიანში“. კ. კეკელიძემ და დ. ბრეგვაძემ კი სათა-

53 დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, თბილისი-ქუთაისი, 1958, გვ. 95.

54 ვაზ. „ივერია“, 1892, № 66.

55 [უავტორო], ბიბლიოგრაფია, ვაზ. „დროება“, 1909, № 265.

56 იქვე.

57 ვაზ. „დროება“, № 1910, № 81, 82.

58 იქვე, № 82.

59 Е. Такаишвили, Описание, I, გვ. 558—562.

ნადო მაგალითებით უჩვენეს, რომ ბევრი ეპიზოდია საერთო ვეფხისტყაოსანსა და „ბარამგულიჯანიანში“⁶⁰.

ალექსანდრე გვახარია 1966 წელს წერდა: „პოემის დაკვირვებელი შესწავლა უფრო შორს წასვლის შესაძლებლობას იძლევა — საერთოდ არსებობდა კი ჩუბინ ქირმანელი და მისი პოემა? ხომ არ არის ეს ლიტერატურული ფიქციო? მართლაც, „ბარამგულიჯანიანი“ სხვა არაფერია თუ არა შოთა რუსთველის პოემის გადამღერება“⁶¹.

„ბარამგულიჯანიანის“ წარმომავლობის საკითხს დიდი ადგილი დაუთმო მერი გუგუშვილმა ამავე წელს გამოქვეყნებულ წიგნში „პოლემიკა რუსთველის გარშემო“. მან შეადარა „ბარამგულიჯანიანის“ ტექსტი ვეფხისტყაოსანს და შესაძლებლად მიიჩნია გამოეტქვა მოსაზრება, რომ „ბარამგულიჯანიანი“ კი არ უნდა ვიყარა უდოთ ვეფხისტყაოსნის დედნად, არამედ „ონანას რუსთველის მიზაძეთ შეუქმნია რომანტიკული ხასიათის პოემა“⁶².

ალ. გვახარია 1973 წელს წერდა: „სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მოსაზრება გამართლდეს“⁶³. მაგრამ იგი ყურადღებას ამახვილებს იმ განსხვავებებზე, რომლებიც არის ვეფხისტყაოსანსა და „ბარამგულიჯანიანს“ შორის, ამასთან ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სპარსულ დასთანებში ბევრი მსგავსი მოტივი დასტურდება⁶⁴. ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ, რასაკვირველია, მთელი რიგი მსგავსი მოტივები შეინიშნება ვეფხისტყაოსანსა, „ბარამგულიჯანიანსა“ და დასთანებში საერთოდ, მაგრამ მერი გუგუშვილი კონკრეტული ეპიზოდების გამოვრებაზე მიუთითებს, რაც მას აძლევს საფუძველს ზემოთ მოყვანილი დასკვნისათვის.

ნიკო მარის მიერ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმომავლობის საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით სხვა ხასიათის წერილებიც გამოქვეყნდა. იოსებ ყიფშიძე და ვუკოლ ბერიძე აღნიშნავენ, რომ მოსე ჯანაშვილმა და სხვებმა უმართებულო საყვედური გამოთქვეს ნიკო მარის მიმართ, როცა მან წამოაყენა დებულება ბრიტანეთის მუზეუმში ვეფხისტყაოსნის დედნის არსებობის თაობაზე. ავტორები თვლიან, რომ მარის მოსაზრებები ემყარებოდა ვეფხისტყაოსნის საფუძვლიან შესწავლას, რომელმაც მას დაანახა სპარსულის უეჭველი ზეგავლენა რუსთველის პოემაზე. აქედან გამომდინარე, ნ. მარმა საჭიროდ მიიჩნია ვეფხისტყაოსნის უფრო ღრმად შესწავლა, მოძიება იმ სპარსული ამბისა, რომლითაც თითქოს რუსთველი სარგებლობდა⁶⁵.

დაახლოებით ასეთივე თვალსაზრისს გამოთქვამს კიტა აბაშიძე „დროების“ ფურცლებზე. კ. აბაშიძის აზრით, საჭიროა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის კვლევის მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნება. კიდევ რომ აღმოჩინდეს, რომ ვეფხისტყაოსანი თარგმანია, ეს ქართულ კულტურას მოსპობით არ დაემუქრება. „ეს თქვათ აღმოჩნდა, რაც ჩემი აზრით მოსალოდნელი არ არის, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის ორიგინალური ნაწარმოები, ნუთუ ამით ქარ-

60 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 417. დ. ბრეგაძე, დასპ. ნაშრ., გვ. 46; მისივე, ვეფხისტყაოსნის ეპიზოდები აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 149—174.

61 ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 352—353.

62 მერი გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, (XV—XVIII სს.), თბ., 1966, გვ. 152.

63 ალ. გვახარია, სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 131—132.

64 იქვე.

65 ი. ყიფშიძე, ვ. ბერიძე, ნ. მარი უვიცობის სამსჯავროს წინაშე, გაზ. „დროება“, 1910, № 49.



თველი ერის სახელი და დიდება მოისპობა, ნუთუ ამით ჩვენი ათასი წლებით

შეკმნილი კულტურა და ისტორიული ცხოვრება მოისპობა, სრულიადაც არაა.⁶⁶
 ამრიგად, კიტა აბაშიძის მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ, მართალია მას ვეფხისტყაოსანი ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნია, მაგრამ თვლის, რომ ნიკო მარი დიდი მეცნიერია, რომლის ძიებებს ვეფხისტყაოსნის პრობლემების გარშემო ხელი არ უნდა შევეშალოთ.

ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსანი ეროვნული სულისკვეთების თხზულებად მიაჩნდა. ის არ იზიარებდა ამ დროს გავრცელებულ ისტორიულ-ალეგორიულ თეორიას, მაგრამ თვლიდა, რომ რუსთველმა შემოქმედებითი ნიჭის ძალის მეოხებით მოგონილ ამბავში ისეთი სული ჩაატანა, რომ შექმნა ეროვნული ხასიათის უკვდავი თხზულება. „შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტი სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვეგონია. აი, ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ, უკეთ ვთქვათ, ქმნა არყოფილისა ყოფილად მართო შემოქმედს შეუძლია და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედებს ეძახიან“⁶⁷.

ამრიგად, განხილული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ივერია“ და „დროება“ აქტიურად ეხმარებოდნენ ვეფხისტყაოსნის გარშემო წამოჭრილ საკითხებს და სათანადოდ აშუქებდნენ მე-19 საუკუნეში დღის წესრიგში დასმულ რუსთველოლოგიურ პრობლემებს. კერძოდ მე-19 საუკუნის მოღვაწენი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით „ივერიისა“ და „დროებისა“ ფურცლებზე გამოხატავენ თავიანთ მრწამსს პოემის ორიგინალობისა და მისი ჭეშმარიტი ეროვნულობის თაობაზე. „ივერია“ და „დროება“ ერთგულ დარაჯად უდგანან ვეფხისტყაოსანს — „ქართველების ამ ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარს“ (ილია ჭავჭავაძე).

19.225

М. А. ДЕДАБРИШВИЛИ

ВОПРОСЫ ОРИГИНАЛЬНОСТИ «ВЕПХИСТКАОСАНИ» В ГАЗЕТАХ «ДРОЭБА» И «ИВЕРИЯ»

Резюме

Изучение историко-литературных вопросов поэмы — «Вепхисткаосани» — одна из главных проблем, которые интересовали представителей грузинской общественности, выступавших на страницах «Дроэба» и «Иверия». Эти газеты особое место уделяли проблеме оригинальности поэмы «Вепхисткаосани».

В работе с помощью специальной научной литературы проанализирован материал об оригинальности «Вепхисткаосани», опубликованный в «Дроэба» и «Иверия». На страницах этих газет деятели грузинской общественности XIX века во главе с Ильей Чавчавадзе обсуждают вопросы об оригинальности поэмы «Вепхисткаосани» и утверждают ее истинно национальный характер.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა

66 კიტა აბაშიძე, აკადემიოსი ნ. მარრი და მოსე ჯანაშვილი, ვაზ. „დროება“, 1910, № 4.

67 ჭიბრაძე [ილია ჭავჭავაძე], ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიკრეუე, „ივერია“, 1896, № 20.

2. მაიცი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 2

საქ. სსრ კ. მარჯის

ლუცინა გუგუშვილი

მოსე ჯანაშვილის რუსთველოლოგიური ძიებანი

ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი იმ სახელოვან მამულიშვილთა პლეადას ეკუთვნის, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ქართული ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესწავლას. დიდი ნიჭისა და ფართო ინტერესების მქონე მკვლევარი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იკვლევდა ქართული ხალხის შემოქმედების საკვანძო საკითხებს. თანაბარი ინტერესით მუშაობდა ისტორიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ენათმეცნიერებაში, ეთნოგრაფიასა და სხვა დარგებში. უპირველეს ყოვლისა. მოსე ჯანაშვილმა ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის სისტემატიზაციის საქმეს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წინათსაცავისა და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კოლექციების შექმნაში, „საეკლესიო მუზეუმის“ დაარსებისა და შემდგომი ზრდის საქმეში. აქ თავმოყრილი ხელნაწერების უმრავლესობა, რომელთაც ის „ქართველთა მილიონებს“ უწოდებდა, მისი ინიციატივით იქნა შექმნილი, აღწერილი და გადანომრილი.

მ. ჯანაშვილმა გარკვეული ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლების გამოცემას. მისი პუბლიკაციების ტექსტი ზუსტად იყო გადმოწერილი დედნებიდან, დართული ჰქონდა ვარიანტები, თუ იგი მოეპოვებოდა, და საჭირო ლექსიკური განმარტებანი. მკვლევარმა მთელი რიგი ნაშრომები უძღვნა ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ პრობლემებს; საყურადღებო გამოკვლევები დაგვიტოვა ბიბლიოლოგიაში, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში. იგი იკვლევდა და იძიებდა ქართული საერო მწერლობის ძეგლებს, რომელთაგან მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ის, უპირველეს ყოვლისა, ორგანულად უკავშირებდა ქართულ კულტურას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი „ციდამ მოწყვეტილი ცისნატეხი არ არის და რომ შესაბამისი ლიტერატურული გარემოსა და ფონის გარეშე ეს პოემა ვერ წარმოიქმნებოდა“¹. ქართული კულტურის მთლიანობა, ქართული მწერლობის ძეგლების, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის, ორიგინალობის ძიება და დამტკიცება იყო მ. ჯანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის უპირველესი პათოსი. ვეფხისტყაოსნის არაერთ პრობლემას შეეხო მკვლევარი. განსაკუთრებით კი მისი ინტერესის საგანი იყო საკითხები პოემის ავტორის, დაწერის დროის, ორიგინალობისა და პერსონაჟებისა. მოსე ჯანაშვილს იმ პერიოდში მოუხვდა მოღვაწეობა, როდესაც მწვავედ იდგა პოემის სიუჟეტის წარმომავლობის საკითხი. ნ. მარის თეორიას ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან შემდინარეობის შესახებ დაუპირისპირდა ისტორიულ-ნაციონალური თეორია, რომელმაც მ. ჯანაშვილის შრომებშიც პოვა გამოხატულება. მ. ჯანაშვილი ეკამათებდა ნ. მარს, უარყოფს მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ბრატანეთის მუზეუმის „შარტიერ ნამეს“ თაობაზე, აკრიტიკებს ნ. მარის თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების ეტიმოლოგიაზე². მე-9 სტროფის „ნათარგმანებს“

¹ მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი (XII საუკუნე), ტფ., 1896, გვ. 3.

² О происхождении грузинских классиков, «Новое обозрение», 1896, №4280, № 4284, № 4285.

განმარტავს — როგორც თარგმანება, ახსნა, განმარტება (ТОЛКОВАНИЕ)³; შენიშნავს რომ პოემის უაღრესად სრულყოფილი ენა არავითარ უცხო გავლენის კვალს არ ამჟღავნებს⁴. მ. ჯანაშვილი ვეფხისტყაოსნის ბევრ საკაოხს შეეხო და საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვა, ყველაზე მნაშვნელოვანი კი ის იყო, რომ მან პოემა ქართულ ეროვნულ სინამდვილეს დაუკავშირა. მკვლევარმა ვეფხისტყაოსანში საქართველოს ისტორიული სინამდვილის კონკრეტული გამოხატულება დაინახა. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში გამოხატულია თამარ მეფის ცხოვრება, წამოყენებულია „ეროვნული თვითარსებობის დაცვის იდეა“⁵, რუსთაველი „გვიხატავს თვისსა და თავის გმირთა პოლიტიკურს მიმართულებასა და საზოგადოდ კი ახალგაზრდა საქართველოს მისწრაფებასა და ლტოლვილობას“⁶, ნესტანი თამარია, მათი ცხოვრების დეტალები ემთხვევა ერთმანეთს. მ. ჯანაშვილი ჩამოთვლის ამ დეტალებს და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანში ალგორითულად გამოხატულია საქართველოს ცხოვრება. სხვა ნაშრომში იგივეობის ნიშანს ატარებს თამარსა და თინათინს შორის⁷. მ. ჯანაშვილის აზრით, ვეფხისტყაოსანი „არის ისტორიული პოემა და თუ ისტორიული არა, ისტორიულ აღნიშვნებზედ აგებული“⁸. იგი ვეფხისტყაოსანს „ქართლის ცხოვრებას“ წყაროთა შორის ასახელებს⁹.

მ. ჯანაშვილის აზრით, ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ორი სამყარო: ქართული და გარმიანული. „არაბეთი“ საქართველოა, „ინდოეთი“ — გარმიანეთი¹⁰. რუსთაველს უსარგებლია როგორც ქართული, ისე სპარსული წყაროებით და ვეფხისტყაოსანში გამოუხატავს ქართული (როსტევეანი, თინათინ — ავთანდილი) და გარმიანული (ტარიელ — ფრიდონ — ნესტან-დარეჯანი) სამყარო¹¹. სხვა ნაშრომებშიც იმეორებს, რომ ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ორი მსოფლიო — ქართული (ავთანდილ-თინათინი) და მამამდიანური (ტარიელ — ნესტან-დარეჯანი)¹². საქართველოსა და ვეფხისტყაოსნის არაბეთის იგივეობის დასაბუთებისათვის მ. ჯანაშვილი მიუთითებს მთელ რიგ წესებზე (საუბარი, სკამზე ჯდომა, ჭვარდაწერალების დალოცვა, ნადირობა, ანდრძი), რომელიც ვეფხისტყაოსნის არაბეთში ქართულია¹³.

ისტორიულ-გეოგრაფიული ანალოგიები მ. ჯანაშვილმა ცოტაოდენი სახეცვლით გაიმეორა 1923 წელს ნაშრომში — „თამარ მეფის მეხოტბენი“, რომელშიც აცხადებდა, რომ თამარი და დავით სოსლანი არიან არაბეთის თინათინი და ავთანდილი, ხოლო ინდოეთის ტარიელსა და ნესტანში — ტარიელი სპარსეთის უკანასკნელი სელჯუკიანი შაჰი ტოღრილია, რომელსაც დახმარებას უწევენ ტახტის მიმტაცებელთა წინააღმდეგ თამარი და სოსლანი. მ. ჯანაშვილის ეს მოსაზრებანი განიხილა კ. კეკელიძემ და მიუთითა, რომ მკვლევრის

3 მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

4 Известия грузинских летописей и историков о Херсонесе, Готфин. Осетин, Хазарин, Дидоетни и России, СМОМПК, Тифлис, 1899, вып. 26, отд. I, გვ. 97.

5 მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

6 იქვე, გვ. 82.

7 მ. ჯანაშვილი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, ქ. „მოამბე“, 1904, IV.

8 მ. გიორგიძე (მ. ჯანაშვილი), შოთას განქიქება, ვაზ. „იერიას“, 1894, 4 მარტი, № 47.

9 მ. ჯანაშვილი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, ქ. „მოამბე“, 1904, IV, გვ. 66—74.

10 იქვე, გვ. 70.

11 მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, III, 1910, გვ. 32.

12 მ. ჯანაშვილი, პასუხად ჩვენს მოკამათეს, „სახალხო ვაჭეთი“, 1910, № 192.

13 მ. ჯანაშვილი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, ქ. „მოამბე“, IV, გვ. 71—74.

პიპოთეხები არსებით პარალელებსა და ანალოგიებს არ შეიცავს¹⁴. რუსთველი ლოლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია მ. ჯანაშვილის მეთოდოლოგიური არამართებულობა, მაგრამ არასწორ მეთოდოლოგიას მ. ჯანაშვილისთვის ხელი არ შეუშლია მთელ რიგ საკითხებზე სწორი დასკვნები გამოეტანა. მნიშვნელოვანია მ. ჯანაშვილისეული პარალელები ვეფხისტყაოსნისა თამარის ისტორიასთან, იოანე მტბევარის საგალობელთან, „ამირანდარჯანიანსა“, „აბდულმესისას“ და „თამარიანთან“¹⁵. ამ საყურადღებო პარალელებზე დაყრდნობით მ. ჯანაშვილი გამოიტანა დასკვნა, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული კულტურის კუთვნილებაა, ქართული მწერლობა ერთი მთლიანი მოვლენაა.

განსაკუთრებით საყურადღებოა მ. ჯანაშვილის მიდგომა ვეფხისტყაოსნის ტექსტისადმი. იგი წინააღმდეგაა პოემის ტექსტში თვითმებურა ჩარევისა. ამ მიმართულებით მ. ჯანაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ალ. სარაჯიშვილის მოსაზრებანი ვეფხისტყაოსანში ყალბი სტროფების არსებობის თაობაზე. ალ. სარაჯიშვილთან პოლემიკაში მ. ჯანაშვილი მართებულად გაამახვილა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, რუსთაველის დროის ენისა და ლიტერატურის შესწავლაზე, რაც რუსთაველისეული სტროფების სწორად გაგების საფუძველს მოვლევს. იგი „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „ვიდრე ვეფხისტყაოსნის ყალბისმქნელების გამოძებნას შევუდგებოდეთ, საჭიროა ზედმიწევნით შევისწავლოთ რუსთაველის წინა დროის ლიტერატურა და ენა ამ ლიტერატურისა, ვინაიდან ეს ენა მიეცა რუსთაველს ხერხად და სახსრად გამოეთქვა თავისი უკვდავი პოემა. ვიდრე ამ გზას დავადგებოდეთ, ჩვენ გაუგებარ სიტყვების მიხედვით ამა თუ იმ ტაქს თვით რუსთაველისას მივაწერთ მწიგნობრებს ან „ყალბისმქნელებს“¹⁶.

ალ. სარაჯიშვილთან კამათში მ. ჯანაშვილი ხაზს უსვამდა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ვეფხისტყაოსნის „ტექსტის შეგნება, მისი ნამდვილი აზრის მიხედვრა“¹⁷. მ. ჯანაშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ „ჩვენის დროისა და რუსთაველის დროის ქართული მეტყველება, ხერხი წერისა, აღნაქსვა აზრის ურთიერთს არ ეტოლება“¹⁸. ამიტომ რუსთაველის ენისადმი ისტორიულ მიდგომას მოითხოვდა. თვითონ მ. ჯანაშვილი მართალია ინგილოური დიალექტის ფორმებს პოულობდა ვეფხისტყაოსანში, ეს არ მიაჩნდა იმის დამამტიციებლად, რომ „ავტორი ვეფხისტყაოსნისა იყო ჰერეთელი რუსთაველი“¹⁹. ეს დასკვნა გამოდიოდა მისი მართებული თვალსაზრისიდან ვეფხისტყაოსნის ენის შესახებ. იგი წერდა: „ჩვენ არ გვაბადია შოთას ქმნილების მეცნიერული გამოცემა. არ დაგვრჩენია თვით მისი დედანიც, რომ გავიგოთ დღევანდელი ინგილოურ-ჰერეთული რეალიები მართა ადგილობრივი ხასიათის იყო ძველადაც თუ საერთო მთელ საქართველოსათვის და მამასადაც შოთასათვისაც, როგორც ყოველი ქართველი მწერლისათვის“²⁰. ამ მართებულმა მიდგომამ მ. ჯანაშვილს საშუალება მისცა წარმატებით ეკვლია ვეფხისტყაოსნის ტექსტი და მართებული მოსაზრებანი გამოეთქვა ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ეს მოსაზრებანი გაბნეულია მ. ჯანაშვილის რუსთაველოლოგიურ ნაშრომებში, საბოლოოდ კი შეჯამებულია ხელნაწერ ლექსიკონში, რომელიც ინახება შოთა რუს-

14 კ. ვეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 173.

15 კ. იმედაშვილი, მ. ჯანაშვილი როგორც რუსთაველოლოგი, კრ.: „ჩველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, თბ., 1962, გვ. 228—230.

16 მ. გიორგიძე (მ. ჯანაშვილი), მცირე შენიშვნა, „ივერია“, 1899, № 3.

17 მ. გიორგიძე (მ. ჯანაშვილი), შოთას განქიქება, „ივერია“, 1899, № 47.

18 იქვე.

19 მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 490.

20 იქვე.

თავის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველი-
გის განყოფილებაში. ხელნაწერი ლექსიკონი, რომელსაც მ. ჯანაშვილი „ვე-
ფხისტყაოსნის ლექსიკონს“ უწოდებს, ყურადღებას იქცევს უპირველესად თა-
ვისი სისრულით. იგი, როგორც ავტორი მიუთითებს, შეიცავს 7000 სიტყვას
და ამ მხრივ აღემატება ვეფხისტყაოსნის თითქმის ყველა ლექსიკონს. ლექსი-
კონი, როგორც ჩანს, დასრულებულია 1922 წელს, რამდენადაც მ. ჯანაშვილს
თავისი ნაწერების ბიბლიოგრაფიაში, რომელიც მას წლების მიხედვით აქვს
დალაგებული, იგი მოუთავსებია 1922 წლის ქვეშ, 776-ე ნომრით (შოთას ლე-
ქსიკონი, სულ 7000 სიტყვა)²¹.

• მ. ჯანაშვილის ლექსიკონი მისდევს სულხან-საბა ორბელიანის მიერ დამ-
კვიდრებულ ლექსიკოლოგიურ პრინციპს. სალექსიკონო ერთეულები დალაგე-
ბულია ანბანის რიგის მიხედვით (ა-დან — ჯ-მდე). იგი განმარტებისასაც ხში-
რად ემყარება სულხან-საბას „სიტყვის კონას“. ხელნაწერი ნასწორებია თვით
მ. ჯანაშვილისავე ხელით. როგორც ჩანს, ის პირველი ნამუშევარია და არა
გადათვრებული ცალი. ლექსიკონი შეიცავს 650 გვერდს, ერთნის ვეფხის-
ტყაოსნის წყობილთა (რითმათა) მაჩვენებელი, რომელიც საკმაოდ დაზიანე-
ბულია.

მ. ჯანაშვილის ლექსიკონის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მასში გა-
მოვლენილია ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის მთელი მრავალფეროვნება. აქ ცალკე
ლექსიკურ ერთეულად არის გამოტანილი პოემაში ნახშირი ყველა სიტყვა.
სრულმნიშვნელოვანი სიტყვების (სახელი, ზმნა) გვერდით ლექსიკონში გამო-
ტანილია დამხმარე სიტყვებიც, მაგ., თანდებულები, ნაწილაკები. ზოგჯერ ერთი
და იგივე სიტყვა ლექსიკონში რამდენიმე ფორმითაა გამოტანილი, რასაც გა-
უზრდია ლექსიკონის მოცულობა. სახელები ლექსიკონში შეტანილია სახელო-
ბითი ბრუნვის ფორმით, მაგრამ ეს წესი მკაცრად არ არის დაცული. ხშირად
სიტყვა სახელობითი ფორმითაც არის გატანილი სალექსიკონო ერთეულად და
იმ ფორმითაც, როგორც ის ტექსტში გვხვდება. მაგ., ავლი — ნალერდალზე
დადებული ფერფლი, იხ. ავლად. ავლად — დასაფერფლად, ავლ დასადებად.
აქვე მოყვანილია სათანადო სტრიქონები ტექსტიდან. „აღარ დამრჩეს გული
ავლად“, „...შეუქმნია გული ავლად“. ზოგჯერ მხოლოდ ისეა სიტყვა ლექსი-
კონში, როგორც ტექსტშია. მაგ.: ათასად — ათას გზის, ერთი ათასად. არაკად —
ზღაპრად, საარაკოდ.

ზმნები სალექსიკონო ერთეულად ძირითადად საწყისის ფორმითაა გა-
ტანილი (აზიდვა, აზრება, ბრუნვა, ზიდვა და სხვა), მაგრამ ზოგჯერ ზმნა გამო-
ტანილია სალექსიკონო ერთეულად იმ ფორმით, როგორც ის ტექსტშია მოცე-
მული. მაგ., აალმასნა (აალმასნა არ აძეწნა), ნაცკლად საწყისის ფორმისა ალ-
მასება, რომელიც აგრეთვე ცალკეა განმარტებული ლექსიკონში. მაგალითად
დასახელებულია იგივე „აალმასნა, არ აძეწნა“.

ლექსიკონში ცალკეა გამოტანილი არს ზმნის ნაშთი ა ისევე. როგორც
„ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“, ოღონდ ამ უკანასკნელში მითითებულია:
„არს — ზმნის ნაშთი, ნახე არ I-თან არს, არის, არე ფორმების ბოლოს“²².
მ. ჯანაშვილის ლექსიკონში კი ა განმარტებულია — „ნაკეთი არსობითი ზმნისა“
და დამოწმებულია მაგალითები ვეფხისტყაოსნიდან: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა“
(9—24)²³, „იგია“ (11—19), „იგია საქმე საზეო“ (24—20).

²¹ მ. ჯანაშვილი, ჩემი ნაწერები, კრ. „მოსე ჯანაშვილი“, თბ., 1955, გვ. 115.

²² ვეფხისტყაოსნის სიმფონია, აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 1.

²³ პირველი ციფრი აღნიშნავს სტროფის მ. ჯანაშვილისეულ ნომერს, მეორე — ვეფხის-
ტყაოსნის 1966 წლის სათბილო გამოცემისას.



ლექსიკონში ცალკე გამოტანილი არ უარყოფითი ნაწილაკი და მოყვანილი მაგალითები: „არ თავი გამიქიქია“, „არ დაჩენა“, „არ სიქვენ“ (დამკვირვებელი) მაგრამ არ ნაწილაკიანი სიტყვები ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაცაა გამოტანილი, მაგ.: არდავიწყება, არ გადასვლა.

ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაა გამოტანილი და განმარტებული თანდებულებანი ფორმები. მაგ.: ვეფხებრ — ვეფხის მსგავსა (ქვეყათა ვეფხებრ მერჩხალითა). ცალკე გამოტანილი აბსტრაქტული სახელები: ავთანდილობა, ამირბარობა, ამირბასალარობა, ამხანაგობა და სხვა. ასევე კომპოზიტები, მაგ.: ალვა-მჭეერი, ბროლ-სადაფი, ბროლ-ფიქალი, გულ-ფიქალი, ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრულიც ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაა გამოტანილი, მაგ.: ავიკაცი, ავი-მასპინძელი და სხვა.

ლექსიკონში არაიშვიათად გამოტანილია შესიტყვებანიც, მაგ.: ბნელის ჭერეტა — მცოვანების ხანაში ჩადგომა, სიცოცხლის ძალთა მიღევა. დამოწმებულია ვეფხისტყაოსნის სტრიქონი: „მზე ჩავესვენდა ბნელსა ვჭერეტო...“ ბნელს ვდომბა — გლოვა, სამე ბნელში ყოფნით. „წელიწადამდის ბნელსა ვკე, დღისით და ღამით ვვაგბდი“.

სიტყვათა განმარტებისას მ. ჯანაშვილს გვერდი არ აუკლია მანამდე არსებული ლექსიკონებისათვის. პირიქით, იგი იმოწმებს სულხან-საბას, თ. ბაგრატიონს, დ. ჩუბინაშვილს, რ. ერისთავს და სხვებს. უმეტეს შემთხვევაში დამოწმებულია სულხან-საბას განმარტებანი. მაგ.: ავი — არა კეთილი (საბა), ამართა — მძივია ქვათაგან (საბა), გვალვა — უწვიმობა (საბა) და მრავალი სხვა. ამავე წესით იმოწმებს მ. ჯანაშვილი სხვათა განმარტებებსაც, მაგრამ იშვიათად კმაყოფილდება ამა თუ იმ სიტყვის განსამარტავად სხვისი დამოწმებით. იგი ხშირად იძლევა თავის განმარტებასაც, მოჰყავს შესატყვისები ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან. დამოწმებულია და მაგალითები მოყვანილია „ბაბლიიდან“, „ქართლის ცხოვრებიდან“, „ვისრამიანიდან“, „ამირანდარჯანიანიდან“, „ქილილა და დამანდან“, „კალმასობიდან“, არჩილის, დ. გურამიშვილის, ი. თბილელის და სხვათა ნაწარმოებებიდან. მაგალითად, ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა „ჯალაბი“ — დედაწული. დამოწმებულია ვეფხისტყაოსნის ტექსტი: „ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი“, „გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი“. „ჯალაბი გაიყარა“. აქვე მითითებულია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ჯალაბი ცოლის მნიშვნელობით იხმარება და მოყვანილია ციტატა: „ჯალაბმან ქმარი გაუშვა და ჩიხანი ჩაიკვა და რა ცოცხალ იყვნეს ქმარი თვალით აღარ ახილა“.

ხშირად მ. ჯანაშვილი ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას აღნიშნავს, რომ ის ინგილოური. მაგ.: არავი — დასავლეთის ქარი, ინგ. არანი — ქარი. ლბილი — რბილი, ინგ. ბილ (მეგრ. ლიბუ) — არა მაგარი, ჩჩვილი, ნაზი; ზოგ შემთხვევაში მიუთითებს თავის ნაწარმოებზე — „ინგილოური გლოსები“. არაიშვიათად მოცემულია მეგრული და სვანური პარალელები სიტყვისა. მაგ.: ცვა — ცუა (მეგრ. ჩუა), რომელიც ასეა განმარტებული: 1. დაცვა-ყარაულობა, მაგ., „ქალსა ცვიდეს...“ 2. ფარვა — მცავს ღმერთი, 3. შეცმა, შერქმა. კილობანი, ინგ. კილბანი, სვ. კიბდევენ — ხის ზანდუკი, ნოეს კილობანი. ვეფხისტყაოსნიდან: „გარდმოჰსვეს (ნესტან-დარეჯანი) კილობანითა“, „კილობანი დაბეჭდილი“, **ლხინი** — მეგრ. რხინი, სვან. ხინ. აქვეა მითითებული საბა — მხიარულად გახარება.

რაც შეეხება ლექსიკონში სიტყვათა განმარტებებს, მ. ჯანაშვილი გთავაზობს ყველა იმ მნიშვნელობას, რომელიც მან იცის. ხშირად ყველა მნიშვნელობა არ ესადაგება ვეფხისტყაოსნის ტექსტს, მაგრამ მ. ჯანაშვილი ამ მნიშვნელობებს მაინც ჩამოთვლის. ხოლო, როცა მის მიერ მოყვანილია მნიშვნელობა ესადაგება ვეფხისტყაოსნის ტექსტს, ამ მნიშვნელობებს ამაგრებს ვეფხისტყა-



ოსჩის ციტატებით. მაგ. დაგდება— დატოვებასავით (საბა: ა) ნაცვლად. მან გივრად დატოვება ვისმე, „ჩემ წილ დაგადღებ ბატრონად“ (154—153); ბ) დატოვება სამსახურისა. „დამიგდია სამსახური...“ (292—295); გ) სახლვარს გადასვლა, „დავაგდე მზღვარი ინდოთა...“ (406—414); დ) დაყენება, „სამოცი კაცი დაგდეს ქაჯეთის ციხის მცველია“ (1403—1413); ე) ხმის დაყრა, „...გაეპარა, დაგდებდეს ვირე ხმასა...“ (1091—1102).

ამრიგად, ერთი სიტყვისათვის დაძებნილია ყველა კონტრექსტისათვის შესაფერისი მნიშვნელობა.

არის შემთხვევები, როდესაც მ. ჯანაშვილი გვაწვდის ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის რამდენიმე განმარტებას, მაგრამ იქვე მიუთითებს, თუ რომელი მნიშვნელობათაა იგი დადასტურებული ვეფხისტყაოსანში.

ზოგჯერ მ. ჯანაშვილი ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას თავის მოსახრებას წარმოგვადგენს. მაგ., გამოტანილია ლექსიკურა ერთეული „დალამა-დალაშვი“ და მიუთითებულა ვეფხისტყაოსნის სტრიქონი: „სრულად ინდონი მისტირან ცრემლმან მინდორი დალაშა“. მ. ჯანაშვილი მიუთითებს, რომ ამ სტრიქონის „დალაშა“ განმარტავენ, როგორც დასველებას. სიანმდღვილში კი იგი უნდა განიშარტოს ინგილოურის გათვალისწინებით. ინგილოურში დალაშა ნიშნავს: „ა. მოვარდნილი წყლის მიერ სილის (ლაშის) დატოვება გადავილად ადგილზე; ბ. დალაშინება, წყლის მიგდება, მიტბორება, რომ ნალექით (ლაშით) ამოივსოს ოღრო-ჩოღროები, გაასწოროს მიდამო, მინდორი თუ არე“. ამ განმარტების საფუძველზე მ. ჯანაშვილი რუსთაველის სტრიქონს ასე განმარტავს: „ინდოთა ნაღენი ცრემლი იმდენი დაიღვარა, რომ მოტბორდა და თავის ნალექით მთელი მინდორი დალაშა, ამოავსო, გაასწოროა“.

სიტყვა ძე-ს განმარტებისას მ. ჯანაშვილი ვეთავაზობს სამგვარ განმარტებას: 1. ეყვიშვილი — „ძე ამირსპასალარისა“, 2. ქალიშვილი — „ასული და ჩემი ძეო“ (თინათინი), 3. შვილი — „ჩემი ძე (თინათინი)“.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ძე სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. 1902 წელს ნ. მარი მიუთითებდა, რომ სტრიქონში „ჩემი ძე დავსვით ხელმწიფედ...“ ძე ნახმარა ქალიშვილის მნიშვნელობით²⁴. ხელნაწერ ნაშრომში „ჩემი ძე“ ნ. მარს განმარტებული აქვს შემდეგნაირად „моя дитя“, თუმცა იმასაც შენიშნავს, რომ სხვაგან („სხვა ძე არ ესევა მეფესა...“) ძე ნიშნავს ეყვიშვილს (сын)²⁵. სტრიქონში — „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო“, ნ. მარის აზრით, ძე ნიშნავს ქალიშვილს²⁶. ხოლო ხელნაწერ ნაშრომში (A—72) „ჩემი ძეო“ ნ. მარს განუმარტავს როგორც ჩემთვის ძეო. ამ სტრიქონის შემცველი სტროფი (117) იმიტომ, რომ მასში თინათინი მოხსენებულია ასულადაც და ძედაც, იუსტ. აბულაძეს ყალბად მიაჩნია²⁷, კ. ჭიჭინაძის აზრით კი ძე აქ ნიშნავს შვილს და არა ვაჟს²⁸. საანალიზო სტრიქონში ძე მ. ჯანაშვილსაც ესმის ქალიშვილის მნიშვნელობით. ამ განმარტებათა შემდეგ იგი არასწორად თვლის წაკითხვას — „მე დიდებულთა დიდგვართა...“ ნაცვლად წაკითხვისა — „ძე დიდებულთა დიდგვართა“ და წერს: „აქ ტექსტის მიხედვით მე-ს მაგიერ უნდა იყოს ძე. ძველი გადამწერლები გარყვნიდნენ ძ-სა

²⁴ Н. Марр. ТР. IV, გვ. 9.

²⁵ სსრკ-ის შეცნობებითა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილება, ფონდი 300, № 72. ნ. მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, მ. გუგუშვილისა და ლ. ძოწენიძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 15.

²⁶ Н. Марр. ТР, გვ. 9.

²⁷ ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის რედაქტორებით, 1926, გვ. XXXI.

²⁸ კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის გარშემო, ტფილისი, 1928, გვ. 37.



და მ-ს მსგავსების გამო“. მოჰყავს მაგალითები, „ქართლის ცხოვრებიდან“ და შავთელის „აბღლუმესიანიდან“, სადაც თამარი „ძედ“ იხსენიება.

სიტყვა **დარი** მ. ჯანაშვილს განმარტებული აქვს, როგორც მსგავსი. ტოლი. მაგალითებად დასახელებულია: „შვილთავე მნათობთა... დარად“ (245—278); „თინათინის ლაწვთა დარად“ (935—944). ყურადღებას მივაქცევთ პირველ მაგალითს. ციტატა მოყვანილია 278-ე სტროფიდან:

გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთავრე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა აღვისა ხეცა ვარგიყო ხელ არად,
ჰგანდეს შვილთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქი მე და რად.

მეოთხე სტრიქონის „მე და რად“ ძველ გამოცემებში, გარდა 1937 წლის გამოცემისა, იკითხებოდა „მე დარად“ და გამომცემლებს „დარად“ გაგებული აქვთ როგორც მსგავსად. ამ განმარტებას მხარს უჭერენ თეიმურაზ ბაგრატიონი და ნ. მარი. თ. ბაგრატიონი წერს: „შვილთა მნათობთა დარად — ესე იგი სწორად და მათებრ მნათობლად იტყვის ტარიელს და ავთანდილს“²⁹. ნ. მარი ხელნაწერ ნაშრომში — „Spuria“, მიუთითებს: დარად — **ПОДОБИЮ**³⁰. ასევე მ. ჯანაშვილსაც „დარად“ განუმარტავს როგორც მსგავსი, ტოლი. ასეთ წაკითხვას იზიარებენ მ. გუგუშვილი და ლ. ძოწენიძე სპეციალურ წერილში — „ვეფხისტყაოსნის 281 (278)-ე სტროფის შესახებ“³¹.

მ. ჯანაშვილს სალექსიკონო ერთეულად გამოუტანია სიტყვა „შეკვეთბა“ და სწორად განუმარტავს იგი. „შეკვეთა, ერთუროსი შეყვარება. მიხედობა“. დასახელებულია ვეფხისტყაოსნის 1069,2 სტრიქონი: „გილზღებს და შეგეკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობს“. ამ სიტყვის განმარტებათა ისტორია შეიწყვლა ს. ცაიშვილმა და მიუთითა, რომ, მართალია, საყურადღებოა თეიმურაზ ბაგრატიონის, ილია აბულაძის, გ. შატბერაშვილის განმარტებანი, მაგრამ ყველაზე ადრე ხელნაწერი ლექსიკონის (A—855) უცნობ ავტორს მოუცია სწორი განმარტება: „გული გულს რომ გაეწყოს, შეეჩვიოს, დაუახლოვდეს“³². მ. ჯანაშვილისათვის აღბათ უცნობი იყო ხელნაწერი ლექსიკონისეული განმარტება, მას უნდა სცნობოდა თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტება („შევეკვეთე ამას ნიშნავს, რომელი ასე შეეჩვიოს გული თავის საყვარელსა, რომელ ერთიცა მინუტი არ შეეძლოს მისი მოშორება“) და დაახლოებით იმავე მნიშვნელობით განუმარტავს საანალიზო სიტყვა: „ერთუროსი შეთვისება, მიხედობა“.

სიტყვა „მოვანების“ განმარტებისას მ. ჯანაშვილი გვაფაზობს ორ ვარიანტს: 1. მთვარის გავსება, 2. დაბინავება-დადგომა. პირველი განმარტება აღებულია საბადან და მითითებულიცაა. ეს განმარტება გამეორდა იუსტინე აბულაძის გამოცემაში. ე. ხინთიბიძემ ეს სიტყვა ასტროლოგიურ ტერმინად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ნიშნავს — მთვარის საკუთარ სადგომში, საკუთარ სივანეში, ბინაში შესვლას³⁴. ს. ცაიშვილმა მიუთითა, რომ ამ სიტყვის ასეთი გაგება პირველად დადასტურებულია ხელნაწერ ლექსიკონში (A—855) — „მოვანება — ადგილზედ, ბინაზედ მისვლა“ და შემდეგ აქედან გავრცელდა სხვა ხელნაწერებზე დართულ ლექსიკონებში³⁵. განმარტება — „ადგილზედ, ბინა-

29 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 40.

30 ნ. მარი. დასახ. ნაშრ., გვ. 200.

31 ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 170—172.

32 ს. ცაიშვილი, წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986, გვ. 202.

33 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედ., თბ., 1960, გვ. 217.

34 ვეფხისტყაოსნის „მთვარის მოვანება“, კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966, გვ. 219.

35 ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 87.

ზედ მისვლა“ — ზუსტად გამოხატავს სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას. ამ განმარტებას კიდევ ეხმაურება მ. ჯანაშვილის მიერ შემოთავაზებული მეორე განმარტება: „მოვანება — დაზინავება, დადგომა“. ამის მაგალითად მ. ჯანაშვილი ასახელებს ვეფხისტყაოსნის ორ სტრიქონს: (1505—1515) — „მაგრა ირცხვის მეფისაგან, შუქი ზნელად მიუვანა“ (დაადგა, გაუხდა). (1510—1520) — „შეიმოსის შუქთა მისთა, ნათლად გარე მოივანებ“ (დააზინავებ).

მ. ჯანაშვილის მიერ ასევე სწორადაა განმარტებული სიტყვა „ვვირბი“ — კლდეთა და მადნებში გაკეთებული ხვრელ-სავლელები“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ აქ ამით დეკმაყოფილებით, რამდენადაც მოყვანილი მასალაც აშკარად მიუთითებს მ. ჯანაშვილის მუშაობის მეთოდზე. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ მ. ჯანაშვილი ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას სხვა ენებშიც ეძებს მის შესატყვისს, მოჰყავს სიტყვათა განმარტების ბერძნული, ლათინური, გერმანული, რუსული და სხვა ენებიდან. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სიტყვები: იაღონა, ასპიროზი, ასპიტი, ბროლი და სხვა მრავალი.

ზემოთ მოყვანილი მასალა ნათლად გვიჩვენებს მ. ჯანაშვილის ლექსიკონის მნიშვნელობას ვეფხისტყაოსნის ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით. მისი შემდგომი შესწავლა და მანამდე არსებულ ლექსიკონებთან შედარება წარმოაჩენს იმ განმარტებებს, რომელიც პირველად მ. ჯანაშვილმა მოგვცა, და, ეფიქრობთ, გარკვეულ საპატიო ადგილს მიუჩენს მ. ჯანაშვილს შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ლექსიკის მკვლევართა შორის. მაგრამ ამჯერად ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ საანალოზო ლექსიკონი შეტია, ვიდრე ლექსიკონი ვიწრო გაგებით. მასში ბევრ შემთხვევაში ამა თუ იმ საინტერესო საკითხებზეა მსჯელობა და ჩვენ ვეცნობით მკვლევრის თვალსაზრისის რუსთაველოლოგიის ამა თუ იმ პრობლემის გარშემო.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარს ლექსიკონში შეუტანია თვით რუსთაველის პოემის სახელწოდებაც და ასე განუმარტავს — „ვეფხისტყაოსანი — თხზულება შოთასი“. აქვე იგი იძლევა მეორე განმარტებას, კერძოდ, გახსნილია რუსთაველის უპირველესი მეტაფორა „ვეფხის ტყავის (კაბის) ჩამცმელი, მმოსველი“. ამრიგად, მ. ჯანაშვილმა მიუთითა, რომ შოთას პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ გულისხმობს მას, ვისაც აცვია ვეფხის ტყავი. აქვე ფრჩხილებში აღნიშნულია, რომ უბრალოდ ვეფხის ტყავი კი არა, არამედ ვეფხის ტყავის კაბა. „ვეფხის ტყავის“ განმარტებისას მ. ჯანაშვილმა მიუთითებს, რომ მასში ვეფხის ტყავისაგან შეკერილი კაბა და ქუდი იგულისხმება. მოყვანილი აქვს სათანადო მაგალითები პოემიდან: „...ტანსა კაბა ემოსა (ტარიელს) გარე თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო საქმელო თავისა“. (ვეფხის ტყავი) „...კაბად ჩემად მომიწახავს: ესე ქალი (ასმათი) შემიკერავს“.

მ. ჯანაშვილს ლექსიკონში გამოუტანია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სახელებიც. ამ განმარტებებში ის იძლევა პერსონაჟის ფაქტობრივ დახასიათებას ვეფხისტყაოსნის ტექსტის ციტირებითა და სტროფებზე მითითებით. მაგ.: ავთანდილი ასეა დახასიათებული: „სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა, საროსა მჯობი (ალვისხის მჯობი სიმადლით), ნაზარდი, მგზავსი მზისა და მთავარისა, ჯერ უწვერული, გულსა მიჯნურობა ჰქონდა თინათინისა დამალულად; მშვილდოსანი, სოსანი, ძოწეულითა მოსილი, ქარქაშოსანი, თეთრტიტოსანი. მიჯნური თინათინი ეფიცება ქმრობას და ავალებს ტარიელის მოძებნას. მოძებნი ტარიელისა, თინათინის ნებართვით მოძებნი ნესტან-დარეჯანისა; მისი გამოძხვნილთაგანი ქაჯთა ტყვეობიდან; ქმარი თინათინისა და მეფე არაბეთისა;



ტარიელის გამცილებელი და ინდოეთის ტახტზე დასმელი; მსუფვეი არაბთა მეფედ ზეციით მოსრულ ზენარის წყალობით“. როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფებზე მითითებით მოთხრობილია ავთანდილის მთელი თავგადასავალი და გზადაგზა აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფები.

ასევე ტარიელის შესახებაც. ოღონდ გამოტანილია ორივე ფორმა — ტარია და ტარიელ, რადგან ვეფხისტყაოსანში ორივე ფორმით იხსენიება ტარიელი. ტარიელის შესახებაც სათანადო სტროფებზე მითითებით მოთხრობილია, რომ ის არის სარიდანის ძე, მიჯნური ნესტან დარეჯანისა, მკვლელი ზვარაზ-მშაპის ძისა. გაჭრილი ნესტანის საძებნელად, უიმედოდ დავიწყებული დევთა გამოქებადულში; ავთანდილი, წამოსული მის საშველად, მიაგნებს ნესტანის კვალს, იხსნის; მიდიან არაბეთს, 80000 მეომარს ავთანდილის წინამძღოლობით წაიყვანს და დაჯდება ინდოეთის ტახტზე.

ასევე ნესტან-დარეჯანის, თინათინის, ასმათის, ფატმანისა და სხვა პერსონაჟების შესახებ მოწოდებულია ტექსტიდან უმთავრესი ცნობები.

მ. ჯანაშვილს ყურადღება მიუქცევია ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის ზოგიერთი სპეციფიკური ნიშნისათვის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მის მიერ მოცემული „ვარდის“ განმარტება.

მ. ჯანაშვილი ვამცნობს, რომ ვეფხისტყაოსანში „ვარდს“ აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. „ა. ყვავილის ბუჩქი, ბ. თვით ამ ბუჩქის ყვავილი, გ. წითელი ფერი, დ. მის მსგავსი რამ“. ოთხივე ამ შემთხვევის მაგალითებია ჩამოთვლილი. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მ. ჯანაშვილი მიუთითებს ისეთ მაგალითებზე, რომლებშიც აშკარად ჩანს, რომ ვარდი არის რუსთაველთან სიყვარულის მეტაფორა. ვარდი არის სატრფოს სიმბოლო და ამ სიმბოლოთი ხან ავთანდილი, ხან ნესტან-დარეჯანი და ხან ტარიელი აღნიშნება: **ვარდი** (ტარიელი) დამკვარი, ვარდი (ნესტან-დარეჯანი), ვარდი (ავთანდილი), მის მზისა გაყრილი. ამრიგად, ვარდი მიჩნეულია სატრფოს სიმბოლოდ. დასახელებულია მაგალითები, როცა ვარდი პირისახის სიმბოლოა: „ვარდი (პირის ფერი) შეჭქმნის ფერნაკლულად“. პირი ვარდი, დაწვი ვარდი. ვარდის სიმბოლიცა ვეფხისტყაოსანში შემდეგ სპეციალურად შეისწავლა გ. ნადირაძემ, რომელიც აღნიშნავს, რომ „რუსთაველის ფაქიზმა ესთეტიკურმა გემოვნებამ შეიწოვა ვარდის პოეზიის მთელი სურნელება და მიანიჭა მას პოეტური გამოთქმის მომხიბველი კრისტალური ფორმები... ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლოებს დავალებული აქვს გამოხატოს ხან სატრფოს მთლიანი მომხიბლავი სახე, ხან მისი ქალწულებრივი სილამაზე, პირისახის, ბაგეებისა და დაწვეების სიტურფე, ხან ესა თუ ის სულიერი განცდა, ძლიერი ვნებათაღელვა ან მარადიული იდეა. მთელი ეს მასალა რუსთაველის პოემას აქცევს მსოფლიო პოეზიის მიერ მოპოვებულ ვარდის სიმბოლოების რეზერვუარად“³⁶. გ. ნადირაძემ შეისწავლა, დააჯვრუა და განმარტა ვეფხისტყაოსნის ვარდის სიმბოლოები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მ. ჯანაშვილს ბევრად ადრე აქვს ხაზგასმული ვარდთან დაკავშირებული ეს სიმბოლოები ვეფხისტყაოსანში.

ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა პოემაში მრავალჯერ ხმარებული სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ნიუანსით წარმოგვიდგება და ძვერლის ლექსიკური მარაგის სპეციფიკას ქმნის. ამ თვალსაზრისით შალვა ღლონტმა ყუ-

³⁶ გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ. 352—353.

რადღება მიქცია გულთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: გულის კედომა, გულის დაწვა, გულს ლახვრის დასობა, გულის ცეცხლის მოდებე, გულის დადაგვა, გული ბნელი, გულის იმედი, გულის დაჭრა, გულის ატირება, გულის გაშმაგება, გულის წაღება და სხვ.³⁷

როგორც განსახილველი ლექსიკონიდან ჩანს, ამ გარემოებისათვის ჯერ კიდევ მოსე ჯანაშვილს მიუქცევია ყურადღება და ლექსიკონში გულის განმარტების შემდეგ ჩამოთვლია გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები: სათანადო სტროფებზე მითითებით: გული ამოსკვნილა, გული ბნელი, გული ბრმა, გული გამკრთალი, გული გაუძლომელი, გული გამყრელი, გული გულისათვის, გული ღბილი, გული ღხენითა, გული მდუღარი, გული მჭიარული, გული მხურვალი, გული ტინისა, გული რკინა, გული ტბილი, გული ცივი, გული ხარბი, გულის წამღები, გული ურჩი ხედვისა, გული უშენო, გული დამხრალი, გული გახეთქილი, გული ვერას ვერ გამოზომელი და მრავალი სხვა.

გამოყოფილია ცეცხლთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც: ცეცხლი ცხელი, ცეცხლი უშრეტი, ცეცხლი ნაგზები, ცეცხლი ნელი და სხვა.

მოსე ჯანაშვილს მართებულად აქვს განმარტებული რუსთველური მეტაფორები: მელნის მორევი (შავი თვალები), გიშრის წნელი (შავი წამწამები), მელნის ტბის თვალი (შავი თვალი), ბროლი (თეთრი პირისახე), ყორნას ბოლი (შავი ნაწინაეები), ნარგიზი (თვალის გუგები), გიშრის ნავი (გუგა) და სხვა მრავალი.

სიტყვათა განმარტებისას, თუ ეს სიტყვები მაჯამური სტროფის კუთვნილება და ომონიმებს წარმოადგენს, მოყვანილია სტროფი და განმარტებულია თითოეული რითმა. მაგ.: სიტყვა „უშენოსა“ განმარტებულია ლექსიკონში შემდეგნაირად: „საცა შენ არ ხარ, თუ არ შენ“; მოყვანილია სათანადო მაგალითები ვეფხისტყაოსნიდან და შემდეგ სტროფი 478 (487) სარითმი სიტყვების განმარტებით:

ღმერთან თუმცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა (უხაროს),
შენთვის მკვდარი აღარ ვიტყვი: მაშა მომკლავ უშენოსა (უშენოდ დარჩების),
მზემან ღომსა ვარდ-გიშერი ბაღას ბაღად უშენოსა (გაუშენოს),
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსა (თუ არ შენ).

მ. ჯანაშვილისეული ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი კიდევ ერთი დადასტურება იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც მკვლევარმა დასდო რუსთაველის პოემას.

დღეს, როცა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა და განმარტება რუსთველოლოგიის პირველი პრობლემაა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოუქვეყნებელ რუსთველოლოგიურ ნაშრომებს. მ. ჯანაშვილის ხელნაწერი ლექსიკონის გამოქვეყნება, ჩვენი აზრით, რუსთველოლოგიური მეცნიერების მორიგე ამოცანაა.

37 შ. დ. ლ. ო. ს. ტ. ი. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობას პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 57—85.

Л. И. ГУГУШВИЛИ

РУСТВЕЛОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ МОСЭ ДЖАНАШВИЛИ

Резюме

Рассмотрены руствелологические наблюдения М. Джанашвили, его историко-географические аналогии, показано, что несмотря на методологические погрешности, ученый в ряде вопросов руствелологии пришел к правильным выводам, связав поэму Руставели с грузинской культурой.

Проанализирован рукописный словарь «Велхистკაოსანი», принадлежащий перу М. Джанашвили, и указано, что он заслуживает самого пристального внимания с точки зрения изучения лексики поэмы. Анализируемый словарь являет собой нечто большее, чем словарь в узком понимании этого слова. В нем выражены весьма значительные наблюдения М. Джанашвили по различным проблемам руствелологии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ს. ცაიშვილმა

და თრევას, აღწერს მიკიტების თავაწყვეტილ თარეშს, ხალხის ვონებრივად ჩამორჩენილობას, სამკითხველოების უმწეო მდგომარეობას, მოსწავლეთა თანადო ლიტერატურით მოუმარაგებლობას და ასე შემდეგ, რაც გულს უკლავდა და აწუხებდა წერილების ავტორს.

„თიანეთი და დუშეთი მთის ახალხის ორი გიბეა, — მარჯვენა და მარცხენა, — ამბობს ავტორი, — რა ვუყოთ, რომ ერთს მდინარე იორი ჩაუღის ფიჩხულიან-კალმანიანი, ხოლო მეორე წყაროების ანბარას არის დარჩენილი. ვერ ჩავთვლით მდინარედ, დუშეთს რომ დასავლეთით პატარა ხევი საზღვრავს; ამ ბეჩაეს ზაფხულობის სისველე ძლივს ეტყობა, შიგ ჩავარდნილს ჩალას თუ ბუმბულს ვერ წაიღებს, განაღამე განაშოროს დუშეთს ნაგავ-წყავი და პაერი გაწმინდოს, თუმც კი ნიაღვრობის დროს ისეთი მოვარდება, ისე ადიდდება, ადამიანებს აღრჩობს...“

...საქმე ის არის, ახალხის გიბეებში რა მოიპოვება, რა ძვეს ისეთი, რომ მნახველის თვალმა და გულმა გაიხაროს...“.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ავტორი — „მგზავრი“ უცხო პიროვნება არ არის. ჩანს, იგი მახრაში ხშირად ტრიალებს, კარგად იცნობს დუშეთის საპირბოროტო საკითხებს, მაზრის ცენტრს თვალყურს ადევნებს, მისი გულშემატკივარი, სიკეთის დამცველი და მესაიდუმლეა.

ამ წერილებში ნახმარი სიტყვიერი ფაქტურა ვაჟას ენისათვის დამახასიათებელი ისეთი სიტყვები, ტერმინები, ფრაზები და წინადადებებია, როგორცაა: „ბეჩაევი“, „ნაგავნუგავი“, „განაღამე“, „ძვეს“, „მენიაზებოდე“, „ძირიან-ფორიანად“, „ანწლივით“, „მწევარით ვილას ეტეება“. „ყაყანი“, „მივაჩაქავებდი ჩემს მერანს“ და სხვა მრავალი.

წერილს — „მთათა შორის (თიანეთი — დუშეთი)“ — ავტორი ასეთნაირად იწყებს: „სად დოლი, სად დოლბანდიო იქნება სთქვას მკითხველმა: სად თიანეთი, სად დუშეთიო...“. „შენი მარადის პატივისმცემელი მამუკაც“ ხომ ასეთნაირად მიმართავს „ქეთიმეს“ და ეუბნება: „რა ქვეყანა, რის ქვეყანა, რის დოლი, რის დოლბანდიო?! ეს ბოლო ფრაზა მწერალს თავის სხვა წერილებში მრავალ ადგილას აქვს გამოყენებული.“

„მგზავრის“ წერილში („დუშეთი-თიანეთი“) ყურადღებას იქცევს სხვა-საინტერესო გარემოებაც. აქ აღნიშნულია: „საწყალია ყველაზე მეტად მეფელეტონე, მწერალი, რომელმაც თეთრს შავი უნდა დაარქვას, შავს — თეთრი, მწარეს — ტკბილი, ტკბილს — მწარე, მთას — ბარი, ბარს — მთა, მგელს — ცხვარი, ცხვარს — მგელი, დარს — ავდარი, ავდარს — დარი“ და სხვა.

ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ უნდა დავწეროთ ამდაგვარადო: „მაზრის უფროსთან მღვდლებს არ უჩივილით დრამის შესახებ; მშვენიერი განწყობაა მღვდლებსა და მრევლს შორის. მღვდელიც კმაყოფილია თავისი ცხოვრებით და მრევლიც. როგორც მღვდლებს, ისე იმის მრევლს არაფერი ერთმანეთში სადაო არაფერი არ აქვთ... ყველას ფული და პური თავსაყრელი აქვს...“

...არცრას გლუხები ედგებოდნენ თავდაზნაურობას, არც ეხლა ედავებიან და თვით თავდაზნაურები რას იკადრებენ, როგორც კეთილშობილი ხალხი ერთმანეთში კინკლაობას, ცილობას და მაგისთანა რამეებსო...“

ზემოთ აღნიშნული ცხოვრებისეული მოვლენების შებრუნებულად თხრობა ვაჟა-ფშაველას დამახასიათებელი სტილია:

აი, რას წერს ვაჟა-ფშაველა 1902 წელს „თიანურ ფელეტონში“: „თუ სადმე რამ ნაკლი ჰნახე სოფლად, დაბად, ან ავი ხმა გესმა, უნდა თვალი მოარიდო და ყურიც მოიყრუო; უნდა ხმაკრინტი არ დასძრა. იტყვი და, ვი შენი ბრალი მაშინ!“².

1 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი (ახლად გამოვლენილი ნაწერები) თბ., 1979, გვ. 142.

2 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 219.

ასეთივე იუმორით ესაუბრება ერთ ადგილას „შენი მარადის პატივისმცემელი მამუკა“ „ექვთიმეს“ და ეუბნება: „ბედნიერი ვიყავი მაშინ, როდესაც განსვენებულის პოეტის სიტყვებს... ვიმღეროდი... მირბის მიმაფრენს... ესლა რაღა ვიმღერო? ესლა სიმღერა აღარ მწადიან... მეორანი არ მირბის, არც მიმაფრენს, არამედ გაფრენილი, გამალეული დაბრუნებულა უკან, ვერ გაუბია კლდენი და ღრენი, წინ დახვედრია აღიდებული მდინარე, დაღალულ-დაქანცული, ოფლში გაჭურული მოჩანჩალებს შინისკენ და ის თვალებდითი ფრინველიც არ ეხსნება“³.

„მგზავრის“ წერილების იუმორისტული ფრაზების სტილის ასეთი დამთხვევა ვაჟა-ფშაველას წერილებთან შემთხვევითი არ არის. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვაჟა-ფშაველა 1909 წლის გაზეთ „დროების“ აქტიური თანამშრომელია. უფრო მეტიც, მწერალს აქვს საკვლევი წერილების მსგავსი დასათაურების სხვა ნაწარმოებებიც. „მთათა ერთობა“⁴ „მთათა ძილი“⁵, „მთათ მითხრეს“⁶ და სხვა მრავალი.

„მგზავრის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები (№ 210, 218) რომ ვაჟა-ფშაველასია, ეს ფაქტი ავტორის მიერ მინიშნებულია წერილის ბოლოში, სადაც აღნიშნულია: თიანეთიდან დუშეთში ცხენით ვადასულმა „მგზავრმა“, სოციალური უსამართლობის მრავალი ფაქტის მხატვლმა, ქვევით წასვლას კავკასიონის მიმართულებით წასვლა ამჯობინა. „აკაზმა ტაიჭი თვისი“, შემოპკრა ცხენს და კვლავ ზევით და ზევით გაეპრცხლა, ისე, რომ არაგვი უკან დარჩა“.

ამრიგად, დოკუმენტური მასალა, სტილი და ტექსტის რეალები ვარკვეულად გვიჩვენებენ, რომ ვაზ. „დროებაში“ მგზავრის ფსევდონიმით 1909 წელს დაბეჭდილი წერილი — „მთათა შორის“ — ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებია.

ი. ბოძაშვილის პირად არქივში დაცულია მეორე კორესპონდენცია — „პასუხად ჩხოკეთელს“ — (1895 წლის 6 ივლისის „ივერია“, № 141) — „ისევ ის თიანელი კორესპონდენტის“ ფსევდონიმით. კვლევის შედეგად ასეთი სურათი წარმოგვიდგა: 1895 წლის 16 მარტს გაზეთ „ივერიაში“ (№ 58) გამოქვეყნდა ხელმოუწერელი კორესპონდენცია „თიანეთი“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი, ბლადოჩინი ი. კოშორიძე. აღნიშნულია, რომ მას წმინდა სასულიერო სამსახურის გარდა დავალებული ჰქონდა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ თიანეთის სკოლის შევირდებისათვის ესწავლებინა საღმრთო სჯული, მაგრამ სულიერი მამა ამ მეტად საპატიო მოვალეობის შესრულებას — „ხალხის გამასპეტაკებელსა და მეორე ტაძარს ხვთისას“ — გაუბოღდა, გაკვეთილებს დიაკვანს ონ. ხიზანაშვილს ატარებინებდა, ხელფასს კი თვითონ ღებულობდა.

ამ წერილს ხალხში დიდი აყალ-მასყალი გამოუწვევია. ადგილობრივი მცხოვრებლები ძალიან განაწყენებულან პრესის ფურცლებზე ბლადოჩინის შეურაცხყოფის გამო ამ ამბავმა უფრო ძალიან თურმე ადრესატი მღვდელი ი. კოშორიძე აღაგზნო და გაანაწყენა.

1895 წლის 30 აპრილს „კვალში“ (№ 20) გამოქვეყნდა ი. კოშორიძის პასუხის სათაურით — «ორიოდე სიტყვა თიონელ „ბოზჩინსკი“ ვა „დობჩინსკის“», ხოლო იმავე წლის 25 ივნისს გაზეთ „ივერიაში“ (№ 132) „ჩხოკეთელის“ ხელმოწერით დაიბეჭდა მისი მეორე საპასუხო წერილი სათაურით — „ბა-

3 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი (ახლად გამოკლენილი ნაწერები) გვ. 144.

4 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, გვ. 179.

5 იქვე, ტ. I, გვ. 46.

6 იქვე, გვ. 226.

7 მგზავრი, მთათა შორის, ვაზ. „დროება“, 1909, № 218, გვ. 3.

ტონო რედაქტორი“. განრისხებულმა ბლალოჩინმა ამ წერილებში უარყო
ბრალდება. შეეცადა თავის მართლებას და მოწინააღმდეგის წერილს „პატენტის
ლი“ უწოდა.

1895 წლის 6 ივლისს „ისევ ის თიანელი კორესპოდენტის“ ხელმოწერით
ვახუთ „ივერიაში“ (№ 141) გამოქვეყნდა მეორე წერილი სათაურით — „პა-
სუხად ჩხოკეთელს“, რომელშიც ავტორი იცავს თავისი პირველი წერილის პო-
ზიციებს. საჯარო პაექრობა პრესის საშუალებით, ალბათ, დიდხანს გაგრძელ-
დებოდა, საქმეში არქიმანდრიტი ლეონიდე და მაზრის მმართველობა რომ არ
მართულებოდა.

ამ კამათში ჩვენ დავინტერესდით საკითხით — ვინ შეიძლება ყოფილი-
ყო ი. კოშორიძის მამხილებელი ორი წერილის („თიანეთი“ და „პასუხად ჩხო-
კეთელს“) ავტორი. ვის ეკუთვნის ხელმოწერა — „ისევ ის თიანელი კორეს-
პოდენტი“. მათი ავტორიც ვაჟა-ფშაველა ხომ არ იყო?

გამთორკვა, რომ 1895 წელს ცენტრალურ ყურნალ-გაზეთებში თიანეთის
მაზრიდან თანამშრომლობდნენ: დავით ხიზანაშვილი, გრიგოლ აფშინაშვილი,
ოსებ ცისკარიშვილი და ლუკა რაზიკაშვილი.

დ. ხიზანაშვილი მუშაობდა თიანეთის სასამართლოს მდივნის თანაშემწედ.
1894 წელს დუშეთის მაზრის მოსამართლემ იაკულოვმა იგი სამუშაოდ მიი-
წვია და მღვიმის მთლიანი ადგილი მისცა. თბილისის საოლქო სასამართლომ
1895 წლის 2 ნოემბერს დავით ხიზანაშვილი თიანეთში დანიშნა სასამართლოს
ბოქაულად.

დ. ხიზანაშვილი არ შეიძლება ზემოთ აღნიშნული წერილების ავტორად
მივიჩნიოთ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბლალოჩინი მის ბინაში მდგმურად ცხოვ-
რობდა, მისი პაპა — ონ. ხიზანაშვილი — კი დიაკვნად მსახურობდა და
მღვდლის მაგივრად შეგივრდებს საღმრთო რჯულის გაკვეთილებს უტარებდა.
მეორეც, დ. ხიზანაშვილი წერილების გამოქვეყნების დროს დუშეთში მუშაობ-
და.

გრიგოლ აფშინაშვილიც არ შეიძლება ყოფილიყო ზემოთ ხსენებული
ორი წერილის ავტორი, რადგან იგი თიანეთის მაზრის შესახებ წერილებს კა-
ხეთიდან ავზავნიდა, იქვე ცხოვრობდა და თიანეთის სკოლასთან საერთო არა-
ფერი ჰქონდა.

ოსებ ცისკარიშვილიც კახეთიდან მოღვაწე თუში იყო: 1894—1898
წლებში თიანეთის მაზრის სამმართველოს საქმის მწარმოებლად მუშაობდა.
ამ დროის განმავლობაში მან მრავალი საინტერესო კორესპოდენცია გამო-
აქვეყნა ფსევდონიმებით — „ი. კახელი“, „უჩინარი“, და სხვ. ი. ცისკარიშვი-
ლი ი. კოშორიძის მოწინააღმდეგედ ვერ მივიჩნიეთ, რადგან მათ ერთმანეთთან
მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ.

1895 წლის 30 მაისს თიანეთის ცენტრში გაიხსნა ახალი სამკითხველო.
სახეიმიოდ მოწინავე ინტელიგენცია შეიყარა. პარაკლისი ბლალოჩინმა ი. კო-
შორიძემ გადაიხადა. ამ ცერემონიალის მოწყობაში მღვდელს ი. ცისკარიშვი-
ლიც მონაწილეობდა. პარაკლისზე წმინდა მამის — ი. კოშორიძის მიერ წარმოთქმუ-
ლი მგზნებარე სიტყვა ი. ცისკარიშვილმა მღვდლის პატივსაცემად თავის სტა-
ტიაში უცვლელად შეიტანა და 1895 წლის 15 ივნისს „ივერიაში“ (№ 124) გა-
მოაქვეყნა.

გარდა ამისა, ი. კოშორიძემ მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტების
შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობაში შესაყვანად, როგორც მისთვის
ერთ-ერთი სანდო და განათლებული პირი, მაზრის უფროსს ი. ცისკარიშვი-
ლის კანდიდატურაც დაუსახელა.

ამ კორესპოდენტთა გამორიცხვის შემდეგ გავიჩინა კითხვა — მას, ვინ
არის „ისევ ის თიანელი კორესპოდენტი“, ვის ეკუთვნის წერილები — „თიან-

ნეთი“ და „მასუხად ჩხოყეთელს“, ვინ იყო იმ დროს თიანეთის საზოგადოების მხრუნველი, ზედამხედველი და მეთვალყურე, ყველაზე მეტად ვის შესტკიოდა გული და ვინ აკვირდებოდა სასკოლო ცხოვრებას, ვის შეეძლო მსუბუქი იუმორით ასე მაღალმხატვრულ დონეზე გაბედულად ემზილებინა სასულიერო პირის დაუდევრობის ფაქტი?

ამ ვაჭაყეთებთან ანალიზით ისევ ვაჭა-ფშაველას დავუბრუნდით. ვაჭა-ფშაველამ ხომ ასეთნაირადვე გააკრიტიკა შემდგომში თიანეთის მასრის ექიმი ალ. დიასამიძე⁸ და სხვ., რომელთაც ასეთივე უღმობიელ საგაზეთო პოლემიკას უმართავდა.

მსგავს ფაქტებზე ვაჭას სხვა წერილებშიც აქვს მითითებული: აი, რას ამბობს „შენი ერთგული მამუკა“ „ექვთიმესთან“ დიალოგში: „მეტელა შეფარდება იქნება, მოსამსახურე კაცი ვერქვას და იმის მაგივრად, რომ ის აკეთო, რაც შენი პირდაპირი საქმე არის. წამოსწვე მხარეთმცოდნე, ჯამაგირი იღო და საქმე კი უსასყიდლოდ სხვას აკეთებინო?“⁹.

მწერალი ანალოგიურ ფაქტზე „მღვდლების ვინაობაში“ წერს: „ამ რამდენიმე წლის წინად ქრისტ. აღმად. საზოგადოებამ ააშენა... საყდრები და დანიშნა მღვდლები. საკმაო ჯამაგირებიც გაუჩინა.. და ერთხელ თუ დაენახებება წლის განმავლობაში თავის მრევლს, დანარჩენი დრო თავ-თავიანთ სახლებში სხედან.. და იღებენ პენსიებს“¹⁰.

ჩვენ სიმართლეს მაინც ნუ ვუღალატებთ, სიმართლევ ვთქვათ, ცილს მოვერიდოთ, გადაჭარბებას, ჭირი გამოვავაშკარავოთ, რადგან დაფარული, დამალული ჭირა უფრო მავნებელია, ვიდრე ნათქვამი და გამოცხადებული“¹¹.

ასეთი აზრები ამოძრავებდა მწერალს მაშინ, როდესაც ვისმეს ნაკლოვანებებზე წერდა, მაგრამ იგი მართო იუმორისტული ხასიათის სტატიების წერილ როდი იფარგლებოდა! კარგად ზედავდა საქველმოქმედო საქმეებსაც და კეთილსამსახურს არავის უკარგავდა. მავალითად, როცა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ვარდაიცვალა, ამ ამბავმა თიანელებიც დაამწუხრა. 1890 წელს 15 თებერვალს თიანეთში შეიკრიბა მოწინავე საზოგადოება. ზღალოჩინმა ი. კოშორიძემ მსტოვანი მკვლევრის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა. ცერემონიალს ლუკა რაზიკაშვილიც ესწრებოდა. წმინდა მოძღვარმა განსვენებულის მიღვაწეობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა.

ვაჭა-ფშაველამ მამულაშვილისადმი მიძღვნილი პანაშვილის მოწყობა კოშორიძეს საქველმოქმედო საქმედ ჩაუთვალა, რაზედაც მღვდლის პატრისაცემად გაზეთ „ივერიაში“ წერდა¹². მაგრამ რა მოხდა შემდეგში? მოხდა ის, რაც 1895 წლის 16 მარტის „ივერიაში“ (№ 58) გამოქვეყნებულ წერილშია („თიანეთი“) აღწერილი.

ამასთანავე, წერის ინდივიდუალური მანერა, სხვა წერილებში ნახმარი ეპითეტების, აზრებისა და ფრაზების დამთხვევა, ვაჭას ტონით სასკოლო ნაკლოვანებების წინააღმდეგ გალაშქრება, ჩხოყეთელისათვის გაბედული შეპასუხება ვაჭას წერის მანერას გარკვევით ეხმიანება.

წერილში („თიანეთი“) არის სხვა საყურადღებო ადგილიც „ხიზანაშვილსაც მოსწეინდ ესა უსარგებლო შრომა“. ეს ფშაური ფრაზა და ავტორიც უთუოდ ფშაველია.

ზემოთ აღნიშნულ ორ პუბლიკაციაში (№ 58, № 141) ჩვენი ყურადღება

8 ვაჭა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, გვ. 199—205.
9 ვაჭა-ფშაველა, თხზულებანი (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები) გვ. 157.
10 ვაჭა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, გვ. 95.
11 იქვე, ტ. IX, 1964, გვ. 219—220.
12 იქვე, გვ. 112.

მიიქცია აგრეთვე ორმა ფრაზამ: 1. „მკითხავთ, ვინ ასწავლიდაო“. 2. „აქედითა, ყურადღებას მიიქცევს, ვისიც ჯერ არს და უწყესობას ბოლოს მოუღებდაო“.

ხელმოუწერელ წერილში („თიანეთი“) ავტორი, როდესაც ამხელს სულალოჩინის საქმიანობას, ამბობს, რომ ი. კომორიძე მხოლოდ მაშინ ესწრებოდა გაკვეთილებს სკოლაში, როდესაც ლეონიდი მობრძანდებოდა გამოცდებზე („ეგზამენებზე“) ან საირევიზიოდო. ზემოთ აღნიშნულ, ჩვენთვის საინტერესო პირველ ფრაზას ასეთნაირად ხმარობს: „მკითხავთ, ვინ ასწავლიდაო? მოგახსენებთ, ადგილობრივი მთავარ-დიაკონი ონ. ხიზანაშვილი“¹³. „შენი ერთგული მამუჯა“ ხომ ასეთნაირადვე უსვამს კითხვას „ექვთიმეს“ და ეუბნება: „რადაო, იქნება იკითხო?“ და ავტორიც ისევე თვითონ უპასუხებს: „იმიტომ, ჩემო ექვთიმე, რომ“¹⁴. და შემდეგ: „რატომაო, მკითხავ არა? იმიტომ, რომ შენმა ჩინონიკობამ“¹⁵. ანდა — ვაჟა-ფშაველა ხომ ასეთივე კითხვას სვამს საპასუხო წერილში „ივერია“ და მეველეუ, „რატომაო? იკითხავთ. იმიტომ, მეც მოგახსენებთ“¹⁶.

მწერალს ეს ფრაზა გამოყენებული აქვს ბევრგან, კერძოდ. ისეთ წერილებში, როგორიცაა: „თიანური ფელეტონი“¹⁷, „საპაასო“¹⁸, „მთის ვითარება“¹⁹, „მღვდლების ენაობა“²⁰, „დიდ-მარხვა“²¹, „ანასტასია თუმანიშვილისადმი“²².

ახლა კი ცოტა რამ მწერლისა და „ივერიის“ რედაქციის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველამ 1894 წლის დასაწყისიდან მიატოვა ეს გაზეთი და მის მოწინააღმდეგე ბანაკში — „ქვალში“ განაგრძო მუშაობა, მაგრამ, როდის დაუბრუნდა იგი „ივერიას“ და განახლა თანამშრომლობა, ეს საკითხი ჯერ კიდევ ნაწილობრივ ბუნდოვანია. სერგი მინაშვილის აზრით, „ვაჟა-ფშაველა 1895 წლის 12 აგვისტომდე „ივერიაში“ არ გამოჩენილა“²³.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეთი კი დასტურდება, რომ მწერალს 1895 წლის 12 ივლისის ვაზ. „ივერიაში“ (№ 14c) ლექსი — „სიმღერა“ — აქვს გამოქვეყნებული. ჩვენ კი ამ წერილში ვამტკიცებთ, რომ 1895 წლის 16 მარტის „ივერიაში“ (№ 58) დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილი — „თიანეთი“ — ვაჟა-ფშაველასია. ამდენად, ჩვენი აზრით, გამოცხადებული არ არის „ივერიაში“ ლუკა რაზიკაშვილის ხელახალი გამოჩენის თარიღმა უფრო ადრეული პერიოდისათვის გადაინაცვლოს.

ვაჟა-ფშაველას დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ურნალ-გაზეთის რედაქცია აშკარად ერიდებოდა ვაჟა-ფშაველას მამხილებელი წერილების ბეჭდვას. „ივერიის“ რედაქციამ თითქმის ორი წელი ინახა საიდუმლოდ სტუდენტთა სალაროს ვალის გადაუხდელობის გამო თავისი სათქმელი აზრი²⁴ და გაახმაურა მხოლოდ მაშინ, როდესაც მწერალმა ზურ-

13 „თიანეთი“, ვაზ. „ივერია“, 1895, № 58, გვ. 2—3.

14 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი (ახლად გამოცემული ნაწარმოებები), გვ. 157.

15 იქვე, გვ. 205.

16 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი X, გვ. 191.

17 იქვე, გვ. 119.

18 იქვე, გვ. 218.

19 იქვე, გვ. 77.

20 იქვე, გვ. 95.

21 იქვე, გვ. 262.

22 ს. მინაშვილი, ვაჟა-ფშაველას ერთი წერილის გამო, „ცისკარი“, 1976, № 7, გვ. 135.

23 იქვე, გვ. 36.

24 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, თბ., გვ. 189.

გი აქცია რედაქციას. „ივერიის“ რედაქციის შემდეგაც შეუკავებია თავი ლუკა რაზვიაშვილის შესახებ მამხილებელი წერილების დაბეჭდვისაგან.

როგორც უკვე მკითხველმა იცის, 1895 წლის 16 მარტს „ივერიაში“ (№ 58) დაბეჭდილი წერილის — „თიანეთის“ — პასუხად განრისხებულმა ი. კოშორიძემ დაწერა «ორიოდე სიტყვა თიონელ „ბობჩინსკი“ და „დობჩინსკის“»²⁵ და რედაქციას გაუგზავნა. ჩვენი აზრით, „ივერია“ მიხვდა, რომ ი. კოშორიძის პასუხი ვაჟა-ფშაველას მიმართ იყო გამიზნული. ამიტომ რედაქცია ახალ მინელებულ ცეცხლში ნავთის შესხმას შეგნებულად მოერიდა და „უწმინდეს და უნეტარეს მამას“ უარი უთხრა დაბეჭდვაზე, როგორც ეს აღნიშნულია ი. კოშორიძის წერილისათვის დართულ შენიშვნაში.

ამ უარში „ივერიის“ რედაქციასთან დიდი პოეტის შერიგებისა და თანამშრომლობის განახლების ანარეკლს ვხედავთ. საამისოდ კი იმ დროისათვის ყველა პირობა არსებობდა.

ამრიგად, ი. ბოძაშვილის მიერ საქალაქო დედასკოლაში, რომელსაც აქვს წარწერა — „ვაჟა-ფშაველა“, გაზეთის ამ ამონაჭერის მოთავსებაც შემთხვევითად არ მიგვაჩნია.

იოსებ ბოძაშვილის არქივში დაცულია მესამე გაზეთის ამონაჭერი — „წერილი რედაქციის მიმართ“ — „ნაჩობნარის“ ფსევდონიმით 1903 წლის გაზეთ „ივერიიდან“ (№ 71). იგი პოლემიკური ხასიათისაა და თავისი ისტორიაც გააჩნია.

1903 წლის „ივერიაში“ (№ 48) გამოქვეყნებულია თიანეთის მკვიდრის, მოწინავე ინტელიგენტის, მაზრის სამმართველოს მოხელის დ. გოჯიაშვილის წერილი — „ჩვენებური ამბები“. ავტორი ამ წერილში აღწერს შკაცრი ზამთრისა და ყინვების დადგომას, თიანეთის სამკითხველოსაგან საზოგადოების განდგომას და ახალარჩეული ბიბლიოთეკარის — ბ. ი. ჩიბალაშვილის — გულგრილ დამოკიდებულებას სამსახურისადმი.

ამ წერილის გამოსვლამ დაბის მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კორესპონდენციაში გაზვიადებული იყო კლიმატის მდგომარეობა, და მეორეც, ავტორი უსამართლოდ აკრიტიკებდა მაზრის აფთიაქარს ბ. ი. ჩიბალაშვილს, რომელიც ერთდროულად ბიბლიოთეკარადაც მუშაობდა და თავისი ქველმოქმედებით ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბრესაში ბ. ი. ჩიბალაშვილის უსაფუძვლო შეურაცხყოფა და რედაქციისათვის უსწორო ცნობების მიწოდება უყურადღებოდ არ დარჩენილა. 1903 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 71) „ნაჩობნარის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა საწინააღმდეგო კორესპონდენცია — „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს დ. გოჯიაშვილის წერილში მოყვანილ ფაქტებს და მის ავტორსაც. გარდა ამ ერთი შემთხვევისა, ყურნალ-გაზეთებში „ნაჩობნარის“ ხელმოწერით დაბეჭდილი არაფერი ჩანს.

ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ეს ხელმოწერა ამოუხსნელია²⁶ და სპეციალისტებმაც არ იციან მისი ვინაობა.

1900-იან წლებში გაზეთ „ივერიაში“ თიანეთიდან თანამშრომლობდნენ დ. გოჯიაშვილი, მიხეილ ალბუთაშვილი და ვაჟა-ფშაველა.

საინტერესოა, რატომ ან საიდან გაჩნდა მწერლის ნაშრომები იოსებ ბოძაშვილის პირად არქივში?

²⁵ ი. კოშორიძე, ორიოდე სიტყვა თიონელ „ბობჩინსკი“ და „დობჩინსკის“, „კვალი“, 1895, № 20, გვ. 19.

²⁶ ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, თბ., 1969, გვ. 649.



იოსებ ბოძაშვილი გაბილოურთა თემის შთამომავალი იყო. ვაჟს ვეფხე გულქანი, დავით ფხიკელშვილის ასულიც ხომ გაბილოურთა თემის შთამომავალი მაგალით ეკუთვნოდა. ალბათ ამიტომ, ი. ბოძაშვილის ახლობლების გადმოცემით, ვაჟა იოსების ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს მიზეზი ბოძაშვილების ოჯახში ლუკა რაზიკაშვილის ნაწარმოებების სათუთად შენახვისა.

კვლევა-ძიების შედეგად წინამდებარე შრომაში წამოყენებული არგუმენტები გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ (№ 210, 218), 1895 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 141) და 1903 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 71) „მგზავრის“, „ისევ ის თიანელი კორესპოდენტის“ და „ნაჩობნარის“ ფსევდონიმებით გამოქვეყნებული წერილები ვაჟა-ფშაველას უცნობი ნაწარმოებებია, რაც თანამედროვის დოკუმენტური ცნობითა და სხვა კორესპონდენციებთან ტექსტობრივი პარალელებითაც მტკიცდება; იმავეს ადასტურებს წერილების რეალიები და გამოქვეყნების ისტორია.

В. И. АБРАМИШВИЛИ

О НЕИЗВЕСТНЫХ ПСЕВДОНИМАХ ВАЖА-ПШАВЕЛА

Резюме

Представлено несколько неизвестных псевдонимов Важа-Пшавела с названиями статей, подписанных этими псевдонимами.

Так, например, под псевдонимом «Исев ис тианели корреспондент» (тот же тианетский корреспондент) опубликована статья в ответ «Чхокетели» (газ. «Иверия», 1895, № 141), под «Начобнари» (Бывший чабан) — ст. «Письмо в редакцию» (газ. «Иверия», 1903, № 71) под «Мгзаври» (Путешественник) — две статьи под общим заголовком «Между горами», (с подзаголовками «Тианети—Душети» и «Душети—Тианети») (газ. «Дროება», 1909, №№ 210, 213).

Выявленные псевдонимы Важа-Пшавела дополняют имеющийся список его псевдонимов, а приведенные публикации помогут заполнить существенные пробелы в изучении наследия поэта.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ველიკო თოლუა

მართალი სიტყვა მრუდი საქმის წინააღმდეგ

ავადმოსაგონარი 1937 წელი... იმედების გაცრუების, რწმენის დაკარგვის, უკეთურობის ზეიმის, ძალმომრეობის, ცილისწამების არნახული აღზევების წელი. ცოდვის კითხვა დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში. უბედურება ის იყო, რომ საქვეყნო საქმისთვის თავდადებულ ადამიანებს, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს ხალხის მტრებად ნათლავდნენ და ბოროტება სიკეთის ნიღბით ასრულებდა თავის ვანდალურ საქმეს. საქართველოს ინტელიგენციის რჩეული ზირთვი, მსოფლიო აღიარების მეცნიერები განუკითხავი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ. ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, „გავგიბატონდა... სირვეგნე შეუწონავი“.

მთელი ქვეყანა შიშის ზარმა მოიცვა. ხალხს, გარდა პირადი ცხოვრებისეული თუ სამსახურებრივი საზრუნავისა, გაუჩნდა ახალი საფიქრალი — გაუთენდებოდა თუ არა მას მშვიდად მომავალი დღე. ფასი დაედო სულმდაბლობას, ერთმანეთის დაბეზღებას, მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის მისწრაფებას. ადამიანს პირადი სულიერი სიმაღლისა და ნიჭის გამოვლენის მისწრაფება ჩაეხშო.

მეტად მძიმე დრო დადგა. მოძმე რესპუბლიკებიდან ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. არც ერთ რესპუბლიკაში რეპრესირებულთა იმდენი სახელი არ არის შეტანილი ენციკლოპედიაში, რამდენიც საქართველოში. საქართველომ დაკარგა იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოებრივი აზრის წამყვანი წარმომადგენლების დიდი ნაწილი. ეს ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ ამ ბარბაროსული აქტის მთავარი მოქმედი პირი, ლ. ბერიანი, საქართველოში დიდხანს მოქმედებდა, იცნობდა უმრავლესობას პირადად, იცოდა, რომ ისინი ხალხის ჭეშმარიტი თავკაცები, უანგარო ერისკაცები იყვნენ. ამიტომაც ზოგს აქვე გაუსწორდა, ზოგს კი მოსკოვიდან მოსწვდა, დაუნდობლად გაანადგურა ისინი. ყოველი საქვეყნო საქმე სრულდებოდა მხოლოდ მისი პირადი სურვილის შესაბამისად. ცინიზმმა და უგუნურებამ შექმნა ისეთი ძალა, რომლის წინაშე საკუთარი მოწინავე აზრის გამოვლენას არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა. საზოგადოება მოექცა დეზორიენტაციის ჩიხში.

სწორედ ამიტომ არის 30-იანი წლების მეორე ნახევარი ხელავენების მუშაკთა დაბნეულობის ხანა. ნიჭიერი ადამიანები ხელავენენ ცხოვრების გაუკუღმართებას, მაგრამ საქმეს ვერაფერს შევლოდნენ. ნიჭიერ მოღვაწეებს შეეზღუდათ სამოქმედო ასპარეზი, მათ მხოლოდ დაკვეთით უნდა ეწერათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საზოგადოებისათვის ძალად თავს მოხვეულ პოლიტიკას შეესაბამებოდა. იდეური დაბნეულობის სავალალო გამოხატულებაა 1937 წლის 10 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მიმართვა ლ. ბერიანსადმი: „ის გაფრთხილება, რომელიც მე-10 ყრბილობის ტრიბუნლიდან მიეითი რამდენიმე მწერალს — პ. იაშვილს, მ. ჯავახიშვილს, კ. გამსახურდიას და სხვ. — აძლიერებს საბჭოთა მწერლობის მთელი კოლექტივის რევოლუციური სიფხიზლეს და შეურიგებლობას სოციალიზმის საქმის მტრებისადმი.“

სიტყვას გაძლევთ, ამხ. ლაგრენტი, რომ საბჭოთა მწერლობა თავის რიგებში ვეღარ მოითმენს არც ერთ ისეთ მწერალს, რომელიც საქმით არ დაამტკი-

ცებს თავის ერთგულებას და უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი დიდი სამშობლო-სადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი¹. პირველობის უფრო მეტ მოხატულებას ძნელად თუ შეგვხვდებით. აშკარაა, რომ ეს იყო ხალხის მტკიცე მონათვისისა და უსახელო სიკვდილისაგან თვითდაცვის ინსტინქტით ნაკარ-ნახები დოკუმენტი.

ყოველგვრე ამის გამოააშკარავება და მომავლისათვის სწორი ორიენტაციის დასახვა თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. ამიტომ დაუფარავად უნდა იქნეს მხილებული ჩვენს ჯანსაღ საზოგადოებრივ ორგანიზმში წლების მანძილზე მოკალათებული ავთვისებიანი სიმსივნის დამასწავლებელი მოქმედება.

თანამედროვე ახალგაზრდობას, ბუნებრივია, გაუჩნდება კითხვა: რატომ უნდა მომხდარიყო ეს? ვანა ცოტა სისხლი დაიღვარა რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და კოლექტივიზაციის წლებში? გაიმარჯვა რა სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა სახელმწიფოს უმთავრესი ხაზი გახდა უმაღლესი დონის საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებლობა. ლოზუნგი სწორად იყო დასმული, ხალხმაც სწორად აღიქვა ის. იგი ცუდად ცხოვრობდა, არ ჰქონდა მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება, მაგრამ ჰქონდა მომავლის იმედი. ამიტომაც ითმენდა. ასეთი ენთუზიაზმით გამსჭვალულ ხალხს ზემოძღვანელობდნენ პარტიის ღირსეული წარმომადგენლები. მაგრამ მათაც არ ასცდდა დევნა და რეპრესია. ჯერჯერობით ამ მოვლენის სოციალური ფესვები მთელი სისრულით არ არის გაშუქებული. ამიტომ ისტორიამ უნდა შექვას თავისი საბოლოო სიტყვა.

ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა 30-იანი წლების ბოლოს, რაც მოუშუშებელ იარად აჩნია მას. ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებმა საკმაოდ გააშუქეს ეს საკითხი. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი სიტყვა ეკუთვნის ჩვენი მწერლობის ცნობილ წარმომადგენელს გრ. ჩიქოვანს. მისი რომანი „მიწა“ დაიწერა 70-იან წლებში და ასახავს 30-იანი წლების ბოლოს დასავლეთ საქართველოში წარმოებულ გრანდიოზულ სამუშაოებს კოლხეთის ჭაობიანი ადგილების დაშრობისა და ახალი მიწების ათვისებისათვის. მწერალმა ცხოვრებისეულ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოადგინა ხალხის უდიდესი ენთუზიაზმი ამ დიდმნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულების საქმეში. ხალხმა დროულად გაითავისა მთავრობის ეს დადგენილება და ერთსულგვნად დაირაზმა მისი განხორციელებისათვის. მწერალს სრულყოფილად აქვს გაშუქებული ხალხის შრომითი შემართება, მათ მიერ დროის თავისებურებების გათვალისწინება, სხვადასხვა სოციალური ფენის, მისწრაფების, შეგნებისა და ცოდნის ადამიანთა მიმართება ამ ისტორიული პროცესისადმი.

ამ გმირული ეპოპეის სულისჩამდგმელად ნაწარმოებში დახატულია მშენებლობის სამმართველოს უფროსი — ანდრო განგია. გრ. ჩიქოვანი მას წარმოაჩენს უაღრესად კეთილშობილ პიროვნებად, რომელმაც პირადი ცხოვრება მთლიანად შესწირა სახელმწიფო საქმეს. ის ისეთი პიროვნებაა, რომლის ხსონაც კი ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. მწერლის დახასიათებით: „მას ვერასოდეს ნახავდი მოწყენილს, დაშვიდებულს, საქმისადმი გულგრილს. მისი თვლები არასოდეს არ იყო ცივი. ერთი დანახვით, გასაუბრებთ შეგაყვარებდა თავს. დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრად მიიჩნევდი. გეგონებოდა, პევრი სიკეთე ჰქონდა შენთვის გაკეთებული. მის ირგვლივ მუდამ საქმიანი ფუსფუსი, ხალხმრავლობა და ხმაური იყო“². ის იყო პიროვნება, რომელსაც ყველგან სიცო-

¹ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ., № 29.

² გრ. ჩიქოვანი, თებერვალი დადგაო, მიწა, თბ., 1977, გვ. 304.

ცხლის რწმენა და ხალისი შეჰქონდა. იგი ცოცხალი მავალითა ცხოვრებისეული სიყვითისა, ყველას მიმართ თბილი და ყურადღებანი, არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭის მქონე მუშაკისა.

შავი სამოსი აცვია ტარიელს მამის სიკვდილის გამო. ერთი წლის გლოვის შემდეგ ტარიელს მეფე ფარსადანისაგან ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებულნი“ (328₄); ტარიელს „ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა“ (329₂).

შავი აცვია ნესტანის დედას ქმრის სიკვდილის გამო. როდესაც ნესტანი დედას ნახავს ეუბნება მას: „წოთელ-ყვითლითა დაგავდე, აწ შოსიანსა გვგდაო“ (1628)⁷.

ნესტანის ნახვით გახარებული დედოფალი ძაძას იხდის, რაც გლოვის დასრულებას ნიშნავს: „დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა; დიდებულთა შემოსისი მხიარული დაუშადა“ (1635₁₋₂).

ფერადი სამოსის ჩაცმა მხიარულების, ლხინის ნიშანია.

შავითა შემოსილი ინდოეთიდან მომავალი ქარავანი: „კაცები და სახედრები ერთობ იყო შოსიანი“ (1579₂).

⁴ აქედ და ქვემოთაც „ვისრამიანის“ ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: „ვისრამიანი“, ალ. ვეხარის და მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1952.

⁵ აქედ და ქვემოთაც „ვის ო რამინს“ სპარსულ ტექსტს ვიყენებთ შემდეგი გამოცემიდან: VTS VA RĀMĪN OF FAKIR AL-HĪN GORGĀNĪ. Persian critical text composed from the Persian and Georgian oldest manuscripts by MAGALI A. TODUA and ALEXANDER A. GWAKHARIA edited by KAMAL S. AINI. Iranian Culture Foundation, „101“, Tehran, 1970. მოყვანილი სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ჩვენ მიერ.

⁶ აქედ და ქვემოთაც „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, საბუბლეო გამოცემა, თბ., 1966.

⁷ ინლო-ხატელთა ამბავი. ქვემოთ მოყვანილი ციტატები დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1937.

ტარიელი მათ ეკითხება: „უბრძანა: „ვინ ხართ, შავითა რად ტანი გელსია?“ (1580).

აქ მას უბასუხებენ, რომ გარდაიცვალა მეფე ფარსადანი, რას გამოც მთელ ინდოეთს შავი გვაცვიოთ: „მუნა მყოფსა ყველაქსა შეიქერა, ჩვენცა შავ“ (1596).

როგორც ვხედავთ, შავი ფერის სამოსი გამოხატავს გლოვასა და დიდ მწუხარებას.

შავი სამგლოვიარო სამოსი აცვიით „ამირანდარეჯანიანის“ გმირებსაც. „შეიქცეს შინა შეწუხებულნი, შეიმოსნეს შავითა და იყვეს მგლოვიარნი დღეთა მრავალთა ამას შინა“ (726, 4—6 — დამატ.); „დედოფალმან ასულსა ეგრე უბრძანა: „შვილო, არა კამს შენგან შავითა ყოფა“ (683, 4—6 ა); „დედოფალა და ასული მისი რადგან შავითა იყვნეს, არა მოვიდნეს“ (661, 2—3 ბ); „ბაზნთა მეთვისა ქალიცა მამისა სიკვდილისათვის შავითა იყო“ (659, 9—10 ბ); „იყო ყოველი ბაზნეთი შავითა შემოსილი მეფისათვის“ (659, 9—10 ა); „მოვეება წინა დედოფალი შავითა“ (658, 13—14 ბ); „უთო გათენდა, შეეკაზმა საბურ რაბაგისძე, შავსა ცხენსა შეჯდა შავითა ტანისამოსითა, და იყო იგი ლაშქარი მისი ყუელა შავითა ძმისა მისისათვის“. (355, 6—8); „იგი ლომთა ლომი უსწორო ჭაბუკი აზბრი არაბი მოკუდაო და მით შავითა არის ყოველი არაბეთი და იამანეთით“ (191, 10—11); „რა გჭირს, ანუ რად შემოსილხარ შავითა? (32,6); „და ვლეთ დღისა ერთისა სავალი, და შეგუემთხუივნეს კაცნი ვინმე შემოსილნი შავითა“ (191, 8—9); „იხილა რა, სასახლესა, ციხესა და კაცთა — ყუელასა შავი ემოსათ და ყუელანი ძნელად დადრეჯილნი იყუნეს“ (742, 9—11); „გამოაღებინა ორი შესამოსელი, ერთი ძოწეული და ერთი შავი“ (663, 11—13 ა); „ეცადნენ და ვერა აჰკადეს შავი“ (659, 11—12 ბ); „გასცა ბრძანება დედოფალმან და აჰკადეს შავი ყუელასა“. (659, 10—12 ა); „და თუ სძლიონ ცოდვთა ჩემთა და აჯობონ იმა მესისხლემან, ჩავიცუამ იმა შავთა და დავედებო საჯდომთა შავთა“ (684, 9—13 ა); „დარეჯანისძისა ცოლსა ვერა აჰკადეს, ვითა: „მე თუთი ვიცი უამი შავთა აქდისაო“ (659, 12—15 ა); „კაცი ვინმე მოვიდოდა, შავსა ტაოქსა ზედან ჯდა, შავითა მოსილი იყო და პირი შავადვე შეველება და ქელი მარჯუნა შავადვე ჰქონდა“ (31, 7—9); „მო-ვინმე-ვიდა კაცი შიკრიკი. შავნი ღართნი ტანსა ეცუნეს“ (643, 7);

შავი ფერი „თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“ საერთოდ არ გვხვდება (გამონაკლისს წარმოადგენს შავი ტაიჭი, რომელიც ერთგანაა ნახსენები „აბდულმესიანში“).

„ამირანდარეჯანიანში“ სამგლოვიარო სამოსის ფერი არის მხოლოდ შავი. ლურჯი ფერის სამგლოვიარო სამოსი აქ არ გვხვდება (ლურჯი ფერი საერთოდ არ არის „ამირანდარეჯანიანში“).

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, პოემაში ლურჯი სამგლოვიარო სამოსი მხოლოდ ერთხელ გვხვდება, დანარჩენ შემთხვევაში გვაქვს შავი სამოსი.

„ვისრამიანში“ შავი და ლურჯი სამგლოვიარო სამოსი ორავე იხმარება და ისინი თანაბარი მნიშვნელობისანი არიან. მათ შორის განსხვავება არ შეინიშნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სპარსული „ვის ო რამინის“ გავლენის შედეგია.

ქართული ორიგინალური ძეგლებისათვის შავი ფერის სამგლოვიარო სამოსი (ძაძა) უფრო მიღებულია და დიდ უბედურებას გამოხატავს. ჩანს, ამ მოვლენას უფრო ჰქონდა ფესვი გადგმული ქართულ სინამდვილეში.

8 აქაც და ქვემოთაც „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, გამოსცემად მოამზადა, გამოკლუა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.



2. შავი ბედი გამოხატავს დიდ უბედურებას, მწუხარებას, დარღს. დედისა და ძმისაგან მიტოვებული ვისი ძიძას შესჩივის: „ევაღახმე, რა შავადა და უბედურად ღემი ბედი!“

შეყვარებული ვისი ეუბნება ძიძას: „ჩემი ბედი დაღრეჯილო, დაძისებრ შავი, ზანგთა მეფესა პილოსა ზედა მჯდომსა ჰგავს“ (240, 17—18). ეს ადგილი სპარსულ ტექსტში ასეა წარმოდგენილი: „ჩემი ავი ბედი შავი ღამესავითაა“.

შავი ფერი „ვეფხისტყაოსანშიც“ გამოხატველია დიდი უბედურებისა. შავი ბედისას, უბედურს უწოდებს თავის თავს ასმათი. როდესაც მამიდა და-ვარმა ნესტანს სცემოა, მეო, ამბობს ასმათი — „ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყულუნი დაუშუშნა“ (5724).

როდესაც გამწარებულმა და გაცეცხლებულმა როსტევან მუდემ ვაზირი გაჰკიცხა, ავტორი ვეუბნება: „ვაზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა“ (754).

ფატმანი მიმართავს ნესტანს: „ეჰკადრე: „მზეო, ბედმან შავმან ვით მი-მუხთლა, ხედავ, რულად!“ (1162).

შავი ბედი გამოხატველია დიდი წუხილისა და ტრაგედიასა, როგორც „ვისრამიანში“, ასევე „ვეფხისტყაოსანში“.

3. შავი ღრუბელი, შავი ცა და შავი ქვეყანა — დაახლოებით იგივე ემოციური დატვირთვა აქვთ „ვისრამიანში“, როგორც შავ ბედს, უბედობის და დარღის გამოხატველია. ვნახოთ მაგალითები: „ამა მათად პემანამღნს ერთსა დღესა ამოვიდა ზღუესაგან შავი ღრუბელი“ (71, 5—6); შდრ. ვორგანი: „ზღვიდან ამოვიდა ლურჯი ღრუბელი“ (სპ. ნილ გუნ — ლურჯი).

როგორც ვხედავთ, ორიგინალისეული ლურჯი ღრუბელი ქართულ თარგმანში წარმოდგენილია, როგორც შავი ღრუბელი. ჩანს, ქართველი მთარგმნელისათვის შავი ფერი უფრო მკვეთრია და უფრო დიდ წუხილს მოასწავებს, ვიდრე ლურჯი ფერი, თუმცა ეს უკანასკნელიც ხშირად იხმარება „ვისრამიანში“ იმავე მნიშვნელობით.

„თუ მიჯნურობასა ზედა შავი ღრუბელი დგეს, თავსა მისსა ყუღღრებით ქვა წუომდეს; არცა მამინ შეშინდების მიჯნური“ (57, 15—16). ვნახოთ, როგორაა ეს ადგილი წარმოდგენილი სპარსულ ტექსტში: „თუ ღრუბელი ქვეყნის თავზე იდგეს, საყვედურის ნაცვლად ქვა წვიმდეს, არ ეშინია მიჯნურს ქვის წვიმის“. სპარსულ ტექსტში არ გვაქვს არც შავი და არც ლურჯი ღრუბელი. ქართველი მთარგმნელი თარგმნის შავ ღრუბელს, რითაც მეტი ემოციური დაძბულობა შეაქვს მასში.

„გაზაფხულისა ღრუბელი შავია და ეგზომსა აწუიემბს, რომელ ღუართა ადენს“ (227, 10—11). იხ. ვორგანისთან: „არ ვინახავს, ბნელი ღრუბელი გაზაფხულზე, რომელიც წვიმის ღვარს ადენს“. ორიგინალში გვაქვს ბნელი ღრუბელი, რომელსაც ქართველი მთარგმნელი ცვლის შავი ღრუბლით.

„შავმან ღრუბელმან ვისის გულსა ზედა მოწამლული ისრის პირი წუიმა“ (201, 27). სპარსულ ტექსტში ეს ადგილი შემდგენიარადაა წარმოდგენილი: „შავი ღრუბელი ამოვიდა და დაიწყო წუიმა, წუიმა კი არ იყო, არამედ მოწამლული ისრის წვერები“. ორიგინალის შავი ღრუბელი ამ შემთხვევაში პირდაპირაა გადმოტანილი „ვისრამიანში“.

„დღეს ლურჯსა ცასა ქუეშე და შავსა ქუეყანასა ზედა ჩემგან უფრო საბრალო და გულწყულული არავინ არისო“ (52, 10—11). შდრ. „ვის ო რამინი“: „ძიძას უთხრა: ქვეყნად არავინ არის უბედურებით ჩემი ტოლი (ჯუფთი)“. როგორც ვხედავთ, „ვის ო რამინში“ არსად არ არის საუბარი ლურჯ ცასა და შავ ქვეყანაზე. აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ვისის უბედურებაში სწორი არაა ჰყავს.



ქართული მთარგმნელი, რომელსაც სურს მთელი სიცხადით აჩვენოს ვისის უბედურება და წუხილი, ქვეყანას შავი ფერით წარმოგიდგინოს და კიდევ თხელ უსვამს ხაზს ქალის მიმე სულიერ მდგომარეობას.

ამდენად, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, შავი ღრუბელი, ცა, რომელიც შავ ფარდას ჰგავს, და შავი ქვეყანა „ვისრამიანში“ გამომატველია იმ მიმე, ტანჯვით აღსავსე განსაცდელისა, რომელიც თან სდევდა ვისსა და რამინს. დევნილი მიჯნური უჩვიან თავიანთ ბედს, რომელიც შავია, მათ თავზე შავი ღრუბელი მოჯარულან; ისინი შავ ქვეყანაზე ყველაზე უფრო საბრალონი და „გულწყლულნი“ არიან. ამ მხრივ შავი ფერის აქცენტირება უფრო შესამჩნევია „ვისრამიანში“, ვიდრე „ვის ო რამინში“, რაც ქართული მთარგმნელისათვის როგორც ემოციური, ასევე ერთგვარი მხატვრული ხერხია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება შავი ღრუბელი, შავი ცა და შავი ქუეყანა. შდრ. „ამირანდარეჯანიანი“ — შავი მაწა (დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს): „და წამსავე გარდაიცვალა სიმაღლე დილარისა მიწასა შავსა თანა. და იყო გლოვა და წუხილი, ტირილი და ზრუნვა დღეთა მრავალთა“ (716, 5—7).

4. ბნელი ღამე. როდესაც საჩუქრებითა და ფულით გადაბირებულმა შაპრომ მოაბადს ციხის კარები გაუღო და თავისი ქალიშვილი ვაის მას ჩააბარა, ღამე თავისი სიბნელით ისეთივე შავი იყო, როგორც ვისის ბედისწერაო, გვეუბნება გორგანი. ღამის სიბნელე აქ შედარებულია შავ ბედისწერას. იხ. „ვისრამიანი“: „რა კარი გააღო ციხისა, მოაბადს ქალი ჯელთა მისცა. (ღამე) სიბნელითა წერისა ფერად შავი იყო“ (59, 20—21). გორგანისთან: „შაბე თარიქ-ბნელი ღამე, რომელიც შავია (სიაპ ვა საჰმეინ), როგორც განშორების დღე (რუზე ჰეჯრან). ქართულში ღამის სიბნელე შედარებულია შავ მელანს (იხ. ვისრამიანი, მ. თოდუას და ა. გვახარიას რედაქციით, ლექსიკონი, გვ. 755). სავარაუდოა, რომ აქ იგულისხმებოდეს შავი ბედისწერა. ბნელი ამ შემთხვევაში ღამის სიბნელესაც გამოხატავს, და, მეორე მხრივ, მიუთითებს სიშვევზე, რაც უბედურების მომასწავებელია.

გამიჯნურებული რამინის შესახებ ნათქვამია: „მისსა თუალსა დღე ნათელი ბნელ იყვის“ (72, 12—13). სპარსულში ზუსტი შესატყვისი გვაქვს: „მის თვალეში ნათელი დღე ბნელი იყო“.

აქ კი, როგორც ვხედავთ, სიბნელე არა მხოლოდ ღამის სიბნელეს, სიშვევს გამოხატავს, არამედ მაჩვენებელია რამინის სულიერი ტკივილებისა, მისა განცდებისა.

„ესე ღამე ბედისა ჩემისა მსგავსად ბნელია“ (165, 15). შდრ. „ვის ო რამინს“: „ღამე ბნელი და ჩემი ბედიც ბნელია“ (შაბე თარიქ ვა ბახთამ ნიხ თარიქ).

„ამით თოვლი ქაფურად უჩნდა, ბნელი ღამე — დღედ ნათლად“ (134, 15—16). „ვის ო რამინში“ გვაქვს შაბე თარიქ-ბნელი ღამე და მუშეის ფერი ღრუბელი. ამ შემთხვევაშიც ბნელი ღამე იმავე უარყოფით მომენტს შეიცავს რომელზეც ზემოთ გვექონდა ლაპარაკი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ბნელი ღამის ხმარება პირდაპირი მნიშვნელობითაც. „ესეთი ასული შობა შაპრომან, რომელ მისითა შობითა ბნელი ღამე ნათლად შეიქმნა“ (37, 27—28). იხ. „დიდა ბნელი იყო ღამე“ (147, 10—11) და სხვ.

„ვისრამიანში“ გვხვდება აგრეთვე ბნელი ღრუბელი: „ბნელთა ღრუბელთაებრ გულუკამლანი ვარ. ფათერაკისა ნადიმი და ჭირისა არიფი ვარ, კიდევგანობისა ზღუასა შიგან ვიშთეები“ (283, 1—3). გორგანისთან გვაქვს ასევე ბნელი ღრუბელი (მბრე თირე).

ქალაქი შედარებულია ბნელ ქასთან: „ესე არა ქალაქია, მაგარი, ღრმა და ბნელი ჭაა“ (81, 13—14).

„ქ ბნელი ჭის სანაცვლოდ ორიგინალში გვაქვს მხოლოდ ღრმა. ქართველმა მთარგმნელმა ბნელი სიტყვის დამატებით განცდის სიღრმე შემოიტანა „ვის-რაშიანის“ ამ ადგილას.

იხ. აგრეთვე ბნელი საკანი: „და მათი სამოთხისაებრი შეკაზმული დარბაზი მე, თქუენმან მზემან და კეთილმან, ბნელად საყნად მიჩნდა“ (46, 36—37). ორიგინალში ბნელი საკანის ნაცვლად: „მეფის სასახლე ჩემს თვალში როგორც საპრობილე (ზენდან) და როგორც ქა ისეთი იყო“.

ამ შემთხვევაშიც ბნელი წარმოადგენს ქართველი მთარგმნელის მეორე დამატებულ სიტყვას, რომლითაც მას სურს მთელი სიმძაფრით გამოხატოს ზარდის განცდები ვისისა და ვიროს ქორწილთან დაკავშირებით.

„ვეფხისტყაოსანში“ გლოვის აღსანიშნავად სიტყვის „შავის“ სანაცვლოდ გამოყენებულია სიტყვა „ბნელი“. ბნელში ჯდომა პოემაში გლოვას გამოხატავს. მგლოვიარე ზის ბნელ ოთახში. ტარიელი მამის სიკვდილის შემდეგ — „მე წელიწადმდის ბნელსა ვვე საწუთრო-გაცუდებულნი“ (398).

ავთანდილის გაპარვის გამო ყველა გლოვობს, შავით მოსილნი არიან: „თქვეს: „ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რათგან მზე მივეიდრკა ცისა!“ (816).

დიდი უბედურების უამს მზე და მთვარეც კი ბნელდება. ნესტანისა და ტარიელის დაკარგვით: „იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ბნელად“ (1586).

ბნელ-ქმნილი ადამიანი მკვლარცაა, ნესტანი თავის გარდაცვლილ მამაზე ამბობს: „ჩემთვის ბნელ-ქმნილო მამაო“ (1592).

ბნელი შეიძლება იყოს გულიც. დამწუხრებული ფატმანი ავთანდილის წასვლის გამო ამბობს: „მომეორვების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების“ (1300).

ამდენად, ბნელი როგორც „ვისრაშიანში“, ასევე „ვეფხისტყაოსანში“, როგორც შავი. მწუხარებასა და გლოვას გამოხატავს. ამასთანავე, ხშირად იგი იხმარება მხოლოდ თავისი პირვანდელი მნიშვნელობით (სინათლე — სიბნელე, მაგ. ბნელი ღამე).

5. შავი ცხენი გვხვდება „ვისრაშიანში“ ორჯერ. ნაწარმოების ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს შავი მოაბადის უფროსი ძმის ზარდის ჩასვლა შაპროსთან შავის დანაბარებით. როდესაც მოაბადის წერილით წარგზავნილი ზარდი ჩადის შაპროსთან, იქ მას ხვდება ვისისა და მისი ძმის ვიროს ქორწილი. ზარდის გამოჩენას წინ უძღვის ნათელი, მზიანი დღის უეცარი დაბნელება, ცა იქუფრება: „ანახად მასვე წამსა ზღუისაგან შავი ღრუბელი გამოვიდა. ნათელი დღე იყო, მზიანი, ჰამო და მაშინვე, თუ სთქუა, შედამდა, ასრე დაბნელდა ქუეყანა, და ქარი დიდი ადგა და მტუერი დიდი შეიქნა, რომელ ერთმანეთსა ვერარ ჰხედვიდეს. მექორწილენი აიშალნეს და აიყარნეს“ (41, 34—36), (42, 1—2).

სწორედ ამ ჩამობნელებული, დაძაბული ბუნების სურათის ფონზე შემოჰყავს ავტორს მოაბადის ძმა ზარდი, რომლის ჩამოსვლაც პოემაში უბედურების მომასწავებელია: „მასვე უამსა გზასა ზედა მოვიდოდა კაცი შავითა შეკაზმული. შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი მისი შავივე იყო, და სახელე მისი ზარდი იყო“ (აქვე შევნიშნავთ, რომ სპარსულად „ზარდ“ ნიშნავს ყვითელს და ეს არ დარჩენია შეუმჩნეველი ქართველ მთარგმნელს, მაგრამ ამაზე სხვა დროს). ზარდმა მოიტანა შავი მოაბადის წიგნი, სადაც ეწერა, რომ ვისი შაპროს პირობის თანახმად მისი ცოლი უნდა გამხდარიყო.



ახლა ვნახოთ, თუ როგორ არის ეს ადგილი წარმოდგენილი „ვის ო რამინს“ მინში: „ზღვიდან ერთი კვამლისფერი (ბნელი) ღრუბელი ამოვიდა, სუფთა (ნათელი) დღე უფერად დამედ იქცა, ღრუბელი კი არ არის, იტყოდო, ჩქარი ქარია, რომელიც მთას მტვერს აყრიდა. გზაზე გამოჩნდა მხედარი, როგორც საუკეთესო (განსაკუთრებული) მთა, მის ქვეშ ჩქარი ცხენათ. შავი ცხენი და მძიმე ლურჯი აღკაზმულობა, მხედარიც ამავენაირი სამოსით: კაბა, ჩექმა, შარვალი და რიდე ნილოსის ფერი იყო; უნაგირზე გადასაფარებელი, აბჯარი და ცხენის აღკაზმულობა წყლის (ნაკადულის) პირას ამოსული იისფერი იყო. ამგვარად, ცხენი და კაცის სამოსი და მოწყობილობა ლურჯი წყლის ღილის ფერი იყო და სახელად ერქვა მას ზარდი“.

„ვისრამინსა“ და „ვის ო რამინს“ ეს ადგილი მეტად საინტერესოა ფერთა, კერძოდ შავი ფერის, წარმოდგენის თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველმა მთარგმნელმა ზარდის გამოჩენის დასახატავად გამოიყენა მხოლოდ შავი ფერი; ზარდი ამხედრებულია შავ ცხენზე, მას აცვია შავი სამოსი, ცხენის მთელი აღკაზმულობა შავია. შავი ფერის ასეთი მკვეთრი გამოყენებით ქართველ მთარგმნელს სურდა გადმოეცა ის დიდი უბედურება და გლოვა, რომელიც ზარდმა მოიტანა შაჰრის სასახლეში. მთარგმნელი ხაზს უსვამს შავ ფერს და სწორედ ამ განმეორებით (შავი ცხენი... შავით შეკაზმული... შავივე იყო) ამძაფრებს განცდას, რაც საოცარ ფერწერულ დამოციურ ეფექტს ახდენს.

რაც შეეხება ორიგინალის ამ ადგილს, აქ მხოლოდ შავი ფერი არ არის წარმოდგენილი. გვხვდება კვამლისფერი ღრუბელი (შდრ. ქართულში — შავი ღრუბელი). მხედარს ჰყავს შავი ცხენი, ხოლო მისი აღკაზმულობა და თვით მხედარის სამოსი ლურჯი ფერისაა; კაბა, ჩექმა, შარვალი (გამაშები) და რიდე ნილოსის ფერია (ნილოსის ფერი არის მუქი ლურჯი, იისფერი); უნაგირზე გადასაფარებელი, აბჯარი და ცხენის მოსართავები წყლისპირას ამოსულ იისფერსაა შედარებული. საბოლოოდ გორგანი გვეუბნება: „ამგვარად, ცხენი, კაცის სამოსი და მოწყობილობა ლურჯი წყლის ღილის ფერა იყო“.

როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთს ენაცვლებიან შავი, კვამლისფერი, ლურჯი, ნილოსის ფერი, იისფერი და ლურჯი წყლის ღილის (ესეც ლურჯია) ფერები.

შდრ. ინგლისური თარგმანი: შავი (black), ლურჯი (blue), marsh violets (ქაობის ია—ოგულისხმება ქაობის პირას ამოსული იისფერი), blue water-lily (ლურჯი წყლის ღილია)(32)¹⁰, შდრ. რუსული თარგმანიც:

„Но то не тучу подвлял черный прах,—
 То витязь на коне скакал в горах,
 На скакуне сидел он вороном. —
 И так же темен был наряд на нем.
 Плащ, сапоги, и пояс, и чалма
 На всаднике чернели, как сурьма,

⁹ ღილია — იხ. შრომანი — *Лилия белая, сапана Lilium, candidum L.*, ერ. ზამთარში გვამჩნევს ზღვის შრომანი, მთის შრომანი და ყვითელი შრომანი. აქ ზღვის შრომანი — *панкраций морской, raneratum maritimum L.* ა. მ. ა. შ. ვ. ი. ლ. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1961, გვ. 81, 29.

¹⁰ აქაც და ქვემოთაც „ვის ო რამინს“ ინგლისური თარგმანის ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: VIS AND RAMIN, Translated from the persian of FAKHR UD-DIN GURGĀNI by GEORGE MORRISON, Columbia University Press, New York and London, 1972.

А паланкин с навесом и попоной
Синел фиалкою, в реке рожденной.
Такой приuchsя всадник в эту пору.
Он звался Зардом, походил на гору⁴¹.

რუსულში გამოყენებული სამი ფერი: შავი (черный), იგივე შავი შედარებულია ყორნისფერს (вороний); темный наряд (არ გვაქვს დაკონკრეტება), ჩექმა, ქამარი, რიდე—შავი ფერისაა, რაც შეეხება პаланკინ ს ნავесом и попоной синел фиалкою, в реке рожденной,—ისფერი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ თარგმანში ხშირია ორიგინალიდან გადახვევის შემთხვევები. მთარგმნელი ტექსტს უფრო თავისუფლად ეკიდება. რაც შეეხება მორისონისეულ ინგლისურ თარგმანს, იგი მეტად მნიშვნელოვანია და ზუსტია.

გორგანისათვის შავი, ლურჯი, იისფერი და ნილოსის ფერება მუქი ფერებია, რითაც ხშირად გამოიხატება გლოვა, მწუხარება და ტანჯვა. მათ შორის მკვეთრი ტრადიცია არ გვხვდება. იისფერი და ლურჯი ხშირად ენაცვლება შავს „ვის ო რამინში“ და გადმოგვემს გლოვას. ამდენად, ამ ფერებს შორის განსხვავება „ვის ო რამინში“ თითქმის უმნიშვნელოა. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, აქ ძირითადად აქცენტი მაინც შავ ფერზეა გადატანილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მთარგმნელისათვის უცხო არ არის ლურჯი და იისფერი ფერების ამავე ფუნქციით გამოყენების შემთხვევებიც (ლურჯი ღრუბელი და სხვა). „ვისრამინი“ პირდაპირ გვეუბნება „ლურჯი — მგლოვიარეთა ჰუერობსო“ (39₁₁₋₁₂). ქვემოთ, როდესაც საუბარი გვექნება ლურჯი ფერის შესახებ, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს. აქ კი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მკვეთრადაა აქცენტირებული შავი ფერი, როგორც დიდი უბედურების მომასწავებელი. ეს ეპიზოდი ფსიქოლოგიური პროზის საუკეთესო ნიმუშია და, ამასთანავე, საოცარი მუსიკალურობით გამოირჩევა, რასაც მასში ქმნის სიტყვა „შავი“-ს ხშირი გამოყენება.

ვფაქრობთ, ქართველი მთარგმნელისათვის შავი ფერი უფრო მეტი წუხილის დამტკევი ცნებაა, ვიდრე ლურჯი და იისფერი, თუმცა მათი ხმარებაც „ვისრამინში“ ხშირია.

შავი ცხენი მეორედ მოხსენებულია შაჰი მოაბადისა და ვიროს ბრძოლის აღწერის დროს. გორგანი გვეუბნება: ისეთი ფიცხელი ომი იღვა, რომ „მრავალი ყრმა კაცი დაბერებული იყვის და შავი ცხენი გაქარმაგებულ იყვის. ჯაბანი და გულოანი ამით გამოჩნდებოდა, რომელ ჯაბანი დადრეჯილ იყვის და გულოანი მხიარულ“ (49₂₄₋₂₇). შდრ. გორგანის „ასფე სიაჰ“ (შავი ცხენი). საყურადღებოა, შავი ცხენის გაქარმაგება, ე. ი. მტერთი დაფარვა — გათეთრება.

შავი ცხენი ცხრაჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. იგი ტარიელის ცხენია, რაც სიმბოლურად გამოხატავს ტარიელის მძიმე სულიერ მდგომარეობას. მის დიდ წუხილს ნესტანის დაკარგვის გამო.

მოვიყვანთ მაგალითებს „ვეფხისტყაოსნიდან“: „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ეთოა გმირსა“ (83₂); „ანაზად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუ-შავია, ზედა ჯდა შავსა ტაღუსა. — მერანი რამე შავია“ (201₁₋₂); „ოდენ ჩნდა შავი ტიპი მისი მის მხისა მარებლად“ (207₄); „დავაპირე შეტევა, ვთქვი: „წავიდე მათე მე, წა, ჩემსა შავსა სულიერი რამეცა ვითა გარდებეწა!“ (619₃₋₄);

11 აქაც და ქვემოთაც „ვის ო რამინის“ რუსული თარგმანის ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: Фахриддин Гургани, Вис и Рамин, поэма, перевод с персидского Семена Линкина, изд. М., 1963.



„ნახა, შავი შამბთა პირსა დგა სადავე-უჯუყრილი“ (856); „ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა“ (1395); „შავსა აუღდა ლაგამი, სწმედდა რიდნა წვერითა“ (222).

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირია შემთხვევები, როდესაც შავი პირდაპირ აღნიშნავს ცხენს (იხ. ზემოთ). ამდენად, შავი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ცხენის (ამ შემთხვევაში ტარიელის ცხენის) მუდმივ ეპითეტს. აქ ცხენის სიშავე საგნის ერთგვარ სიმბოლოდ გვევლინება. შდრ. ისლამადელი არაბული პოეზია¹².

ფრიდონი ტარიელმა პირველად ნახა შავ ცხენზე ამხედრებული. იგი უყვება ავთანდილს: „ზედა ჯდა შავსა ტაიქსა, აწ ესე მე მითქს რომელი, მართ ვითა ქარი მოქროდა, გაფიცებული, მწყრომელი“ (586₁₋₂).

ამდენად, ფრიდონიც, რომელიც ებრძვის თავის ბიძაშვილებს, ამხედრებულია შავ ტაიქზე. აქაც შავი ცხენი თითქოს განსაკუთრებულ მოასწავებს.

ავთანდილის ცხენი თეთრია. ბედნიერ, უზრუნველ სიყვარულში გამარჯვებულ ავთანდილს ჰყავს თეთრი ცხენი, რაც სავსებით გამოხატავს გმირის განწყობას. შავი ცხენი კი ტარიელის სულიერი მდგომარეობის თანაზიარი ატრიბუტია.

„მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიქოსანი“ (714); ასმათმა „შეხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა კარმაგოსანი“ (1342). „კარმაგ“ არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს თეთრ ცხენს შავად დაწინწკლულს. ვ. როზაძის აზრით, თეთრ-ტაიქოსანი ავთანდილის (ბედნიერის და უზრუნველის) ცხენი ტარიელის გაცნობის შემდეგ იცვლება. ცხენი არის თეთრი, ოღონდ შავი წინწკლებით¹³. ეს მომენტიც მეტად საინტერესოა.

შავი ცხენი ხშირად გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“. იხ. „კაცი ვინმე მოვიდოდა, შავსა ცხენსა ჯდა დიდსა“ (387, 3); „და ვითა გათენდა, შეჯდა იგი ინდო ჭაბუკი მისსა შავსა ტაიქსა“ (167, 9); „გაჯდა ნოსარ ნისრელი შავსა ტაიქსა და წაივდა“ (81, 5); „გაჯდა შავსა ტაიქსა და მიეწია მარტო უკანა“ (79, 4); „ორნი კარავნი ღგეს: ერთი დიდი და ერთი ცოტა. ცხენი ება დიდი, შავი“ (37, 11—12); „შავსა ცხენსა ჯდა დიდსა და იყო დიდი კაცი, შავი“ (357, 3—4); „დილასა შეკაზმა შავი ჭაბუკი, შეჯდა მისსა შავსა ცხენსა და გამოვიდა“ (44, 1—2).

„ამირანდარეჯანიანის“ ზოგიერთ გმირს მზეჭაბუკს, უსიბის და სხვებს ჰყავთ თეთრი ტაიქი. აქ ძნელია იმის თქმა, გვაქვს თუ არა ამ ეპითეტების გადატანით მნიშვნელობათა დაპირისპირება (შავი — მწუხარე, თეთრი — მხიარული).

6. შავი დევი ერთხელ გვხვდება „ვისრამიანში“, როდესაც მოაბადმა შეუნდო ვისსა და რამინს და ჩააბარა ისინი ზარდს. თვით მოაბადი გალაშქრებას აპირებს საბერძნეთზე. შაჰინშა წასვლის წინ შესჩივის ძმას, თუ რა გრძნეულია და ეშმაკთა ხელშია ჩავარდნილი (იგულისხმება ვისი, რამინი და ძიძა), თუ ათონი დევი მათ დაესხას, ისინი მაინც აჯობებენო. ზარდი ამშვილებს მოაბადს და ეუბნება: „ვინ იყოს ქუეყანასა ზედა კაცი ესეთი, რომლისაგან შენ ეგზომსა ჩიოდე და სტიროდე, როგორი ბრძანებაა ერთისა დიაცისაგან? აწ თუ გრძნებთა შავი დევიცა არის, მისგან უძაბუნესი ჩემსა ჯელსა არავინ იყოს“ (141, 3—6). შავი დევი არის საშინელების, რისხვისა და უბედურების განმსახიერებელი.

ვენახოთ, თუ როგორ არის ეს ადგილი „ვის ო რამინში“: „თუნდაც ის გადოსნობით აპრიმანის (ბოროტი სულის) მსგავსი იყოს, არავინ იქნება მასზე უფრო დაუძღურებელი ჩემს ხელში“. ინგლისურშიც შესაბამისად გვაქვს

¹² ამ საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. მულაყები, არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ნანა ფურცელაძემ, თბ., 1985, გვ. 13—20.
¹³ ვიკტორ ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

აპრიმანი (აპრიმანი). როგორც ვხედავთ, ორიგინალში გვაქვს ავი სული, ბოროტი სული აპრიმანი. ქართველი მთარგმნელისათვის უფრო ორგანულია შავი დევი, რომელიც საშინელი რისხვის მატარებელია. შავი დევი ხშირად გვხვდება როგორც ქართულ ზღაპრებში, ასევე ორიგინალურ ძეგლებში (მდრ. „ამირან-დარეჯანიანი“).

7. შავი ეშმა. მოაბადს ვისი ჩაკეტილი ჰყავდა აშქუფთდევანის ცახეში. იქ მას ნახულობდა რამინი. ერთხელ შაჰინშა მივიდა ვისის სანახავად, შევიდა ციხეში, რომელიც გარედან იყო დაკეტილი, მაგრამ ვისი შიგ არ დახვდა. გამწარებულმა მოაბადმა იგი იპოვა წალკოტში. შაჰინშა ეუბნება ვისს: „თუ დევიად გოქუა, მეტურფები; თუ ეშმაად, იგი შავი მასმია“ (171, 1—2). სპარსულში გვაქვს ბოროტი დევი (დევე ხაშმ ნლუდ). შაჰინშა უბატოსნებაში სდებს ვისს ბრალს.

შავი დევი და შავი ეშმა გრძნეულნი არიან. ისინი ჯადოსნობით გამოირჩევიან, მათ უნარი აქვთ ყველანაირი ავი და ბოროტი საქმის ჩადენის. სწორედ ამიტომ ადარებს მოაბადი ვისს შავ დევს, რომელიც ეშმაკეულია და გრძნეული. ქართველი მთარგმნელისათვის თავისთავად ისეთი საშინელი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები, როგორიცაა დევი და ეშმა, კიდევ უფრო მეტ მრისხანებას იძენს, როდესაც ისინი შავები არიან. აქ კიდევ ერთხელ ჩანს თარგმანისეული დანაშაუტი შავი ფერი (შავი დევი, შავი ეშმა), რომელიც საშინელების და საზიზღრობის ეფექტს აძლიერებს.

შავი დევი და შავი ეშმა „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება. თუმცა „ვეფხისტყაოსანის“ ზანგები და გრძნეულებიც შავი ფერისანი არიან. პოემის მონაზანგები შავი საქმეებით არიან დაკავებულნი, ისინი ჯადოსნობის მცოდნენი არიან, სიადიან შავ საქმეებს, არიან გრძნეულნი და უჩინარნი. იხ.: ფატმანის მიერ წარგზავნილმა ზანგმა ქაჯეთის ციხეში „ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი, შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-აბღდიანი“ (1265₁₋₂). ფატმანი ეუბნება ავთანდილს: „მე ორნი შავნი მონანი მყვანან საესენი გრძნებითა“ (1226₁); ფატმანმა ავთანდილს „მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი“ (1256₆); ფრიდონი აღნიშნავს, რომ ორ საშინელ მონას მოჰყავდა ნესტანი: „ამოქერეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი“ (618₁); იმავეს იმეორებს ფატმანიც: „ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი“ (1117₂), სწორედ ამ ორ შავ მონას აქვს პოემაში დაკისრებული საზარი მისია — ნესტანის გადაკარგვა.

ამდენად, პოემაში ზანგები და შავი მონები — ბოროტი, ავი საქმის ჩადენნი არიან. ყოველივე ამას ხაზს უსვამს მათი გარეგანი სიმპინჩევი.

„ამირანდარეჯანიანიში“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გვხვდება გრძნეულნი, ზანგები, „შავი“ კაცები. იხ.: „ვითა ვეღარა დაუშალეს, დელოფალმან მოუსხმევიანა სამნი კაცნი, შავნი ვითა კუბრნი“ (698, 13—15 ა); „მოიყუნა გრძნეული ერთი, შავნი მცირენი ღართნი ტანსა ესხნეს“ (740, 14—15 დამატ.); „...ორი პირი ჰქონდა: ერთი შავი — და ერთი — ვითა სისხლი. მით შავითა პირითა სპარსულად უბნობდა, და წითლისა ვერა გავიგონეთ რა“ (82, 4—6).

„ამირანდარეჯანიანიში“ არსად არ გვხვდება შავი ეშმა და შავი დევი. ძალიან ხშირად არიან შავი ფერის ვეშაპები, რომლებიც, ისევე როგორც შავი დევეები, ბოროტი საქმის მატარებელნი არიან. იხ.: „თქუა ბადრი იამანისძემან: „შავი — მე და თეთრი — თქვენ სამთავე“ (50, 3—4); „თქუა ამირან დარეჯანისძემან: „შავი — მე, თეთრი — შენ, სავარსამისძეო და წითელი — უსიბს“ (98, 1—3); „შავმან შემოუტევა უკანა და ჩანთქა ამირან დარეჯანისძე და გაიქცა“ (98, 6—7); „აიხუნა ხიშტნი და შეუტევა ცხენი შავსა ბადრი იამა-



ნისქემან და თეთრსა — ინდომან ჭაბუქმან“ (50, 5—6); „ორნი ვეშაპნი წკვილიდნი, ერთი შავი და ერთი თეთრი“ (50, 2—3); „გამოვიდეს სამნი ვეშაპნი საშინელნი: ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთი წითელი“ (97, 10—98, 1); „კე-შაპი იყო შავი და საზარელი მის ტბისა პატრონი“ (750, 5 დამატ.); „შავმან ვე-შაპმან შეუტევა ბადრი იამანისქესა ჩასანთქმელად“ (50, 6—8).

„ამირანღარეჯანიანის“ ვეშაპები არიან შავი, წითელი და თეთრი ფერის.

8. შავი — სილამაზის აღმნიშვნელი მეტაფორა. „ვისრაშიანში“ შავი თმა, შავი თვალ-წარბი სილამაზის გამომხატველია. რამისნ შავი წვერი მომზიბლო-ობას ანიჭებს. ავტორი გვეუბნება — რამინი „პირად მხესა ჰუჯანდა, თულ-წარბ შავი, თმანი — მდიდარნი და გრუზნი, შავნი წვერნი — მერცხლის ბო-ლო“ (38, 14); გულს „პირი ვარდიანსა წალოცთა უჯანდა და თმანი შავნი და გრუზნი სიჭირითა — შაქრისა ლერწამსა“ (187, 29—31).

რამინს წერს ვის: „საწუთრო თუალთა, ვითა ალყა, მკინმედ მინს და გული ჩემი შენთა შავთა თმათა ალყითა დაბმულია“ (258, 23—25).

„ვისრაშიანში“ ხშირად შავი თმის ნაცვლად გვხვდება მუშკის თმა (აქ ორ-გვარი შედარების საფუძველია — მუშკი ფერად შავია და სურნელოვანი). იხ. „მე იგი ვისი ვარ რომელ მზეა ჩემი პირი და თმა — მუშკი“ (206, 1) (შდრ. სპარსული მოშქე ნახ — სუფთა, ხალასი შეურეველი მუშკი); „ვისის... მუშკის ფერნი თმანი დაეგლიჯნა ერთობ და თუალთა სისხლისა ღუარნი ჩამოსდიოდა“ (157, 2—3) შდრ. სპარსული მოშქ ალუდ გისუ — მუშკითა მოსკრილი ნაწნავი); „შენ... მუშკის ფერთა თმათა იგლეჯ“ (197, 16) (სპ. მუიე მოშქინ — მუშკის თმა); „თმანი მისნი მუშკისა ტოილოსა ჰუჯანდეს“ (239, 33) (სპ. მოშქინ — მუშკის). „აბანოსა შედი, ვარდის წყლითა მუშკის — ფერი თმა დაიბანე“ (67, 24—25); (შდრ., სპარსული: ვარდის წყლით თავი და ნაწნავი (ვისუ) დაიბანე. აქ საერთოდ არ გვქვს მუშკი. იგი ამ შემთხვევაში მთარგმნელმა შეიტანა „ვის-რაშიანში“); „მოაქსენე ჩემავიერ . . . უკლებად ტურფანსა, თმა — მუშკსა, ბავე — იავუნდსა“ (76, 7—8) (შდრ. სპარსული: სიაჰ ზოლფინე ბოთ იწყუთე ლაბ რა — შავ ზოლფემან მზეთუნახავს, ბავე — იავუნდს); ქართულში გვქვს თმა-მუშკი, სპარსულში კი — შავი ზილფები; „მე იგი ვისი ვარ, მზისა მსგავსი, პირ-თეთ-რი, თმა-მუშკი, ტან-კუიპაროზი“ (1984, 1—2) (შდრ. სპარსული მე იგი ვისი ვარ მზის მსგავსი (ხორშიდ ფეიქარ), ტანაყრილი სარო (სარეე სავი), იასანის მკერდიანი (ია-სამინ ბარ)). ორიგინალში საერთოდ არ არის მოხსენებული თმა.

„ჯერეთ ეღვარობა ჩემი არ დახნელებულა, არცა მუშკისა ფერი თმა ჩემი არ გაქაფურებულა“ (260, 23—24) (შდრ. სპარსული: არც მუშკის ფერა ზილფი (მოშქინე ზოლფე მან) გადაქცეულა ქაფურად (ქაფურ გაშთეასთ)) და სხვ.

ამ სახის მაგალითების მოყვანა „ვისრაშიანში“ უამრავს შეიძლება. შავი თმა „ვისრაშიანში“ სამჯერ გვხვდება (იხ. ზემოთ), დანარჩენ შემთხვევაში ყველგან გვქვს მუშკის ფერი თმა, თმა-მუშკი. შავი ან მუშკის — თმა, მარგალიტით თეთრი კბილები და ვარდისფერი ლაწეები გამოყენებულია „ვისრაშიანის“ გმირთა სილამაზის დასახატავად.

„ვეფხისტყაოსანში“ ისევე, როგორც „ვისრაშიანში“ შავი ფერით არის დახატული გმირთა თვალები და წარბ-წამწამი.

ავთანდილს, თინათინს აქვთ შავი წამწამები: „მიკვირს, თუ გული ალმასი შავმან წამწამმან დალა რად!“ (705ა); თინათინის შესახებ რუსთაველი გვეუბნე-ბა: „შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი, მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი“ (122ა-ბ); ავთანდილი ამბობს თინა-თინზე: „ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია“ (1249ა); შეყვარე-ბული ფატმანი სწერს ავთანდილს: „გული ვერ გასძლებს ნიადგ შავთა წამ-წამთა სობასა“ (1075ვ);

ხშირია შავი ფერის თმის, თვალების დასახატავად გიშერასა და სათის გამოყენება. რაც შეეხება მუშკისფერ თმას იგი „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება. არ გვხვდება იგი „თამარიანშიც“.

მუშკა გვხვდება ერთხელ „ამირანდარეჯანიანში“. იხ. „მისნი სათხანნი თმანი ხატავეთისა მუშკსა გულსა სისხლითა უცხებენ“ (765, 12—13 დამატ.); და „აბდულმესიანი“ შდრ. ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა, მუშკს სურნელება შენგან მიეცა (58, 1);

ვეფხისტყაოსნის გმირთა თვალ-წარბ-წამწამი შავი, კბილები — მარგალიტი და საღაფი, ღაწვები — წითელი. შდრ. „შავ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა“ (1339); ნესტანი იყო „კბილ-თეთრი, ბაგე-ბაღახში, სახედავითა შავითა“ (1011) (იგულისხმება შავი თვალები).

ამდენად, როგორც ვნახეთ, შავი ფერი „ვისრამიანში“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გამოხატავს სევდას, გლოვას, მწუხარებას, უბედურებას. გვხვდება შავი სამგლოვიარო სამოსელი, შავი ბედი, შავი ღრუბელი, შავი ცა და შავი ქვეყანა, ბნელი (იგივე შავი) ღამე, შავი ცხენი, შავი დევი და შავი ეშმა. მეორე მხრივ, შავი ფერი სილამაზეს გამოხატავს. შავი ფერთაა დაბატული თმა, თვალები, წარბ-წამწამი, წვერი. „ამირანდარეჯანიანში“ ჩრდილთა ხელმწიფის ასული არის მზისა მსგავსად მშვენიერი: „მისი ბრწყინვალეობა ათხუთმეტისა დღისა მთოვარესა ემსგავსება, შავნი თვალნი — მელნისა მორეცხა: წარბი — მშვილდისა მსგავსად გაზიდული“ (770, 11—13).

ამრიგად, შავი ფერის ხმარების შემთხვევები ხშირია „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“; რაც შეეხება მეხოტბეებთან, „თამარიანში“ საერთოდ არ გვხვდება შავი ფერი, ხოლო „აბდულმესიანში“ ერთგანაა მხოლოდ მოხსენებული „შავი ტიპი“.

ლურჯი ფერი. ლურჯი ფერი „ვისრამიანში“, ისევე, როგორც შავი ფერი, გამოხატავს ვლოვას, მწუხარებას, დარდს.

1. ლურჯი სამგლოვიარო სამოსი ორჯერ გვხვდება. ვისის ძიძა სწერს წერილს შაჰროს, სადაც იგი უჩივის ვისს, რომელსაც არაფერი არ მოსწონს: „რაზომცა უსწორო ტანისამოსი შეუყერო, სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს: ყუითელი თუ შივართო, ამას იტყუის, ეგე სნეულთა სამოსი; თუ წითელი მოვილო, ესე საზოხბო; ლურჯი — მგლოვიარეთა ჰფერობსო; თეთრსა — ბერთა სამოსად იტყუის და ორფერსა — მწიგნობართად“ (39, 9—13); ე. ი. ლურჯი ფერის სამოსზე აქ ნათქვამია, რომ მას გლოვის აღსანიშნავად იცვამენ.

„ვისო რამინში“ იკითხება: „ყუითელი არის ცული რეპუტაციას ადამიანთა სამოსი, ლურჯი არის მგლოვიარეთა სამოსი, თეთრი არის სამოსი მოხუცებულთათვის, ორი ფერია მწიგნობართა სამოსი.“

რა რამინი და ვისი ერთმანეთს დააშორეს, ვისმა „ტანისამოსი მგლოვიარეთაებრ ლურჯი შეიმოსა მოყურისა გაყრისათვის“ (144, 14—15); შდრ. გორგანისთან: მისი ლურჯი სამოსი მგლოვიარეთა მსგავსი. შდრ. „ვეფხისტყაოსანს“: პოემაში ლურჯი ფერი, როგორც სამგლოვიარო ფერი, ნახსენებია, როდესაც გამარჯვებული ავთანდილი ნესტანთან და ტარიელთან ერთად არაბეთს ბრუნდება, მათ საზღვართან ეგებება ხალხი, რომლებიც შემოსილნი იყვნენ ლურჯი და მწვანე სამოსით: „მუნ შიგან მყოფსა ემოსა ტანსა ლურჯი და მწვანე, ავთანდილისთვის ყველაი ცრემლითა არს ნაბანები“ (1489-4); ე. ი. ხალხს ეცია ლურჯი და მწვანე სამოსით — გვეუბნება რუსთაველი.

ვ. ნოზაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „ლურჯი გლოვის ფერი; მწვანე — იმედისა. სოფლისა და ციხეთა ხალხის ლურჯი სამოსელი გამოხატავს ავ-

თანდილზე მწუხარებას, ხოლო მწვანე კი იმედს მისი დაბრუნების შესახებ.

2. **ლურჯი ღრუბელი.** სიყვარულისაგან გატანჯული ვისი სთხოვს მიძახებს მინის მობრუნებას. იგი უჩივის თავის ბედს და ეუბნება ძიძას: „შავისა ბუქისა გრიგალისაგან მტუერი ადგა ჩემთვის, ლურჯისა ღრუბელისაგან ფათერაკი წუიმიდა. ჩემთვის“ (262, 32-34); შღრ. გორგანისთან: „შვემა ქარმა წვალემა მომიტანა, ლურჯი ღრუბელი ჩემზე ზემოდან დარდს აწვიმებდა“ (სიაპ ბნდ — შავი ქარი და ქებულ შბრ — ლურჯი ღრუბელი). ორიგინალის შავი ქარი და ლურჯი ღრუბელი ზუსტად შეესატყვისება „ვისრამიანს“. ქართველ მთარგმნელს აქ ზედმიწევნით დაუცავს სიზუსტე. ორივე აღნიშნავს უბედურებას.

3. **ლურჯი ცა.** „დღეს ლურჯსა ცასა ქუეშე და შვესა ქუეყანასა ზედა ჩემგან უფრო საბრალო და გულწყლული არავინ არის“ (52, 10—11). სპარსულში გვქვს: ქვეყნად არავინ არის უბედურებით ჩემი ტოლი (ჯუფთი). ზემოთ, როდესაც საუბარი გვქონდა შავი ფერის შესახებ, აღვნიშნეთ, რომ ამ ადგილას „ვის ო რამინში“ არსად არ არის საუბარი ლურჯ ცასა და შავ ქვეყანაზე. აქ პირდაპირაა მითითებული, რომ ვის უბედურებაში ბადალი არა ჰყავს. ქართველი მთარგმნელი, რომელსაც სურს მთელი სიცხადით აჩვენოს ვისის სულიერი მდგომარეობა, მისი მწუხარება, ქვეყანას შავი ფერით წარმოგვიდგენს, ხოლო ცას — ლურჯით და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალის უბედურებას.

„ვეფხისტყაოსანში“ ლურჯი ღრუბელი და ლურჯი ცა არც ერთხელ არ გვხვდება, ისევე როგორც არ გვხვდება შავი ღრუბელი, შავი ცა და შავი ქვეყანა.

4. ლურჯი ფერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოხატავს სიმწარეს, ტანჯვას. ვისი, ხვდება რა რამინს პირველად, ხელთ აძლევს მას იის კონას და ეუბნება: „სადაც ახალსა იასა ნახედე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავ-ჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო“ (101, 24—26). გორაბში რამინი იგონებს ვისის ნათქვამს (იხ. 227, 3—6). ამ ადგილას სპარსულში იკითხება: სადაც ნახავ ახალ ამოსულ იას, ეს ფიცი და აღთქმა გაიხსენე, ასეთი ლურჯი და მოხრილი იყავი, თუ შენ ჩემი ფიცი გასტეხო.

როგორც ვხედავთ, ლურჯად და თავჩამოგდებით ყოფნა გამოხატავს, როგორც დარდს, ასევე მიუთითებს ფიზიკურ სიუშნოვეზე და სიმახინჯეზე. შღრ. „ვეფხისტყაოსანი“. როდესაც არაბეთიდან დაბრუნებული ავთანდილი პოეზიკოსს შამბნარში გულწასულ ტარიელს, პოეტი გვეუბნება:

„ავთანდილ მკერდა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა;
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა,
თვალნი ახვნა, მიეცა ქალი ზე წამოჯდომისა.
ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-წყართომისა“ (1333).

მთვარის შუქი აქ არის ტარიელი, რომელიც „ლურჯად“ ჩანს, რადგან მწეს მოკლებული და მოშორებულია.

პოემაში ლურჯად ქცევა, გალურჯება, ლაყვარდის ფერის მიღება სიუშნოვეს, არასიჯანსაღეს აღნიშნავს. ავთანდილმა უსულო ტარიელს დაასხა ლომის სისხლი: „მკერდა დაასხა, გავეხდა ლაყვარდი ფერად ლალისად“ (1332₄); ე. ი. ტარიელის ლაყვარდის ფერი (იგივე ლურჯი) მკერდი ლალისფერი გახდა. ან „ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა; ბროლი და ლალი გათლილი ლაყვარდად გარდიქცეოდა“, ე. ი. ბროლი და გათლილი ლალი (პირისახე) ულურჯდებოდა. იხ. აგრეთვე „შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-

ნაბღიანი; იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი, შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის-ფერად — იანი“ (1265, 2—4). ქაჯეთის ციხეში მყოფი შემინებული ნესტანის პირისახე (ვარდი) გაყვითლდა (ზაფრანად იქცა), ხოლო ბაგეები გაულურჯდა.

ლაქვარდის ფერი, ისევე როგორც ლურჯი-მწუხარების, დარდის ფერია.

ლილის ფერი არის იგივე ლურჯი ფერი. „ვისრამიანში“ ლილის ფერიც გამოხატავს წუხილს, დარდს. ლილის ფერი ხდება აგრეთვე სხეული ცემისაგან. იხ. „მისი ვარდის-ფერობა ზაფრანად გაგიჟდია და მისნი ფრჩხილნი — ლილის ფერად“ (246, 37—38). შდრ. გორგანისთან: მისი სახე ზაფრანისფერი გახდა, მისი ფრჩხილები — ლურჯი (ნილ-ლურჯი, ინდიგო). ორიგინალისეული ნილოსის ფერი „ვისრამიანში“ გადმოტანილია, როგორც ლილისფერი.

„ვისრამიანში“ ქვეყანა ლილის ფერსა შედარებული, რაც შავ ბედსა და მწუხარებას გამოხატავს: „ქუეყანა ლილის ფერად ქმნილ იყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგუნდა“ (59, 23—24). აქაც სპარსულში არის ლურჯი ფერი (ნილ გუნ) ლილის ფერის სანაცვლოდ ჩანს, ქართული სინამდვილისათვის უფრო იყო დამახასიათებელი ლილის ფერის ხმარება. შდრ. „ვეფხისტყაოსანს“: „შეყვარებული ტარიელი ბრუნდება სახლში. იგი უყვება ავთანდილს: „საწოლს შემოვე, ხელ-ქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა, ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა; ღამე მერჩია, მეწადა არ-ვათენება დილისა“ (392, 2-4), ბროლსა და ლალში აქ იგულისხმება ტარიელის პირისახე და ლაქვები, რომელიც მას დარდისაგან ლილასავით გაულურჯდა.

ლილის ფერი ხდება „ვისრამიანში“ სხეული ცემისაგან. „რა ვისმან ესე გაიგონა, ორისავე ჯიღითა პირი და მკერდი ლილის ფერად გაიჟადა“ (53, 15—16). შდრ. ორიგინალს: რა გულის წამლებმა ვისმა ესე ამბავი გაიგონა, ბროლის მკერდზე გამეტებით (უშიშრად) დაიწყო დარტყმა.

აქ „ვის ო რამინში“ საერთოდ ფერი არ არის მითითებული, ჩანს მხოლოდ, თუ როგორ ირტყამდა ხელს გამეტებით ვისი ბროლის მკერდზე. ამ ადგილის ქართული თარგმანი ფერწერულად უფრო მკვეთრ და ლამაზ სურათს იძლევა, რაც უდავოდ ქართველი მთარგმნელის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

„ვეფხისტყაოსანში“ დავარმა ნესტანი — „დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა“ (572); ან „რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა“ (573, 1). გალურჯება აქ გულისხმობს ცემის შედეგად რაიმე ადგილის ჩალურჯება-ჩაშავებას.

ცისფერი „ვისრამიანში“. როდესაც რამინმა პირველად ნახა ვისი, მას: „პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბაგე წითლისა იაგუნდისა მსგავსი ცისფერად შეექმნა“ (61, 31—33). ე. ი. მიჯნურობის ცენტლში ისე დაწვა რამინის გული, რომ მისი ვარდის მსგავსი პირისახე გაყვითლდა (ზაფრანის ფერი გახდა), ხოლო წითელი იაგუნდის მსგავსი ბაგე მოთლოდნელად გაუცისფრდა. იხ. „ვის ო რამინში“: ვარდისფერი პირისახე ზაფრანისფერი გაუხდა, ღვინისფერი ბაგეები გაუხდა ცისფერი. ორიგინალის ღვინისფერი ბაგეები ქართულში შეცვლილია წითელი იაგუნდის მსგავსი ბაგით; რაც შეეხება ცისფერს, იგი ზუსტად იმეორებს ორიგინალს (ასმან გუნ — ცისფერი). ცისფერი ამ შემთხვევაში იმეორებს იმავე შინაარსს, რასაც ლურჯი და მწუხარებას უსვამს ხაზს.

იისფერი „ვისრამიანში“. შავ ცხენზე ამხედრებულმა, შავით მოსილმა ზარდმა „ქუბო მოიტანა ისფრითა შეკაზმული და შაპი მოაბადის წიგნი“ (42, 5—6). ეს ადგილი ორიგინალში საერთოდ არ გვაქვს.

„ვეფხისტყაოსანში“ იისფერი სამგლოვიარო ფერია. ნესტან-დარეჯანი გაიპარა გულანშაროდან. მეფე მელიქ-სურხავი დიდად დაამწუხრა ამგვარმა ბავშვმა: „მას აქათ იგლოვს ხელმწიფე და ყოვლნი მისნი ხლებულნი. დახედენ დარბაზის ერთა, შევლენ ისფრითა ლებულნი!“ (1191₂-4). ე. ი. დამწუხრებულ მეფესთან ხალხი შედიოდა ისფრით შეღებილი სამოსით.

სულხან-საბა ორბელიანი წერს: ის-ფერი არი ამეთვისტო. „ამეთვისტო“ წითელი და ის-ფერია; იაგუნდს ჰგავს. ის-ფერი არის იისფერი, ე. ი. მუქი ლურჯი.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, აქ იისფერი გლოვის ფერია; იისფერი სამოსი აქ ლურჯი და შავი სამოსის დარად წუხილს გამოხატავს, მას სამგლოვიაროდ იყენებდნენ.

ამრიგად, „ვესრამიანში“ გვხვდება ლურჯი ფერა (სამოსელი — სამგლოვიარო, ლურჯი ღრუბელი, ლურჯი გამოხატავს სიუშნოვეს) და ლურჯი ფერის სახესხვაობანი — ლილის ფერი, ცისფერი და ისფერი.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, აქაც ლურჯი ფერით გამოხატულია ერთგან ლურჯი (სამგლოვიარო) სამოსი; გვხვდება ლაყვარდის ფერა (პირისახის გალაყვარდება-გალურჯება), ლილის ფერი (იხ. „ბროლი და ლალი შევექმენ მუ ულურჯესი ლილისა“. 392₃) და ისფერი (სამგლოვიარო სამოსის ფერი).

„ამირანდარეჯანიანში“, „აბდულმესიანსა“ და „თაძარიანში“ არ გვხვდება ლურჯი, ლილისფერი, ცისფერი და ისფერი ფერები საერთოდ.

Т. Р. ТАБИДЗЕ

СИМВОЛИКА ЧЕРНОГО (СИНЕГО) ЦВЕТА В «ВИСРАМИАНИ» И В ГРУЗИНСКИХ ОРИГИНАЛЬНЫХ ПАМЯТНИКАХ КЛАССИЧЕСКОГО ПЕРИОДА

Резюме

Символика цвета имеет большое значение для изучения художественной системы произведения.

Грузинская, как и восточная (персидская) поэзия характеризуется нюансированным цветовым восприятием. Изучение цветописы «Висрамиани» очень важно для исследования грузинских памятников (оригиналов) XII века — «Вепхисткаосани», «Амирандареджаниани», «Тамариани» и «Абдулмесани». Анализ символики черного и синего цвета в «Висрамиани» дан путем сопоставления с вышеупомянутыми памятниками средневековья.

Основное значение черного цвета — передать траур, скорбь, несчастье, вторичное — красоту (вместе с белым и красным).

Встречаются определения: черная одежда (траур), черная судьба, черные тучи, небо и черная страна, темная ночь, черный конь, черный дьявол, а также черный цвет, обозначающий красоту волос, бровей и глаз. В эту группу входит также мускус (ароматное вещество), который передает черноту волос.

Синий цвет в «Висрамиани», так же как и черный, передает несчастье, скорбь. Синяя траурная одежда встречается наряду с черной. В произведении синий цвет наряду с черным обозначает небо, облака, привнося в него тот же смысл. Рассмотрены разновидности синего цвета — лиловый, голубой, фиолетовый. Они, как и черный цвет, являются носителями горя и несчастья.

Эти цвета встречаются в «Висрамиани» и «Вепхисткаосани»; что касается «Амирандареджаниани», «Тамариани» и «Абдулмесияни», то в этих произведениях синий, лиловый, голубой и фиолетовый цвета не встречаются.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური
ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტმა ა. გვახარიაშვილმა

კონსტანტინე ფრობიძე

 გიორგი ახვლედიანის შეხედულებანი პიროვნების
 ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე

გიორგი ახვლედიანი ეკუთვნის თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა იმ სახელოვან პლეადას, რომელსაც დიდი ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა.

1987 წელს მთელმა ჩვენმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა გიორგი ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავის იუბილე და ღირსეული პატივი მიაგო მის ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე.

გ. ახვლედიანი არ იყო მხოლოდ ვიწრო პროფესიული ინტერესებით შეზღუდული პიროვნება. იგი იყო არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი, არამედ თვალსაჩინო პედაგოგი და ფართო საზოგადოებრივი მისწრაფებებით დაჯილდოებული ადამიანი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების დაარსებაში. მან თავისი თავდადებული და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობით სახელი გაითქვა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანაში, როგორც დიდმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ. იგი ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის დიდი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

გიორგი ახვლედიანის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დიდად საყურადღებო და აქტუალურია მისი შეხედულებანი პიროვნების ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე.

გიორგი ახვლედიანის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პიროვნების აღზრდის საკითხებს, უმთავრესად ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის, პატრიოტის აღზრდის საკითხებს. ამ საკითხებს გიორგი ახვლედიანი აყენებს და წყვეტს ხალხურობის თავისი შეხედულების სინათლეზე და ისინი მნიშვნელოვან განძს წარმოადგენენ აღზრდის თეორიაში. ამ მხრივ გიორგი ახვლედიანის მეცნიერულ-პედაგოგიკური შრომებია მისი სახელმძღვანელოები, აგრეთვე საარქივო მასალები, უურნალ-გაზეთების სტატიები ფრიად სრულფასოვანია მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, პარმონიულად განვითარებულ პიროვნებად გიორგი ახვლედიანს მიაჩნდა გონებრივად მომწიფებული, ზნეობრივად სრულყოფილი და ფიზიკურად განვითარებული ადამიანი. ამ ძირითად თვისებათაგან წამყვანად და ადამიანის პიროვნების განმსაზღვრელად იგი ზნეობრივ სრულყოფას თვლიდა. გიორგი ახვლედიანის აზრით, ზნეობრივი გრძნობა ადამიანის სულის უკეთილშობილესი და უზენაესი აღმონაცენია, რომელიც კარგად მოვლასა და მზრუნველობას საჭიროებს. იგი წერს: „უპირველეს ყოვლისა ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს მაღალი ზნეობრივი გავლენა მოვახდინოთ მომავალ თაობაზე, რომელიც უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე გონებრივი განვითარება საერთოდ, თავის გადატვირთვა სხვადასხვა უიდეო ცოდნით“¹.

რა თქმა უნდა, გიორგი ახვლედიანი არასდროს არ აცალკევებს სწავლებას აღზრდისაგან. იგი გვასწავლის: არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ „ადამიანებს მხოლოდ აინტერესებს გონებრივი განვითარება და არა ზნეობრივი

¹ თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი, ფონდი 398, აღწ. 1, შესან. ერთ. 2, გვ. 3.

სრულყოფა. არსებითად, ორივე ეს განვითარება მათ ერთიანობაში მიმდინარეობს².



ზნეობრიობა გიორგი ახვლედიანს გონებრივი განვითარების ბუნებრივ შედეგად როდი მიაჩნდა: იგი მას პედაგოგიკური თეორიის სპეციალურ დარგად თვლიდა, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავდა, რომ მორალურ თვისებათა აღზრდის მთავარი ფაქტორია სწავლება და ის გავლენა, რომელსაც ადამიანში პიროვნების ჩამოყალიბებაზე მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრება ახდენს. „საკუთარი გამოცდილებით გვჩერა, რომ ოჯახურმა და საზოგადოებრივმა აღზრდამ შეიძლება ვაღამწყვეტი გავლენა მოახდინოს ადამიანში ზნეობრივ ღირსებათა განვითარებაზე, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ სწავლულობასა და ვინებრივ განვითარებას ყოველთვის არ მოჰყვეს მაღალზნეობრივი მხარეება“³.

აქედან ცხადია, თუ რით იყო გამოწვეული გიორგი ახვლედიანის მოთხოვნა — მოსწავლეთა მთელი აღზრდა და სწავლება ხალხის ინტერესებისათვის დაქვემდებარებით... „რა საჭიროა ლიტერატურის, ისტორიისა და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლება, თუ ისინი კაცთმოყვარეობასა და ჰუმანარიტებას არ შეაყვარებს მოსწავლეს“⁴. გიორგი ახვლედიანი მოითხოვდა აგრეთვე, რომ სკოლა და მთელი აღზრდა სამშობლოსა და ხალხსადმი სამსახურის ინტერესებით ყოფილიყო გამსჭვალული. იგი წერს: „მხოლოდ იმ აღზრდას აქვს ჰუმანიტი აღმზრდელი თითი ძალა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ აზრს და არა იმ აღზრდას, როცა ეყრდნობა კერძო ახირებულ მოთხოვნებს“⁵.

ადამიანი გონებრივად განვითარებულიც უნდა იყოს და მორალურად სრულყოფილიც. „სასებით შეიძლება ენდო მხოლოდ იმ ადამიანს, ვისაც კეთილი გული აქვს და ამასთან განათლებული და ჰკვიანიც არის“⁶. — გვასწავლის გიორგი ახვლედიანი.

ყოველივე აქედან გამომდინარე, პიროვნების ზნეობრივი აღზრდის ამოცანას გიორგი ახვლედიანი ყველა იმ ღონისძიებისა და ზრუნვის ცენტრში აყენებს, რომლებსაც ბავშვთა აღსაზრდელად წარმართავენ სკოლა, ოჯახი და საზოგადოება.

ამგვარად, მოსწავლეები, რომ გარკვეული მიმართულებით აღზარდოთ. საჭიროა არა მარტო ვასწავლოთ მათ, არამედ აღზარდოთ ისინი მასწავლებლის, სკოლის კოლექტივის, ოჯახისა და საზოგადოების ერთიანი მიდევომის საფუძველზე; ამასთან მასწავლებელს ხელმძღვანელი როლი უნდა მიენიჭოს. ასეთია გიორგი ახვლედიანის შეხედულებათა საერთო ხასიათი.

გიორგი ახვლედიანის პედაგოგიკური მემკვიდრეობის, აგრეთვე საჯარო გამოსვლების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მისი მაღალზნეობრივი პიროვნების თვისებები: 1. სამშობლოს სიყვარული, 2. ჰუმანურობა, 3. სიმართლისმოყვარეობა, 4. ღირსეული თავმოყვარეობა, 5. შრომისმოყვარეობა. 6. პასუხისმგებლობის გრძნობა, 7. დისციპლინიანობა, 8. ესთეტიკური გრძნობა, 9. მტკიცე ხასიათი და ძლიერი ნებისყოფა. ყველა ამ თვისებას გიორგი ახვლედიანი განიხილავდა არა როგორც აღზრდის ერთიმეორისაგან იზოლირებულსა და დამოუკიდებლად განვითარებად ნაწილებს, არამედ როგორც პიროვნების აღზრდის ერთიანი პროცესის ისეთ მხარეებს, რომლებიც ამ პროცესში, ისევე რო-

2 იქვე, გვ. 4.

3 იქვე, ფონდი 490, აღწ. 1, შესან. ერთ. 10, გვ. 5.

4 იქვე, გვ. 5.

5 იქვე, ფონდი 396, საქმე 23, ანაწ. 1, გვ. 2.

6 იქვე, გვ. 7.





გორც სინამდვილეში, ერთიმეორეს ეხლართებიან და განაპირობებენ როგორც ერთიმეორეს, ისე მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას. ასე, მაგალითად პატრიოტული გრძნობის აღზრდისას ჩვენ ამავე დროს ნებისყოფასა და ხასიათსაც აღვზრდით, და პირუკუ — ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათისაგან მოწყვეტით შეუძლებელია ჭეშმარიტი პატრიოტიზმის აღზრდა.

ყველაზე მაღალ, ძლიერ გრძნობად „საზოგადოებრივ დულაბად“ მიაჩნდა გიორგი ახვლედიანს პატრიოტული გრძნობა. იგი წერს: „პატრიოტი ადამიანი არის ისეთი პიროვნება, რომელიც ყველა თავის პიროვნულ ინტერესს სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს უმორჩილებს“⁷.

პატრიოტიზმში გიორგი ახვლედიანი ხედავს იმ დიდ ძალას, რომელსაც შეუძლია დაიცვას სამშობლოს ღირსება, ხალხთა მეგობრობა და დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს მისი როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წინსვლა. სწორედ ასეთი პატრიოტი-ინტერნაციონალისტი იყო თვითონ გიორგი ახვლედიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის.

გიორგი ახვლედიანს, როგორც ინტერნაციონალისტს მაღალ შეფასებას აძლევს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, რომელიც წერს: „მხურვალე პატრიოტიზმს უმშვენებდა სხვა ერებისადმი მოკრძალებული პატივისცემა, ის, რასაც ჩვენ ინტერნაციონალიზმს ვეძახით. იცოდა, რომ დღეს უამისოდ ცხოვრება არა მარტო შეუძლებელია, არამედ უგუნურებია. ამ მხრივაც გიორგი ახვლედიანი თანამედროვე კაცი იყო“⁸.

გიორგი ახვლედიანის აზრით, ნამდვილი პატრიოტი სრულიად უყოყმანოდ მზად უნდა იყოს საკუთარი სიცოცხლე შესწიროს ხალხს, სამშობლოს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იცადეს გარეშე მტრებისაგან თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს ღირსებას, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ამასთან განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გიორგი ახვლედიანი სწორედ იმ დროს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში, როცა სამშობლო მძიმე განსაცდელში იმყოფებოდა. აქ აუცილებელია გავიხსენოთ გიორგი ჯიბლაძის გულწრფელი სიტყვები, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. იგი წერს: „უანგარო პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ახალგაზრდობიდანვე მისი ჭირ-ვარამის უშუალო მონაწილე გიორგი ახვლედიანი 55 წლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შევიდა 1942 წლის დასაწყისში. უძძიძვის განსაცდელის ჟამს, როცა ფაშისმის ურდოები კავკასიონს მოადგნენ და საქართველოს აოხრებდნენ... გიორგი ახვლედიანი სიკვდილის შემდეგაც უკვდავი იქნება თავისი ფასდაუღებელი უთვალავი საქმით, რომლებიც მისმა ტალანტმა და სიცოცხლისადმი უსაზღვრო სიყვარულით მფეთქებმა გულმა მთლიანად სამშობლოს აღორძინებას მიუძღვნა“⁹.

აქ უადგილო არ იქნება თუ მოვიყვანთ გიორგი ახვლედიანის განცხადებას ტექსტს მისი პარტიის რიგებში შესვლასთან დაკავშირებით. იგი წერს: „სერიოზული საფრთხის ჟამს, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს ქვეყანას, მსურს უფრო მკვიდრო კავშირი მქონდეს ჩვენს პარტიასთან, მის პირველადს

7 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, აღწ. 19, საქმე 635, გვ. 25.
 8 ეურნ. „ცისკარი“, 1988, № 1, გვ. 2.
 9 გ. ჯიბლაძე, დიდი მეცნიერი, დიდი მოღვაწე, გაზ. „კომუნისტა“, 1972, 10 ავგ., გვ. 3.

პარტიულ ორგანიზაციასთან, ამიტომ გთხოვთ მიმართო საქ. კ(პ) წევრობის კანდიდატად¹⁰.

გიორგი ახვლედიანი განსაკუთრებულ მაღალ პარტიულ შემართებას იჩენდა სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებისათვის. მისი აზრით, სოციალისტური პარტიოტიზმი ერთმანეთთან ჰარმონიულად ახამებს ხალხთა ეროვნულ ინტერესებსა და ყველა ერის მშრომელთა საერთო ინტერესებს. იგი ემყარება ყველა ერის მშრომელთა მეგობრობის, სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების იდეოლოგიასა და პოლიტიკას. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყანა ეროვნულად კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც თავისუფლებისა და ნებაყოფლობის პრინციპზე პირველად შექმნა მრავალეროვანი სახელმწიფო — სსრ კავშირი. გიორგი ახვლედიანი წერს: „მანამდე ვერც ერთმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა წყობამ ვერ შეძლო შეექმნა ამგვარი მრავალეროვანი სახელმწიფოს უმადლესი ტიპი, მხოლოდ აქ გახდა შესაძლებელი დიდი და პატარა ერების ურთიერთდახმარება, რამაც ეროვნული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის არანახული აყვავება გამოიწვია.“

საბჭოთა საქართველოში ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების წარმატებები საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ნათელ დაღასტურებას წარმოადგენს¹¹.

პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში გიორგი ახვლედიანი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომას. მისი აზრით, ადამიანს ახასიათებს მისწრაფება შრომისადმი, საქმიანობისადმი. იგი წერს: „შრომის მეშვეობით იქცევა კაცი ადამიანად, შრომა სულიერად ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს, სრულყოფილს ხდის მის პიროვნებას“¹².

მამასადამე, შრომა აღზრდის საფუძველი და ფაქტორი კი არ არის მხოლოდ, არამედ თვითაღზრდაა. გიორგი ახვლედიანი წერს: „თუ აღზრდას ადამიანის გაბედნიერება სურს, მაშინ მან იგი მხოლოდ შრომისათვის უნდა მოამზადოს. ამასთან აღზრდამ მოსწავლეებში უნდა აღძრას და განავითაროს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება და მისი შესაბამისი ჩვევები“¹³.

გიორგი ახვლედიანის აზრით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა გულისხმობს დიდი მიზნის შეგნების აღზრდას, მიზნისა, რომელიც მოცემულია თითოეულ თვით პატარა საქმეშიც კი. გიორგი ახვლედიანი წერს: „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება გულისხმობს, რომ ადამიანი შრომაში აქსოვს მთელ თავის უნარს და ამავე დროს ავითარებს მას. შრომით საქმიანობაში პოულობს თავის გამოხატულებას პიროვნების ფიზიკური, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური მხარეები“¹⁴.

ამგვარად, ადამიანში შრომითი ჩვევების განვითარება გიორგი ახვლედიანის ზნეობრივი აღზრდის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

გიორგი ახვლედიანის აზრით, მოსწავლეებს სწავლისა და შრომის პროცესში უნდა გამოუმუშავდეს დისციპლინაინობა, თავისი მოვალეობის შესრულებისათვის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. „ყოველგვარ შრომას და კეთილ მოქმედებას, — წერს იგი, — საფუძვლად უნდა ედოს წესრიგი და დის-

10 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, აღწ. 19, საქმე 635, გვ. 26.

11 ვაზ. „საბჭოთა მოსწავლეები“, 1945, 6 ნომბ., გვ. 3.

12 თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი, ფონდი 396, საქმე 23, აღწ. 1, გვ. 4.

13 იქვე, ფონდი 490, აღწ. 1, შესან. ერთ. 10, გვ. 6.

14 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, აღწ. 19, შეს. ერთ. 737, გვ. 12.

ციბლინა. უამისოდ ყოველი ჩენი საქმიანობა ნაკლოვანი, უვარგისი იქნება, ან შეიძლება სრულიად არ შესრულდეს“¹⁵.

გიორგი ახვლედიანი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვებში პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებასთან ერთად ურიგო საქციელის გამო სირცხვილის გრძნობის განვითარებას. სირცხვილის გრძნობას იგი განიხილავს როგორც ფსიქოლოგიური, ისე პედაგოგიკური თვალსაზრისით და მთელ რიგ შესანიშნავ პრაქტიკულ მითითებებს გვაძლევს ამ მხრივ.

გიორგი ახვლედიანი მოითხოვს აღზრდისა და სწავლების საქმის ისე დაყენებას, რომ ადამიანში სირცხვილის გრძნობა მოკრძალების გრძნობასთან ერთიანობაში გამომუშავდეს. გიორგი ახვლედიანი რჩევას აძლევს პედაგოგებს: როცა მოსწავლე უღირს საქციელს ჩაიდენს ან საზოგადოებრივ წესებს დაარღვევს, მისი გამოსწორების მიზნით სწორედ ამ სირცხვილის გრძნობას უნდა მიმართონ. გიორგი ახვლედიანის მართებული აზრით, „ნამდვილი აღზრდა სირცხვილის გრძნობას აღვიძებს მოსწავლეებში, ხოლო ამ გრძნობის აღზრდა სწორედ კოლექტივშია შესაძლებელი, სადაც იგი იმყოფება. ყოველ ადამიანს იმის ერცხვინება, რაც მიჩნეულია საზოგადოების მიერ სამარცხვინოდ, ან ვის აზრსაც პატივსცემს“¹⁶.

გიორგი ახვლედიანი მოსწავლეებში ზნეობრივ-ესთეტიკურ გრძნობათა აღზრდის თვალსაზრისით აღნიშნავს მხატვრული ლიტერატურის, მუსიკის, ხელოვნების, იჯავ-არაკების, ხალხური თქმულებებისა და, რაც მთავარია, ხალხური ენის მნიშვნელობას. გიორგი ახვლედიანი მასწავლებლისაგან მოითხოვს — „სწავლა-აღზრდის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბავშვებში იმ უნარის აღზრდას, რომ მათ იგრძნონ, განიცადონ, დატკვენ ყოველივეთი, რაც კი მშვენიერია ბუნებაში, საზოგადოებასა და ცხოვრებაში“.

გიორგი ახვლედიანი მასწავლებლის ყურადღებას იმაზეც მიაპყრობს, რომ „სკოლაში სწავლებისა და აღზრდის ფორმაც და შინაარსიც ავითარებს მშვენიერების სიყვარულს“¹⁷.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნების აღზრდის საკითხს გიორგი ახვლედიანი მუდამ უკავშირებდა იმ ამოცანას, რომ „ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ძირითადი თვისებები უნდა იყოს მტკიცე ხასიათი, ძლიერი ნებისყოფა, რაც მთლიანი პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი“¹⁸.

გიორგი ახვლედიანი აღზრდის თავის შეხედულებებს აგებდა და ასაბუთებდა შეგნებულების პრინციპით, ბავშვის პიროვნების, მისი აწმყოს აღიარებისა და პატივისცემის პრინციპით. ამ პედაგოგიურ სისტემაში საუკეთესო პედაგოგიურ ზომად მას მიაჩნდა მასწავლებლის პირადი მაგალითი, „ვიანიდან ბავშვი იზრდება და ვითარდება მხოლოდ აღმზრდელის პირდაპირი გავლენით, ამიტომ მისი აღმზრდელითი გავლენის ქვეშ უნდა იყოს ბავშვის ტანსაცმელი, საკმელი და ა. შ. აღმზრდელის გავლენის გარდა მას ვერაფერი ვერ შეეცლის. ზნეობრივი მაგალითი ბავშვებს უნდა მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ დადებითი ფორმებით“¹⁹.

15 ვაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1969, 30 აგვ., გვ. 2.
16 თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი, ფონდი 490, აღწ. 1, შესან. ერთ. 10, გვ. 7.
17 იქვე, ფონდი 396, საქმე 23, ანაწ. 1, გვ. 10.
18 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ. 19, საქმე 478, გვ. 84.
19 თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი, ფონდი 490, აღწ. 1, შესან. ერთ. 11, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი № 10, გვ. 4.

გიორგი ახვლედიანი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლის ადმინისტრაციის, კლასის ხელმძღვანელის, მასწავლებლის, ოჯახისა და საზოგადოების ღონისძიებათა ერთობლიობას ერთიანი მიდგომის საფუძველზე მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მთელ სისტემაში, მაგრამ „აღზრდაში ვადა-მწყვებტ, წამყვან როლს მაინც მასწავლებელი ასრულებს, მხოლოდ მასწავლებელს შეუძლია სწავლება პირად მაგალითს შეუხამოს და მათს ერთიანობას ზნეობრივი აღზრდის ფაქტორის ძალა მიანიჭოს“²⁰, — ამბობს გიორგი ახვლედიანი. იგი ხაზს უსვამდა საოჯახო აღზრდის საუკეთესო ფაქტორის მნიშვნელობას, როგორც შესანიშნავ „პირად მაგალითს“, როდესაც იგი ეხებოდა ბავშვებში განსაზღვრული მორალური თვისებების გამომუშავებას ოჯახურ გარემოში. გიორგი ახვლედიანი წერს: „ოჯახში ბავშვებისათვის პირად მაგალითს წარმოადგენენ უპირველეს ყოვლისა დედა, მამა, ბებია, ბაბუა და სხვები. მათ პირადი გამოცდილებით კარგად იციან, რომ აღზრდაში გადამწყვეტია მათი პირადი მაგალითი, რომელსაც ყოველ წამში ხედავენ, გრძნობენ და განიცდიან ბავშვები“²¹.

გამოჩენილი მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღზრდის პრინციპებისა და ნორმების დაცვას, რომელიც წარმოადგენს კრიტიკიუმს ადამიანთა საქციელისა და მოქმედების შესაფასებლად ისეთი ცნებების თვალსაზრისით, როგორცაა სიკეთე და ბოროტება, სამართლიანობა და უსამართლობა, პატიოსნება და უპატიოსნება. გიორგი ახვლედიანის აზრით, ზნეობრივი პრინციპები და ნორმები აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთობას ერთმანეთთან, საზოგადოებასთან, ოჯახთან. „ჩვენ, მოხუცებს, — ამბობდა იგი, — გვინდა, რომ თქვენ გიხილოთ უკეთესები, ვიდრე ჩვენ ვართ, ჩვენ გვინდა, თქვენ შეძლოთ, გარჩიოთ კეთილი ბოროტისაგან და იმოქმედოთ მთელი ცხოვრების მანძილზე კეთილი გულით და კეთილი აზრით, კეთილი სიტყვით და კეთილი საქმით — აი, რა ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას, როგორც პიროვნულს, ისე საზოგადოებრივს. მოერიდეთ გამობოროტებას, მტრობას და ღვარძლს — და იპას, რაც წამლავს როგორც პიროვნულ ცხოვრებას, ისე საზოგადოებრივს. ერიდეთ სიკრუტეს, ჭორებს იმას, რაც არცხვენს ადამიანის პიროვნებას“²².

ასეთია მოკლედი გიორგი ახვლედიანის შეხედულებათა ძირითადი არსი პიროვნების ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე, რომელიც ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში ხორციელდება. ეს შეხედულებანი უაღრესად სასარგებლო და აქტუალურია ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი ჩვენი პარტიის ისტორიული XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმებისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახორციელებს რევოლუციურ გარდაქმნას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპების საფუძველზე, როცა საბჭოთა სკოლასა და მთელს სახალხო განათლების სისტემაში რადიკალური გარდაქმნის ამოცანები ხორციელდება.

²⁰ იქვე, პედაგოგიური საბუკის სხდომა, № 11, გვ. 4.

²¹ იქვე, გვ. 5.

²² გ. ახვლედიანი, სიტყვის კეთილი და ავი ძალა, „საქართველოს ქალი“, 1970, № 7, გვ. 20.

ВЗГЛЯДЫ акад. ГЕОРГИЯ АХВЛЕДИАНИ НА ВОПРОСЫ ПРАВСТВЕННОГО ВОСПИТАНИЯ ЛИЧНОСТИ

Резюме

В статье изложены основные вопросы нравственного воспитания личности, которые содержатся в педагогическом наследии Георгия Ахвледiani.

Георгий Ахвледiani считал гармонически развитой личностью умственно зрелого, нравственно совершенного и физически развитого человека. Из этих основных качеств ведущим и определяющим личностью человека он признавал нравственное совершенство. По мнению Георгия Ахвледiani, нравственность является благороднейшим и наивысшим ростком, нуждающимся в уходе и заботе.

Исходя из этого, задачу нравственного формирования личности Георгий Ахвледiani ставил в центр всех мероприятий и забот, направляемых школой, семьей и обществом на воспитание детей.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიო-
თეკის აკადემიკოსთა ფონდოკუმენტების განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. კობ-
ლაძემ

თამარ ზუზუბურიძე

მიქელ თარხნიშვილი — ქართველოლოგი

საქართველოს ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება ზოგადკაცობრიული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა უცხოელ მკვლევართათვის. განსაკუთრებით გაცხოველდა ეს ინტერესი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. საზღვარგარეთელი ქართველოლოგების გვერდით ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს უცხოეთში მოღვაწე ჩვენმა მამულიშვილებმა: მიქელ თამარაშვილმა, მისაკო წერეთელმა, ვრიგოლ ფერაქემ, კალისტრატე სალიამ და სხვებმა. მათ თავიანთი მოღვაწეობით შექმნეს პირობა ევროპაში ქართული კულტურის კვლევისათვის და გააადვილეს საქართველოს წარსულის შესწავლა.

ერთ-ერთი მათგანია მიქელ თარხნიშვილი, საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე და თავისი ქვეყნისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული მეცნიერი, რომელიც მთელ თავის დროსა და ენერჯიას ქართული ხელნაწერების კვლევასა და გამოქვეყნებას უძღვნიდა და დიდად უწყობდა ხელს ევროპაში საქართველოს კულტურისადმი ინტერესის ზრდას. მშობლიური ენისა და ლიტერატურის გარდა მ. თარხნიშვილი იცნობდა და იკვლევდა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ლიტერატურასა და ისტორიას. მას ხშირად მიმართავდნენ რთული ლექსიკოგრაფიული, ფილოლოგიური თუ პიბლიოგრაფიული ცნობებისათვის. მიქელ თარხნიშვილი „მოკლი დასავლეთისათვის ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის მასწავლებლო იყო... არ არსებობს საქართველოს ისტორიის, მისი ენის, ლიტერატურისა და ლიტურჯიის დარგი, მათი მიმართება მეზობელი ქვეყნების ლიტერატურასა და ეკლესიასთან. რომელშიც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მას არ შეეძინოს. მან პირველმა დაანახა დასავლელ მკვლევარებს ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი საგანძური“¹, — წერდა მისი ღირსეული მოწაფე ე. გარბიტი.

მ. თარხნიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსია მონოგრაფიული შესწავლისა, რომელსაც, ვიმედოვნებთ, მალე მიიღებს მკითხველი; ამჟამად კი მხოლოდ ზოგად მიმოხილვას წარმოვადგენთ.

მიქელ თარხნიშვილი დაიბადა 1897 წ. 12 იანვარს ახალციხეში. ცოტა ხანში ოჯახი საცხოვრებლად სოფელ ხიზაბავრაში გადასახლდა, 1911 წლიდან კი — სერაში, სადაც მიქელი სამი წლის განმავლობაში სწავლობდა სახალხო სკოლაში.

1913 წ. იგი ქართული მონასტრისათვის სემინარიაში სწავლის მსურველების შესარჩევად სტამბოლიდან ჩამოსულ კათოლიკე ბერებს გაჰყვა და 1917 წლამდე კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქართულ სამონასტრო სკოლაში სწავლობდა. 1917 წელს დატოვა თურქეთი და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა, სადაც 1919 წლამდე სწავლობდა ეტაბლის საბატოში.

1919 წ. მ. თარხნიშვილს შესაძლებლობა მიეცა დაბრუნებულიყო სამშობლოში და სწავლა განეგრძო თბილისში. ამავე წელს დეკემბერში კვლავ სტამბოლში გაემგზავრა და ამის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნებულა. 1924 წლამდე ცხოვრობდა კონსტანტინოპოლის ქართულ მონასტერში, 1924 წ. ვაემგზავრა ავსტრიაში და სანტ ვაბრიელის საღმრთო სიტყვის საზოგადოებაში დაასრულა ფილოლოგიური და ფილოსოფიური განათლების კურსი. რაღვან

სტამბოლის პასპორტი ვერ მიიღო, იგი გაემგზავრა რომს, სადაც შევიდა ბერძნულ კოლეჯში თავისუფალ მსმენელად. 1931 წ. 6 აგვისტოს ეკურთხებოდა მღვდლად გროტაფერატას ბერძნულ სააბატოში.

1930—1933 წლებში სწავლობდა რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც 1932 წ. მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1934 წ. მიიღო სასულიერო საზოგადოების დავალება — საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში მყოფ ქართველთაგან აღეზარდა წარმომადგენლები აღმოსავლური ეკლესიისათვის, რისთვისაც იყო პარიზში, შემდეგ მიენიშში წმ. ანდრეას კოლეჯში, 1935 წ. მეტანაში, დაგაფონის ახლოს, ბენედიქტულ მამებთან. იგი ეხმარებოდა სასწავლო მეთოდებს ქართველების სასულიერო წარმომადგენლობას, თავისუფალ დროს კი აღმოსავლურ ენებს სწავლობდა.

1943 წ. გამოითხოვა ნებართვა რომში დასაბრუნებლად, რაც მისი დიდი ხნის სურვილი იყო. საეკლესიო საზოგადოებისაგან მიიღო დავალება ქართული ლიტურგიული წიგნებისა და სხვა ნაშრომების მომზადებისა. ამ დროიდან სიცოცხლის ბოლომდე რომი არ დაუტოვებია. ეს იყო მისი მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი ხანა.

1949 წ. დათარგმნა „Corpus Scriptorum Christianorum Orientalium“-ის ქართული სექციის დირექტორობაზე. ამ „კორპუსში“ იგი აქტიურად თანამშრომლობდა: გამოაქვეყნა 4 ტომი, — ქართული ლიტურგიკა² და გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონი³.

მ. თარხნიშვილის გამოკვლევები იბეჭდებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის ისეთ ავტორიტეტულ ორგანოებში, როგორიცაა „Byzantinische Zeitschrift“, „Le Muséon“, „Oriens Christianus“, „Archiv für Liturgiewissenschaft“ და სხვანი.

როცა პარიზში კ. სალიას ინიციატივითა და რედაქტორობით დაიწყო ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისას“ („Revue de Kartvelologie“) გამოცემა, მ. თარხნიშვილი ამ ჟურნალის აქტიური თანამშრომელი გახდა და დიდად შეუწყო ხელი მისი სამეცნიერო პროფილის ჩამოყალიბებას.

1956 წ. დაეწყო ტკივილები ყელის არეში და 1958 წლის 15 ოქტომბერს გარდაიცვალა ყელის კიბოთი.

მიქელ თარხნიშვილი ეძებდა და აქვეყნებდა იტალიის წიგნთსაცავებში დაცულ ქართულ წყაროებს, თარგმნიდა და აქვეყნებდა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლებს, იკვლევდა ქართველოლოგიურ მასალას, აცნობდა ევროპელებს საქართველოს ლიტერატურასა და კულტურას. მან მრავალი სტატია უძღვნა საქართველოს ისტორიის, ქართული და აღმოსავლური ეკლესიების ისტორიის, ქართული სასულიერო მწერლობის საკითხებს (მათგან ზოგი პოპულარულ ხასიათს ატარებს, ზოგი მეცნიერულს, ზოგი პოლემიკურს).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდად გაცხოველდა მეცნიერული კვლევა-ძიება ჰუმანიტარულ დარგებში, მათ შორის — არქეოლოგიაშიც. კვლევის შედეგად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში — სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში გამოვლინდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც ადასტურებენ ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებს, რომ ქართველები ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ეწეოდნენ კულტურულ-შემოქმედებითს საქმიანობას იმდროინდელ „წმინდა ადგილებში“.

ანტიოქიის მახლობლად აღმოჩენილ იქნა ერთ დროს ქართველთა კუთვნილი ცამეტი ეკლესია და მონასტერი⁴; ეგვიპტის უდაბნოში, თებეს ნეკროპოლში, გამოვლინდა ეკლესია, აგებული V საუკუნეში პეტრე იბერის მიერ⁵; პა-

ლესტინის უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინეს პეტრე იბერის მიერვე აშენებული სამონასტრო კომპლექსი ძველი ქართული წარწერებით⁸.

მ. თარხნიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკუირავს ქართული წარწერების შესწავლას, რასაც მან რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა: „1066 წლის ქართული წარწერის აღმოჩენა“⁷, „ლეთისმშობლის ხატის წარწერა ბეტრიწონის მონასტერში“⁸, „ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტრის ბეთლემში“⁹, „წმ. თევდორეს მონასტრის წარწერები ბირ-ელ-ყუთში“¹⁰, „პალესტინის წარწერები“¹¹.

ზოგი ძეგლის ძიება თარხნიშვილის რჩევით და მის მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე ყოფილა წამოწყებული.

1952 წ. იერუსალიმის მახლობლად ბირ-ელ-ყუთის უდაბნოში წარმოებული გათხრების დროს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა ძველი ქართული წარწერებით დამშვენებული სამონასტრო კომპლექსის ნაშთები, რომლებიც V ს. გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საეკლესიო მოღვაწის პეტრე იბერის სახელს უკავშირდება. ამ ქართული წარწერების შესასწავლად მიწვეულ იქნა მ. თარხნიშვილი, რომელმაც პირველმა გაშიფრა წარწერები და მოგვცა მათი მეცნიერული ანალიზი. კორბოსა და თარხნიშვილის გამოკვლევა იერუსალიმის ქართული წარწერების შესახებ პირველად დაიბეჭდა 1953 წ. ჟურნალში „La Terra Santa“. მალე ამას მოჰყვა თარხნიშვილის წერილი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე. დაბოლოს, 1955 წ. იერუსალიმში იტალიურ ენაზე გამოიცა ვ. კორბოს წიგნი „საიარ ელ-ლანიმის (მწყემსთა მინდვრის) გათხრები და შემოგარენის მონასტრები“¹², რომელშიც ცალკე ქვეთავად შევიდა მ. თარხნიშვილის გამოკვლევა სათაურით: „ბირ ელ-ყუთის მონასტრის მოზაიკური წარწერები“.

სულ ოთხი წარწერაა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ასოთა მოყვანილობით და შესაბამისად — შესრულების დროითა და მანერით. მ. თარხნიშვილი დაწვრილებით იხილავს თითოეულ მათგანს, მოჰყავს ოთხივე წარწერის ტექსტი ასომთავრულად და მხედრულად, ლათინური თარგმანითურთ, იძლევა მათ პალეოგრაფიულ, ენობრივ და ისტორიულ ანალიზს, ბოლოს კი — მათი დათარიღების ცდას. დასათარიღებლად მ. თარხნიშვილი იშველიებს როგორც პალეოგრაფიულ თავისებურებებს, ისე ამ წარწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირებს.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს პალეოგრაფიულ ნიშნებზე (ბ და შ ასოების დაწვრილობის თავისებურებანი), გამოთქვამს ვარაუდებს წარწერებში დასახელებული პირების შესახებ (წმ. თევდორე, ანტონი აბაჲ, იოსია, ბაკურ, გრი-ორიმოზღ, მარუან და ბურზენ).

თარხნიშვილმა მართებულად შენიშნა, რომ B წარწერა უფრო ძველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე A, მაგრამ შემდეგ ეს დაკვირვება აღარ გაულტრებია, წარწერათა შორის პალეოგრაფიული სხვაობა შემსრულებელთა ხელის თავისებურებით ახსნა და ყველა წარწერა VI საუკუნით დაათარიღა. ეს მით უფრო დასაბამიანია, რომ მან ძირითადად სწორად ამოიცნო სახელები B და C წარწერებში მოხსენიებული ისტორიული პირებისა, რომლებიც V ს-ში მოღვაწეობდნენ, რაც პალეოგრაფიულ ნიშნებთან ერთად საკმაო საფუძველს იძლეოდა B და C წარწერების V ს-ით დასათარიღებლად.

პალესტინაში ქართული მონასტრის აღმოჩენა კორბოსა და თარხნიშვილის ნაშრომით საქართველოს სამეცნიერო წრეებისთვისაც ცნობილი გახდა და ამ ფაქტს ბევრი ქართველი მეცნიერი გამოეხმაურა: ალ. გამყრელიძე¹³, ბ. გიორგაძე¹⁴, შ. ნუცუბიძე¹⁵ და სხვ. წარწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის ცდა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს¹⁶, კ. კეკელიძეს¹⁷, შ. ნუცუბიძეს. წარწე-

რების დათარიღებისა და შესწავლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. წერეთლის შრომა¹⁸. გ. წერეთელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წარწერებში მოხსენიებულ პირთა ვინაობას და მოახდინა მათი იდენტიფიკაცია, ამის საფუძველზე კი შეძლო წარწერების საკმაოდ ზუსტად დათარიღება.

გაირკვა, რომ იერუსალიმის მახლობლად აღმოჩენილი ქართული წარწერებიდან ორი (B და C) უძველესია დღემდე ცნობილ ქართულ წარწერთა შორის, ეკუთვნის V ს-ის 30-იან წლებს და ნახევარი საუკუნით მაინც უსწრებს მანამდე უძველესად ცნობილ ბოლნისის სიონის წარწერებს. ერთი (A) წარწერა კი VI ს-ის შუა წლებით თარიღდება. ამ წარწერების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებთან, რომელთა შესწავლას საქმეშიც ასე დიდი წვლილი შეიტანა მ. თარხნიშვილმა.

მ. თარხნიშვილს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ასევე ქართული უძველესი ლექციონარების კვლევის საქმეში. მას ეკუთვნის ამ საკითხზე გამოკვლევები: „ქართული ლექციონარის ორი ფრაგმენტი V—VIII საუკუნეებისა“¹⁹, „იაკობის ქამისწირვის ახალი ქართული ტექსტი“²⁰, „ანტიკური ხანის იბერიული ლიტურგიკა“²¹. ამასთან მან გამოსაცემად მოამზადა იერუსალიმის ლექციონარის ქართული ვერსია და ლათინური თარგმანი დაურთო მას. სამწუხაროდ, ავტორი მის დაბეჭდვას ვეღარ მოესწრო. მკვლევარის მიერ გამოცემად მომზადებული ძეგლი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მოწაფის ე. გარიტის მზრუნველობითა და ზედამხედველობით²². როგორც ვიცით, ლექციონარის პირველი გამოცემა, რომელიც კ. კეკელიძეს ეკუთვნის, ემყარება X საუკუნეში გადაწერილ ორ ნუსხას — ლატალისას და კალისას. თავის დროზე ეს იყო დიდი მეცნიერული აღმოჩენა, რომელმაც მთელ მსოფლიოს დანახა ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელოვანი ქრისტიანული მწერლობის ისტორიისათვის. მიქელ თარხნიშვილის გამოცემაში გათვალისწინებულია X—XI სს-ის კიდევ ორი სხვა მეტად მნიშვნელოვანი ნუსხა — სინური და პარაზული, აგრეთვე ხანმეტი და ჰემეტი ფრაგმენტები. თარხნიშვილის გამოცემაში დამატების სახით გამოქვეყნებულია აგრეთვე სინური ნუსხის ჰიმნოგრაფიული დანართი, სადაც ლექციონარის მთავარ საუფლო დღესასწაულთა განგებებში შეტანილი პოეტური საგალობლების ტექსტები სრულად არის წარმოდგენილი. ამან დიდად შეუწყო ხელი ლექციონარის კვლევას საგალობლებს თვალსაზრისით. ისევე როგორც გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონში, თარხნიშვილს აქაც განმარტებული აქვს ძველი ქართული ლიტურგიკული ტერმინები. ეს ძეგლი, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი ევროპელი მკვლევარებისათვის, ლიტურგისტებმა, ჰაგიოგრაფებმა და პალესტინოლოგებმა ერთხმად შეაფასეს როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელმაც შემოგვინახა იერუსალიმის უძველესი ლიტურგიკული პრაქტიკის (V—X) ტიპიკონი. ხოლო თარხნიშვილის ეს კრიტიკული გამოცემა მკვლევრის ერთ-ერთ საუკეთესო და სრულყოფილ ნაშრომად აღიარეს.

სპეციალური გამოკვლევა უძღვნა თარხნიშვილმა ქართული ლექციონარის მეხუთე და მერვე საუკუნის ორ (ხანმეტ და ჰემეტ) ფრაგმენტს, განიხილა საკითხი მათი წარმოშობისა და ასაკის შესახებ, შეუდარა ლექციონარი სხვა ლიტურგიკულ ძეგლებს (სომხურ ლექციონარს და იერუსალიმის კანონარს), განიხილა მათი ურთიერთმიმართების საკითხები და დაასკვნა, რომ ხანმეტი ლექციონარი სომხურ ლექციონარზე ადრე, მე-5 ს-ის შუა ხანებში შექმნილად უნდა მივიჩნიოთ. შექმნის ადგილად მას პალესტინა მიაჩნია, დედნად კი სირიული ან ბერძნული²³.

თარხნიშვილის აზრით, V ს-ში შექმნილი ლექციონარი VII—VIII ს-მდე

ძალაში იყო და განსაზღვრავდა ქართველების ლიტურგიკულ პრაქტიკას. VII ს-ში ხანმეტი ლექციონარი კიდევ ერთხელ გადაიწერა და ბიბლიური საკითხავების ძველი ტექსტები ახლით შეიცვალა. ძველი ხანმეტი ლექციონარი დროის ნოთხოვნებს აღარ შეესაბამებოდა და VII სს. დამლევს ან VIII ს-ის დასაწყისში შეიქმნა ახალი თარგმანი, რომელიც ქართული კანონარის ვრცელ რედაქციის წარმოადგენს. ხანების ამოშლის ფაქტი კი აიხსნება იმით, რომ ხანმეტი ლექციონარის ზოგი ადგილი ემთხვევა კანონარისას. თუ ხანმეტი ლექციონარი ლიტურგიკაში აღარ გამოიყენებოდა, ის ალბათ გამოიყენებოდა ბერების სწავლებისათვის. ამიტომ ალბათ რომელიმე მკითხველმა ამოშალა ხანები და განაახლა ფერგადასული ადგილები.

ჰაემეტ ლექციონარს თარხნიშვილი შედარებით მოკლედ ეხება, შემდეგ კი არკვევს ხანმეტის ლექციონარის ბიბლიური ტექსტისა და ბიბლიის ქართული თარგმანის ურთიერთმიმართებას. ამასთან დაკავშირებით გარკვეულია ზოგი ქართული ლიტურგიკული ტერმინის რაობა.

თარხნიშვილის მოსაზრებებიდან ზოგი რამ შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად მცდარად ან საეჭვოდ იქნა მიჩნეული. მაგ., ცნობილმა არმენოლოგმა ათანასე რენუმ უარყო მისი მოსაზრება ხანმეტი ლექციონარის სომხურზე უფრო მეტი სიძველისა და მისი V ს-ის I ნახევრით დათარიღების შესახებ²⁴. გაზიარებული არ არის ასევე მოსაზრება, რომ ხანმეტი ლექციონარი და კანონარი სხვადასხვა დროს შესრულებული ორი დამოუკიდებელი თარგმანია სხვადასხვა რედაქციის ბერძნული დედნებისა. დადგინდა, რომ ხანმეტი ლექციონარიდან იერუსალიმის კანონარამდე განვითარების უწყვეტი ხაზია. ასე რომ, უძველესი ქართული თარგმანი თანდათან ითვისებდა ბერძნულში მომხდარ ცვლილებებს და ასე ყალიბდებოდა ქართული ვრცელი რედაქციის ნუსხები²⁵.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლექციონარების შესწავლისა და გამოცემის საქმის ბოლომდე მიყვანა მ. თარხნიშვილს არ დასცალდა, ზოლო მისი მოსაზრებებიდან ზოგი რამ ეჭვსა და დავას იწვევს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მან ძირითადად სწორი გზით წარმართა კვლევა, შენიშნა ქართული ლექციონარის დიდი სიძველის მარვენებელი მთელი რიგი მომენტები და საგრძნობლად გადასწია ლექციონარის ქართულად თარგმნის თარიღი. ამავე დროს გამოსაცემად მოამზადა ლექციონარი და დაურთო ლათინური თარგმანი. მისმა გამოცემამ გაათართოვა ქართული ლექციონარის მკვლევართა წრე, ლათინური თარგმანის დართვამ უფრო ხელმისაწვდომი გახადა ლექციონარის ტექსტი ევროპელ მეცნიერთათვის. ამ გამოცემას დღეს გვერდს ვერ აუვლას ადრებიზანტიური ლიტურგიკის საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი. ამრიგად, თარხნიშვილმა შეძლო თვალსაჩინო წვლილის შეტანა ამ უნიკალური ძეგლის შესწავლაში.

აღსანიშნავია თარხნიშვილის საქმიანობა გრაიცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების გამოსაქვეყნებლად. მიქელ თარხნიშვილმა 1950 წ. გამოსცა „ჟამისწირვათა“ ქართული რედაქციები და ლათინური თარგმანი დაურთო მათ.

1954 წ. თარხნიშვილმა გამოსცა გრიგოლ ბაკურიანის „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი“ ლათინური თარგმანითურთ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის თარხნიშვილს ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის შესწავლის საქმეში. მან სპეციალური გამოკვლევები უძღვნა მთელ რიგ საკითხებს: ბალეარიაანის რომანის ქართულ თარგმანებს²⁶, ნიკოლოზ მისტოკოსის გამოუქვეყნებელ ქართულ შრომებს²⁷, წმ. ექვთიმეს მოღვაწეობას²⁸, ქართული სასულიერო მწერლობის კავშირს ბიზანტიურთან²⁹; ცალკე სტატიებში მიმოიხილა ქართული ლიტერატურის კვლევის მდგომარეობა³⁰, მისი 6. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 2

დროის პუბლიკაციები ქართული ლიტერატურის შესახებ³¹, ბალავარიანის³² გლისური თარგმანი³², ქართული ძეგლების შესახებ ცოდნის მდგომარეობის დროის დასავლეთში³³ და სხვ.

1955 წ. მ. თარხნიშვილმა იულის ასფალგის თანამშრომლობით გამოსცა „ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორია“³⁴, დაწერილი კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“³⁵ I ტომის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, კ. კეკელიძეს ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის ისტორია ორ ტომად, რომელთაგანაც პირველი ტომი მოიცავს სასულიერო მწერლობას, მეორე კი — საეროს უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. იგი პირველად გამოიცა 1923 წელს და შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დაბეჭდა მნიშვნელოვან შევსებულ და გაფართოებული სახით (1941, 1951, 1960 წლებში). მასში პირველად არის თავმოყრილი ძველი ქართული მწერლობის უმდიდრესი მასალა და წარმოდგენილია ლიტერატურის განვითარების უწყვეტი პროცესი, ნაჩვენებია, რომ ქართველ ხალხს არამცთუ მთლიანად აუთვისებია ძველი მოწინავე კულტურის მონაპოვარი, არამედ საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ბუნებრივია, რომ ამ ფუნდამენტურმა ნაშრომმა უდიდესი როლი შეასრულა ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში, მაგრამ ის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი უცხოელ მკვლევართათვის და, საერთოდ, ქართული ენის არმცოდნეთათვის. ამიტომ სასურველი იყო მისი თარგმანა რომელიმე ვეროპულ ენაზე. ამ უღრესად საჭირო და სასარგებლო საქმის შესრულება იღო თავს მ. თარხნიშვილმა.

მ. თარხნიშვილს ხელთ ჰქონია 1941 წლის გამოცემა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომისა, რომელიც მან უბრალოდ კი არ თარგმანა, არამედ თავისუფალი გადამუშავების გზა აირჩია; შეიტანა მასში საკუთარი დაკვირვებებისა და კვლევის შედეგებიც, ვამდიდრა მასალა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგების გამოკვლევების საფუძველზე, შეავსო წყაროებიც და ლიტერატურა. მიმოხილვითი ხასიათის ასეთი შემავამებელი ნაშრომის გამოცემას ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი ცდა ძველი ქართული მწერლობის შესახებ დაწერილებითი და თანამედროვე მეცნიერული დონის შესაფერისი ნაშრომის შექმნისა გერმანულ ენაზე. იგი უნებ მასალას აწვდიდა დასავლეთ ევროპელ მკვლევარებს და ინტერესს აღძრავდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიისადმი ფართო საზოგადოებაში.

ი. ასფალგი წიგნის შესავალ წერილში აღნიშნავდა, რომ თარხნიშვილის ნაშრომი არაერთარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს თარგმანად. ის უფრო თავისუფალი გადამუშავებაა, რომლის დროსაც გადამმუშავებელი ცდილობდა, ერთი მხრივ, კ. კეკელიძის ვრცელი მსჯელობებისა და გამეორებების გამოტოვებით, მეორე მხრივ კი შეესებოდა, უპირველეს ყოვლისა წყაროებისა და ლიტერატურის დამატებით, ეს ნაშრომი თანამედროვე მეცნიერული დონის შესაფერისი ყოფილიყო. ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, თვითონ კ. კეკელიძის ახალი შრომების საფუძველზეც. ასეთი გადამმუშავება დასჭირდა ნაშრომის დიდ ნაწილს³⁶.

ამრიგად, „ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორია“ ძირითადად მისდევს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომს, მაგრამ ზოგი ნიშნის მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება მისგან. ჩვენ შევადარეთ ეს ორი წიგნი ერთმანეთს და დაწვრილებით განვიხილეთ ეს მსგავსება-განსხვავებანი. ამ მოკლედ შეეცებით მხოლოდ განსხვავებებს.

„ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიის“ ერთ-ერთი თვალსა-
ჩინო განსხვავება კ. კეკელიძის ნაშრომისაგან არის ის, რომ თარხნიშვილის ნაშ-
რომი საგრძნობლად შეკუმშულია და მოკულობის მხრივ თითქმის ერთი მე-
ოთხედით მცირეა. ამგვარი შემცირება ძირითადად ციტატების ამოღების და
შემოკლების შედეგია. მ. თარხნიშვილი ხშირად იძლევა ნაწარმოებების მხო-
ლოდ ზოგად დახასიათებას და ამოკლებს ამ ნაწარმოებების კეკელიძისეულ
კრიტიკულ შეფასებას. გამოკრეფებული ასევე კეკელიძის კამათიც ამა თუ იმ
ქართველ მეცნიერთან. კეკელიძის წიგნში ერთი და იგივე ცნობა ზოგჯერ
სხვადასხვა ადგილას მეორედება, თარხნიშვილი ერთდგა ამგვარ გამეორებებს.

შემოკლებების გარდა აღსანიშნავია, რომ თარხნიშვილს ზოგჯერ ძირითადი
ტექსტიდან სქოლიოში გადააქვს ცნობა ან შენიშვნა ამა თუ იმ ავტორისა და
ნაწარმოების შესახებ, ზოგჯერ კი პირიქით — კეკელიძისეული სქოლიო ძირი-
თადად ტექსტში აქვს გადატანილი.

მ. თარხნიშვილი არა მარტო ამოკლებს და კომპაქტურს ხდის კ. კეკელი-
ძის ნაშრომს, არამედ ავსებს კიდევ მას და, მეორე მხრივ, გვთავაზობს საკუ-
თარ დაკვირვებებსა და თრიგინალურ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე, რაც
ვანსაკუთრებით საინტერესოა სპეციალისტებისათვის.

I პარაგრაფში („ქართული ლიტერატურის ისტორიის აღრანდელი მიმო-
ხილვები და დამხმარე წყაროები“)³⁷ თარხნიშვილს დაჯგუფებული აქვს მიმო-
ხილული ლიტერატურა, სახელდობრ, უცხოეთში გამოცემული ნაშრომები
ცალკე კი არ არის გამოყოფილი, არამედ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობით
გზნდაგზნა ჩართული; რამდენადმე შეცვლილია ცალკეულ ნაშრომთა შეფასება;
დამატებულია მიმოხილვა უცხოეთში გამოცემული იმ ნაშრომებისა, რომლე-
ბიც კ. კეკელიძეს არ ჰქონდა გათვალისწინებული (ლანტშადტის, გარიტის,
ხაბოტის, დრაგეს, თარხნიშვილის, ფერაძის ნაშრომები); თარხნიშვილი რამდე-
ნიმე ფრაზით მიუთითებს თითოეულის ღვაწლს. კიდევ უფრო მეტი სხვაობაა
მე-2 პარაგრაფში, სადაც თარხნიშვილი იმავე საკითხებს განაზილავს, რასაც
კეკელიძე, მაგრამ თარგმანის ხასიათი ამ პარაგრაფის მხოლოდ ბოლო მონა-
კეთს აქვს. გარკვეული სხვაობაა მე-3 პარაგრაფშიც, რომელიც ქართულ
მწერლობის ისტორიის პერიოდიზაციას ეხება.

მე-4 პარაგრაფში, სადაც დახასიათებულია სწავლა-განათლებისა და ლი-
ტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში, კ. კეკელიძე აღნიშნავს: „რომ
ასურელ მამათა მოსვლამდე, ე. ი. მე-6 ს-მდე მონასტრები საქართველოში არ
უნდა ყოფილიყო. თარხნიშვილის მსჯელობა სცილდება კეკელიძისას და ზოგ-
ჯერ უპირისპირდება კიდევ მას. მისი აზრით, პეტრე იბერის ბიოგრაფიდანაც
ჩანს, რომ საქართველოში მე-5 ს-ში სკოლები არსებობდა. სამეზო ისტორიკო-
სი ლაზარ ფარაბეცი ქართველი მთავრის არშუშას კარზე იზრდებოდა, რაც წარ-
მოუდგენელია სკოლის არსებობის გარეშე.“

წიგნის პირველ ნაწილში, სადაც სათითაოდ არის განხილული ძველი ქარ-
თველი მწერლების და მთარგმნელების მოღვაწეობა, მ. თარხნიშვილი მესამე
ნომრად წარმოგვიდგენს მარტვირი ქართველს, რომელიც კ. კეკელიძის წიგნის
პირველ და მეორე გამოცემაში ქართველ მწერალთა შორის საერთოდ არ იხსე-
ნებდა. იგი მოხსენიებული იყო 128-ე ნომრად კ. კეკელიძის გამოკვლევაში —
„უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“. ეს პარაგრაფი „ქართული სა-
სულიერო-ლიტერატურის ისტორიაში“, როგორც ასფალგი აღნიშნავს, გადამ-
მუშავებელს ეკუთვნის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში თარხნი-
შვილი ეყრდნობოდა ისევ კეკელიძის გამოკვლევას, სადაც ავტორი გამო-
თქვამს მოსაზრებას, რომ მარტვირი ქართველის „სინანულისათვის და სიმდაბ-
ლისა“ „ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, რომლის ავტორიც არის საბა-

წმიდელი ქართველი მოღვაწე მარტვირი. ამის შემდეგ კეკელიძემაც მესამე გამოცემაში (1951 წ.) სათანადო ადგილი მიუჩინა მარტვირი ქართველს ცურტაველსა და კირიონ კათალიკოსის შემდეგ. თარხნიშვილი მარტვირი ქართველს მიაწერს წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებასაც. აქ მკვლევარი ცდებდა და მარტვირი საბაწმიდელს აიგივებს მარტვირი კონსტანტინოპოლელთან, რაც თავის დროზე იქნა შენიშნული ე. გარიტის მიერ, ოღონდ მას ამ მოსაზრების ავტორი კ. კეკელიძე ეგონა. შემდეგში ეს მოსაზრება გააყრიტა და უარყო კ. კეკელიძე³⁹.

როგორც ცნობილია, კ. კეკელიძის ნაშრომის I ტომი მთლიანად ეთმობა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას, II ტომი კი — საეროს. მაგრამ იმ მწერლებს, რომლებსაც ეკუთვნით როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ნაწარმოებები, მკვლევარი მეორე ტომში განიხილავს. ესენია არჩილ მეფე და სულხან-საბა ორბელიანი. ცხადია, თარხნიშვილი გვერდს ვერ აუვლდა მათ და მოჰყავს მათი სასულიერო თხზულებების მოკლე დახასიათება, საერო ხასიათის ნაწარმოებებიდან კი მხოლოდ ზოგიერთს ასახელებს და არც ერთს არ განიხილავს.

ათონის ივერთა მონასტერთან დაკავშირებით მ. თარხნიშვილს მოჰყავს პ. პეტერსის მოსაზრება ამ მონასტრის დამაარსებლის იოანე ვარაზუაჩისა და ათონიკეს ეროვნული წარმომავლობის შესახებ, თითქოს ისინი სომხები იყვნენ. მკვლევარი დაბეჯითებით უარყოფს პ. პეტერსის ამ მოსაზრებას.

კათალიკოს არსენ II-ს კეკელიძე უძღვნის მე-2 პარაგრაფს. ეს მონაცემთი თარხნიშვილს ძალიან შემოკლებული აქვს, გამოტოვებულია პოლემიკა გრ. ფერაქესთან და ი. ჭავჭავიძელთან, ასევე ს. კაკაბაძესთან; მეორე მხრივ, წიგნების რედაქციული შედგენილობის და დათარიღების შესახებ მსჯელობა და სანუთები ორიგინალურია (თუმცა მ. თარხნიშვილი ძირითადად იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებებს).

მ. თარხნიშვილს მოჰყავს დამატებითი ცნობები ასურელ მამათა ცხოვრების ადრინდელი რედაქციების შესახებ.

გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილ პარაგრაფში თარხნიშვილს მოჰყავს ფრ. დოლეგერის მოსაზრება, რომ გიორგი მთაწმიდელის „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“ ენკომისტურია და მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს არ წარმოადგენს, ეკამათება მას და ასაბუთებს დოლეგერის მოსაზრების მცდარობას.

მაკარი მღვდლისადმი მიძღვნილ პარაგრაფში, სადაც საუბარია პეტრე იბერის ცხოვრების შესახებ, თარხნიშვილი იძლევა ცნობას, რომ პეტრე იბერი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ავტორად იქნა ცნობილი (დამოწმებულია ე. პონიგმანის და შ. ნუცუბიძის შრომები). პონიგმანისა და ნუცუბიძის მოსაზრებები კ. კეკელიძის შრომაში იმ დროს გათვალისწინებულ იქნა ვერ იქნებოდა, მაგრამ არც შემდგომდროინდელ გამოცემებში ასახულა.

წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც ძველი ქართული მწერლობის ქანრგებს მიმოიხილავს, პირველ რიგში განხილულია ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანები. ნაშრომის ეს ნაწილი თარხნიშვილთან არ მოიჭრება კ. კეკელიძის ტექსტს და რამდენადმე სხვაგვარადაა აგებული. ახალი აღთქმის უძველეს ქართულ თარგმანებზე მსჯელობისას თარხნიშვილი ეყრდნობა თავის ნაშრომს —

„Zwei georgische Lektionarfragmente“ — და მიიჩნევს, რომ პირველად ბიბლია ქართულად მე-5 ს-ში უნდა ეთარგმნათ და მისი ძველი ფორმა აღიშნის ოთხთავშია საგულეებელი.

თარხნიშვილს მართებულად მიიჩნია ა. შანიძის აზრი, რომ შატბერდული ოთხთავი ქართული დამწერლობის უძველესი პერიოდის ძველად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც, მიუხედავად შემდგომი გადაამუშავებისა, ძირითადად IV-

V სს-ის ენას წარმოვედგენს. თარხნიშვილი სახარების ტექსტის დათარიღებისათვის არსებით მნიშვნელობას ანიჭებს ტერმინს „თავყანისცემა“.

ოთხთავის უძველესი ქართული თარგმანი თარხნიშვილს მე-5 ს-ისად მი-
აჩნია. მკვლევართა ნაწილი მისთვის სომხურ დედანს ვარაუდობს, რომელიც
თავის მხრივ სირიულიდან უნდა მომდინარეობდესო. ამ აზრს არ იზიარებს
ა. შანიძე, რომელიც ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისათვის საჯიკოოდ მაიჩ-
ნევს უპირველეს ყოვლისა იმის დადგენას, თუ რას წარმოადგენს თვით ქარ-
თული ტექსტი, რა და რა რედაქცია მოგვეპოვება და სხვა¹⁰. „Zwei georgische
Lektioarfragmente“-ზე დაყრდნობით თარხნიშვილი ვარაუდობს, რომ სა-
ხარების თარგმანმა რევიზია განიცადა მე-6—7 ს-ის მიჯნაზე, ე. ი. სომხეთსა
და საქართველოს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილების დროს. რევიზია
ხდებოდა ბერძნული დედნის მიხედვით. ამ ტექსტმა დაიჭირა წინანდელი თარ-
გმანის აღგები, მაგრამ შემდეგ, ათონის სკოლის აღორძინებასთან ერთად,
აბალი გადამუშავება განიცადა მე-11 ს-ში.

არის შემთხვევები, როცა თარხნიშვილი არ ეთანხმება კ. კეკელიძის წიგნ-
ში წარმოდგენილ თარიღებს და საკუთარი შეხედულებით ცვლის მათ. ამის
გამო შეცვლილია ზოგი ავტორის თანამიმდევრობა ქრონოლოგიური რიგის მი-
ხედვით.

კ. კეკელიძეს გრიგოლ დიაკონი მიაჩნია პირველ ქართველ ისტორიკოსად
და მის თხზულებას „ღმართებაჲ პატრიოსნისა ჭუარისა მცხეთისაჲ და მერჳე
კუალად გამოჩინებაჲ“ მე-8 ს-ის II ნახევარში დაწერილად თვლის¹¹.

გრიგოლ დიაკონის თხზულების სრულიად განსხვავებულ დათარიღებას
იძლევა თარხნიშვილი. ნაწარმოების სიმოკლე, ცნობის უბრალო, უპრეტენ-
ზიო ფორმა და ის, რომ ეს ცნობა გამოყენებული აქვს ფილონ ტირაკელს
686—696 წწ., აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ის შექმნილია მასში აღწერილ
ისტორიული ფაქტების ახლო პერიოდში, შეიძლება უკვე მე-5 ს-ში.

სეთი თარგმანს კ. კეკელიძე მიიჩნევს მე-8 ს-ის მეორე ნახევრის ან მე-9
ს-ის I ნახევრის მოღვაწედ. თარხნიშვილი აღნიშნავს, რომ სეთი მე-10 ს-მდე,
შეიძლება მე-9 ს-მდე, ცხოვრობდა.

არსენ დიდი თარხნიშვილს კეკელიძის მსგავსად გაიკვებებული პყავს არსენ
საფარულთან და იგი მიაჩნია IX ს-ის მოღვაწედ. არსენის ცხოვრების თარი-
ღებსაც მკვლევარი იმავე მონაცემებზე დაყრდნობით ადგენს. რათაც კ. კეკე-
ლიძე, სახელდობრ აშოტ კურაპალატის ცხოვრების წლების მიხედვით, მაგრამ
აშოტ კურაპალატის გარდაცვალების თარიღად კეკელიძეს მიაჩნია 836 წ.,
თარხნიშვილს 826. ამიტომ არსენის დაბადება-გარდაცვალების თარიღებია კე-
კელიძესთან 830—887, თარხნიშვილთან 820—877 (ეს აღნიშნული აქვს კეკე-
ლიძეს)¹².

როგორც ი. ასფალგი ვარაუდობდა თავის წინასიტყვაობაში, ზოგი უზუს-
ტობა და შეცდომა მ. თარხნიშვილის წიგნში მართლაც ვერ იქნა თავი-
დან აცილებული, მაგრამ თავისი მიზანი — დამხმარე მასალა ყოფილიყო და-
სავლელი მკვლევრებისათვის და დაეინტერესებინა ფართო წრეები ქართველი
ხალხის ლიტერატურით, ჩაერთო ქართველები ქრისტიანული აღმოსავლეთის
წესწავლაში, ბიზანტინისტიკისა და ისტორიის ფარგლებში — წიგნმა შეასრუ-
ლა. მას დღესაც ფართოდ იყენებენ ევროპელი მკვლევრები თავიანთ ნაშრო-
მებში¹³.

დიდი ადგილი ეთმობა მ. თარხნიშვილის შემოქმედებაში საქართველოს
ეკლესიის ისტორიის საკითხებს, განსაკუთრებით საქართველოში ქრისტიანო-
ბის გავრცელებას და საქართველოს ავტოკეფალიის შექმნას: „ქრისტიანობა

საქართველოში⁴⁴, „წმ. ნინოს ლეგენდა და ქართული ეროვნული წიგნების ისტორია“⁴⁵, „წმ. ნინო ქართლის მომაქცევი“⁴⁶, „ქართველი ბერების რეზიდან“⁴⁷, „საქართველოს ავტოკეფალიის შექმნა და განვითარება“⁴⁸, „დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საქართველოს სამეფოში“⁴⁹, „წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის თარგმანი“⁵⁰, „მთვარის დემრთი არმაზი და ლეონტი მროველის თხზულება“⁵¹, „ღვთისმშობელი ძველ ქართულ ტრადიციაში“⁵², „სომხური წყაროები საქართველოს ეკლესიის შესახებ“⁵³. თარხნიშვილმა დაწერა აგრეთვე საქართველოს ეკლესიის ისტორია და აპირებდა მის გამოცემას გერმანულ ენაზე, მაგრამ აღარ დასცალდა. ხელნაწერის სახით ეკლესიის ისტორია (IV—VII საუკუნეები) ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში ინახება (ქართულ ენაზე).

ქართული ეკლესიის ისტორიის გარდა, თარხნიშვილი იკვლევდა აღმოსავლეთის ეკლესიის პრობლემებსაც: „ბიზანტიური ლიტურგიკა, როგორც კავშირისა და ერთიანობის განხორციელება დოგმაში“⁵⁴, „Una Sancta გაყოფამდე“⁵⁵, „აღმოსავლური ღვთისმოსაობის ესქატოლოგიური ნიშნები“⁵⁶, „გზები სრულყოფისაკენ“⁵⁷. „გამოცხადების მესა და მისი დღესასწაული წითელ პარასკევს ქართული წყაროების მიხედვით“⁵⁸.

საქართველოს ისტორიას ეხება სტატიები: „მეფე ფარსმან იბერიელის დამოკიდებულება რომაელ იმპერატორთან“⁵⁹, „მეფე თეიმურაზ I-ისა და კათალიკოს ზაქარიას ელჩობა პაპ ურბან VIII-სთან“⁶⁰, „ერთ-ერთი ქართველი მხედართმთავართაგანი ბიზანტიაში“⁶¹, „ქართულ-ბიზანტიური ეპოპეა“⁶², „ქართველთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიის გადაღმა“⁶³.

მ. თარხნიშვილი აწვდიდა საქართველოს შესახებ მასალებს ევროპულ ენციკლოპედიებს (Enciclopedia Catholica, Der Christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart); შედგენილი აქვს ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. მ. თარხნიშვილის ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ იმით, რისი გაკეთებაც მოასწრო თავისი ნაყოფიერი და საინტერესო ცხოვრების მანძილზე, მან გაამდიდრა ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ, გაამრავლა ქართული კულტურის თავყვანისმცემლების რიცხვი და წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებაში.

ლიტერატურა

1. G. Garitte, Necrologie de Michel Tarchnisiwili, Louvain, 1958, Le Museon, 71, გვ. 398.
2. Liturgiae Iberikae Antiquiores, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 122, 123, Louvain, 1950.
3. Typicon Gregorii Pacuriani, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 143, 144, Louvain, 1954.
4. მ. თარხნიშვილი, ქართული ხელოვნების ძეგლები ანტიოქიის სანაბეშოში, Bedi Karthlisa, 1951, № 9, გვ. 17—20.
5. U. Monneret de Villard, Una chiesa di tipo georgiane della necropoli tebana, Coptic Studies in honor of W. E. Crum, Boston, Mass, 1950, გვ. 495—500, cfr. Bedi Karthlisa, 1952, № 11, გვ. 25—27.
6. V. Corbo, Gli scavi di kh. siyar el-Ghanam (Campo dei pastori) ei Monasteri dei dintorni, Gerusalemme, 1955, ვ. კობოს შრომის ის ნაწილი, რომელიც ქართული მონასტრის გათხრებს ეხება, თარგმნილია ბ. გიორგაძის მიერ და გამოქვეყნებულია ვ. ჩანანიძის წიგნში — აძებრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმშია, თბ., 1974.
7. Bedi Karthlisa, 1957, № 26—27, გვ. 86—89.



8. Bedi Karthlisa. 1950, №8, გვ. 20—22.
9. Bedi Karthlisa, 1954, № 16, გვ. 12—17.
10. V. Corbo, M. Tarchnišvili, La Terra Santa 28 (Jerusalem), 1953, გვ. 181—186.
11. V. Corbo, Gli scavi di kh. siyar el-Ghanam..., გვ. 135—139.
12. V. Corbo, დასახ. ნაშრომი.
13. აღ. გამყრელიძე, უძველესი ქართული წარწერების აღმოჩენა პალესტინაში, «ლიტერატურული გაზეთი», 1956, 15 ივნისი, № 24 (986).
14. Б. Гноргадзе, Грузинский монастырь V—VI веков, „Заря Востока“, 12. 12, 1958. № 287.
15. შ. ნუცუბიძე, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები, „მნათობი“, 1959, № 1, გვ. 148—156.
16. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 061.
17. კ. კეკელიძე, უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად და მისი წარწერა, ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 74.
18. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
19. Kyrios, № 6, 1942—43, გვ. 1—28. Le Muséon, t. 73, fasc. 3—4, 1960, გვ. 261—285.
20. Ephemerides liturgicae, 62, 1948, გვ. 49—82.
21. Liturgiae Iberica Antiquiores. CSCO vol. 122, 123, Louvain, 1950.
22. Lektionar (Ms. Sinai georg. 37 (Tsayareli 36) vom J. 982).
23. Tarchnišvili. Zwei georgische Lektionarfragmente...
24. A. Renoux, Codex 121, Introduction, გვ. 23.
25. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაუბრუნეს ელ. მეტრეველმა, ც. ჰანკიევა და ლ. ხევციურიანმა, თბ., 1980.
26. Le Muséon 71, 1958, გვ. 173—189.
27. მ. თარხნიშვილი, გამოუქვეყნებელი ქართული ნაშრომები ნიკოლოზ მისტიკოსისა, Bedi Karthlisa, 1956, № 21—22, გვ. 39—41.
28. Oriens Christianus, 38, 1954, გვ. 113—124.
29. Oriens Christianus, 41, 1957, გვ. 76—96.
30. M. Tarchnišvili, Kurzer Überblick über den Stand der georgischen Literaturforschung, Oriens Christianus, 27, 1953, გვ. 89—99.
31. M. Tarchnišvili, Publications récentes relatives à la littérature géorgienne Le Muséon 71, 1958, გვ. 173—189.
32. M. Tarchnišvili, Le roman de Balahvar et sa traduction anglaise, Orientalia Christiana Periodica 24, 1958, გვ. 83—92.
33. მ. თარხნიშვილი, ვინ არის მართალი (ისტორიული მიმოხილვა ქართული ძეგლების ცუდი ცოდნისა დასავლეთში), Bedi Karthlisa, 1954, № 17. გვ. 23—26.
34. M. Tarchnišvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze, Città del Vaticano, 1955 (Studi e Testi 185).
35. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1941.
36. J. Assfalg, Zur Einführung, Tarchnišvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, გვ. 3—6.
37. შეადარე კ. კეკელიძის «ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა».
38. G. Garitte, A Halleux, Le sermon géorgien du moine Martyrius et son modèle syriaque, Le Muséon 69, 1956, გვ. 243—312.
39. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950, გვ. 537.
40. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის გამოცემის წინასიტყვაობა, თბ., 1945, გვ. 07.
41. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 127.
42. კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 137.
43. Assfalg, Krüger, Kleines Wörterbuch für Christliche Orient, Wiesbaden, 1975. Assfalg, Georgien, Realenzyklopädie, Bd. XII, 1984, გვ. 289—296.
44. Der christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart. I, München, 1936, № 1, გვ. 12—20; № 2, გვ. 13—21.



45. Byzantinische Zeitschrift, 40. 1940. გვ. 40—75.
46. Analecta Ordinis Sancti Basilii Magni, Rom. 1953, გვ. 572—581.
47. Der christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart, 4. München. 1939, გვ. 109; 5. 1940, გვ. 49—54.
48. Kyrios 5, 1940—41, გვ. 177—193.
49. Oriens Christianus, 39, 1955, გვ. 79—92.
50. Jahrbuch für Liturgiewissenschaft, 14, 1938, გვ. 79—94.
51. Bedi Karthlisa, 1951, № 10, გვ. 19—22.
52. Alma Socia Christi, vol. 2, Romae, 1952, გვ. 74—79.
53. Le Muséon. 60, 1947, გვ. 29—50.
54. Würzburg, 1939, Das östliche Christentum. Heft 9, 789.
55. J. Tyciak, G. Wunderle, P. Werhun. der Christliche Osten. Geist und Gestalt Regensburg, 1939, გვ. 275—293.
56. P. Krüger, J. Tyciak, Morgenländisches Christentum, Padebern. 1940, გვ. 332—348.
57. თქვე, გვ. 349—365.
58. Archiv für Liturgiewissenschaft, 2, 1952, გვ. 75—80.
59. Bedi Karthlisa, 1949, № 5, გვ. 25—26.
60. Bedi Karthlisa, 1950, № 7, გვ. 15—19.
61. Bedi Karthlisa, 1952, № 12, გვ. 13—15.
62. Bedi Karthlisa, 1955, № 21—22, გვ. 21—25.
63. Bedi Karthlisa, 1955, № 20, გვ. 20—23.

Т. З. ЧУМБУРИДЗЕ

ТАРХНИШВИЛИ М. С. — ГРУЗИНОВЕД

Резюме

В дело исследования и популяризации грузинской культуры довольно большой вклад внес грузинский ученый, проживающий за границей, Тархнишвили М. С. (1897—1957).

Автор дает общий обзор его деятельности. В круг интересов М. С. Тархнишвили входят история, язык, литература Грузии, литургика. Большое место в его работах уделяется изучению грузинских надписей. Немало труда приложил он также для публикации грузинских рукописей. Сам ученый издает грузинский лекционарий и типик грузинского монастыря в Петрицони, снабжая его латинским переводом и словарем. Солидный вклад внес ученый в исследование древнейшего лекционария.

Много внимания уделял Тархнишвили М. С. изучению истории грузинской письменности, исследуя, обрабатывая ряд специальных вопросов. Он издал «Историю грузинской духовной письменности», опираясь на труд Кекелидзе К. С. «История грузинской литературы», т. I.

Большое место в его деятельности занимают вопросы истории грузинской церкви, особенно распространение христианства и автокефалии церкви Грузии. Он изучал также христианский восток и византийскую литературу и литургику. Ему принадлежит солидный труд по истории грузинской церкви (который остался неопубликованным), составлял грузинско-французский словарь, печатал статьи о Грузии в европейских энциклопедиях, сотрудничал в научных журналах.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ინფორმაციის განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

ნინო მელიქიშვილი

 ფსალმუნის ციტირება ეფთვიმე ათონელისა და ავრამ
მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ლვთისმეტყველის
რამდენიმე ჰომილიტიკურ თხზულებაში

როგორც ცნობილია, გრიგოლ ლვთისმეტყველის თექვსმეტი ჰომილიტიკური სიტყვა თარგმნილი აქვს როგორც ეფთვიმე ათონელს, ასევე ეფრემ მცირეს. ეფთვიმე და ეფრემი სხვადასხვაგვარად თარგმნიდნენ ტექსტს. თვით ეფრემ მცირე გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რატომ გადაწყვიტა მან ლვთისმეტყველის თხზულებების ხელმეორედ თარგმნა. მის ერთ-ერთ გამონათქვამზე დაყრდნობით კ. კეკელიძე წერს: „მას სურდა, რათა ქართულად გრიგოლის თხზულებანი არამცთუ იმ შემადგენლობისანი ყოფილიყვნენ, როგორისაც ბერძნულად, არამედ ისიც, რომ ისინი გადმოღებული ყოფილიყვნენ ყოველივე ბერძულისაგან“¹. ე. ი. ეფრემს უნდოდა, რომ ზედმიწევნით ზუსტი თარგმანი გაეკეთებინა, რაც სრულებითაც არ იყო არსებითი ეფთვიმესათვის. აი, როგორ აფასებს ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მოღვაწეობას კ. კეკელიძე: „მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა მისი თანამემამულეების სულიერი მოთხოვნილებანი, მომზადებისა და განვითარების დონე, მათი „ფსიქიური“ სპეციფიკური თავისებურებანი... ჩვენ ვერ ვიპოვით მის თარგმანთა შორის ვერც ერთს ისეთს, რომელშიაც დედანი გადმოღებული იყოს ისე, როგორც ის მისი ავტორის ხელიდან გამოსულა“².

სამეცნიერო ლიტერატურაში დაკანონებული ეფთვიმესა და ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობის ეს შეფასება უდავოა. ასეთივეა ვითარება გრიგოლ ლვთისმეტყველის თხზულებების ქართულ თარგმანთან დაკავშირებით. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებს არა მთლიანი თარგმანი, არამედ მასში ჩართული ფსალმუნის ციტატები: რა სახით იყენებს თვით ლვთისმეტყველი ფსალმუნის ტექსტს — ზუსტად გადმოაქვს ის თუ აკეთებს პარაფრაზს, რანაირად თარგმნიან ასეთ ადგილებს ეფთვიმე და ეფრემი — ავრცელებენ თუ არა თავიანთ მთარგმნელობით მეთოდს ამგვარ შემთხვევებზეც...

როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე არსებობდა ფსალმუნის რამდენიმე რედაქცია. ისინი სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი³. ძირითადად გამოიყოფა სამი რედაქცია: ორი ძველი, ათონამდელი (C და 4) და მესამე — გიორგი მთაწმიდლისეული (N)⁴. C და 4 რედაქციას, საერთოდ, „ქართულ დავითს“ უწოდებენ, როგორც ამას აკეთებდა გიორგი მთაწმიდელი, როდესაც სურდა თავისი „დავითნი“⁵ დაეპირისპირებინა ფსალმუნის ძველი ქართული თარგმანებისათვის⁶. ქართულ ენაზე არსებობდა ფსალმუნის კიდევ ერთი თარგმანი, შესრულებული ეფთვიმე ათონელის მიერ. „გიორგი მთაწმიდლის მოწ-

1 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 264.

2 კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956, გვ. 185.

3 მხ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 13—20.

4 ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მჭეჭალა შანიძემ, 1, თბ., 1960, გვ. 013.

5 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980, გვ. 419.

მოზოთ, ექვთიმეს ვადმოუთარგმნია „დავითნი“ და მიუცია გადასაწერად ვილად მწერლისათვის, რომელმაც „განრყუნა და უქმარყო“ იგი. ამის შემდეგ მასკორედ აღარ უთარგმნია ის და, როდესაც დასკირდებოდა, ქართულ დავითნს მიმართავდა ხოლმე. ამიტომ მის შემდეგ ამ საქმისათვის ხელი მიუყვია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც, როგორც თავის ადგილას ვაჩვენეთ, დიდი გულმოდგინებით შეუწამებია ქართული ტექსტი ბერძნულისათვის და მოუცია ახალი რედაქცია დავითნისა, რომელმაც ვულგატის მნიშვნელობა მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში⁶.

ამრიგად, მაშინ, როდესაც ეფთვიმე თარგმნიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილეტიკურ თხზულებებს, არსებობდა მხოლოდ ქართული დავითნი. ფსალმუნის საკუთარ თარგმანს, თუ მას ის უკვე გაკეთებული ჰქონდა, გიორგი მთაწმიდლის ცნობით, თვით ეფთვიმეც კი აღარ იყენებდა. იმ დროისათვის კი, როდესაც ეფრემი შესდგომია ღვთისმეტყველის თხზულებების თარგმანს, ქართულ დავითნს შემატებია გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი, რომელიც ბერძნულ ორიგინალს უფრო ზედმიწევნით მისდევდა, ვიდრე ქართული დავითნი, და ამ მიზეზის გამო ეფრემისათვის უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო.

გრიგოლ ღვთისმეტყველის ათ ჰომილეტიკურ თხზულებაში⁷ ფსალმუნის ტექსტი 121-ჯერ არის მოხმობილი. ენახოთ, როგორ ხდება ეს:

1. ხშირად ღვთისმეტყველი წყვეტს ფსალმუნის მუხლს და მხოლოდ მისი ნაწილი შეაქვს თავის თხზულებაში. ასევე იქცევიან მისი მთარგმნელები — ეფთვიმე და ეფრემი. მაგ.:

მესმოდის ჩუენ, რასაცა იტყოდის უფალი ღმერთი ჩუენი, წმიდათა მისთასა და მათუხცვა, რომელნი მოქცეულ არიან გულითა. 84,9 ოღუ.

Φασι: ἡμῶν ἄξιον, φασὶ: ἡμῶν ἄξιον. Ἰνα ἄξιον ᾖ αὐτῶν, τὶ λαλῆσαι: Κρίσις ἡ Θεὸς 40, XXXVIII⁸.

განვინათლოთ ენაეცა, რაათა გუესმას ჩუენ, რასაცა იტყოდის უფალი ღმერთი ჩუენი. ეფთ. 5 XXXVIII 174⁹.

განვინათლოთ სასმენელი, განვინათლოთ ენაე, რაათა ვისმენდეთ, რასა იტყოდის უფალი ღმერთი. ეფრ.

ზოგჯერ ღვთისმეტყველის თხზულებაში ჩართული ფსალმუნის მუხლი გაწყვეტილია, გაკეთებული აქვს კომენტარი გრიგოლის მიერ და შემდეგ ისევ გრძელდება. ზუსტად ასევეა ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში. მაგ.:

ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უშჯულოებანი და რომელთა დაეღვარნეს ცოდვანი. 31,1 ოღუ.

⁶ იქვე, გვ. 418.

⁷ ეს თხზულებებია: „სიტყუაჲ შობისათჳს უფლისა ღმრთისა“, „ნათლისღებისა მიმართ მწუვეულობითი“, „გრიგოლის მიმართ ნოსელისა“, „წყულღებისათჳს სეტყუსა მიერისა“, „ნათელათჳს“, „დიდისა ათანასესათჳს“, „მეერგასისათჳს და სულსა წმიდისათჳს“, „ეპიტაფია ბასილისათჳს“, „გლახაკთმოწყალებისათჳს“, „ახალკურიაკისათჳს და არისა და ენკენისათჳს“. ეს თხზულებები დანარჩენ ექვს ჰომილეტიკურ სიტყუასთან ერთად მზადდება გამოცემად.

⁸ ფსალმუნის ტექსტს ვიმოწმებთ მზ. შანიძის ზემოთ დასახელებული გამოცემის მიხედვით.

⁹ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Theologi, accurate et recognoscente J.—P. Migne, Patrologiae Graecae, T.35. Turnholte (Belgium). არაბული ციფრებით აღნიშნულია თხზულება თავის ბერძნული რიგის მიხედვით, რომაულით — თხზულებათა მუხლობრივი დაყოფა.

¹⁰ არაბული ციფრით აღნიშნულია ღვთისმეტყველის თხზულება ეფრემისეული რიგის მიხედვით. რომაულით — თხზულების მუხლობრივი დაყოფა ბერძნულ გამოცემაში, მეორე არაბული ციფრით — ქართული თარგმანის დამატებითი დაყოფა გამოცემელთა მიერ.



Μακάριοι, τὸν ἀρχιεπίσκοπον ἀνὶ ἀναστάσεως τοῦ κυρίου ἡμεῖς παύσαμεν καὶ ἀρ-
 σεωσθε ἂν τὸν Παναγιώτημον ἀνὶ ἀναστάσεως 40, XXII.

ნეტარ არიან, რომელთა მიეტყვენეს ურჩულოებანი (უკულოებანი ეგრ.) —
 ესე სრულისა განწმედისა სსწაულ (სასწაულ) — ეგრ.) არს და რომელთა
 დაეფარნეს ცოდვანი 5 XXXII 150.

2. მაშინ, როდესაც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებაში ფსალმუნის
 ტექსტი არ არის პარაფრაზირებული, ეფთვიმესა და ეფრემისათვის თარგმნა
 იოლდებოდა: მათ შეეძლოთ დავითის უკვე არსებული თარგმანი გამოეყენე-
 ბინათ. ეფთვიმეს — ქართული დავითნი, ეფრემს — გიორგისეული რედაქცია.
 ეფრემი, როგორც ჩანს, ამ შესაძლებლობას ხშირად არც იყენებდა: დამთხვევა
 მის თარგმანსა და გიორგისეულ რედაქციას შორის შეიძლება აიხსნას იმ საერ-
 თო წყაროთი, რომლითაც სარგებლობდნენ ღვთისმეტყველი და გიორგი, ბერ-
 ძნული ფსალმუნით. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის უმნიშვნე-
 ლო განსხვავებები, რომლებიც არის ეფრემის თარგმანსა და გიორგისეულ რე-
 დაქციას შორის. მაგ.: მე-11 ფსალმუნის მე-6 მუხლში სამსავე (C4L) რე-
 დაქციაში არის „ქირისათჳს“. ეფრემი მას ცვლის სიტყვით „საარბულება-
 სათჳს“ (9 XXXV 168). 76-ე ფსალმუნის მე-11 მუხლში C4L-ში არის „ვანახ-
 ლება“, ეფრემთან — „შეცვალება“ (13 VIII 34). 118-ე ფსალმუნის 131-ე მუხ-
 ლის „მოვიღე“ ეფრემთან შეცვლილია „მოიზიდო“-თი (13 VI 23). მსგავსი
 შემთხვევები საკმაოდ ბევრია. რაც შეეხება ეფთვიმეს, ის, როგორც წესა,
 მიჰყვება ფსალმუნის C4 რედაქციას, ე. ი. ეფთვიმე იყენებდა ფსალმუნის
 უკვე არსებულ თარგმანს. ყოველივე ზემოთ თქმულს უნდა დავუმატოთ ისიც,
 რომ გიორგისეული რედაქციის გავლენის გამორიცხვა ეფრემის თარგმანზე არ
 შეიძლება. ზოგჯერ ის იხმარს ერთ რომელსავე სიტყვას, საიდანაც აშკარა ხდებ-
 ბა, რომ მას ზეპირად ახსოვს ფსალმუნის ქართული თარგმანი, კერძოდ, გიორ-
 გისეული რედაქცია. მაგ.: 50-ე ფსალმუნის მე-14 მუხლში Ⴀ რედაქციაში არის
 „სულითა მთავრობისადათა“, C4-ში კი — „სულითა წმიდითა“. ეფრემი, მიუხე-
 დავად იმისა, რომ აკეთებს ამ მუხლის ნაზიანზელისეულ პარაფრაზირებულ
 თარგმანს, ხმარობს „სულითა მთავრობისადათა“-ს. (14 XIII 54), ეფთვიმე კი —
 „სულითა წმიდითა“-ს. 140-ე ფსალმუნის მე-10 მუხლში Ⴀ რედაქციაში ნახმა-
 რია „თანა-წარვქმდე“. ასევეა ეფრემთან (4 XX 101). C4 რედაქციაში კი ვკი-
 თხულობთ „განერე“-ს, ეფთვიმესთან — „განმარინოთ მე“.

თუ ფსალმუნის შესატყვისი მუხლი ქართულ დავითნსა და გიორგის თარ-
 გმანში ერთმანეთს ემთხვევა, ემთხვევა ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებიც.
 მაგ.: უფალმან მოსცეს სიტკბობება და ქუეყანამან ჩუენმან გამოსცეს ნაყოფი
 თჳსი. ეფთ. 10 XX 85. ზუსტად ამ სახითა ეს მაგალითი ეფრემთანაც და
 ფსალმუნის (84,13) სამსავე (C4L) რედაქციაში.

განანათლებ შენ საკვირველად მთათაგან საუკუნეთა. 5 XXXVI 164¹¹.
 აქაც დამთხვევაა ეფთვიმეს, ეფრემსა და 75-ე ფსალმუნის მე-5 მუხლის სამ-
 სავე რედაქციაში. ოღონდ შეიძლება დაზუსტდეს, რომ ეფთვიმე ეყრდნობა
 Ⴀ რედაქციის CEF ნუსხებს. საერთოდ, ჩვენი მასალა მხარს უჭერს მზ. შაფი-
 ძის დასკვნას, რომ „L-ს სახით გვაქვს ქართული ფსალმუნის პროტოვულგატის
 ტექსტი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელი „ქართულ დავითნს“ უწოდებს“¹².

არის შემთხვევები, როდესაც ქართული დავითნი და გიორგისეული რე-

11 Ⴀ, Ⴁ და Ⴂ რედაქციებს შორის ზოგჯერ არის უმნიშვნელო სხვაობა, რომელიც არსე-
 ბითად სურათს არ ცვლის. მსგავს შემთხვევებში ამ რედაქციითა ჩვენებებს ერთად წარმოვაღ-
 გენთ.

12 მზ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

დაქცია რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად განსხვავდება ფსალმუნის ციტირებაც ეფთვიმესეულ და ეფრემისეულ თარგმანებში. მაგარი თხზნი, რომლითა არა განივსნის კელნი თხსნი მომკალმან, არცა მკარი თხსნი, რომელნი შეპკრებენ მქელეულებსა მათსა. ეფთ. 6 VI 20.

რომლისაგან არა განივსნის მქელი თხსნი მომკალმან და არცა მკარი, რომელნი შეპკრებენ მქელეულებსა მათსა. 128, 7 Ⴎ4, (მკარი 4: BCE).

რომლითა არა აღივსო კელი თხსნი მომკალმან და წიაღი მასი, რომელი შეპკრებდა მქელებსა. ეფრ.

რომლისაგან არა აღივსო კელი თხსნი მომკალმან და არცა წიაღი, რომელი შეპკრებენ მქელეულებსა მისსა. Ⴎ.

ძირითადად მსგავს შემთხვევებში ეფთვიმე სიტყვასიტყვით მისდევს ქართულ დავითს. მაგრამ არის მაგალითები, როდესაც ეფთვიმე არ არის ბოლომდე ზუსტი და თავის თავს აძლევს იმის უფლებას, რასაც საერთოდ სჩადის ზოლმე სათარგმნი ტექსტის მიმართ: ავრცობს ან ამოკლებს მას, ცვლის სიტყვას მისი სინონიმით. მაგ.:

დადგე ჩუენთს და გვქსნენ ჩუენ ლოცვითა და დაეყენოს სიკუდილი და სალმობაჲ. ეფთ. 10 XX 83.

დადგა ფინეზ, იქსნა იგინი, დაეყენა სიკუდილი. 105, 30 Ⴎ4.

დადგე ჩუენთს და ლხინება-ყავ და დაეყენოს სრუჲ. ეფრ.

და დადგა ფინეზ და ლხინება-ყო და დაეყენა სრუჲ Ⴎ.

Σαῡθι: περὶ ἡμῶν καὶ ἐξ̄ηλθαι: καὶ κ̄οπασ̄ατω ἡ θ̄ρᾱνη: 16, XX. Καὶ ἔσ̄οη Φινεεζ καὶ ἐξ̄ηλθασ̄ατο, καὶ ἐκ̄οπασ̄αεν ἡ θ̄ρᾱνη: 13.

იქ, სადაც ეფთვიმე ცვლის ქართულ დავითს და არც ფსალმუნის ბერძნულ ტექსტს უპერს მხარს, შესაძლოა მოვიშველიოთ მხეჭალა შანიძის ვარაუდი: „...გამორიცხული არ არის შესაძლებლობა სხვა წყაროებში განსხვავებული ტექსტუალური ტრადიციის გამოვლინებისა. ეს ტრადიცია შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა მთლიან თარგმანთან. გარდა ამისა, შესაძლოა აქ გვქონდეს Ⴎ4 არქტიპის ისეთი იკითხვისები, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში დაკარგულია“¹³.

3. ხშირად ფსალმუნის ესა თუ ის ადგილი ბერძნულ დედანში პარაფრაზირებულია. სათანადოდ პარაფრაზირებულია შესატყვისი ადგალი ეფრემის თარგმანშიც, რადგან ეფრემისთვის არსებითია ზედმიწევნითი სიახლოვე სათარგმნ დედანთან. რაც შეეხება ეფთვიმეს, ის ამგვარ შემთხვევებში სხვადასხვაგვარად იქცევა:

ა) ეყრდნობა ქართულ დავითს (Ⴎ4). თუ გიორგისეული რედაქცია იმეორებს ქართულ დავითს და არაფერს ცვლის მასში, მაშინ ისაც ეფთვიმეს თარგმანის გვერდით დგება. მაგ.:

მარადის სიწმიდისა მის მიმართ იღუწიდი და აღსლვია გულსა თხსსა და იდევ. ეფთ. 5 XXXIV 160.

ნეტარ არს კაცი, რომლისა შეწევნაჲ მისი შენგან არს. აღსლვია გულსა თხსსა დაიდვა. 83,6 Ⴎ4 Ⴎ.

რომელსა-ეგე ნიჭისა მიერ მიემთხვე მოტეებასა, ესე მოლუაწებით დაიცვი. ეფრ.

¹³ ფსალმუნის ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Septuaginta, editio Alfred Rahlfis. Stuttgart, 1979.

¹⁴ მზ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152.



Και ἦς ἐπὶ τὰς ἀρχαίας ἀρχαίας, ἀστὴν ἐπὶ μὲλεις ἀστυρήσθησιν
 40, XXXIV.

ბ) მიჰყვება ქართულ დავითს, ოღონდ ბოლომდე ზუსტად არა. მაგ. არა არს, რომელმანცა ყო სიტკბოება და სიმართლე, არავე არს მიერთამდე ეფთ. 10 XII 45.

არავე არს, რომელმანცა ყო სიტკბოება. არავე არს მიერთამდე. 13, 34. არა არს მოქმედ მსჯავრისა და სიმართლისა, არა არს არცა ერთამდე. ეფრ.

Ὁὐκ ἔσται πικρὸν γρηῖτα καὶ μελαγχολικόν, οὐκ ἔσται ἔως ἐντὶς. 16, XII.

ე. ი. გარდა ქართული დავითისა, აქ ეფთვიმეს რამდენადმე გაუთვალისწინებია ბერძნული დედნის ჩვენებაც.

ზოგჯერ განსხვავება ეფთვიმეს თარგმანსა და ქართულ დავითს შორის აიხსნება იმით, რომ ეფთვიმე ენდობოდა თავის მეხსიერებას და არ იხედებოდა ფსალმუნის ტექსტში. მაგ.:

ამისთვის ვიქმნენით საყუდრელ მახლობელთა ჩუენთა. ეფთ. 10 XII 48.

ვიქმნენით ჩუენ საყუდრელ მოძმეთა ჩუენთა. 78,4 ოცე.

ამისთვის ვიქმნენით საყუდრელ მეზობელთა ჩუენთა. ეფრ.

...ταὶς ψαλμοῖς ἦσαν 16, XII.

ვ) ეფთვიმე თითქმის სიტყვასიტყვით თარგმნის ნაზიანზელს და ამდენად, მისი თარგმანი ეფრემის თარგმანს უახლოვდება. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია. მაგ.:

ვითარცა-იგი დავითის მიერ იქების მზისა სიკეთე და სიდიდე, მაღალად სღვად და ძალა, რომელი ბრწყინავს, ვითარცა სიძე, ძლიერ არს, ვითარცა გმირი. ეფთ. 3 LXVI 256.

მზისა იქების დავითისგან სიკეთე და სიდიდე, სრბისა სიმაღლე და ძალი, რომელი ბრწყინავს, ვითარცა სიძე, კეთილდიდ არს, ვითარცა გმირი. ეფრ.

მზესა აღუდგა კარავი თუსი; თავადი იგი ვითარცა სიძე რაჲ გამოვალნ ეზოთ თუსით, იხარებდეს იგი, ვითარცა გმირი სრბად გზასა. 18,6 ოცე.

დ) ეფთვიმე აკეთებს ნაზიანზელის ტექსტის თავისუფალ თარგმანს:

ვიცი მეხუთეცა ნათლისებაჲ — ცრემლითა, გარნა საჭირო და საშრომელ, ვითარცა რომელი-იგი ბანნ მარადლე ცხედარსა და სარეცელსა მისსა ცრემლითა. ეფთ. 4 XVII 91.

დავშუერი მე სულ-თქუმიოთა ჩემითა, დავბანე მე მარადის ღამე ცხედარი ჩემი და სარეცელი ჩემი დავალტვე ცრემლითა ჩემითა. 6,7 ოცე.

ე) ეფთვიმე საფუძვლიანად ცვლის როგორც ნაზიანზელის ტექსტს, ასევე ფსალმუნისასაც. ამას აკეთებს იმიტომ, რომ უფრო ლამაზი და აზრიანი გახადოს ტექსტი, უფრო ამომწურავი ცნობები მოგვეწოდოს. მაგ.:

რამთა ყოფადი იგი კჳალად-გებაჲ მოასწაოს, ვითარცა-იგი დღისათუსცა სატყუერებისა სხუად ფრიადი აღწერა და უწოდაჲ ტაძრისა რაჲსმე განახლებაჲ. ეფთ. 13 V 20.

ვითარ-იგი ენეწიათა დღისა ამის სხუასა ფსალმუნსა სახლის რაჲსმე განახლებაჲ სახელ-სდებს. ეფრ. (ასევეა ნაზიანზელის ბერძნულ ტექსტში. 44, V).

ფსალმუნი დავითისი, კთ. განახლებისათუს სახლსა. ფსალმ. 29,1 ოცე.

ფსალმუნ-ი, ვალიობაჲ განახლებისა სახლისა დავითისი. 7.

ნაზიანზელსა ერთგან ფსალმუნის ორი სხედასხვა მუხლი (მე-9 ფსალმუნის მე-13 და მე-19) შეაერთა. მისი ზუსტი ეფრემისეული თარგმანი ასე გამოიყურება:

და არა დაივიწყა დადებდაჲ დავრდომილთაჲ და არა სრულიად დაივიწყოს გლახაკი. ეფრ. 9 XXV 170.



როგორც ჩანს, ეფთვიმეს მოეჩვენა (და სამართლიანადაც), რომ ამ ორო მუხლის შეერთება მაინცდამაინც ლამაზი არ იყო, აქ ფაქტობრივად ორი ნადღების აზრი ერთმანეთს ემთხვევა, თანაც სიტყვაც მეორდება. ამიტომ მან ასეთნაირად შეცვალა თავის თარგმანში ეს ადგილი:

არა დაივიწყა ლაღაღებად დავრდომილთაჲ და თუალნი მისნი დავრდო-
მილთა ხედვენ. ეფთ. 9 XXXV 170.

4. რამდენიმე საინტერესო შემთხვევა გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ ფსალმუნის ციტირებისას:

ა) გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის თხზულებაში (16, VIII) იყენებს 49-ე ფსალმუნის 21-ე მუხლს და უმატებს მას სიტყვა „ცოდვას“, რომელიც არ არის ბერძნული ფსალმუნის დღევანდელ კრიტიკულ ტექსტში და არც ქართულ დავითნში. ეს ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეფრემმა უცვლელად თარგმნა, გადმოიღო სიტყვა „ცოდვაც“. ეფთვიმე კი ის შეცვალა სიტყვა „ურჩობით“. საკულისხმია, რომ გიორგისეულ რედაქციაშიც ნახმარია სიტყვა „ცოდვა“. შესაძლოა, ამ ფაქტის ასახსნელად დაგვეხმაროს მზ. შანიძის შეზღვევი ვარაუდი: „ერთი მხრივ, გიორგის დედნის ძირითადი სახე ცხადია ჩვენთვის, მეორე მხრივ, ზუსტად მისი ფარდის მონახვა ამჟამად არსებულ და ჩვენთვის ხელმისაწვდომ ერთ რომელიმე ბერძნულ ტექსტში არ ხერხდება“¹⁵. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ის ნუსხა, რომელსაც ემყარება გიორგის თარგმანი და, ამავე დროს, გრიგოლ ღვთისმეტყველიც ფსალმუნის ტექსტის ციტირებისას, არ არის გათვალისწინებული ბერძნული ფსალმუნის დღევანდელ კრიტიკულ გამოცემებში.

ბ) გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებაში ჩართულია 96-ე ფსალმუნის მე-11 მუხლი და მასში გამოთქმა „გულით წრფელი“ შეცვლილია სიტყვა „მეუღლეთი“. „მეუღლე“ არის როგორც ეფთვიმეს, ასევე ეფრემის თარგმანში:

και τὸς ἀνέταις τῆ ἀαρβία ἐσφροσάνη 96, 11.

ნათელი გამობრწყინდა მართალთა ზედა და გულითა წრფელთა სიხარული. 96,11 **ცვლ.**

Φῶς μὲν ἀνέτειλε τῷ δικαίῳ, καὶ ἡ τῆς αἰτίας ἐσφροσάνη. 40, XXXVI.

ნათელი გამოუბრწყინდა მართალთა და მეუღლე მისი სიხარული. ეფთ. ეფრ. 5. XXXVI 164.

აქაც იგივე ვარაუდი უნდა გამოვთქვათ, რაც წინა შემთხვევაში: შესაძლოა, ბერძნული ფსალმუნის რომელიღაცა დღეს არარსებული ნუსხის ჩვენებას იძლევა ღვთისმეტყველის თხზულება, ან მან, რაც ნაკლებად არის მოსალოდნელი, თვითნებურად, რაღაც მოსაზრებით შეცვალა ფსალმუნის ტექსტი.

გ) ღვთისმეტყველის თხზულებაში ჩართულ 59-ე ფსალმუნის მე-5 მუხლში „ღვწა“ შეცვლილია სიტყვა „სულით“. „სული“ არის ეფრემის თარგმანშიც. ეფთვიმე კი, ალბათ ფსალმუნის ტექსტზე დაყრდნობით, წერს „სასუმელს“.

ἐπίστασας ἡμᾶς οἶνοιο κατανίξασ 59,5.

...მასუ ჩუენ ღვწა მწუხარებისაჲ... 59,5 **ცვლ.**

რომელი ასუამს შეურაცხისმყოფელთა სასუმელსა მწუხარებისა და სულთქუმისასა. ეფთ. 10 X 35.

και ποτὶ τὸν τῶς καταφροσύνην πνεύμα ληπης και κατα νίξασ 16, X.

¹⁵ მზ. შანიძე, დსახ. ნაშრ., გვ. 178.

ბიოტი დედნის სიტყვასიტყვითი გადმოღება. ამიტომ არაფერია მოულოდნელი არ არის იმაში, რომ ეფთვიმე ძირითად შემთხვევებში კი არ თარგმნის ლაზარეოს მტყველის თხზულებებში ჩართულ ფსალმუნის ტექსტს, არამედ იყენებს უკვე არსებულ ქართულ თარგმანს. აქ გამოიკვეთა საინტერესო სურათი: როდესაც ქართული დავითი ზუსტად მისდევს ფსალმუნის ბერძნულ ტექსტს, ეფთვიმეც თითქმის უცვლელად იმეორებს მას. ხოლო მაშინ, როდესაც ქართული დავითი განსხვავდება ბერძნული ფსალმუნისაგან, ეფთვიმეს თარგმანი სიტყვასიტყვით აღარ ემთხვევა მას. ის, როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში თვითონ თარგმნის ბერძნული ფსალმუნიდან. ამ ფაქტზე დაყრდნობით შეკვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, თუ რა პრინციპით თარგმნიდა თავის დროზე ეფთვიმე ფსალმუნს. მოსალოდნელია, რომ მან გიორგი მთაწმიდლოს მსგავსი სამუშაო შეასრულა¹⁸; ქართული დავითი შეუღარა ბერძნულ ფსალმუნს, სადაც რაიმე განსხვავება დაინახა, ხელახლა თარგმნა ბერძნულიდან.

Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

ЦИТИРОВАНИЕ ПСАЛТЫРИ ЕВФИМИЕМ АФОНСКИМ И
ЕФРЕМОМ МЦИРЕ В ПЕРЕВОДАХ ГОМИЛЕТИЧЕСКИХ
СОЧИНЕНИИ ГРИГОРИЯ БОГОСЛОВА

Резюме

В статье дана попытка выявить, как Григорий Назианзин применяет Псалтырь в качестве источника в своих десяти гомилетических сочинениях и как представлены такие места в двух древнегрузинских переводах (X—XI вв.) этих текстов.

Оказалось, что Григорий Богослов в основных случаях не меняет текст Псалтыри, но иногда делает его парафраз. Так же поступает один из его переводчиков — Ефрем Мцире. Что касается второго переводчика — Евфимия Афонского — он в таких случаях в основном руководствуется уже сделанным древнегрузинским переводом книги Псалмов („დაციონი“). Этот перевод неоднороден. Когда он соответствует греческому оригиналу, Евфимий прямо берет из него нужные ему места, а когда есть кое-какие расхождения, он сам переводит с греческой Псалтыри.

В статье высказано предположение, что Григорий Богослов имел какой-то неизвестный на сегодняшний день список Псалтыри, так как в его произведениях некоторые слова и выражения источника представлены в несколько измененном виде.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ნ ა ნ ა მ ი რ ა შ ვ ი ლ ი

 ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული XI საუკუნის
 ქართული „თთუენის“ თავად გალოზანთათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მოიპოვება ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული ბერძნული „სახარებისა“ და XI საუკუნის „თთუენის“ (I 100) ფოტოპირი. XI საუკუნის „თთუენმა“ განსაკუთრებით მიიპყრო ჩვენი ყურადღება თავედი გალოზანების სიმრავლით. „თავედი“ იქნებ მოითხოვდეს განმარტებას, თუმცა სიმონ ყაუხჩიშვილი ხშირად ხმარობს „თაოვანს“ თავებად დაყოფილის მნიშვნელობით. „თავედი“ ეს არის ძველი ქართული ტერმინი, რომელიც ესადაგება „აკროსტიქულს“. კალკირებული „კიდურწერილობა“ ტერმინი შედარებით გვიანდელია. პავლე ინგოროყვა რამდენადმე განაზოგადებს „თავედის“ შინაარსს და ხმარობს ამ სიტყვას მერჩულელი ალიტერაციის აზრით — „ალატერაცია თავედი“¹. ამასთან, თავედი გალოზანები „მოკაზმულთა“ გვარის სახეობრივ ცნებად აქვს გამოყენებული², თუმცა სხვა თვალსაზრისებიც არსებობს (მხედველობაში გვაქვს „მოკაზმული“ ტერმინი). კ. კეკელიძე პ. ინგოროყვასაგან განსხვავებულად აფასებს ე. წ. „თავედ ალიტერაციას“, არა როგორც „თავედის“ განზოგადების შედეგს, არამედ როგორც „კიდურწერილობის“ სახეს: „აკროსტიქის როლს ასრულებს ხშირად რომელიმე ასო. მაგ., მთელ რიგს სტროფებისას იწყებს ასო მ ა ნ ნ; ან მთელ ჯგუფში საგალობლებისა ცალცალკე სტროფებს იწყებს მთელი რიგი ასოები...“

კ. კეკელიძე ყველა შემთხვევას ჩამოთვლის და დასძენს: „რას ნიშნავს ასეთი აკროსტიქი, ძნელია თქმა, შეიძლება ავტორის სახელის პირველ ასოს წარმოადგენს“³. „თ ა ვ ე დ შ ი“ თ ა ვ ი გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს პ ო ე ტ უ რ ი მ ო ნ ა კ ე ვ ე თ ი ს და ს ა მ წ ყ ი ს ას ო ს. ზოგჯერ მითითებულია — „თაენი იტყუან“... „თავედის“ ძველ ქართულ სინონიმად, ვფიქრობთ, სამართლიანად მიიჩნედა პავლე ინგოროყვას — „აღბეჭდულნი“, თუმცა კორნელი კეკელიძისათვის ამ ტერმინის შინაარსი სიცოცხლის ბოლომდე საცილობლად დარჩა.

კიდევ ერთ განმარტებას მოგახსენებთ სათაურში ხმარებულა ტერმინისათვის: „გალოზანი“, ისე როგორც „დედანი“, ან უფრო გვიან „წმინდანი“, მხოლოდ ფორმით არის მრავლობითი. რეალურად იგი ერთს, მხოლოს მიუთითებს. ეს გახლავთ ლიტურგიკული პოემა, რომელიც შედგება ცხრა გალობისაგან. ამ გალობებს მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობა ახასიათებს. ხოლო თანამიმდევრობა ბიბლიური პოეზიიდან, ფსალმობიიდან მომდინარეობს. ქართულმა ტრადიციამ, როგორც ამას ხელნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს და როგორც უთითებენ კორნელი კეკელიძე, ელენე მეტრეველი და სხვანი, შემოინახა ცალკეული ოდების, ანუ გალობების აღნიშვნა იმ ბიბლიური ტექსტის დასაწყისი სიტყვის მიხედვით, რომელთანაც „დასადებელი“ გალობა არის დაკავშირებული. კანონის შესახებ ბიზანტინოლოგიაში ახალი საუკუნეების მკვლევართ, ლეო ალაციუსისაგან მოყოლებული, ბევრი რამ უთქვამთ. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ საგალობელთმეტყველების სკოლას, მონოგრაფიები არსებობს. „გალობნებზე“ და ზოგად დახასიათებაზე ჩვენ სიტყვას აღარ ვავარძლებთ.

ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძე შენიშნავდა, რომ „უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებში აკროსტიქა“¹. კიდურად ლობას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. კერძოდ, საგალობლების შემსრულებელთ უმსუბუქებდა ტექსტის მყარად დამახსოვრებას.

აკროსტიქი სხვადასხვაგვარია; როგორც ცნობილია სიმონ ყაუხჩიშვილის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიიდან“, ყველაზე ადრეული ანბანური აკროსტიქია². რაც შეეხება ვერეთ წოდებულ წინადადებრივ აკროსტიქს, სიმონ ყაუხჩიშვილი წერს: „მეორე სახის აკროსტიხი (ლაპარაკია წინადადებრივ აკროსტიხზე. — ნ. მ.) ფრიად მნიშვნელოვანია ლიტერატურის ისტორიისათვის: ამით მეცნიერება ტყობილობს ბევრი ავტორის სახელს. გარდა ამისა, თვითონაც ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ გარკვეული მიზნები უნდა ყოფილიყო, რომლებიც აიძულებდნენ ავტორს თავისი სახელი შეფარვით აღებუქდა ლექსში“³. საგალობლის თხზვა მეტად ემსგავსება ტაძრის აგებას (ან-ს შესახებ წერენ ჩვენში ზურაბ კიკნაძე, ლიანა კვირიკაშვილი და სხვანი).

აკროსტიქთა გვარსახეობების შესახებ კორნელი კეკელიძე წერს: „ზმირად აკროსტიქი შეიცავს ბერძნული ანბანის ასოებს A-დან მოყოლებული Ω-მდე, ხან კიდევ ავტორის სახელს, შინაარსს, ან დამოუკიდებელ ლექსს“⁴. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე გამოყოფილია აკროსტიქები, რომლებიც გალობანის შემკვეთლის სახელს აღბეჭდავენ: მაგალითად, „ქრისტე, აღიდე საურმაგ და ძეა მისი მირეან“ (პავლე ინგოროყვას „ძველ-ქართული სასულაერო პოეზიიდან“) ცნობილია ისეთი აკროსტიქებიც, რომლებშიც დღესასწაულის სახელწოდებაა აღნიშნული. მოვიყვანთ ორიოდ ნიმუშს. ღმრთისმშობლის ტაძრად მოყვანების გალობანს აქვს აკროსტიქი: „განმანათლებელსა ჩუენსა დედოფალსა უგალობდეთ დღეს“, ან სხვა „წინასწარმეტყუელისა ამოსის საკვებელი მოიწია“. სხვათა შორის, ეს ნიმუშები წარმოგვიდგენენ გალობებთან მცირე ფორმის საგალობლების დამაკავშირებელ აკროსტიქებს. ეს სპეციალურად გამოკვლეულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ბიზანტიური პოეზიის აკროსტიქს ეძღვნება ვ. ვაის სპეციალური ნაშრომი — „აკროსტიქი ბიზანტიურ პოეტურ კანონებში“, რომელიც არსებითად კარლ კრუმბახერის შრომას განაგრძობს⁵. (მხედველობაში გვაქვს კარლ კრუმბახერის „Die Akrostichis in der griechischen Kirchenpoësie“ (Sitz — Ber. d. Bayer, d. w., 1903, IV, München, 1904). მეცნიერი გამოყოფს პროზაულსა და მეტრულ აკროსტიხებს, ხოლო მეტრული აკროსტიხებიდან — ჰომეროსისეული ჰეგზამეტრით გამართულებს და იამბურს: ა) თორმეტმარცვლიანს, ბ) თორმეტმარცვლიანს ეპილოგის მირთვით. ვ. ვაი მსჯელობს, აგრეთვე, ორმაგ აკროსტიქებზე ტროპარებსა და ღმრთისმშობლისა-ნებში. ამას გარდა, ლაპარაკია მხოლოდ ღმრთისმშობლისათა, ანუ ო დ ე ბ ის, უ კ ა ნ ა ს კ ე ლ ი ტ რ ო პ ა რ ე ბ ის თ ა ვ ე ბ ი თ ა ლ ბ ე ჭ დ ი ლ აკროსტიხებზე და ისეთ კანონებზეც, სადაც ავტორის სახელი მოცემულია IX ოდის თავებში. აკროსტიხის ანომალიებზე ქვემოთ მოგახსენებთ ჰარვარდული „თთუნის“ მასალის მიხედვით.

ჩვენი საკვლევი ხელნაწერი, როგორც მოგახსენეთ, XI საუკუნეს ეკუთვნის, ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების კლასიკურ პერიოდს, რომლის დახასიათებაც წინამდებარე ჟურნალის ფურცლებზე უადგილოდ მიგვაჩნია. მხოლოდ ერთ ციტატას შეგახსენებთ კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“: „ქართველი ჰიმნოგრაფები იმდენად დაწინაურებულან საეკლესიო მწერლობის ამ დარგში, რომ ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან იმპროვიზებულ ბერძენ ჰიმნოგრაფებს. ამ გარემოებას და მასთან ერთად ჩვენში გროვულა

თვითშეგნებისა და კულტურის მძლავრ გავლენებს ისინი დაუყენებია ღვთის-
მსახურებისა და ჰიმნოგრაფიულ კრებულთა ნაციონალიზაციის გზაზე⁴⁹. ფრიად
საგულისხმოა ვაჟა გვახარიას მიერ გამოკვლეული „ქართულ მუსიკალურ სისტე-
ტმათა განვითარება“. თვით ქართული საგალობლის სამუსიკო სისტემა ბი-
ზანტიურისაგან განსხვავებულად ვითარდება. პლაგალური, ანუ ძველი ქარ-
თული ტერმინი „გვერდითი“, ხმები იქმნება ავთენტური, ანუ ძირითადი,
ხმების დომინანტიდან უშუალო გაგრძელებით, მაშინ როდესაც ბიზანტიურში
კვარტით დაბლა აივება⁵⁰.

პარვარდული „თთუნის“ შესწავლამ მეტად საინტერესო სურათი წარ-
მოგვიდგინა: აღნიშნულ ხელნაწერში დაცულია თოთხმეტი თავედი გალობანი,
რომლებიც სხვა გალობანათაგან გამოყოფილია ზედწერილით ან არშიაზე მი-
ნაწერით — „აკრისტხოონი“. ერთ გალობანში ზედწერილია „აკრისტხოონი თავე-
ბები იტყვს“. 168-ე რ ფურცელზე კი მითითებულია „თავედნი“. მხოლოდ ერთი
გალობანი ვნახეთ ისეთი, რომ არ არის მინიშნებული აკროსტიხულობა.

პარვარდული „თთუნის“ ყველა აკროსტიხი განეკუთვნება ე. წ. წინადა-
დებრივს, ხოლო ანბანურის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს. შინაარსობრივად
მუხლთა თავები ასახელებენ დღესასწაულებს. მაგალითისთვის:

დეკნბერსა (14) იდ წმიდისა მამისა ჩუენისა საბაის
ეკლესიათა სატფური

ფურც. 58r—59v კმა ბ

I მამა||IIIსამ||Iამათა||Vსალუ||VIვაწლ||VIIთგანში||VIIIუენებ||IXულსასაბას||.

მამასა მამათასა ლუეაწლით განშუენებულსა საბას.

ან: დეკნბერსა (24) კდ წინა დღესასწაულობაჲ შობისა უფლისაჲ (ფურც.
107v—109v. კმა ბ (გ^ი)).

Iქრის||IIტეს ში||Vობისა||Vყო||VIელნი||VIIშევი||VIIIამკო||IXბდეთ||.

ქრისტეს შობასა ყოველნი შევაგობდეთ.

იანვარსა (21) კა წმიდისა მამისა მაქსიმე აღმსრულებლისაჲ (ფურც.
254v—256r. კმა დ (გ^ი))

Iდილი||IIებო(კ)||IIIსამ||IVაქსი||Vიმო||VIსსო(კ)გი||VIIლო||IXბდეთში||.

დიდებულსა მაქსიმოსს უგალობდით.

IX გალობის ბოლო მუხლი იწყება „შ“-თი, რომელიც აკროსტიხში არ
შედის.

ფებერვალსა (II) ია წმიდისა მღვდელმოწამისა ბლასისი (ფურც. 331r—
333v. კმა დ)

Iზლას||IIისის||IIIმღელი||IVლთმო||Vძლო(კ)ა||VIრსაში||VIIევამკი||IXობდეთ||.

ბლასისის მღვდელთმოძღუარსა შევაგობდეთ.

რომელი კვრიაკე ქრისტეს შობისა წინათ იყოს კსენება აბრაამ და ისაკ
და იაკობისი და სამთა ყრმათაჲ და დანიელ წინაღსწარმეტყუელისაჲ და სხუ-
ათა ყოველთავე წმიდათა მამადმთავართაჲ (ფურც. 89r—92r. კმა ა)

Iმამა||IIღმთა||IIIვარნი||IVწადი||Vერნი||VIხილუ||VIIადღღესი||IX საამას||.

მამადმთავარნი წადიერნი ხილვად დღესა ამას.

არ შეგვხვედრია ისეთი აკროსტიხი, რომ აღნიშნავდეს ავტორის სახელს.
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცამეტ გალობანში ღმრთისმშობლისათა
თავები აკროსტიქში არ შედის, რაც მიგვანიშნებს ხელნაწერში დაცული მასა-
ლის სიძველეზე. ამასთან ინტერესს იწვევს ცხრაოდიანი გალობანი, როდესაც
მეორე გალობა „მოიხილესა“ აკროსტიქში შედის. **Κῆρυξ ἐκ ἐχραξῆ**, ანუ უფა-

ლო ღალადეყავსა, აკროსტიქით არის დაკავშირებული კანონთან, რაც საკმაოდ იშვიათია და მკვლევრები თავს იკავებენ ზოგადი დასკვნების გამოტანის სანამ ასეთი აკროსტიქები საკმაო რაოდენობით არ დაიძენება.

იანვარსა გ^წშიდათა მამადმთავართა (ფურც. 152r—157r. კმა დ^წ)

უფ. ლაღ. მამათმთავარქ^წთავაქ^წრთაქ^წრებო(ვ)^წლილქ^წქსო(ვ)^წინთაქ^წინახქ^წარებქ^წსო(ვ)^წლიერაღქ^წ.

მამათმთავართა კრებული დღეს ჩვენთანა იხარებს სულეირად. მცირე დარღვევა; ერთი „ნ“ VII ვალობანში ზედმეტია. სანტერესოა, რომ ზედმეტი „ნ“-თი დაწყებული მუხლი რეფრენით ერთიანდება დანარჩენ მუხლებთან.

მეორე ნიმუში ცხრაოდიანი ვალობანისა ასე უღერს:

ვალობანი წინამოსწავებისანი შობისათჳს უფლისა (ფურც. 101r—106r. კმა დ^წ)

მაცხოვრისა მი^წოსლვასადა ბ^წეთლემს^წშობასა ს^წი^წა^წწმინდისაგან ქ^წალწო(ვ)-ლისად აქ^წსათა ზეცი ს^წი^წა^წგანწყ^წოქ^წბილთათა ნ^წი^წა^წ(ვ) ვალობდე თქ^წ აქებ. მასქ^წ.

მაცხოვრისა მოსლვასა და ბეთლემს შობასა წმინდისაგან ქალწულისა დასათა ზეცისა განწყობილთა თანა უვალობდეთ მას.

ეს არის ერთადერთი ვალობანი, სადაც ღმრთისმშობლისათა თავები შედის აკროსტიქში.

აქ ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ იმ ტექსტოლოგიურ ანალიზის შესახებ, რომელიც დაგვიჩინა აკროსტიქის აღსადგენად. 102r^a და 102v ხელნაწერში გადაადგილებულია, რის გამოც „უფალი მესმასა“ წინ უსწრებს „განძლიერდასას“ და კანონის ტექსტის აზრი ირღვევა. დასაზუსტებლად მივმართეთ მიქაელ მოდრეკილის იადგარს¹¹ და ლ. კვირიკაშვილის „ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციას“¹², სადაც ეს აკროსტიქი გაანალიზებულია, ოღონდ ჰარვარდული „თვენი“ გათვალისწინებული არა აქვს. ასე რომ, სიახლე ჩვენი ნაშრომისა მდგომარეობს ხელნაწერის თვდაპირველი ფურცლებრივი თანმიმდევრობის აღდგენაში. 102r-დან ტექსტი გრძელდება 102v-ზე და არა 102r^a-ზე: „შემოსმ^წ კაცებად გრძელდება ქრისტე ქალწულისაგან“. 102v-დან ტექსტი გრძელდება 102r^a-ზე: „მიუწოდომელ არს მიდგომილებად და უსაკურ ველეს შობად ქალწულისაგან“. მაშ, აღდგება უსაკურველეს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჰიმნოგრაფიული ფორმის კრებულეებში ვალობანებთან ერთად შერეულია მცირე ფორმის ჰიმნები. ვალობანის კომპოზიციის ანალიზი მოითხოვს მათი ფუნქციის გათვალისწინებას. ამით არის გამოწვეული ჩვენი ინტერესი ტროპართა სახეობისადმი, რომელსაც „აქებდითსა“ ჰქვია.

„აქებდითსა“ ჩვეულებრივ მოსდევს კანონის ოდებს; როგორც ჰიმნოგრაფიული ვალობანი მიემართება ბიბლიური კანონის ცხრა ოდას (cantica sacra); „აქებდითსა“ დაკავშირებულია 148—150-ე ფსალმუნებთან¹³. იგი იმეორებს ძლისპირის ფორმას. თემატურადაც ვალობანის განგრძობაა და ხშირად შედის აკროსტიქში.

ჰარვარდული „თთუენის“ თითხმეტი ვალობანიდან „აქებდითსა“ ერთვის რვას. ამათგან, ხუთ ვალობანში მისი ტროპართა თავები ერთიანდება ვალობანთან აკროსტიქით:

ფებერვალსა (4)დ^წ წმინდისა მოწამისა ელია დამასკელისა (ფურც. 313v—316r. კმა დ^წ(გ^წ)).

გალქ^წობიქ^წთშევექ^წასხქ^წვიდქ^წეთობქ^წამქ^წსაქ^წქებ. ლიასქ^წ. ვალობითა შევასხმიდეთ მოწამესა ელისა.

იანვარსა (2)ბ^რ წმიდისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისაჲ (ფურც. 149v—152r. კმაჲ)

სილიბისტროსს რომთა ვარსკულაგსა ვაჭებდეთ ერნო.
იანვარსა(26)კ^ვ წმიდისა ქსენეფორესი და ძეთა მისთაჲ არკატისი და იოვანესი. (ახ. პაგინაციით ფურც. 279r^ა—281v. კმაჲ ა^რ(გ^რ)).

იოვანესი და არკატისი ქებით შევასხამთ დღეს.
დანარჩენი ორი ვალობანი იხ. გვ. 6.

საინტერესოა აკროსტიქი, რომელიც კრავს შემდეგ ხსენებაზე დადებული ვალობანის თავებს. „აქებდითასა“ მხოლოდ პირველი ტროპარის თავი იტყვის აკროსტიქისათვის.

იანვარსა (29)კ^თ წმიდისა იგნატის ნაწილთა უკუმოყვანებაჲ ჰრომით ანტიოქიად. (ფურც. 290r—292v. კმაჲ დ^რ).

იგნატის ნაწილთა ალმოყვანებაჲ რომით ანტიოქიას.
სლო მეორე შემთხვევაში „აქებდითასაში“ ყველა მუხლი იწყება ერთი და იგივე ბგერით — ო-თი და დ-თი.

[იანვარსა (6)ვ^რ] ნათლისღებისანი
ფურც. 168r—171v კმაჲ

იპაქისი იწვევს ქრისტე ნათლის ღებად
ქრისტეშობისა წინა კვრიაკესა, პირველ მოსწავებისათვის
შობისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა (ფურც. 98r—100r. კმაჲ დ^რ).

მაცხოვრისა შობასა უვალობდეთ*.

პარვარდულ „თთუნს“ ახლავს ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ: „ვინ ესე წიგნი, რომლითაცა მიზეზითა მონასტერსა ჟუარისასა გამოაჰვას შე-მცა-ჩუენებულ არს, ვითარცა ყოველნი მწვალებელნი და სულმოცა მისი დაშვილ არს. ყოველთა თანა ღმრთისა განმარისხებელთა“. და შემდეგ: „შეიმოსა კელითა კურთხეულისა ძმისა ნისტერეონისითა“.

ხელნაწერებზე დართულ ყოველ ანდერძს წინ უძღვის წლება, რომლებსაც ვადამწერი ოსტატები მძიმე და სამამულო საქმეს უძღვნიდნენ. ყოველი ასოს სინატიფეში ჩანს მსხვერპლად ვადებული თვალისჩინი. ხომ ცნობილია ანდერძები, რომელთა თანახმადაც ხელნაწერის უკანასკნელ ფრაზას უკვე გონებრივ ხედვასა მინდობილი წერდნენ, და რა არის საეკირველი იმაში, რომ საღმრთო სამსჯავროსათვის ვაგმეტებინათ ის, ვინც საერო რელიქვიას შეურაცხყოფდა. რაოდენ მოკრძალებს ჩანს მკითხველისადმი, როდესაც ვადამწერი თავის სახელს ახსენებს. პარვარდული ხელნაწერის მიხედვით, რომლის კვლევაც ჩვენამდე უ. ვარნის და კ. კეკელიძეს უწარმოებიათ, ნოსტალგია იკითხება ვადამწერის სულში, უწინარეს ყოვლისა, იგი ამოვიკითხეთ შემოხსენებულ ანდერძში. სინურ, იერუსალიმურ, ათონურ, პარვარდულ და სხვა უცხოურ სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერები, რასაკვირველია, სამამულო საცავთა ქართულ მასალებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს ვანვარძოთ ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის საქმე.

* ო(ვ)ვალობდეთ ვავსწორით: უვალობდეთ.

1. ზ. ინგოროყეყა, თხზულ. კრებული, ტ. III, თბ., 1965, გვ. 323.
2. იყეყე, გვ. 327.
3. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980, გვ. 593.
4. იყეყე.
5. სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 152.
6. იყეყე, გვ. 152—153.
7. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 589.
8. იყეყე, გვ. 600.
9. ვ. გეყზარია, ქართულ სამუსიყო სისტემათა განვითარება, თბ., 1962, გვ. 33.
10. W. Weyh, Die Akrostichis in der byzantinischen kanonsdichtung, Byzantinische zeitschrift. Leipzig, 1908, 1—68.
11. შიყელ მოღრეყლის ჰიმნები, II, ტექსტი გაღმოწერა დედნიღან და გამოსცა კეყა გეყზარია, თბ., 1975, გვ. 64—68, გვ. 60—64 (ძე. ჰავინაციით).
12. იყეყე, გვ. 55.
13. ლ. კვირიკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციყა, თბ., 1932, გვ. 45.

Н. Ш. МИРАШВИЛИ

ГИМНОГРАФИЧЕСКИЕ КАНОНЫ С КРАЕГРАНЕСИЕМ
В ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ МИНЕЕ (XI ВЕКА). ХРАНИВШЕЙСЯ
В ГАРВАРДСКОМ УНИВЕРСИТЕТЕ

Резюме

В статье исследуется отношение древнегрузинского термина *ta-vedī* («с краегранесием») к родственным ему понятием. Виды краегранесия в работе рассматриваются на материале Гарвардской Минее. В большинстве канонов начальные буквы богородичных тропарей не включены в акrostих, что является еще одним свидетельством древности материала. На основе текстологического анализа в одном конкретном случае нами восстановлена изначальная пагинация, соответствующая архитектонике канона.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აყადემიის აყად. გ. წერეთლის სახელობის აღმო-
საველეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აყად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსაველეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

თავარ ცანავა

 „კალისტრატის მარტვილოვის“ მეტაფრასული
რედაქციის ძართული თარგმანები

მეთე საუეუნედან ჰავიოგრაფულ მწერლობაში ახალი ხანა დაიწყო. სა-
ბერძნეთში საფუძველი ჩაეყარა ძველი კიმენური ტექსტების შესწორებასა და
მათ გავრცობა-შემკობას. ამგვარი მიმდინარეობის წარმოშობა ძირითადად ორი
მიზეზით იყო გამოწვეული. კიმენური თხზულებები მერმინდელ საეკლესიო
მოღვაწეებს მწვალებელთა მიერ დამახინჯებულად, ან უეცად დაწერილად მი-
ანდათ. მეორე მხრივ, „ლიტონად და მარტივად აღწერილი და ენითა მსოფ-
ლეულთაჲთა შეწყობილი“ კიმენური რედაქციები ვეღარ აკმაყოფილებდა რი-
ტორიკულ მკვერმეტყველებასა და ფილოსოფიურ მსჯელობას მიჩვეულ ბიზან-
ტიელ მკითხველს. ამიტომ შემდეგდროინდელმა მწერლებმა უძველესი ტექ-
სტების „ღვარძლისაგან“ გაწმენდასა და თვით ნაწარმოების გადაკეთებასაც
მიჰყვეს ხელი. ასე განდა ხელმეორედ დაწერილი და გადასწორებული მარ-
ტვილთა ცხოვრებანი. ჰავიოგრაფიაში წარმოიშვა ახალი, მეტაფრასული მი-
დინარეობა.

მეტაფრასული მიმდინარეობის განვითარება ბიზანტიელი მწერლს სვი-
მეონ ლოლოთეტის სახელს უკავშირდება. მან შემოდგომა-ზამთრის თვეთა
წმინდანების ცხოვრება-მარტვილობანი გადაამეტაფრასა. ამ რედაქციების შეს-
წავლის შედეგად გამოიკვეთა სვიმეონ ლოლოთეტის მუშაობის ორი მხარე:
პირველი — ძველი, კიმენური თხზულებების გავრცობა-შემკობა და მეორე —
ცხოვრება-მარტვილობათა ვრცელი ტექსტების შეკუმშვა-გამოკლება¹.

„წამება წმიდისა და ღიდებულისა მოწამისა კალისტრატისი და მოყუასთა
მისთაჲ“ სექტემბრის თვის საკითხავთა კრებულში შედის. ამ მარტვილობაში
სვიმეონმა რედაქტორული მუშაობის მეორე სახე შეასრულა. კერძოდ, კიმე-
ნური ტექსტი საგრძნობლად შეკვეცა. „კიმენური ტექსტის შემოკლება გარკვე-
ული მეთოდითა და მიზნით ხდება... ეს არის ტენდენცია, რომ რედაქტორმა არ
დაამიმოს თხრობა ზედმეტი წვრილმანებით, განტვირთოს ქარბი და მოძღვრათ-
თი და საღუთისმეტყველო ელემენტებისაგან“².

„კალისტრატის მარტვილობაში“ ასახულია რომის იმპერატორ დიოკლე-
ტიანეს მეფობის ხანა, კერძოდ, ის პერიოდი, როცა სახელმწიფო ჯარიდან
ქრისტიანთა განდევნა დაიწყო. ჯარის უფროსი პერსენტიონსი მოითხოვს კა-
ლისტრატესგან ქრისტეს რჯულის უარყოფას და წარმართული მსხვერპლთშე-
წირვის წესის შესრულებას. კალისტრატემ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია პერ-
სენტიონსს და ორმოცდაცხრა წარმართი სტრატეგითც მოაქცია. განრახებულ-
მა ჯარის უფროსმა საპყრობილეში ჩაყარა განდგომილნი. ერთი ღამის განმავ-
ლობაში კალისტრატემ დამოძღვრა ჯარისკაცები, განუმარტა ქრისტიანული მო-
ძღვრების საფუძვლები. შემდეგ მოთხოვნილია მათი მოწამებრივი სიკვდილის
ამბავი.

ძართულ ენაზე „კალისტრატის მარტვილობის“ მეტაფრასული რედაქციის
ორი თარგმანი არსებობს. ერთი თეოფილე ხუცესმონაზონს ეკუთვნის, მეორე

¹ ნ. გოგუაძე, ავოგრაფიული თხზულების მეტაფრასული რედაქციის მამართების-
თვის კიმენურთან, მრავალთავი, II, თბ., 1973, გვ. 73.

² იქვე, გვ. 70.

თარგმანის ავტორი უცნობია. თეოფილეს თარგმანი შემონახულა მხოლოდ ერთ-
თადერთ ათონურ ხელნაწერში (ათ. 20). ავტორის ანდერძიდან ირკვევა, რომ თარგმანი
გმანის შესრულების ადგილი და თარიღი: „ითარგმნა უკუჲმ წიგნი ესე მეტა-
ფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინეპოლეს მონასტერსა შინა ყოვ-
ლადშუენიერსა ტრიანდაფილეს დედისა ღმრთისა. უღირსისა მიერ თეოფი-
ლეს რეცა ხუცესმონაზონისა და მათვე კელთა მიერ დანიუსსა დასაბამითგან-
თა წელთა ექუს ათას ხუთას ორმოცდამეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერ-
ძნულად“³.

რაც შეეხება მეორე თარგმანს, იგი გვხვდება სხვადასხვა დროსა და სხვა-
დასხვა ადგილას დამზადებულ ხელნაწერებში: გელათი 4, S 384, A 382, Ier 18,
37. საქართველოში მეორე თარგმანი გავრცელებულია. „თეოფილეს თარგმანს,
რომელიც ერთადერთ ხელნაწერში შენახულა, საფიქრებელია, საქართველომ-
დე არც მოუღწევია. იმისი არსებობა არც ეფრემ მცირეს სცოდნია, თორემ ის
თეოფილესაც მოიხსენიებდა, სხვებთან ერთად, სვიმეონის მეტაფრასების მთარ-
გმნელთა შორის“⁴.

ბერძნულ დედანთან ქართული ტექსტის მიმართების განსაზღვრისას მნიშ-
ვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ თარგმნისას არ ხდებოდა თხზუ-
ლებათა მექანიკური გადმოღება. ეს იყო პროცესი „შემოქმედებითი ვადამუ-
შავეებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა“⁵. „კალის-
ტრატეს მარტილობის“ ქართული თარგმანის ავტორებისთვისაც არ იყო უცხო
ტექსტის⁶ თარგმნისას ე. წ. „შემატება-კლების“ მეთოდის გამოყენება. მაგრამ
ამ შემთხვევაში სხვაობა დედანსა და თარგმანებს შორის უმნიშვნელოა. ბერ-
ძნულ ტექსტთან თეოფილეს დამოკიდებულება მისივე ანდერძიდან ჩანს, სა-
დაც ხაზგასმულია დედნიდან თხზულების უცვლელად გადმოღების აუცილებ-
ლობა: „რამეთუ მე თავით ჩემით არარად დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა
დამიკლია, რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენა თავს-იღებდა, არამედ
ვითარცა ბერძნულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრადცა წარჩინე-
ბულთა, ესევე ქართულად დამიწერია“⁷. ასე რომ, ქვემოთ მოხმობილი განსხვავ-
ებანი დედანსა და თარგმანებს შორის თხზულებას შინაარსს ან მიზანდასახუ-
ლებას კი არ უცვლიან, არამედ ამა თუ იმ ეპიზოდის მხატვრულად გადმოცემას
ემსახურებიან.

ა) უცნობი მთარგმნელი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს: „და ბრძანა
დაფენად კეცის ნატეხებისა ფრიადისა და მათ ზედა თრეკაა ზურგსა მოწამი-
სასა“ (S 384, 440). თეოფილე ავრცობს დედანს: „და უბრძანა დაფენად სიბ-
რავლე კეცის ნალეწისაა სხუასა თანა სიმახლესა ქვათასა და მოწამესა შიშუ-
ელისა თრევად მას ზედა“ (Ath 20, 135v).

ბ) *ὁ δὲ καὶ βία: καὶ ἀντὶ παραχρησῆναι*. უცნობი მთარგმნელი: „რომელთა მე-
ფეცა თაყუანისსცემს“ (S 384, 440); თეოფილე ხუცესმონაზონი: „რომელთა
თაყუანისსცემს შიშით და ძრწოლით მეფე“ (Ath 20, 135r).

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ., 1986, გვ. 79.
⁴ ქ. კეკელიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ.
156—157.
⁵ ქ. კეკელიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ.
185.
⁶ Patrologia, t. 115, გვ. 882—900. ვასათელისწინებელია ის ფაქტი, რომ ბერძნული
მეტაფრასები პატროლოგიაში გვიანდელი ხელნაწერების მიხედვითაა გამოცემული და დასა-
შვებია მათი განსხვავება თავდაპირველი ნუსხებისგან.
⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ., 1986, გვ. 78.

ვ) *βραχυμὸς ἵππος ἂν καὶ ἦ, πρὸς αἰσρον ἔχει: τὸ φοῖνον καὶ ἀποχρῆσιν.*
„შენი იგი ბრდღუენაჲ რაოდენცა დიდ არს, ჟამიერ არს და საშინელუბაჲ მცირედ ჟამ“ (S 384, 440); „ზახებახა მას შენსა და ბრდღუენასა, მ მთავარო, წარმავალი აქუს შიში და ჟამეული რაოდენცა დიდ იყოს“ (Ath 20, 135r).

დ) *ὁ ἀγέτω κατέχειν οὐδὲ τὸν τὸν ψαῖον.* „ვერღარა დააყენა გულისწყრომაჲ თჳსი“ (384, 440); „ვერღარა უძლო სტრატილატმან თავს დეზად ძალსა მას სიტყუათა მისთასა, არამედ აღსავე ექმნა გულისწყრომითა“ (Ath 20, 135r).

ე) *καὶ λειπόμενον βραχυματι, ἔχοντες ὅτι καταπλήξαι πρὸς τὸν αἰκισμῶν.*
„ხოლო მსგავს ბრდღუენასა ლომისასა, რომელი-იგი კმა არს შემაშინებულად თჳნიერ ყოვლისა ტანჯვისა“ (S 384, 440); „და ლომებრ ზახებითა შემძლებელ ყრს შეძრწუნებულ და ზარტხად შეურაცხისყოფელთა მათ ღმერთთასა“ (Ath 20, 135r).

ვ) *ὅτι τὸ παιδοποιεῖται, πρὸς τὸν προαίμασιν εἰληφθεν ἄγωνα.*
„და ვითარცა მკენ წინამბრძოლი აღსტურვიდა წინამდებარისა მის მიმართ ღუაწლოსა“ (S 384, 445); „ვითარცა საცხებელი რამე კეთილი სცხო მათ ღუაწლთა მიმართ განმზადებამ“ (Ath 20, 139r—139v).

თეოფილე ხუცესმონაზონი ცდილობს გაავრცოს დედანი, მხატვრულად „გადაახალისოს“ ტექსტი. რაც შეეხება უცნობი ავტორის თარგმანს, აქ მთარგმნელობითი მეთოდის მეორე ნაკადმა იჩინა თავი — ესაა კლების ტენდენცია. ამგვარი „კლება“ მთარგმნელისთვის ერთგვარი ხერხია, რათა უმნიშვნელო დეტალებისგან განტვირთოს ტექსტი.

ა) თეოფილე ხუცესმონაზონს ზუსტად გადმოაქვს ბერძნული ტექსტი, აღნიშნავს რა ტომრის კლდეზე მიჯახების მიზეზს — ზღვის მოქცევას. „ხოლო ძაძა იგი განგებისა მიერ საღმრთოჲსა და გარდამეტებისა მიერ წყალთაჲსა, შთავარდა შორის დანახეთქსა კლდეთასა და განიბარა“ (Ath 20, 136r). უცნობ მთარგმნელს გამოტოვებული აქვს ზღვის მოქცევის ეპიზოდი: „ხოლო ძაძა იგი, ვითარცა შთადებულ იქმნა ზღუასა შინა, საღმრთოჲსა რაითმე განგებითა ეცა იგი კლდესა დაფარულსა ზღუასა შინა“ (S 384, 441).

ბ) *τὸν τὴν τὴν ἄγωνα τὸν ἰσχυρῶν ἐπιβίωσεν, ἀπαθῆς κακῶν ἀναδῆς.*
„რამეთუ შეგრა ბუნებაჲ წყალთაჲ და უენებელად ბორბისაგან მიერ გამოვიდა“ (Ath 20, 136v); „რომელი სიღრმესა ზღუასა განერა“ (S 384, 442).

გ) *ὅτι μακάρι, τὸν ἰσχυρῶν ἀσκήσεται ἔνταξ.* „რაჲთა არა მაქუნდესლა ჩუენ გულისსიტყუაჲ უმტკიცოჲ“ (Ath 20, 137r). უცნობ მთარგმნელთან ეს ადგილი გამოტოვებულია.

დ) *καὶ πᾶσι βλαψῆ: ἰσχυρῶν τὴν καὶ ἀσκήσεται ἔνταξ.* „და დაიცუენ ესე ყოვლისაგანვე ხილულთა და უხილავთა მკეცთაჲსა უენებელად“ (Ath 20, 137r). „და დაიცუე ესე ყოვლისაგან ვნებისა სულისა კორცთაჲსა“ (S 384, 442).

ე) *καὶ πρὸς τῶν τῶν, εἰς τὴν πᾶσι τῶν ἀσκήσεται ἀλλοῦν ἄντὸν ἔχοντες.* და ამით ზედა კუალად ვნებისა მის მიმართ ბილწებისა და გინებისა საწყალობელად მიმითრივნა ჩუენ“ (Ath 20, 137v); „და ამით ყოველთა თანა აღავსო იგი ვნებითა უბატოებისაჲთა და ბილწებითა საწყალობელითა“ (S 384, 443).

ვ) *ὅτι δὲ ἰσχυρῶν ἰσχυρῶν τῶν πᾶσι τῶν ἀσκήσεται ἀλλοῦν ἄντὸν ἔχοντες.* „რომელი ესერაჲ იქმნა, დიდად აღამაღლნა წარბნი თჳსნი მწინხველმან მან ჩუენმან ეშმაკმან, ვინაჲთგან ცთომისა მის მიერ კვლთ იგლო კაცი“ (Ath 20, 137r); „ხოლო ესერაჲ

შემთხვა, მ მე, რამეთუ მაცთური იგი მისი აღზუავებულ იქმნა მას ზედღ...
მონად თუსა ყო კაცი“ (S 384, 443).



რიგ შემთხვევაში ქართული თარგმანები აზრობრივად სცალდებიან ერთ-
მანეთს. ამის მიზეზია მთარგმნელთა მიერ დედნის განსხვავებული წაკითხვა.
მაგალითად: „რამეთუ ახლად აღწერილ იქმნა ესე ყოვლითურთ მკედრობით,
რომელნი მწყობრსა მას მისსა რაცხულ იყვნეს“ (Ath 20, 134v); „რომელი-იგი
მიიწია ჰრომედ დასსა თანა მკედართა თუსთასა, რამეთუ ჰაბუკ იყო და ახალ-
წოდებულ მკედრობით“ (S 384, 438). ამ ეპიზოდში სხვაობა გამოწვეულია
ორი ბერძნული სიტყვის მთარგმნელთა მიერ სხვადასხვა მნიშვნელობით გად-
მოტანით. „*καταλαβω*“ ნიშნავს, როგორც „აღწერა-აღწესებას“, ასევე „ჩარიცხ-
ვა-მიერთებას“. ხოლო „*ψευδομα*“ — როგორც „ამეამად მიმდინარე მოვლენას“,
ასევე „ჰაბუკს“.

სხვა შემთხვევაში ქართული თარგმანების განსხვავებული წაკითხვა გა-
მოწვეულია უცნობი მთარგმნელის მიერ ბერძნული „*χάρις*“-ს მნიშვნელობის
მცდარი გაგებით. *χάρις* ნიშნავს ნახვრეტს, ძაბრს. თეოფილე ხუცესმონაზონს
თარგმანში გადმოაქვს ბერძნული *χάρις* და იქვე განმარტავს: „კულად უბრძანა
შთადგამად პირსა მისსა ხონისა ანუ თუ ძაბრისა და სიავი სავე წყლითა შთა-
სხმად მუცელსა მისსა, რაათა ვითარცა თხიერი აღიესოს წმიდად იგი“ (Ath 20,
135v);

უცნობი მთარგმნელი *χάρις*-ს კითხულობს, როგორც *χάρις*, *χάρις* — მიწა.
S 384-ში ეს ეპიზოდი ამგვარად იკითხება: „კულად ბრძანა მიწითა აღვსებად
პირსა მოწამისასა“ (440—441). შემდეგ, დედნიდან გამომდინარე, მოწამე უნდა
აივსოს ვითარცა თხიერი, ამიტომ მთარგმნელი ამატებს: „და მას ზედა [მიწა-
ზე] დართვად სიმრავლესა წყლისასა, რაათა აღიესოს იგი ვითარცა თხიერი“
(441).

საინტერესოა განვიხილოთ, თუ როგორ გადმოიღის ბერძნული საკუთარი
სახელები ქართულ თარგმანებში. ამ შემთხვევაში უნდა გავანალიზოთ ორი
ნაკადი, რომლითაც ბერძნული სახელები ქართულ მწერლობაში შემოდიოდა.
ერთი ნაკადი, როდესაც ბერძნული სახელების გადმოცემის დროს სიტყვის
ფუძედ მიღებულია ნომინატივის ფორმა, მომდინარეობს წმინდა ლიტერატუ-
რული გზით, როდესაც ქართველი მთარგმნელი დედნის უარეს გავლენას გა-
ნიცდის⁸. მეორე ნაკადია საკუთარ სახელთა „შეკვეცილი ფორმების ორი დი-
დი ჯგუფი: -ენიანი (ბერძ.-ος) და -ინიანი (ბერძ.-ιος), რომლებიც წარმოშობი-
ლია ბერძნული ვოკატივის ნიადაგზე. ამნაირი ფორმები შეიძლება შეთვისებუ-
ლი იყოს ქართულში თავდაპირველად მხოლოდ ზეპირად, ბერძნებთან პირდა-
პირი ურთიერთობის დროს“⁹.

ქართულ თარგმანებში თავი იჩინა საკუთარ სახელთა გადმოტანის ამ ორმა
განსხვავებულმა ნაკადმა. თეოფილე ხუცესმონაზონს, როგორც წესი, სახელი
გადმოაქვს ბერძნული ნომინატივის ფორმით, ხოლო უცნობი მთარგმნელი ვო-
კატივის ფორმებს იყენებს. მაგალითად: „მიუგო დიდმან კალისტრატოს“ (Ath
20, 139r); „ხოლო წმიდამან კალისტრატე მიუგო“ (S 384, 445). „მიუგო სა-
ნატრელმან კალისტრატოს“ (Ath 20, 138r); „წმიდამან კალისტრატე მიუგო“
(S 384, 444). „კალისტრატოს სანატრელმან ჰრქუა მათ“ (Ath 20, 137r); „ხო-
ლო სანატრელმან კალისტრატე მიუგო მათ“ (S 384, 443). „ხოლო ერთი მათ-

⁸ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისთვის ქართულში,
სახელთა ბრუნების ისტორიისთვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 146.

⁹ იქვე, გვ. 161.

განს დაღმბატოს სახელი მისი“ (Ath 20, 137r); „და ეწოდებოდა მას დაღმბატი“ (S 384, 442). „აღღა... ელიოდოროს (Ath 20, 138r); „აღღა... ილიოდორე“ (S 384, 444).

„კალისტრატეს მარტილოზაში“ მოხსენიებული სახელები არ წარმოადგენს გამოწვევის შემთხვევას, ბერძნულს ფორმით ვადმოკვს თეოფილეს საკუთარი სახელები ამავე კრებულის სხვა საკითხავებშიც. ასე რომ, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩათვალოს საკუთარ სახელთა დედნისეული ფორმით ვადმოცემა. რაც შეეხება უცნობ მთარგმნელს, სხვა შემთხვევაშიც ვოკატივის ფორმებს ანაიკებს უბრატრისებს: „ხოლო დიონისოს დომენტიანოს მიერ ქრისტესთვის წამებოთა სრულ იქმნა“ (Ath 20, 128v); „რამეთუ დიონისი რაჲ პირველ სრულ იქმნა დომენტიანეს ზე ქრისტესთვის წამებოთა“ (S 384, 431); „ხოლო ერთი შუდთაგანსა, ესე იყო პროხორე“ (Ath 20, 129r); „ხოლო თუთ ერთსა ვისმე შუდთაგანსა, ესე იყო პროხორე“ (S 384, 431); „კაცი ვინმე სახელით პაფნუტოს“ (Ath 20, 119v); „კაცი ვინმე სახელით პაფნოტი“ (S 384, 418); „ხოლო თამიროს იხილა-რაჲ“ (Ath 20, 112r); „და ვითარცა იხილა თამური“ (S 384, 406); „კაცი ვინმე ასური სახელით ალექსანდროს“ (Ath 20, 114v); „ასურმან ვინმე, ალექსანდრე სახელით“ (S 384, 410).

ამას გარდა, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანისათვის დამახასიათებელი აღმბატებითი ხარისხის ფორმებზე -რე ნაწილაკის დართვა. ამ ნაწილაკთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში: „-რე-ს ჩვეულებრივი მნიშვნელობაა: სახე, ნაირი, ფერი“¹⁰. „-რე ცოტათი, მცირე“¹¹. -რე ნაწილაკი უკავშირდება ზედსართავი სახელის ან ზმნისართის შედარებითი ხარისხის ფორმას და მნიშვნელობას. ეს -რე ნაწილაკი შედარებითი ხარისხის აღსანიშნავად ჩანს“¹². ქართულ პავოგრაფულ მწერლობაში -რე ნაწილაკდართული ფორმები მცირე ოდენობითაა. მიუხედავად ამისა მათი სემანტიკური მნიშვნელობანი მკვეთრად განსხვავდებიან. „შუშანიკის მარტილოზაში“ გვხვდება ამგვარი ფორმა: „და ვარქე მე სანატრელსა მას ხვაშიადადრე“. აქ -რე სახე, ნაირი, ფერის მნიშვნელობითაა. „აბო თბილელის მარტილოზაში“: „რამეთუ მცირედ უწინარესრე დღეთა შეიპყრეს“. სემანტიკა აღმბატებითობისაა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „და მოწაფენი კიდრე განდგეს“. ნაწილაკი ცოტათი, მცირეს მნიშვნელობითაა. „იოანესა და ექეთიმეს ცხოვრება“: „და უკუეთუ უმჯობესირე იყოს“. ასეთივე აღმბატებითი სემანტიკის გამომხატველად ჩანს ეს ნაწილაკი თეოფილეს თარგმანშიც. „უცხადესადრე გუასაჳო“ (Ath 20, 137r); „უგანცხადებულესად მასაჳო“ (S 384, 442); „რაჲთა უსრულესადრე მოგუეთხრას ჩუენ მის მიერ სიტყუად ღმრთისმეცნიერებისად და უმტიციესადრე მივილოთ ჩუენ მეცნიერებაჲ შენი“ (Ath 20, 136v); „მასაჳა ჩუენ მტიციე სარწმუნოებაჲ“ (S 384, 442); „განმარტებულადრე“ (Ath 20, 137r). თეოფილე ხუცესმონაზონი -რე ნაწილაკდართულ ფორმებს ამ კრებულის სხვა საკითხავებშიც იყენებს: „და უსრულესადრე მიმართ სათნოებათა აღვიდოდა“ (Ath 20, 149r); „უსრულესად სათნოებად გამოიცადებოდა“ (S 384, 460); „იწყო ძიებად და ხილვად უმოსწრაფესთარე მონოზონთა“ (Ath 20, 124v); „გამოეძიებენ უმოსწრაფესთა მონაზონთაგანთა“

¹⁰ ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, თბ., 1953, გვ. 67.

¹¹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 346.

¹² ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის შრომები, თბ., 1940, გვ. LX.

(S 384, 424); „და კჳალად განვიდა ქალაქისა მისგან შორსრე ვითარ მილიონ ერთ“ (Ath 20, 118r); „და განვიდა გარე ქალაქით ვითარ მილიონ ერთ“ (S 384 415).

„კალისტრატეს მარტივლობაში“ გეოგრაფიულ სახელთაგან დასახელებულთა: რომი, ქალკედონი, ჰურიასტანი. **Καρχηδονίαι** — ამ გეოგრაფიულმა სახელმა ქართულ თარგმანებში ნაწილობრივი ასიმილაცია განიცადა — კარქიდონი. რაც შეეხება რომს, თეოფილეს გადმოაქვს როგორც წარმომავლობის სახელი, იწარმოება -ელ სუფიქსით: „დედაქალაქსა შინა ჰრომელთასა“, ხოლო უცნობი ავტორი დედნის მიხედვით თარგმნის: „რომელი-იგი მიიწია ჰრომელ“.

ბერძნული **Ἰσθμῶν** თარგმნილია ჰურიასტანად. „-სტან (stān) ფალაური სუფიქსია, რომელიც სომხურშიც გვხვდება. ბერძნულში (მათ უფრო ებრაულში) იგი არ ჩანს. -სტან სუფიქსით ნაწარმოები სახელების არსებობა ქართულ ტექსტებში უნდა აიხსნას ან მათი მომდინარეობით რომელიმე სხვა რედაქციიდან, ან, შესაძლოა, საქართველოში დამკვიდრებული სახელწოდების გამოყენებით“¹³.

ახლა განვიხილოთ კომპოზიტთა გადმოცემის ხერხები. ქართულ ტექსტებში ბერძნული კომპოზიტები უცვლელი სემანტიკით გადმოდის და კომპოზიტებადვე ითარგმნება იმ შემთხვევაში, თუ ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი სიტყვათწარმოქმნის წესი არ ირღვევა:

	თეოფილე	უცნობი მთარგმნელი
μοισενή	მხოლოდშობილი	მხოლოდშობილი
ἡ μωυσαῖος	ღმრთისმცენიერება	ღმრთისმცენიერება
μακρῆμος	სულგრძელ	სულგრძელ
καλῆμος	კეთილდამძღვ	კეთილდამძღვ

რიგ შემთხვევაში თეოფილე, კომპოზიტთა გადმოცემის მხრივ მეტ სიახლოვეს იჩენს ბერძნულ ტექსტთან:

ὁ αὐτοπῆς	თუთმხილველ (Ath 20)	მუნ თუალით მხილველ (S 384)
περῆμα	გარეშერტყმა	შემოსვა

ზოგან თეოფილე ზუცესმონაზონი დედნის ისეთ მძლავრ გავლენას განიცდის, რომ დარღვეულია ქართულში მოქმედი რთულ რიცხვით სახელთა წარმოების წესი:

ἔσθα δε και τεισαρχισα	ცხრა და ორმოც (Ath 20)	ორმოცდაცხრა
-------------------------------	------------------------	-------------

ქართულ თარგმანებში გვხვდება აღმატებითი ხარისხის წარმოების როგორც გვიანდელი, ასევე ადრეული ფორმები. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა შესაძარბელი სახელის ბრუნვას — მიცემითშია თუ ნათესაობითში. აღმატებით ხარისხთან სახელის ნათესაობითის ფორმა განვითარების შემდგომი, უფრო გვიანდელი საფეხურია, „როცა უფროობითი ხარისხის ფორმა თანდათან წყვეტს კავშირს ზმნასთან, ნელ-ნელა იძენს სახელის ნიშნებს — ბრუნვასა და სახელის ბრუნვაში მართვის უნარს“¹⁴.

¹³ მზ. შანიძე, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველ აღთქმის ტექსტებში, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, თბ., 1955, გვ. 165.

¹⁴ ივ. იმნაიშვილი, ზედსართავი სახელის ხარისხები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 446.

თ ე თ ე ლ ე	უ ც ნ ო ბ ი მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი
დაულევნელი	წარუპარველი
ურიდალ	ძლიერად
მძორი	გუამი
იავარყოფა	წარწყმედა
განშორება	გარემოქცევა
სხმული	თხლე
საბანელი	მდინარე

ამგვარად, თარგმანთა დედანთან შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული მეტაფრასები აზრობრივად ზედმიწევნით მიჰყვება დედანს. ისინი თარგმანის სტილითა და მეთოდით განსხვავდებიან, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკური სიმდიდრით, მხატვრული დონით ერთმანეთს არ ჩამოუყარდებიან.

Т. А. ЦАНАВА

ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ МЕТАФРАСНОЙ РЕДАКЦИИ «МУЧЕНИЧЕСТВО КАЛЛИСТРАТА»

Резюме

На грузинском языке сохранились два перевода метафрасной редакции «Мученичество Каллистрата». Обе они вытекают из одного греческого источника.

В статье излагается, с одной стороны, соотношение грузинских переводов с греческим источником, а с другой — сходство и различия грузинских переводов в отношении стиля и методов перевода. Внимание уделяется переводу греческих собственных имен на грузинском языке, перевод композитов, различия при переводе имен прилагательных, числительных и т. д.

На основе проанализированного материала делается вывод, что грузинские переводчики добросовестно отнеслись к основному тексту, максимально стараясь сохранять точность в переводах. Грузинские метафрасы различаются по стилю и методам перевода. Оба перевода сделаны на высоком художественном уровне.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა ხელნაწერთა ინსტიტუტმა

თაა უშკლანი

„ანდაზის“ მნიშვნელობისათვის ქართულსა და სპარსულში

ანდაზა მრავალჯერ განუსაზღვრავთ, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს მისი სრულყოფილი და საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია. ანდაზის რაობის გარკვევა მეტად რთული საკითხია და საგანგებო მსჯელობას მოითხოვს. ქართულ, საბჭოთა თუ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში, განმარტებით ლექსიკონებში ანდაზის არაერთი განსაზღვრებაა მოცემული. ზოგი მათგანი მეტად ვრცელია, ზოგი — მოკლე, ზოგს რაღაც აკლია, ზოგან — რაღაც მეტია. ჩვენ მათზე არ შევიჩრდებით, მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდე განმარტებას.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ანდაზა“ არის „მოკლე მხატვრული გონებასხვილური გამონათქვამი (ჩვეულებრივ, რიტმული წყობისა და დამრიგებლობითი შინაარსის)“¹.

ჩვენთვის ცნობილ განმარტებათაგან, ფეიქრობთ, ანდაზის რაობასთან ყველაზე ახლოს დგას ფ. ერთელიშვილის განმარტება. მისგან პრინციპულად არ განსხვავდება განსაზღვრება, რომელიც ლ. ლეჟავას ეკუთვნის. ვინაიდან ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურად პირველს მოსდევს; მოვიყვანთ ფ. ერთელიშვილისეულ განმარტებას: „ანდაზა არის აღმზრდელობითი ხასიათის ალეგორიული გამონათქვამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული და რომელიც დამრიგებლობითი შინაარსი მინიშნებით გვეძლევა“².

ლინგვისტთა ერთი ნაწილი ანდაზებს ფრაზეოლოგიურ ერთეულად მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანდაზის, ანდაზური თქმის (სიტყვის მასალის) და აფორიზმის გამიჯვნის საკითხს. ეს პრობლემა თავისთავად მეტად საინტერესოა და მართებული იქნება მისი ცალკე განხილვა. ამ ცნებათა შინაარსის დადგენა და მათ შორის საზღვრის გავლება ანდაზებით დანტერესებული პირისათვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გვესახება. წინამდებარე ნაშრომის ინტერესის საგანს წარმოადგენს არა ცნება „ანდაზა“, არამედ სიტყვა „ანდაზა“. ამის გამო თავი შევიკავეთ ანდაზების, ანდაზური თქმების (სიტყვის მასალების) და აფორიზმების გამიჯვნისაგან და, ამ მხრივ, მაგალითები განსაკუთრებული სიძაქრით არ შეგვიჩვენია. ცნება ანდაზის განმარტება დაგვიჭირდა იმდენად, რამდენადაც სწორედ ეს შინაარსი ქმნის იმ დამატებით მნიშვნელობას, რომელიც სიტყვა „ანდაზამ“ შეიძინა ქართულში. ჩვენი მიზანია, თვალი გავადევნოთ და შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ, როგორ მივიღეთ სიტყვა „ანდაზის“ ეს მნიშვნელობა.

„ანდაზა“ („ანდაზე“) ახალი სპარსულიდან შემოვიდა ქართულში. სპარსულში მას აქვს შემდეგი მნიშვნელობები: ზომა, საზომი, სიდიდე, განზომილება, რაოდენობა, მოცულობა, ხარისხი, პროპორცია, მასშტაბი, სიმეტრია, არწინი, წყრთა. „ანდაზე“ სიგარძის საზომს რომ აღნიშნავდა, ამას ფრ. ჟონსონისა და სიიდ ნაფისის ლექსიკონებიც ადასტურებენ. ნაფისის ლექსიკონის მიხედვით მისი ფარღი სიდიდეებია ზარი (≈ 104 სმ) და გააზი (≈ 105 სმ)³. „ანდაზას“ სპარსულში აქვს ჩვენთვის საინტერესო შემდეგი მნიშვნელობებიც: დოზა, მაგალითი, ნიმუში, დედანი, საიდანაც კობირება ხდება, ესკიზი, პროექტი, თარგი, გეომეტრია. „ანდაზე“ რთული ზმნის შემადგენლობაშიც შედის და გვაძლევს შემდეგ მნიშვნელობებს: გაზომვა, აღრიცხვა, ანგარიში, დაანგარიშება, ვარაუდი, შედარება-მიმსგავსება.

ქართულში ზემოჩამოთვლილთაგან ყველა ძირითადი მნიშვნელობა დასტურდება. მაგრამ ჩვენთან „ანდაზა“ დამატებით იქნეს „აღმზრდელობითი ხასიათის ალევგორიული გამონათქვამის“ შინაარსს.

ქართულში სიტყვა „ანდაზის“ მნიშვნელობათა საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ანდაზა — რაოდენობა, ღოზა, ზომა: „ანდაზით აჭამეთ და ასვით“ (კარაბ., 41, 27). „რასაცა კაცსა ანდაზითა ღუინო ესვას და თავა შეენაჩოს მისგან, სიმრთელე ჰქონდეს, თუ მერმე დაიწყოს ჭარბობა ღუინისა იმა ანდაზახედია, რაც პირველად სიმრთელე ყოფილიყოს, ისი ყუალა სენად და სნებად შეექმნას“ (სამე. წ. კარაბ., (1850) 439, 5). „ესე ყველა მოსქედ გალესე და რკინაზედ, რაც ანდაზით გინდოდეს, დახატე“ (ზეთ., 183, 10).

2. ანდაზა — საზომი: „მისისა ძალთა ცემასა და მუსიკათა ქცევასა და ხმათა მოცეკვასა გონება ცოდნის ანდაზათაცა ვერ მისწვდებოდა“ (საბა II, 96, 14).

3. ანდაზა — მაგალითი, ნიმუში: „ჩემი საქმე დღეის უკან ანდაზად და ხიდათ დევით“ (დიდმოურ., 59, 2). ჩვენ ესეთსა რასა მოვიგონებთ. რომე მას მეცნიერებასა შინა უმატიოსნესი მაგალითი არ დასახულიყოს, მაგრამ რასაც მოკითხულსა იქს და სწავლასა მოიხსენებს, ანდაზად მასცა გონება შეიგნავს“ (საბა II, 371, 29). „მაგალითი არს, რომლისამე გენებოს ქმნად: ტაძრისა, სახლისა, გინა კარვისა, ანუ ხატთა და ყვავილთა, აჩვენენ და წინა დუღეა იგი, რათა მსგავს(ი) მისსა ყონ. ხოლო ანდაზა არს სამოსელთა და საბუჯართა და კამლთა და რაოდენნი გამოიკვეთებინ, მათ მსგავსად. ესე მაგალითი ვანიყოფებინ ორად: მაგალითად და ანდაზად. მაგალითი არს უკვე, რომლისა სახე გენებოს, გინა ქმნულება სახლისა და კარავთა, ხატთა და ყვავილთა და ეგვეითართა, ხოლო ანდაზა სამოსელთა და საბუჯართა და კამლთა და რაოდენნი გამოიკვეთებინ ეგვეითარნი“ (საბა, IV, 430). „რაც უტხოს სანახავს ვნახვედით, თითოს ანდაზას ავილებდი“ (ხოსრ., 32, 10). „შვილო, თუ იგი კაცი მართლად შენის მიზეზით მოკვდება, უსაცილოდ აგრე დაგემართებოა, ანდაზა ხომ წინ გიძსო“ (თეიმ., II, 175, 10).

4. ანდაზა — დამრიგებლობითი შინაარსის სხარტი, გონებამახვილური გამონათქვამი: „იტყვან ერთსა ანდაზას: ნემს-მახათს ნუ სცემ მკილებსა“ (გურ., 67, 288, 1). „გლეხური ანდაზა: „ერთის ხისა ბარიც გამოვა და ნიხაბიცაო“ (კალმ., 53, 10). „ქართული ანდაზა ხევრე და ხევრე“ (ორბ., I, 84, 12).

დასახელებულ ლიტერატურულ ძეგლთაგან ყველაზე ადრეულია „უსწორო კარაბადინი“ (≈ XI ს. ხელნაწერები XIV—XV სს.). აქ „ანდაზა“ გვხვდება იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ახალ სპარსულში აქვს (ზომა, რაოდენობა). XVII—XVIII საუკუნემდე „ანდაზა“ ქართულში ასე ვაიაზრებოდა. ცოტა მოგვიანებით, ჩანს, ამ სიტყვამ მაგალითისა და ნიმუშის გაგება შეიძინა. სულხან-საბა ორბელიანთანაც „ანდაზა“ მაგალითია, ნიმუშია. დ. გურამიშვილთან უკვე „აღმზრდელობითი ხასიათის ალევგორიული გამონათქვამის“ მნიშვნელობით გვხვდება. როგორც ჩანს, ეს გადასვლა სწორედ XVIII საუკუნეში მოხდა, თანაც საკმაოდ მოკლე ინტერვალში.

ვანსაყუთრებული ყურადღება გვინდა შევაჩეროთ სიტყვა „ანდაზის“ სულხან-საბაძეულ განმარტებაზე. როგორც ვნახეთ, საბა მას „მაგალითს“ უკავშირებს. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „მაგალითი“ დღევანდელ „გვეგას“, „პროექტს“ ან „მაკეტს“ უახლოვდება, ხოლო „ანდაზა“ — „თარგია“. ზოგიად, ისინი შეიძლება ვავაიზროთ როგორც „ნიმუში“. საბა მის თურქულ შესატყვისად ასახელებს „ნუმუნას“, რაც „ნიმუშს“, „მაგალითს“ ნიშნავს (მდრ. სპარ.

ნომუნე). ჩვენი ინტერესი გამოიწვევა სწორედ სიტყვების — „ანდაზა“ და „მაგალითი“ ერთმანეთთან დაკავშირებამ. შესაძლოა, ეს მომენტი საგულისხმოდ არ მიგვეჩინა, სპარსულში ანალოგიურ ვითარებას რომ არ წავეყდომოდით. აქ ცნებების — „მაგალითი“, „ანდაზა“, „არაკი“ ნათესაობა ეჭვს არ იწვევს იმ უბრალო მიზეზით, რომ სამივე მათგანი ერთი სიტყვის მეშვეობით გადმოიცემა. ეს სიტყვაა „მასალ“. ცნება „ანდაზის“ აღსანიშნავად გამოიყენება „ზარბ-ოლ-მასალ“. ვნახოთ, როგორ განმარტავს მათ სხვადასხვა ავტორი.

ი. ა. რუბინჩიკის⁵ და ბ. ვ. მილერს⁶ „ზარბ-ოლ-მასალ“ ვადმოაქვთ როგორც „ანდაზა“, „ანდაზური თქმა“. მ. ა. ვაფაროვს ეს სიტყვა მხოლოდ „ზარბ“-ის ბუღეში მოაქვს და მის შესატყვისად ასახელებს „არაკს“, „ანდაზას“⁷. ხოლო სიტყვას — „მასალ“ — ეს ავტორები შემდეგნაირად განმარტავენ:

მ. ა. ვაფაროვი: „მაგალითი, იგავი, ანდაზა“⁸, ბ. ვ. მილერთან „მასალ“ არის „იგავ-არაკი, ანდაზა, ალეგორია“⁹, ხოლო ი. ა. რუბინჩიკთან — „იგავი, არაკი, ანდაზა, ანდაზური თქმა“¹⁰.

ღოღამალი თარბიათის სპარსულ-გერმანული ლექსიკონის მიხედვით „ზარბ-ოლ-მასალ“ არის „ანდაზა“, ხოლო „მასალ“ — „არაკი, შედარება, ალეგორია, ანდაზა, მაგალითი“¹¹.

ფრ. ჯონსონის ლექსიკონში „ზარბე მასალ“ განმარტებულია როგორც „გამოხატვის ერთგვარი ხერხი, იდიომა, ფრაზა, ანდაზა, იგავი“¹², „მასალ“ კი არა „თქმულება, გამოვანილი ამბავი, იგავი, არაკი, ანდაზა, ანდაზური თქმა, მაგალითი, ნიმუში, შედარება, ალეგორია, მეტაფორა; მსგავსი, თანასწორი, მსგავსება“¹³.

ი. ვულერსის სპარსულ-ლათინური ლექსიკონის მიხედვით „ზარბე მასალ||ზარბ-ოლ-მასალ“ არის „შედარება, იგავი, ალეგორია, ანდაზა“¹⁴, ხოლო „მასალ“ — „თქმულება, ამბავი, იგავი, ნიმუში, ანდაზა“¹⁵.

სპარსულენოვან ავტორებთან „მასალ“ შემდეგნაირად არის განმარტებული: „მაგვარი, მსგავსი; თქმულება, ზღაპარი; სიტყვა, რომელიც ხალხში პოპულარობით სარგებლობს“¹⁶;

„ნასესხებია არაბულიდან — მიმსგავსება, მსგავსი, თვისების ან მდგომარეობის აღწერა, ამბავი, ზღაპარი, დასთან, პოპულარული თქმულება, ისტორია, რომელსაც საკითხის ასახსნელად მოიყვანენ ხოლმე; მტკიცება, ნიმუში, ქარავმა, ალეგორია, „მასალე სა'ირ“ და „ზარბ-ოლ-მასალ“ (იგავი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, რომელსაც ყველა ამბობს)“¹⁷. „მასალე სა'ირ“ არის „იგავი (ანდაზა, მაგალითი), რომელიც ყველგან და ყოველთვის არსებობს. მის აზრს ყოველი ადამიანი ჩასწვდება თხრობისას მის სათანადო ადგილას ხმარების მიხედვით“¹⁸;

„მსგავსი, ანალოგიური; დასთან, მაგალითი, მთარული ფრაზა“¹⁹.

ვნახოთ, როგორ არის განმარტებული „ზარბე მასალ||ზარბ-ოლ-მასალ“: „მაგალითის (ანდაზის, არაკის) მოყვანა“²⁰; ამბების მოყოლა; პირდაპირი დასახელების გარეშე რაიმეს ხსენება მისი ნიშან-თვისების წარმოჩენის მიზნით. „მასალ“-ს არ მოიყვანენ ხოლმე, სანამ მსგავსი სიტუაცია არ შეიქმნება. რადაც, რაც თვალაპირველად ისხენება როგორც ფაქტი, მეორედ უკვე „მასალ“-ად იქცევა და შემდგომში ალეგორიულად გამოიყენება ყველა იმ ზღაპრის, ვითარების ან ყურადსაღები თვისების მიმართ, რომელშიც რაიმე საოცარიც არის“²¹.

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, რომ „მასალ“ საქმოდ ფართოდ ცნებაა, რომელშიც თავისუფლად მოექცევა ჩვენი ანდაზა, ანდაზური თქმა, არაკი, ზღაპარი, თქმულება; ხოლო „ზარბე მასალ||ზარბ-ოლ-მასალ“ უნდა გავიგოთ როგორც „მასალ“-ის გამოყენება, თქმა, ან, საერთოდ, იგავით ლაპარაკი.

ეს მნიშვნელობა მას არაბულიდან უნდა გადმოჰყოლოდა, სადაც „ღარაბა — ლმასალა“ ნიშნავს — „მოიყვანა მავალითი“. მართლაც, როგორც ჩანს, „მასალა“ ცნების ქვეშ სპარსელები სწორად გულისხმობენ ყველაფერ იმას, რაც შეიძლება დარიგება-შეგონების სახით მავალითად მოიყვანო. „მესლ“ და „მესალ“ გვაძლევს შემდეგ მნიშვნელობებს: „ვიით“, „მსგავსად“, „როგორც“ და შედარებისას გამოიყენება ხოლმე. „მასალან“ ფორმა კი გვაძლევს ქართულ „მავალითად“-ს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „მასალა“ ინგილოურში დღესაც ნიშნავს „მავალითს“, „ანდაზას“²², რაც, ჩვენი აზრით, აზერბაიჯანულს გაგულენით უნდა აიხსნას.

ისლამის ენციკლოპედია ასე განმარტავს mathal-ს: „mathal — ისევე, როგორც ეთიოპ. mesl, messale. არამ. mathlā და ებრ. māshal ეტიმოლოგიის თანახმად არის შედარება, თანაფარდობა. საბოლოოდ იღებს ანდაზის ან გამოთქმის ზოგად გაგებას. შედარების უმარტივესი ფორმა პარალელს ავლებს ადამიანსა და ცხოველს შორის... სწორად მასში მოცემულია ბელადისა თუ მეთაურის მისაბძი საქმიანობის დახასიათება... ადამიანის ცხოვრებაც სწორად იძლევა მასალას შედარებისათვის... ანდაზად შეიძლება შეიქცეს ბანალური შემთხვევებიც... მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებიც შეიძლება აისახოს მასში. ასეთი ანდაზა სწორად ლოკალური მნიშვნელობისაა და ვიწრო წრისთვისაა გასაგები. არაბულ ანდაზათა შორის არის ისეთებიც, რომელთა აზრი და წარმოშობა მათი ჩაწერის დროს უკვე მივიწყებული იყო. ამიტომ მეცნიერებს შემოჭონდათ განმარტებები შესაბამისი ამბების მოყვანის სახით. ზოგ შემთხვევაში ისინი იქამდეც მიდიოდნენ, რომ თავად იგონებდნენ ამბებს, რათა თავი აერიდებინათ უბრალო განმარტებისათვის. ძალზე დიდია რიცხვი გამონათქვამებისა, რომლებშიც აღწერილია ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოვლენები. მათ შორის კი ისეთებიც, რომლებიც არაბთა სოციალური პირობებიდან გამომდინარეობენ... ე. წ. მოარულ გამონათქვამებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სენტენციებს რელიგიური წიგნებიდან. ისინი სწორად ახალი აღთქმიდან მომდინარეობენ... თუმცა ანდაზა ანონიმურია, სწავლულები ზოგჯერ მაინც ეძებენ მათ ატორებს. ამიტომ ასეთი ტიპის გამოთქმებს სწორად წინასწარმეტყველებსა და წმინდანებს მიაწერენ ხოლმე“²³.

„მაშალი“, ს. ს. ავერინცევის მართებული განმარტებით²⁴, უძველესი დეფინიციის ფორმა იყო. ბიბლიური აზროვნებისათვის უცხო იყო ფორმალური დეფინიცია. არსად ბიბლიაში საგანსა თუ მოვლენას პირდაპირი ახსნა არ ეძლევა. აქ აზროვნება და განმარტება ხდება მხოლოდ მაშალებით. ბიბლიის წიგნებში ნათქვამია, რომ „სასუფეველი ცათად მსგავსია“ ამისა და ამის და არსადაა ნახსენები, რომ „სასუფეველი ცათად არის“ ესა და ეს, „მაშალის“ შესატყვისი ქართულში იყო „იგავი“. იგავებით აზროვნება კაცობრიობას ოდითგანვე მოსდგამდა. ამიტომაც იგავი უძველესი წარმოშობისაა. მისი ლოგიკური განვითარებაა ანდაზა. ყოველივე ზემოთქმულის გამო გაკვირვებას არ იწვევს ის, რომ ანდაზებად სწორად გვევლინება რელიგიური წიგნებიდან მომდინარე სენტენციები. რელიგიური და არარელიგიური წარმოშობის იგავების დიდი ნაწილი ანდაზამდე გამარტივდა. ამას ხელი შეუწყო ანდაზებისა და იგავების გავრცელების ფორმამ, მათმა ხალხურობამ. ზოგი ანდაზა გაუგებარია, რადგან მივიწყებულია მისი წარმოშობი იგავი. ასეთი ანდაზის შინაარსის გააზრება პირს გარკვეული კონტექსტის გარეშე. ანდაზა ისეთი ფრაზაა, რომელიც შეუძლებელია წარმოშობილიყო რაიმე სიტუაციის გარეშე, თავისთავად. მისი გამოყენების სიხშირე და მოხერხებულობა იმით უნდა აიხსნას, რომ ანდაზაში იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შესაძლებლობა. რაიმე ან-

დაზა არ მოგვავიწყდება, თუ არ შეიქმნა გარკვეული ვითარება, რომლის კონკრეტული შედეგები შეიძლება ერთ-ერთი ასეთი სხარტი ფრაზით.

თავის წარმოშობით ანდაზას ხშირად იგავს უკავშირებენ. საერთოდ, ცნებები: ანდაზა, არაკი, მაგალითი, ნიმუში, შედარება, მსგავსება, ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. ამოსავალია, როგორც ჩანს. შედარება და მსგავსება, თავდაპირველად ხდება ორი საგნის ან მოვლენის შედარება. მას შემდეგ, რაც დადგინდება მათ შორის მსგავსება, ერთ-ერთი საგანი ან მოვლენა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეტალონად, ნიმუშად, ხოლო მეორეს მის მაგალითად დაასახელებენ. მაგალითად შეიძლება გამოიყენონ ანდაზა და არაკი. ეს უკანასკნელნი სანდოდ და ექვიპოტანლად, კეუსის სასწავლებლად და მიჩნეულ და ყველაზე უტყუარ მაგალითად გამოდგება. ვფიქრობთ, „მასალ“ სიტყვის მნიშვნელობები დასახელებულ ცნებათა ურთიერთკავშირის სარწმუნო საბუთია და, აგრეთვე, საშუალებას იძლევა, დაახლოებით აღვადგინოთ ანდაზის წარმოშობა-განვითარების გზა.

რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულში?

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ესე მაგალითი განიყოფებინ ორად, მაგალითად და ანდაზად“. მამსადაამე, ქართულშიც გვაქვს ასეთი კავშირი: მაგალითი-ანდაზა. მაგრამ ამ შემთხვევაში ცნება „ანდაზის“ ქვეშ ვერ ვიგულისხმებთ „აღმზრდელითი ხასიათის ალგორითულ გამონათქვამს“. ჭერჯერობით უნდა ვიფიქროთ, რომ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე და არა — კანონზომიერებასთან.

კიდევ ერთ მომენტზე შევჩერდებით: ვნახეთ, რომ სპარსულისათვის საკმაოდ ჩვეულებრივია „მასალ“ სიტყვით ორი ცნების — ანდაზისა და არაკის აღნიშვნა. ქართულშიც გვაქვს „აღმზრდელითი ხასიათის ალგორითული გამონათქვამის“ სიტყვა „არაკით“ გადმოცემის შემთხვევები: „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (ტ., 854, 1—2). „აწ იგი არაკი გამართლებულა, თუ: „უმეცარი მოყუარე მისისხლეზე უარეაო“ (ვისრ., 259, 36). „მართალი არაკი თქუა ზუასრომან თუ: „ღმერთსა ავნი ამისთის დაუბადებინან, რომელ ჯოჯონეთი არ დაცარიელდეს“... (ვისრ., 295, 14). „ესე საქმე მას არაკსა ჰგავს, თუ: „ვირო, ნუ მოკულებდი, ალავერტნი ამოვლენო“ (ვისრ., 200, 30). „არაკად იტყვიან, ვითა: კბილისაგან გამოკრტილი ჯორცი კაცსა რასამცა ზანსა ეყო“²⁵. (შაჰნ., 615, 14). სულხან-საბა ორბელიანს „სიბრძნე სიცრუისაში“²⁶ ანდაზა არაერთხელ შემოჰყავს ფრაზით — „არაკად თქმულა“: „არაკად თქმულა: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა უმჯობეაო“ (48, 5). „არაკად თქმულა: ჭორი ჭორსა სჩეკს და ძერა — ძერტუკასაო“ (84, 1). „არაკად თქმულა: პატრონსა შენსა უყვარდეს გველი, შენგან უბესა ჩასამს ევლიო“ (69, 18) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იგავ-არაკის ბოლოს მოცემულ შეგონებასთან, არამედ ფრაზებთან, რომელიც თხრობაშია გაბნეული და არაკის ძირითადი შინაარსის გადმოცემას არ ემსახურება.

კვლავ მივმართოთ საბას და ვნახოთ, როგორ განმარტავს იგი „არაკს“: „არაკი სომხურად იგავს(ა) ეწოდების, ჩვენდაცა საქმარ არს და ტკილი...“ (საბა, IV, 64), ხოლო „იგავი — ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“ (საბა, IV, 326). ამგვარად, „იგავიც“ (იგივე „არაკი“) არის „მაგალითის“ ერთ-ერთი სახე. მაგრამ მაგალითისავე სახეა „ანდაზა“. მამსადაამე, „მაგალითი“, „ანდაზა“, „იგავი“ სინონიმებია, კერძოდ, „ნიმუშს“ აღნიშნავენ იმ განსხვავებით, რომ „იგავი“ სიტყვიერი ნიმუშია.

იგავ-არაკთა კრებულებში თითოეულ იგავს, როგორც წესი, მორალის სახით ახლავს რაიმე შეგონება, რისთვისაც ფაქტობრივად ითქვა იგი. ეს შეგო-

ნებები ხშირად (განსაკუთრებით იგავის პოპულარობის შემთხვევაში) შესაბამისი არაკის გარეშეც ითქმებოდა. როგორც ჩანს, სწორედ მასთან კავშირის გამო, ანდაზას „არაკით“ იხსენიებდნენ. იგავისაგან მისი დანასკვის ჩამოშორების პროცესზე უნდა მიგვანიშნებდეს „სიბრძნე სიტყუისაში“ ასე ხშირად გამოყენებული ფრაზა — „არაკად იქმულა“. ვფიქრობთ, ანალოგიურ პროცესზე დაკვირება ჩვენს დროშიც შეიძლება: საყოველთაოდ ცნობილ ანგდოტს საუბარში ზოგჯერ მთლიანად კი არ ჰყვებიან, არამედ სიტყვებით — „იმ ანგდოტისა არ იყოსო“, შემოპყავთ საუბარში ანგდოტის ბოლო ფრაზა, რომლის სათქმელადაც იყო მოგონილი მთელი ამბავი. განსაკუთრებული პოპულარობის შემთხვევაში ანგდოტს ეს ფრაზა ჩამოშორდება და დამოუკიდებლად იხმარება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ „მასალ“ სიტყვის ორი ფორმა „მცსლ“ და „მესალ“ გვაძლევს მნიშვნელობებს: „ერთ, მსგავსად, როგორც“. ქართულში ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა — „არაკი“. მოვიყვანოთ შესაბამის მაგალითებს: „და ესდენ დიდი და სახარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა-ვის უნაასეს მისი არაკი“ (ახმ., 52, 2). „ჩემად არაკად სულ-დგმული კაცი არ გაწზილებულა“ (ვტ., 1511, 3). „ღია მინახეს საწყალი მიჯნური გულ-ცეცხლიანი და თულთავან სისხლ-ცრემლიანი, მაგრამ ამისად არაკად საბრალო მიჯნური არავინ მინახავს“ (ვისრ., 93, 15).

როგორც ვნახეთ, „მაგალითი“, „ანდაზა“, „იგავი“ („არაკი“) სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები აღმოჩნდა (თითოეული მათგანი ნიმუშს აღნიშნავს). ზემოთქმულის საფუძველზე სპარსულიდან ანალოგიის მოხმობით შეიძლება მექანიკურად გამოვიყვანოთ სიტყვა „ანდაზის“ დამატებითი შინაარსი მისი წინამავალი მნიშვნელობიდან: ანდაზა და არაკი შეგიძლია მოიყვანო მაგალითად. ამიტომ იმას, რაც მაგალითად მოგვყავს, თავად ეწოდა „მაგალითი“. ვინაიდან „ანდაზა“ მისი სინონიმია, მოულოდნელი როდია ამ სიტყვების ერთმანეთით შეცვლა, ან შეიძლება ასე წარმოვადგინოთ საქმის ვითარება: „მაგალითო“ იტვირთა „ანდაზის“ მნიშვნელობა და მოგვცა უფრო ზოგადი ცნება. ამასთან, გაჩნდა სიტყვა „არაკის“ მნიშვნელობათა დაკონკრეტებისა და დაევიწროების აუცილებლობა და „არაკად იქმულას“ ნაცვლად მივიღეთ გამოთავისუფლებული „ანდაზა“.

მაგრამ სიტყვა „ანდაზის“ მნიშვნელობებზე მსჯელობა დასრულებული ვერ იქნება დიალექტური მასალის მოხმობის გარეშე.

ალ. ლლონტი გვაძლევს სიტყვა „ანდაზის“ შემდეგ მნიშვნელობებს: „ანდაზა-ჲ“ (თუშ.) — ყარიბი, კალაპოტი, ფორმა²⁷. ვფიქრობთ, სამივე მათგანი ლოკალურად უკავშირდება ამ სიტყვის სპარსულიდან გადმოყოლილ მნიშვნელობებს (ნიმუში, დედანი, საიდანაც კოპირება ხდება, თარგი). იმავე თუშურში „ანდაზაყი“ „ამბავს“ ნიშნავს²⁸. პროფ. მ. ანდრონიკაშვილის ცნობით, ქიზიყურში „ანდაზა“ იხმარება ადამიანის მისამართით, მაგ.: „ანდაზა კაციო“, — იტყვიან. აქ მას „სამაგალითოს“ მნიშვნელობა აქვს ოდნავ დამამცირებელი ელფერი²⁹. ზოგი ავტორის მიხედვით, ქართული ენის დიალექტებში „ანდაზა“ ზოგჯერ „ანდრეს“ აღნიშნავს. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ეს უკანასკნელი ასეა განმარტებული: „ანდრეზი — ხევსურულ ზეპარსიტყვიერებაში — სამაგალითოდ შემონახული ამბავი ლაშქრობა — მესისხლეობის, გმირობისა თუ ლაჩრობის, თემის ან ბჭეების გადაწყვეტილებისა და სხვა შემთხვევათა შესახებ, ერთგვარი მორალურ-იურიდიული შეგონება. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ხევსურულში „ანდაზა“, სვანეთში „ჰარაკი“. თაობიდან თაობაზე ანდრეზი გადადიოდა ზეპირი მოთხრობის ან ლექსის სახით. მეანდრე-

რიცხვა“, „დათვლიერება, აღლუმი“ — „ანდეს-ყოს მომგებელისა თანა მისისა“; „აღირაცხენ მომგებელისა თუსისა თანა“ (ლევიტ. 25, 50)⁴¹.

დასახელებულ მაგალითებში წარმოდგენილი „ანდესობა“ თუ „ანდეს-ყოფა“ უნდა უთქავშირდებოდეს ძველ სომხურ „ჰანდეს“-ს (*հանդես*)⁴² ამ სიტყუას ძვ. სომხურში აქვს შემდეგი მნიშვნელობები: ზეიმი, დღესასწაული, თავ-ჭრილობა, აღრიცხვა, დიდებული სანახაობა, ბრძოლა, შეტაკება, სწრაფვა⁴³.

განვიხილეთ სიტყვა „ანდაზის“ მნიშვნელობები ქართულსა და სპარსულში. ეს სიტყვა ქართულში დაახლოებით XI საუკუნიდან გვხვდება. ეს ის პერიოდი, როცა იზრდება ინტერესი სპარსული ლიტერატურის მიმართ. ჩნდება თარგმანები, რომელთა წყალობით ქართულ ენაში თანდათან იჭრება სპარსული ლექსიკა. ამ გზით შემოსული სიტყვები მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ თავიანთ შინაარსს. „ანდაზის“ ქართულში გადმოჰყვა ყველა ძირითადი მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენში მან დამატებით შეიძინა „აღმზრდელობითი ხასიათის ალეგორული გამონათქვამის“ შინაარსი. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მნიშვნელობა უშუალოდ გამომდინარეობს სიტყვა „ანდაზის“ წინამავალი მნიშვნელობისაგან. ვგულისხმობთ „ანდაზის“ როგორც „მაგალითს“, „ნიმუშს“. ამ მოსაზრებას აძლიერებს სპარსული მასალა, კერძოდ, „მასალ“ სიტყვის მნიშვნელობები და მათი ურთიერთკავშირი, აგრეთვე ქართულში არსებული ვითარება, რომელიც სპარსულთან საინტერესო ანალოგიას იძლევა. ქართული ენის ზოგ დიალექტში ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსების გამო „ანდაზა“ აღრეულია ირანული წარმოშობის სხვა სიტყვასთან — „ანდერძი“ და მის დიალექტურ ვარიანტთან „ანდრეზი“⁴⁴.

შენიშვნები

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 495.
2. ფ. ერთელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის, „მნათობი“, 1957, № 3, გვ. 109.
3. ჭარბანგე ნაჭიხი, ჯელღე ნოხოსო, თეჰრან, 1343 (1964), გვ. 417.
4. ეისარგებლეთ „ეფენსიტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებით.
5. Персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Рубинчика, II. М., 1983, გვ. 145.
6. Персидско-русский словарь, составил проф. Б. В. Миллер, М., 1953, გვ. 330.
7. М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, II. М., 1974, გვ. 533.
8. იქვე, გვ. 744.
9. Б. В. Миллер, დასახ. ლექსი, გვ. 463—464.
10. Ю. А. Рубинчик, დასახ. ლექსი, გვ. 466.
11. ჭარბანგე თარბიზთ (ქარსი-ალმანი), თალიფე დღღამლი თარბიზთ, თეჰრან, 1339 (1960).
12. Dictionary Persian, Arabic and English by Fr. Johnson. London, 1852, გვ. 802.
13. იქვე, გვ. 1118.
14. Ioannis Augusti Vullers. Lexicon Persico-Latinum Etymologicum, 1855, გვ. 1854.
15. იქვე, გვ. 1138.
16. ჭარბანგე შშილი, თეჰრან, 1351 (1972), გვ. 938.
17. ჭარბანგე ნაჭიხი, მოჯალღდე ფანჯომ, თეჰრან, 1334 (1955), გვ. 3127.
18. ჭარბანგე ნაჭიხი, ჯელღე სევეომ, თეჰრან, 1343 (1964), გვ. 1826.
19. ჭარბანგე სჯაღდი, თალიფე ჰამდი რაზბანი, თეჰრან, 1341 (1952), გვ. 493.
20. ჭარბანგე შშილი, გვ. 700.
21. ლოღათნამე, თალიფე ზლი ეზბარ დეჰზოღა, თეჰრან, 1328 (1949), გვ. 36.
22. ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, გვ. 137.

23. Enzyklopaedie des Islm. Herausgegeben von M. TH. Houtsma, A. J. Wensink. W. Heffening, H. A. Gibb and E. Levi-Provençal, III, Leipzig, 1936, გვ. 468.
24. 1986 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ს. ს. ავერინცევა წააგონებდა დენიშე ლექცია ევროპულ რაციონალიზმის შესახებ. ჩვენთვის საინტერესო საკითხს მეცნიერი შეეხებოდა პირველ ლექციაზე — ევროპული რაციონალიზმის ორი დაბადება.
25. თარგმანის დედანთან მიმართების საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ეს თარგმანები გამაზნული იყო ქართული მკითხველისათვის, რომელსაც ტექსტის ასეთი გააზრებით უნებხლოება არ უნდა ეგრძნო.
26. მაგალითებს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე-სიტყვისა, ქართული პროზა, 5, თბ., 1983.
27. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1969, გვ. 37.
28. პ. ხუბუტია, თუშური კილო. ლექსიკა, თბ., 1969, გვ. 66.
29. ქ-ნმა მ. ანდრონიკაშვილმა ეს მნიშვნელობა პირად საუბარში დაგვიხსენა. წინამდებარე ნაშრომი, რამდენადღე სახეცელი, 1987 წ. 24 მარტს მოხსენების სახით წაითხოვია აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში აკად. ა. შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო სესიაზე. აქვე ქ-ნმა ლ. კვიციანიშვილმა მოგვანოდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქიზიყურში „ანდაზა“ ყალიბისა და თარგის მნიშვნელობითაც გვხვდება.
30. ი. ფუტყარაძე, ანდრეზი, ქსე, I, თბ., 1975, გვ. 447.
31. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 282—283.
32. Я г е л о и, Персидско-русский словарь, Ташкент, 1910, გვ. 154.
33. Francis Johnson, დასახ. ლექს., გვ. 170.
34. Dictionnaire Turc-Arabe-Persan par Jules Theodore Zenker, Leipzig, 1866, გვ. 104.
35. ჭნრპანგე შიდი, გვ. 143.
36. ჭნრპანგე ნაჭისი, ველდენოხოსი, გვ. 418.
37. ალ. ლლონტი, დასახ. ლექს., გვ. 37.
38. პ. ხუბუტია, დასახ. ნაშრ., გვ. 66.
39. ქ. ძოწენიძე, ზემოიერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 28.
40. აკ. წერეთელი, ბაში-აიუკი, რჩეული, წიგნი 2, თბ., 1977, გვ. 117.
41. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1971, გვ. 6.
42. ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სპარსულ ლექსიკოგრაფთა უმეტესობა არაბულ ძირს „პანდასა“ (ზომვა) სპარსულ „ანდაზეს“ უკავშირებს. ამ ძირიდან ნაწარმოები მიძღვება „მუჰანდის“ ქართულშიც დასტურდება ფორმით — „მუჰანდისი“. ამის შესახებ იხ.: ალ. გვახარია, ლექსიკოლოგიური ძიებანი, აკად. შანიძე — 100, საუბილეო კრებული, თბ., 1987, გვ. 199.
43. А. Худобашияи, Армяно-русский словарь, II, М., 1838, გვ. 26.
44. ქართული ენის დიალექტებში ამ სიტყვების აღრევამ. შესაძლოა, გარკვეული როლი ითამაშა სიტყვა „ანდაზის“ დღევანდელი მნიშვნელობის ჩამოყალიბებისათვის. ამ შემთხვევაში ნაშრომში დასმულ საკითხზე ცალსახა პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- აზმ. — ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
- არჩ. II — არჩილიანი, ტ. II, გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937.
- გურ. — დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955.
- დიდმოურ. — იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939.
- ვისრ. — ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარია და მ. თოდუამ, თბ., 1962.
- ვტ. — შოთა რუსთაველი, ველხისტყაოსანი, თბ., 1951.
- ზთი. — ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის, ტექსტი გამოსაცემად მოამ-



- ზადეს, შესავალი და კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკჩაშვილმა, თბ., 1981.
- თეიმ. II — თეიმურაზ მეორე, ახზულგათა სრული კრებული გიორგი ჯაიობას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939.
- კალმ. — ქ ა ნ ა ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940.
- ორბ. I — გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, აკაკი გაწერელას რედაქციით და შენიშვნებით, ტფ., 1936.
- საბა, II₁ — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. II₁, ქილილა და დამანა, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.
- საბა, II₂ — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. II₂, ქილილა და დამანა, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.
- საბა IV₁ — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. IV₁, ლექსიკონი ქართულ, თბ., 1965.
- სამკ. წ. კარაბ. — ზაზა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), მის. სააკაშვილის რედაქციით, თბ., 1950.
- შაპნ. — შაპნაშეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, III, ტექსტი გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო დავით კობიძემ, თბ., 1974.
- ხოსრ. — ამირ ხოსრო დ ე ჳ ლ ე ვ ი, ხოსროვ-შირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნანი გიგაშვილმა, თბ., 1979.

Т. И. ШУРГАЯ

К ЗНАЧЕНИЮ СЛОВА ANDAZA В ГРУЗИНСКОМ И ПЕРСИДСКОМ ЯЗЫКАХ

Резюме

1. Новоперсидское слово andaza появляется в грузинском языке приблизительно с XI века. Сохраняя все те значения, которые оно имело в персидском, andaza в грузинском приобретает дополнительное содержание («пословица», «поговорка»).
2. Новое содержание рассматриваемого слова вытекает непосредственно из его предшествующего значения («пример», «образец»). Данное соображение основывается на сопоставлении значений указанного персидского слова со значениями слова арабского происхождения *mathal* и на их взаимосвязях.
3. В некоторых диалектах грузинского языка по причине фонетической и семантической близости слово andaza смешивается со словом *anderdzi* («завещание», «последняя воля») и его диалектным вариантом *andzezi*.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
 მ. ანდრონიკაშვილმა

ნანა ფანცულაია

„ისქანდერ-ნამე“ აჰმედისეული მხატვრული
 ტრანსკრიფციის საკითხისათვის

ნაზირეობა აღმოსავლურ პოეზიაში ლიტერატურული პირველწყაროს პირვეტურ ტრადიციასა და სიუჟეტზე ახალი ნაწარმოების აგებას გულისხმობს. იგი იმეორებს უკვე ცნობილ მოტივსა თუ ამბავს, რომლის გარშემო თავმოყრილი სხვადასხვა თემა იმდენად არის ორიგინალური, რამდენადაც მასზე შუასაუკუნეების ლიტერატურული აზროვნების პრინციპებით დასაშვებია რაიმე ნოვაცია მოქმედებს. ერთი მხრივ, უცვლელი რჩება ძირითად სიუჟეტთან დაკავშირებული თავდაპირველი საფუძველი (სწორედ ის, რითაც გამყვანებულია პოემის კავშირი თავისივე წინასახესთან), მეორე მხრივ კი — იცვლება სიუჟეტის განვითარების მხატვრული გამოსახვესა საშუალებები. სწორედ ეს მოდიფიკაცია იძლევა უკვე დაკანონებული, უძველესი კვებისაგან ახალ ევრსიამდე განვითარებული თემის წაკითხვის სხვადასხვა ვარიანტს. ამიტომაც შუასაუკუნეების პოეტის მხატვრული ამოცანაა შემოქმედებითად განავითაროს ტრადიციული ლიტერატურული მოტივი იქამინდელი ისტორიულ-ესთეტიკური იდეალის შესაბამისად, წარმოაჩინოს თავისი ჩანაფიქრის ინდივიდუალური საწყისი. შემოქმედს ლიტერატურული პირველწყარო აძლევს იმპულსს შექმნას (და არა თარგმნოს) ნაწარმოები, რომელიც გარკვეულად სცილდება უბრალო მიბადვის ჩარჩოებს, თუმცა ბოლომდე დადგენილი სქემებზე და სიმბოლოების ერთგული რჩება. უნივერსალური, კოდირებული სტილისადმი ამგვარი აუცილებელი მორჩილება, რაც არსებითად ტრადიციული ფორმებისა და კანონების მოქმედებით არის შეპირობებული, შუასაუკუნეების ხელოვნებაში ყოველივე ინდივიდუალურის სუსტ გამოვლენას გულისხმობს¹. თუმცა, აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია პოეტისდროინდელი აუდიტორია (თუნდაც მცირერიცხოვანი), რომლისთვისაც იქმნება ნაწარმოები და რომელიც, თავის მხრივ, ებოქის გემოვნების, ინტერესების შესაბამისად, მისთვის ბუნებრივ ენობრივ თავისებურებებს, ახლობელ სიუჟეტებსა და მათ გადაწყვეტას კარნახობს პოეტს. სწორედ ამ კონკრეტულ-ისტორიულ პერსპექტივაში ჩნდება დროში ცვალებადი ინდივიდუალური ფენომენი, რომელიც, ტრადიციული აზროვნების დროში უცვლელ ფორმას დაკავშირებული, თუნდაც სუსტად, მაგრამ მაინც ავლენს თავის განუმეორებლობას.

ამ სხვადასხვაგვარ ასპექტთა გათვალისწინება ერთადერთი სწორი გზაა შუასაუკუნეების საერთო ნორმატიულ საფუძველზე აღმოცენებული სხვადასხვა ლიტერატურულ ტრანსკრიფციათა გასაგებად. ამჯერად კი XIV საუკუნის თურქი პოეტის თაჯ-ედ-დინ აჰმედ იბრაჰიმ იბნ ჰიზირის „ისქანდერ ნამეში“. იგი აღმოსავლურ „ალექსანდრიანეს“ ერთ-ერთი რგოლია და ისევე უკავშირდება თავის უშუალო წინამორბედს, როგორც ალექსანდრე მაკედონელის მეფობისა და ლაშქრობების მთელს უზარმაზარ ლიტერატურულ ტრადიციას. ამ ტრადიციამ, როგორც ჩანს, ისქანდერის ცხოვრება მეტად მოსახერხებელ სქემად აქცია, რომელსაც შუასაუკუნეების პოეტები მრავალი სერიოზული პრობლემის გადასაწყვეტად, სხვადასხვა იდეის განსახორციელებლად იყენებდნენ. „ისქანდერ-ნამე“ შესანიშნავ მასალას აძლევდა პოეტს, მისთვის საჭირო კუთხით მიემართა ისქანდერის მეფობის გამოგონილი ისტორია².

აპმედნს შთავგონების წყარო, უშუალო პროტოტიპი პოემისა, პოეტის თქმით, ნიზამის ამავე სახელწოდების პოემა გამხდარა. აპმედი ნიზამის ერთ-ერთი მიმბაძველთაგანი და პირველი თურქი პოეტია, რომელმაც, თავის მშობლიურ ენაზე „ისქანდერ-ნამეს“ დაწერა გაბედა. აპმედის პოემის სიუჟეტის შესწავლა იმას გვიჩვენებს, რომ პოეტს ისქანდერის ლეგენდის უბრალო კომპილაციის ნაცვლად უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა დაუსახავს მანამდე — თავისი გვირგვინოსანი მკითხველისათვის ყოფილიყო ეპითაღმწერელი და ენციკლოპედისტი, გადმოეცა წინა აზიის ისტორიით გამდიდრებული მეფეთა ქრონიკა, ფილოსოფიური, მეცნიერული (ასტრონომია, მედიცინა, ზღვაოსნობა თუ სხვ.) და მმართველისათვის საჭირო პოლიტიკური დარიგებები. იდეალური მონარქის მიერ ქვეყნის მართვის ხელოვნება კი, როგორც ცნობილია, იმთავითვე ყოფილა „ისქანდერ-ნამეთა“ იდეურ-თემატური საფუძველი. აპმედის ამგვარი დამოკიდებულება პოემისადმი, ცხადია, მისი ეპოქის კულტურულ-ისტორიული ვითარებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. XIV საუკუნის მეორე ნახევარი ოსმალთა სახელმწიფოსათვის ის კრიტიკული პერიოდია, როცა თავდაპირველად ზაჰაზეთ I იმორჩილებს სელჩუკთა საამიროებს, სერაიოზულ საფრთხეს უქმნის მცირე აზიაში ბიზანტიის უკანასკნელ საუფლოს — კონსტანტინოპოლს, შემდეგ კი თემურ ლენგის შემოსევა დროებით აფერხებს ოსმალთა დინასტიის წინსვლას და აღადგენს სელჩუკთა საამიროებს, ხოლო კონსტანტინეპოლს მცირე დროით ათავისუფლებს. აპმედნს, თავისი დროის ერთ-ერთ ულემს, „ისქანდერ-ნამეზე“ მუშაობა დაუწყია გერმანიის ამირას კარზე ყოფნისას, ხოლო გაუსრულებია ედირნეში, სულეიმან ჩელეების (ზაჰაზეთის უფროსი ვაჟის) კარის მგოსნობის პერიოდში⁴. როგორც ჩანს, არასტაბილურ პოლიტიკურ ატმოსფეროში სანიმუშო მხედართმთავრის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდი მბრძანებლის იდეა სასურველი და წამახალისებელი უნდა ყოფილიყო თურქული არისტოკრატის წრისათვის, რომელსაც პოლიტიკურ ძლიერებასთან ერთად გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ცოდნის ამა თუ იმ სფეროზე (მისი თანამოქმენი, იმ დროისთვის ხომ საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ დაპყრობილი ქვეყნის ტრადიციულ საერთო კულტურულ დონეს). აპმედნს პოემაში ენციკლოპედიური ასპექტის შესწავლისათვის საინტერესოდ ჩნდება პოეტის ქაიროში მოღვაწეობის ბიოგრაფიული ფაქტი. (ყრძოდ. აპმედნს ქაიროში უსწავლია აქმალ ალ-დინთან (ალ-ზაჰართთან) და ცნობილ სუფ მედიკოსთან მევლანა შამს-ედ-დინ მუჰამედ ალ-ფანარისთან. ქაიროში აპმედისთან ერთად სწავლობდა ჰაჯი ფაჰაე — ცნობილი თურქი მედიკოსი, ალ-მანთიქის მოწაფე, რომლის კალამს ეკუთვნის არაბულ ენაზე დაწერილი სამედიცინო ხასიათის ნაწარმოებები⁵. XIII—XIV საუკუნეები არაბეთის ისტორიაში დიდი კულტურული მოძრაობის პერიოდია — საუკუნეების მანძილზე მოპოვებული ცოდნით იქმნება მრავლისმომცველი ინტელექტუალური ნაშრომები. ამ ენციკლოპედიური მოღვაწეობის ცენტრი კი ქაიროა. არაბი ენციკლოპედისტები თავიანთ ნაშრომებში უპირველეს ყოვლისა თავს უყრიდნენ ისტორიოგრაფიულ მასალას, ქმნიდნენ მსოფლიო ისტორიას — დასაბამიდან თავიანთ დრომდე, დიდ ადგილს უთმობდნენ კოსმოგრაფიასა და გეოგრაფიულ აღწერილობას, მსჯელობდნენ ასტრონომიაზე, ადამიანის შესახებ ინფორმაციას აფუძნებდნენ დედაშიწის იყლიმებად დაყოფაზე და სხვ. ამ მრავლისმომცველსა და რთულ ცოდნას შედარებით ადვილადსაკითხავ, თუ შეიძლება ითქვას, გასართობ ფორმაში აწვდიდნენ მკითხველს⁶. აპმედი, ცხადია, ამ ნაშრომებს კარგად იცნობდა, რადგან პოემაში (ფორმა აქაც მსუბუქი და გასაგებია) სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეთმობა განსაკუთრებული ყურა-



დღეება⁷. თავის ფართო დიპაზონის ცოდნას აჰმედი უზიარებს ინტელექტუალურად და პოლიტიკურად ვერაფრით გამორჩეულ სულთნებს, რომლებიც მართავენ საამიროებად დამოღობ ქვეყანას და, ცხადია, მათი სახე საქმოდ შორსაა ნიზამისეული ისქანდერის ხატისაგან (ივლისისმება იდეალური მმართველი, ბრძენკაცი და მოციქული). ნიზამისაგან განსხვავებით აჰმედის ისქანდერი სწორუბოვარი დამპყრობია, მეცნიერული ცოდნის ფართო სფეროთი გამორჩეული მმართველი და მხედართმთავარი⁸. პოლიტიკურ-ისტორიული სინამდვილე პოეტს არ აძლევს იმის ნებას, რათა მოციქულის რანგში აიყვანოს მონარქი, შესაბამისად არც ცალკე თავებს უძღვნის ისქანდერის ცალკეულ იპოსტასს (მსგავსად ნიზამისა)⁹. აჰმედს პოემის ამგვარი დაყოფა არც სჭარდება, რადგან მისი ნაშრომი ერთ მთლიანობად მოიაზრებს ლეგენდებსა და პოემის დიდაქტიკურ ნაწილს, მეცნიერულ მსჯელობას ორგანულად უთავსებს პოემის მთავარ ეპიზოდებს. იგივე უნდა ითქვას პოემის ისტორიულ ნაწილზეც¹⁰. რეალური ისტორია ბუნებრივი ნაწილია ლეგენდარული ისტორიისა, ხოლო ისქანდერის დროიდან დიდი მანძილით დაშორებული ამბების თხრობისას პოეტი კავშირს არ წყვეტს ნაწარმოების მთავარ გმირთან: ყოველი ბრძოლა, თვით უმცირესი ბატალური სცენაც კი, ისქანდერის ლაშქრობათა სულით სახრდობს და უშუალოდ მას უკავშირდება¹¹. რეალური ისტორია, თავის მხრივ, აგრძელებს პოემის ლეგენდარულ ხაზს, რადგან შუა საუკუნეების მკითხველისათვის, თანადროულობას ესოდენ დაშორებულა, ესოდენ პირობით-მითოლოგიური ამბავი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებისა ისევე რეალურია, როგორც ნამდვილი ისტორიული ქრონიკა და, ამდენად, ერთიან სინამდვილედ გაიაზრება. XIV ს. ოსმალთა სულთანმა თავს ისქანდერის შთამომავლად თვლის და გასაკვირი აქ არაფერია: ამ დეტალშიც ნათლად ვლინდება ზემოაღნიშნული სტატიკური ფორმა აზროვნებისა (უდროობა), რაც ვანპირობებულა სინამდვილის შუასაუკუნოვანი გაგებით. ეს სინამდვილე კი მითოლოგიური სინამდვილისაგან არ გაიმიჯნება.

აჰმედს ისქანდერი ირანის ტახტის კანონიერი მემკვიდრეა, ძეა დარაბისა და ძმა დარასი. ასევე კანონიერი მემკვიდრეა რუმის ტახტისა, რადგან ფაილაკუსის შვილიშვილია. როგორც ცნობილია, ისქანდერის წარმოშობის ამ ფირდოუსისეულ ვერსიას ნიზამიც იცნობს, მაგრამ საგანგებოდ არ იზიარებს (მისი ისქანდერი, ხომ ფაილაკუსის ძე და რუმის მბრძანებელია). აჰმედსათვის თავის წინამორბედთა ვერსიათაგან ორივე მისაღებია — ის რომ ისქანდერი რუმის შაჰია (სწორედ ასე მოიხსენებს მას აჰმედი), ცხადია, ჩვენი ავტორის თურქული ორიენტაციითაა განპირობებული (ოსმალეთის სულთნებიც ხომ რუმის სულთნებად იწოდებან). ცხადია, ისიც, რომ აქაც სინამდვილისადმი დროისმიღმური დამოკიდებულება მოქმედებს.

„ისქანდერ-ნამეს“ სიუჟეტის სტრუქტურის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ სიუჟეტის აგების პრინციპისადმი აჰმედის განსაკუთრებული დამოკიდებულება. თემის ფირდოუსისეული (თუმცა ნიზამის მსგავსად, ფირდოუსის შესახებ აჰმედს არაფერს ამბობს) გადაწყვეტა, როგორც ჩანს, უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო აჰმედის ჩანაფიქრთან, ვიდრე ნიზამისეული ძირეული გადამუშავება, აყვანილი ზოგადი იდეალების ფილოსოფიურ გააზრებამდე¹². ნიზამის ხომ ისქანდერი ისტორიულ რეალობაში ნაკლებად აინტერესებს (თუმცა თავისი დროის ისტორიულ ფაქტებს ისიც ჩაურთავს პოემაში, მაგრამ ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება). ისქანდერი აქ რუმის მბრძანებელია და გენეტკურად სრულებით არ უკავშირდება „შაჰ-ნამეს“ მეფეთა ქრონიკას. აჰმედს დარიუსთან ბრძოლას, შემდგომ ინდოეთში ქეიდისა და ფურის ეპიზოდებს, ჩინეთის ხაკანის ამბავს „შაჰ-ნამეს“ ტრადი-



ციის მიხედვით მოგვეთხრობს. იგივე უნდა ითქვას ისქანდერის ზღაპრული მოგზაურობის შესახებაც¹³. ისქანდერის ლეიოური მისიის სუსტად აქცენტირებულ ფირდოუსის გავლენაზე ვგაფიქრებინებ. ამავე ისქანდერის ზუ-ლ-კარბაღის ნაინობის ყველაზე ტრადიციულ ინტერპრეტაციას იღებს, ამ სახელწოდების ნიშამისეული მრავალი ახსნიდან მხოლოდ ერთს — აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებლობას (რაცეც ოსმალთა ევროპაში დაფუძნებას პოლიტიკური სინამდვილე დაკვლევლი)¹⁴. ამავედისთან ვერ ვხვდებით ზინჯებთან ბრძოლისა და ვერც ზორიასტრული ტაძრების დარბევის ამბებს. ისქანდერის ტრადიციული (ნიშამის მიერ წინწამოწეული) სარკე კი ამავედის ხელში იქცევა მავრუტ ქეად, რომელიც ფერს იცვლის და დამამობით ანათებს, ანუ შორდებდა რეალობას, და საგანგებოდ გავლაპრებულთა. ეს ქეა-სარკე თილისმაა, რომელიც ისქანდერ-შაას ალექსანდრიაში მიაქვს¹⁵.

აღსანიშნავია, რომ ამავედის პოემაში ბრამპანთა ქვეყანაც ფირდოუსის ანალოგიითაა მოცემული. ეს ეპიზოდი ნიშამის პოემის დარად ვერ მოდიფიცირდება, თუმცა იგივე ნიშამის მომდევნო პოეტებზეც უნდა ითქვას. საგულისხმოა ისიც, რომ რუსების ჯართან ბრძოლისას ნიშამის მიერ წინწამოწეულა სახე მებრძოლი თურქი მონა-ქალისა, XIV საუკუნის თურქული სინამდვილისათვის შეგნებულად კარგავს ფოლკლორულ მნიშვნელობას, მეტიც — უარყოფითადაა შეფასებული. ნავოისთან ამ ეპიზოდის ზედმიწევნით განვითარებას ბერტელსი თემურიდთა ეპოქაში ქალის შედარებით მეტი თავისუფლებით ხსნის¹⁶. ჩვენი პოეტის შემთხვევაში კი ეს საკითხი, ვფიქრობთ, მისი კონფესიონალური სიმკაცრით უნდა აიხსნებოდეს.

ამრიგად, ამავედის პოემის სიუჟეტის სტრუქტურის კავშირი „შაპ-ნამეა“ სიუჟეტურ ქარგასთან, როგორც ჩანს, ისტორიულ-მითოლოგიური პრინციპითაა უნდა იყოს განპირობებული. საგულისხმოა, რომ ამავედის საგანგებოდ არ ცვლის პოემის სათაურს, თუმცა „ისქანდერ-ნამეა“ ლიტერატურულ ტრადიციაში სათაურის შეცვლა პოემის იდეურ-თემატური პრინციპის შესაბამისად დასაშვებია და შესაძლებელია¹⁷. იგი აგრძელებს ფირდოუსის მიერ დაწყებულ ისტორიულ ხაზს და პოეტური ნაწარმოების შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ავითარებს მას. „ისქანდერ-ნამეს“ ავტორი მსოფლიო ისტორიას იწყებს „შაპ-ნამეს“ მითოლოგიური მეფეებითა და უძველესი სპარსი მეფეებით (ქიუმბარსიდან დარიუსამდე) — ვიდრე ალექსანდრემდე, ხოლო ალექსანდრეს შემდგომ — ხიზრის წინასწარმეტყველება გვაუწყებს მთელს შემდგომ ისტორიას (არდაშირის მეფობა, მუჰამედის რელიგიური მოძღვრება, ომალოთა, აბასიდთა ისტორია, ჩინგის-ხანისა და მისი მემკვიდრეების ამბები და სხვ.)¹⁸. ცალკეა გამოყოფილი თავი ოსმალთა სულთნების შესახებ — ემირ სულეიმანის დრომდე¹⁹.

თუკი ამავედის პოემას განვიხილავთ, როგორც პოეტური ეპითაღმწერლობის ნიმუშს, იგი პირველი ოსმალურ-თურქული „შაპ-ნამე“ იქნება, რაც მომდევნო საუკუნეებში დიდად განვითარდა, მოიცოლა პოემის ჩარჩო და შექმნა ოსმალური საისტორიო მწერლობა, რომლის პირველ ძეგლად ამავედის „ისქანდერ-ნამე“ ითვლება. პოემის მართლაც რომ საოცარ პოპულარობას ძირითადად, ალბათ, ეს ფაქტორი განპირობებებს.

ამ პოპულარობას პოემის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა სიმრავლაც მიუთითებს²⁰, რომელთა შორის ხშირია დასურათებული ნუსხებიც (ჩვენში მხოლოდ ის ოთხი, რომლებიც დაცულია ლენინგრადის საცავებში)²¹. ამჯერად, ამავედის ხელნაწერზე მსჯელობა მინიატურების განხილვა და შეფასება ჩვენს მიზანს არ შეადგენს და მხოლოდ ზოგადად მოვნიშნავთ პოემის ხელნაწერთა დასურათების ერთ ასპექტს.



თავიდანვე უნდა ითქვას ის, რომ აღნიშნულ ნუსხათა სიუჟეტური მიზანტურები შესრულებულია გარკვეული პრინციპით. აღებულია ისქანდერე ცხოვრების მთავარი, საკვანძო სცენები (მოქმედება დაფიქსირებულია ამბის განვითარების კულმინაციურ მომენტში), რომელნიც ყველა შემთხვევაში მაჰყვებიან ნაწარმოების სიუჟეტურ ქარვას. თუმცა, ერთი შეხედვით, მათში არსებობს ერთგვარი გამოხაკლისიც, ანუ რამდენიმე სცენა, რომელიც უშუალოდ ისქანდერის ცხოვრებისა და ლაშქრობათა მომენტებს არ ასახავს. კერძოდ, ოთხივე ნუსხიდან ყოველ მათგანში ვხვდებით როგორც „შაჰ-ნამესეულ“ ეპიზოდებს, ისე ოსმალთა სულთნების ამსახველ სცენებსაც — ქაიუმარსი ქვეშემრდომებთან ერთად (Dorn—566, გვ. 189 გ), ქეი-ქაუუსის „ცად ამაღლება“ (Dorn—565 — გვ. 162 ბ), იბლისისაგან შეცდენილი ზოპაქი (B—277, გვ. 176 ა; C—133, გვ. 168 ბ), რუსტამისა და ასფანდარის ორთაბრძოლა (Dorn—566, გვ. 212 ბ; Dorn—565, გვ. 171 ბ, B—277, გვ. 193 ა; C—133, გვ. 184 ბ), სიავუშის წინასწარმეტყველური სიზმარი (C—133, გვ. 176 ა), ზოსროვ ფარეისის მკვლელობა შირუეის მიერ (B—277, გვ. 220 ა), აგრეთვე ფადაშაჰ ორჰანი (ოსმანის ძე) ქვეშემრდომებთან ერთად (C—133, გვ. 253 ა), სულთან სულეიმანი ტახტზე (C—133, გვ. 256 ბ, Dorn—566, გვ. 279 ბ) და სხვა, — რომლებიც თითქოსდა ხელოვნურადაა პოემაში ჩართული (ტექსტთან არაფრით დაკავშირებული, მთარული სიუჟეტების ჩართვის მაგალითები ხომ მრავლადაა აღმოსავლურ ხელნაწერთა ნუსხებში)²². მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა შემთხვევითი — თუკი გავიზიარებთ აჰმედისეული „ისქანდერ-ნამეს“ ზემოთ ჩამოყალიბებულ არსს, მაშინ ამ ნუსხათა დასურათება სწორედ ამ მთავარი აზრის გამოხატველი გახდება: არა მხოლოდ უბრალო ილუსტრაცია ტექსტისა, არამედ (რაც მეტად მნიშვნელოვანია აღმოსავლურ სამინიატურო ხელოვნებისათვის, როგორც ხელნაწერი წიგნის ფერადოვანი საძკაულისა) წაკითხვა-გააზრების, ანუ ავტორისეული კონცეფციის, გამოხატველი.

თუკი საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, შესაძლოა გამოვყოთ ე. წ. მინიატურა — ნაზირე (ისევე, როგორც ვასფის მინიატურა), თავის პირველწყაროსთან მკიდროდ დაკავშირებული და მაინც თავისებური და გამორჩეული (ცხადია, მხატვრულ-სტილისტური ნიშნების გარდა) კიდევ ერთი რამითაც — გამოხატოს დასასურათებელი მასალის ავტორისეული მხატვრულ ტრანსკრიფცია.

შენიშვნები:

1. შუა საუკუნეების ხელოვნების ნორმატიულობის საკითხის შესახებ იხ.: Г и н з б у р г Л. Я., О лирике, М.-Л., 1964; Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы, Л., 1971; Лотман Ю. М. Каноническое искусство как информационный парадокс, Проблема канона в древне- и средневековом искусстве Азии и Африки, М., 1973; Лотман Ю. М., Анализ поэтического текста, Л., 1972; Фильштинский И. М., Арабская литература VIII—IX веков, М., 1978; Гуревич А. Я., Категория средневековой культуры, М., 1972; Проблемы народной культуры, М., 1984; ე. ჯაველიძე, აღმოსავლური პოეზიის ტიპოლოგიისა და შესწავლის მეთოდის საკითხი, „მნათობი“, 1981, № 4.
2. აღექსანდრეს ლეგენდის ლიტერატურული და ფოლკლორული ტრანსფორმაცია დასავლეთსა და აღმოსავლეთში მონოგრაფიულად შეისწავლა ე. კოსტაუხინმა (К о с т ю х и н Е. А., Александр Македонский в литературной и фольклорной традиции, М., 1972).
3. აჰმედის გაელენა მოუხდენია შუა საუკუნეების თურქი პოეტების აჰმედ რიზანისა და პაიათის შემოქმედებზე. (Levend A. S., Türk edebiyati tarihi, I, Ankara, 1973, გვ. 110).



4. ცნობები ამჟღის მოღვაწეობის შესახებ: E. G. W. Libb, A History of Ottoman Poetry, v I, London, 1900, გვ. 264; Fr. Babinger, Die Geschtschreiber der Osmanen und ihre Werke, Leipzig, 1927, გვ. 176; J. Hammer, Geschichte der Osmanischen Dichtkunst bis auf unsere zeit, v. I, Pescht. 1833, გვ. 89—104; N. S. Banarîi, Resimli; Türk Edebiyatı tarihi, Ist., 1940, გვ. 119; Levend A. S., დასახ. ნაშრ., გვ. 77
 Гарбузова В. С., Поэты средневековой Турции, М., 1965, გვ. 69—80; Алиев Г. Ю., Темы и сюжеты Низами в литературе народов Востока, М., 1985, გვ. 71.

5. Islam Ansiklopedisi, Ist., 1928, გვ. 216—221.

6. Блашэр Р., Некоторые соображения по поводу форм, присущих энциклопедии в Египте и Сирии в период с VIII/XIV по IX/XV вв., Арабская средневековая культура и литература, сб. ст., М., 1978, გვ. 77—92.

7. ამჟღის „ისქანდერ-ნამეს“ კრიტიკული ტექსტი გამოცემული არ არის, ამიტომაც ტექსტოლოგიური სამუშაოსათვის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სიაგაში დაცული პოემის ზღაწეობათაგან ყველაზე ვრცელს (Dorn, Catalogue des manuscrits et xylographes orientaux de la Bibliothèque impériale publique de st. Peterbourg, 1852, გვ. 566) ვიყენებთ და გვერდებს საილუსტრაციოდ ამ ზღაწეობრიდან მოვიხმობთ. მეცნაურული მსჯელობანი ტექსტში: გვ. 114, ბ—118ბ —სუბარი სხვადასხვა სიქველზე; გეოგრაფიული საკითხები — გვ. 119 ა, 130ბ, 159ა. 162ა; ასტროლოგია — გვ. 165ა — 167გ, გვ. 177ა—185ბ; აქვეა მსჯელობა შვიდი იუღის შესახებ. ისტორიული ნაწილი—216ბ—231ბ; თავი ოსმალეთის ისტორიაზე — გვ. 269ბ—282 და სხვა.

8. ამირ ხოსროვ დეჰლვისათვის იქანდერის ნიზამისეული სამი იპოსტასიდან მხოლოდ პირველია მისაღები და ისიც ამჟღის მსგავსად ყურადღებას ამახვილებს ქრონოლოგიურად ახალ პოლიტიკურ ამბებზე (Алиев Т. Ю., დასახ. ნაშრ., გვ. 45).

9. Бертельс Е. Э., Роман об Александре и его главные версии на Востоке, М.—Л., 1948, გვ. 49—76.

10. პოემის ისტორიული ნაწილი ისტორიკოსების მიერ საგანგებოდ შესწავლილი არ არის; მხოლოდ ერთი ეპიზოდია შედარებული სხვა ისტორიულ წყაროებთან — რაც ააშკარავებს, რომ პოემაში ლაშქრობათა საერთო სურათია ანაბატული პოეტურად და არა ისტორიული სინამდვილის ზედმიწევნით დაცვით. (ც. აბუ ლაჰე, ამჟღის საქართველოში არღუნ ყაენის ლაშქრობის შესახებ, კრ.: შოთა რუსთაველი, ისტ.-ფილ. ძიებანი, თბ., 1966, გვ. 218—226).

11. აღსანიშნავია, რომ ალიშერ ნავის „საღდი-ისქანდერის“ სიყვეტას ასეთივე სტრუქტურას ბერტელსი სუფიური ცოდნის გამოყენებას მიაწერს. (Бертельс, დასახ. ნაშრ., გვ. 123—185).

12. როგორც აღინიშნა, ამჟღის პოემაში ფალოსოფიურად სიღრმისეული საკითხები ნიზამისგან მომდინარე „ხერად-ნამეს“ ტრადიციული განზოგადებით არ ხასიათდება, მეტიც, ფილოსოფოსთა რიცხვი საგრძნობლად შეკვეცილია (ოთხი ბრძენი) და პოემის საკვანძო სამეცნიერო-ფილოსოფიური მსჯელობანი მხოლოდ არისტოტელესა და ფოლკლორული პერსონაჟის — ხიზრის პირითაა ნაუწყები (ნიზამისგან განსხვავებით ამჟღის არისტოტელეს ასახელებს ისქანდერის აღმზრდელად). Dorn—566. გვ. 24ა—35ა.

13. ცნობილია, რომ „ფსევდოკალისტენეს“ ვერსიისეულ ფანტასტიკურ ელემენტს ფილოსოფიური კედე უფრო განავითარებს და მრავალ ახალ ეპიზოდს უმატებს. ნიზამი კი ცდილობს სინამდვილეს დაუახლოს ოხრობა. რეალურ-მეცნიერული კუთხით მიუღდგეს შას (Бертельс, დასახ. ნაშრ., გვ. 34). ამჟღის — Dorn—566, გვ. 119ა—130ბ, 142ბ—149ა.

14. Dorn—566, გვ. 35ა.

15. იქვე, გვ. 135ბ.

16. Бертельс, დასახ. ნაშრ., გვ. 123—185.

17. ამირ ხოსროვ დეჰლვი — „აინეი ისქანდერი“ — ხზგასმულია ისქანდერის გამოგონებლობა, ჯამი — „ხერად ნამეი ისქანდეი“ — ფილოსოფიური მხარე; და პოლოს ნავი — „საღდი ისქანდარი“ — ისქანდერის პოლიტიკური მოღვაწეობა. ამ ფონზე გასაგებია ამჟღის პოემის სათაური, ამსახველი შეფთვა ცხოვრებისა.

18. ჩამოთვლილია სამოცამდე სახელი, გვ. 216ა—269 ა.

19. იქვე, გვ. 269 ბ.

20. თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტ-ის მუსლიმურ ფონდში დაცულია ორი ზღაწეობრი; ლენინგრადში, აღმოსავლეთ-



მცოდნეობის ინსტიტუტსა და საქართველოს ბიბლიოთეკაში; ლონდონში — ბრიტანეთის მუზეუმების ინსტიტუტში; პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, სტამბოლში, ბრატისლავაში, ვენაში და სხვ.

21. Догл, დასახ. კატალოგი, გვ. 565, 566; Дмитриева Л. В., Описание Турецких рукописей Института востоковедения, III. М., 1980, გვ. 35—В—277, С.—133.

22. ამ მხრივ სინტერესთა «ვეფხისტყაოსნის» მაიანინებელ მინიატურაში მსგავსი ტენდენციის გაჩენა (ი. ხუ სკი ე ა მ ე, ქართული საერთო მინიატურა XVI—XVIII სს. თბ., 1975, გვ. 47).

Н. Г. ПАНЦУЛАЯ

К ВОПРОСУ ХУДОЖЕСТВЕННОЙ ТРАНСКРИПЦИИ «ИСКАНДЕР-НАМЕ» ТУРЕЦКИМ ПОЭТОМ АХМЕДИ

Резюме

В результате анализа идейно-тематической основы и художественной структуры «Искандер-наме» турецкого поэта Ахмедий автор приходит к выводу, что т.н. произведение-назире, непосредственно связанное со своим предшественником (и вообще со статичной формой традиционного мышления), в конкретной исторической перспективе выявляет индивидуальный феномен, т. е. определенную художественную транскрипцию «Искандер-наме». Предпринимается попытка раскрыть особенности внутренней структуры поэмы и ее взаимоотношения со всей многовековой традицией поэм об Александре. По мнению автора, в этой связи важно и то, что принцип иллюминирования рукописей содержит тенденцию отражать специфику авторского осмысления и переработки данной темы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ჯაველიძემ

ბაღრი ცხადაძე

ერთი უცხოური გეოგრაფიული სახელი
ძველ ქართულში (ბაბილონი)

ძველ ქართულ ტექსტებში ბაბილონი (ბერძნ. βαβυλων [1, 2], ქაინ-სუს [3]) ნაირგვარი დაწერილობითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც ბაბილონი, ისე ბაბილოვნი, ბაბილოვნი//ბაბილონელი//ბაბილოვანი, ბაბილოვანი//ბაბილოანი//ბაბილოენი, ბაბილონი//ბაბულონი//ბაბულოვნი//ვაკულონი//ვაგილონი. მოვიყვანთ ყველა გავრცელებულ ფორმას:

ბაბილონი-ი: და მოიყვანა მეფემან... ბაბილონი (მცხეთ. ხელნ., IV, მეფ., 17, 24; იხ. ასევე: დ. სჯულ., 538, 37; ეზეკ., 21, 24C; მცხეთ. ხელნ., მიქ., 4, 10; მცხეთ. ხელნ., ბარუქ., 1, 1; მცხეთ. ხელნ., დაბად., 10, 10).

ბაბილოვნი-ი: ილოცეთ ცხორებისათვის... მეფისა ბაბილოვისა (მცხეთ. ხელნ. ბარუქ. 1, 11; იხ. ასევე: მცხეთ. ხელნ. მათე. 1, 17; სინ. მრავ. 108, 27).

ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტში (ან ერთსა და იმავე ძეგლის ნუსხებში) ბაბილონი//ბაბილოვნი ფორმები შეიძლება ერთსა და იმავე გვერდზეც კი შეგვხედეს. ასე რომ, ფორმათა ხმარება რაიმე წესს არ ემორჩილება. მართლაც რომ ეს აღრევაა, ნათლად ჩანს ჩვენეული მასალიდან:

ძენი ბაბილონისანი და ყოველნი ქალდეველნი (ეზეკ. 23, 23C; ო-შია: ბაბილოვისანი); რამეთუ დადგეს მეფე ბაბილოვისაჲ პირველსა მას გზასა (ეზეკ., 21, 26C; ო-შია: ბაბილონისაჲ); ხოლო ადგილი, რომელსა შინა გოდოლი აღაშენეს, აწ ბაბულოვანად იწოდების (ფლავ., 102, 28; შდრ. იქვე: და ამისთვის ბაბულონად წოდებდა შემთხვა ქალაქსა. ფლავ., 102, 33—34); იერუსალიმით ბაბილონად მივიდეს (მცხეთ. ხელნ., იერ., 27, 18; შდრ. იქვე: ...არამედ არა მისრულათვის... სახლისა მეფისა იუდაასა და იერუსალიმისა ბაბილოვანად); და მოვიდა იგი მეფისა ბაბილონელთაჲსა (ეზეკ. 19, 19; I-შია: ბაბილოვნელთაჲსა); ...და სხუათა მონათა ჩუნთა... ტარფალიე, აღფასიე... ბაბილოვნი (მცხეთ. ხელნ., I, ეზრა, 4, 9; S-შია: ბაბილოვნი). ძველი ქართლის მოგვიანო ხანის ძეგლებში გვერდიგვერდ იხმარება—ვაკულონი (წ. 1, თ. 7, 2)//ბაბულონი ფორმები [4, გვ. 39]. „იუდეველთა სიძველენში“ ძირითადად იხმარება ვაკულონი, იშვიათად: ბაბულონი, ვაკულოვნი, ვაგილონი, ვაკულონი, „ბუნებისათვის კაცისა“—ში (ი. პეტრიწის თარგმანი)—მხოლოდ ბაბილონი [4, გვ. 72].

ზოგჯერ ძველი ქართული ენის ძეგლთა გამომცემელთ ბაბილონი//ბაბილოვნი ფორმები საკუთარ სახელთა სძიებელში გადატანილი აქვთ ბაბილოვანი ფორმით, მაშინ როცა ტექსტში სათანადო ადგილას ბაბილონი//ბაბილოვნი დაწერილობა გვაქვს (იხ. მაგ., ეზეკ., 21, 26C, 23, 23C; ქართლის ცხოვრება, IV, 215, 24); მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძველ ქართულში ბაბილოვანი (და მისი ნაირგვარი ვარიანტები) არ გვხვდებოდეს:

...რამეთუ წელსა მეათცამეტსა და მეორესა, არტაშესსა მეფისა ბაბილოვანთასა შევედი წინაშე მეფისა (მცხეთ. ხელნ., II, ეზრ., 13, 6); რომელნი არა წარიხუნა ნაბუქოდონოსორ, მეფემან ბაბილოვანისა მან, ოდეს წარტყუნა იეჰონია და იოაკიმ, მეფენი იუდაასნი, იერუსალიმით ბაბილონად (მცხეთ. ხელნ., იერ., 27, 20); შდრ. ბაბილოანი-ი: აჰა, მივსცემ ქალაქსა ამას კელსა ში-

ნა მეფისა **ბაბილოანისასა** (მცხეთ. ხელნ., იერ., 32, 3; იხ. ასევე: მცხეთ. ხელნ., იერ. 38, 3; მცხეთ. ხელნ. ეზეკ., 26, 7);

ბაბილოვან ფორმა უცხო არაა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისათვისაც: უხუცესს სუტლუ ინანჩას მისცა ერაყი, ხვარასანი და **ბაბილოვანი** (ქართ. ცხ., IV, 181, 16; R-შია: **ბაბილონი**; იხ. ასევე: ქართ. ცხ., II, 221, 4; 232, 3, 5; 232, 18; შდრ. იქვე: ერაყით ხუარასნამდის და **ბაბილოანამდის** 62, 16).

მსგავსი სურათი გვაქვს ეპოთაალმწერლის თხზულების ტექსტშიც, რომელშიც **ბაბილონი** გაიგივებულია **ბაბილოვანთან** [ამის შესახებ იხ. 11, გვ. 72]: უბრძანა ლაშქრობა დასავლეთით კერძო **ბაბილოვანსა**, რომელ არს **ბაბილოდი**, და ეგვიპტისა და ყოვლისა დასავლეთისა კერძოთა (ასწლ. მატ. 102, 17); ამით ეამთა ინება ულო ყაენმან აღმკედრება **ბაბილოვანს** ზედა, რომელ არს **ბაბილოდი** და ხელმწიფესა **ბაბილოვანელთასა** ხალიფას ზედა. და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და წარემართა ბაბილოვანს ბრძოლისა ყოფად ხალიფასა (ასწლ. მატ. 113, 15—16).

ძველ ქართულ ტექსტებში, ჩვენეული მასალის მიხედვით, მხოლოდ ერაყში შემთხვევაში შეგვხვდა **ბაბილოვან** ფორმა, რაც გვიანდელია და გადამწერისეული შეცდომა უნდა იყოს: **ბაბილოვან-ბაბილოვან** (H→V): ... რომელნი წარტყუენოდ იყუნეს ნაბუქოდონოსორისგან, მეფისა **ბაბილოვანთასა** (მცხეთ. ხელნ. III; ეზრა. 5, 7); შდრ. **ბაბილოვან-ელ-ი**: შური ვიძიო მეფისა ზედა **ბაბილოვანელთასა** (მცხეთ. ხელნ. იერ. 25, 12);

ისმის კითხვა: ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში **ოვან**, **ოვან**, **ოან** დაბოლოებანი ქართული **ოვან//ოან** სიტყვასაწარმოებელი სუფიქსი ხომ არაა?

როგორც ირკვევა, **ოვან//ოან** დაბოლოება **ონ//ოვან** დაბოლოების გვიანდელი ფორმა ჩანს. ქართულში მისი სუფიქსობა გვიანდელი ვადაზრიალების შედეგია.

ბერძნულში **ბაბილონი** ლექსემა **ბ-ბი**-თია წარმოდგენილი: **Βαβυλών**, **Βαβυλῶν**.

ამ სიტყვის **ბ-ბი** დაბოლოებას სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე თითქმის არაფერ შეხება. მკვლევარნი მხოლოდ **ბ-ბი**-ის გადმოცემას ეხებიან. კერძოდ, აღნიშნულია, რომ **ბ-ბი**-ის გადმოცემა **ბ-ბი**-თი, რაც აგრეთვე გვხვდება ირმოსთა ტრანსკრიფციებში, არ უნდა მივიჩნიოთ საერთო-ბერძნული იოტიზაციის ამსახველ მოვლენად, არამედ უნდა განვიხილოთ სინქრონულ ფონეტიკურ ცვლილებათა ფონზე [5, გვ. 17]. ძველ ქართულ ტექსტებში ბერძნული **ბ-ბი** ზოგჯერ გადმოცემულია **ბ-ბი**-თი **ბაბილოვანელი//ბაბულოვანელი** **Βαβυλῶνιαι** [4, გვ. 39].

ბაბილონი (**bāb-ilāni**) სირიული სიტყვაა და ნიშნავს „ღვთის კიშკარს“ [6], **bāb-ilu** [7], აქედან უნდა შესულიყო იგი ბერძნულ ენაში, რომელიც წიგნური (resp. მთარგმნელობითი) ვხვით უნდა გავრცელებულიყო იმ დროის დამწერლობის მქონე ენებშიც. საყურადღებოა, რომ **ბაბილონი** ლექსემისეული **ბ-ბი** ლათინურში გადმოცემულია გრძელი **ბ-ბი**-თი: **Bābūlonicus**, **Bābylon**, **Babylonitā** [8], ხოლო სამუდამ ლათინურში ომიკრონით (**ბ**): **Babylon**, **Babylonica**, **Babylonitas** [9]. ომიკრონისა და ომეგას მონაცვლეობა ბიზანტიურ ბერძნულში იშვიათი არაა. მაგ., კლასიკურ ბერძნულში **αἴριον**. ასევე **αἴρις**: ნიშნავდა ცვილს, ხოლო **αἴριον** — ცვილის ჩირაღდანს. ლათ. **cereus**, **cera**. ბიზანტიურ ბერძნულში კი მათი შენაცვლების შემთხვევები ხშირია. ქართულშიც კერეონი ზოგჯერ სასანთელ ცვილს აღნიშნავს, ზოგჯერ სანთელს [10, გვ. 24]. ამრიგად, ბერძნული **Βαβυλῶν-ბი** ლათინურში მწიგნობრივი ტრადიციითაა დამკვიდრებული. უფრო მეტიც: **ბაბილონი**ს მწიგნობრული ელფერი დაპკრავს როგორც ქრის-

ტიანულ, ისე მუსლიმანურ მწერლობაშიც. კერძოდ, **ბაბილონი** სინონიმია ბა-
 დადისა, როგორც ევროპულ, ისე ქართულ ისტორიულ წყაროებში. [11. გვ.
 72]. უნდა ვიფიქროთ, რომ **ბაბილონი** გეოგრაფიული სახელი მწიგნობრული
 გზით დამკვიდრდა ძველ ქართულში ბერძნული ენის მეშვეობით. მაგრამ ეს
 ბერძნული ბიზანტიური ბერძნული უნდა ყოფილიყო და არა კლასიკური. ქარ-
 თველ მთარგმნელს, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა როგორც ქართული, ისე
 ბერძნული ენები, თარგმნის პროცესში ბერძნ. Βαβυλων-ისეული **ბ** უნდა გად-
 მოეღო ქართული **ბ**-თი, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ქართულში **ბ** ბგერა
 არ იყო. მას აფიქრებდა **ბ**-ს არქონა ქართულში. იგი ერთ შემთხვევაში
ბ-ს **ბ**-თი გადმოიღებდა, მეორე შემთხვევაში **ბგ**-ით. ამრიგად, **ბგ** კომპლექსი
 ბერძნ. **ბ**-ს გრაფიკული გამოხატულება უნდა იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ
 თვით ბიზანტიურ ბერძნულში **ბ** ზოგჯერ გადადის **ბუ**[u]-ში. ეს მონაცვლეობა
 განსაკუთრებით ხშირია ბერძნულსავე დიალექტებში. ეს პროცესი შეიძლება
 ასე ვივარაუდოთ: **ბ(ბ)** — დიფთონგიდური ელფერის ბგერა — **ბუ**[u]; ა) **ბ** → **ბუ**;
 ბ) **ბ** → **ბ** → **ბგ**.

ბ — **ბ** პროცესი შუა საუკუნეების ბერძნულში გავრცელებული მოვლენა
 იყო. კერძოდ, იგი გვხვდება კუნძულ ნიკეას მცხოვრებთა მეტყველებაში.
ბ → **ბგ** პროცესი. ცხადია, აღმოსავლურ ბერძნულში უნდა არსებულებოდა. ეგე-
 ვე არეალი ცნობილი უნდა ყოფილიყო ქართველი მთარგმნელისთვისაც, რო-
 მელმაც ბერძნული ენის ზედმიწევნითი ცოდნის გამო, საფიქრებელია, **ბ** **ბგ**-ით
 გადმოიღო. ასე მივიღეთ ალბათ **ბაბილონი** ფორმა.

ბგ კომპლექსი ნარის წინ ძველ ქართულში გვაქვს გეოგრაფიულ სახელ
ქერსოვნიშიც. კერძოდ, იოსებ ჰიმნოგრაფის „თთუენებში“: მარტაა ზა,
 წმიდათა მღელღოწამეთაჲ, რომელნი იყვნეს ეპისკოპოს **ქერსოვნი**თს (ბიზანტ.
 პიმნ. 126, 37). ამ შემთხვევაშიც **ბგ** კომპლექსის მიღების გზა ზემოთ განი-
 ლული პროცესის ანალოგიურია.

აღსანიშნავია, რომ **ბგ** კომპლექსი დასტურდება კიდევ ერთ სიტყვაში.
 ესაა **მოვსეს**, რომელიც გავრცელებული იყო არა მარტო ძველ ქართულში,
 არამედ ძველ სომხურ ენაშიც. ამ სიტყვაშიც **ბ** გვაძლევს **ბგ** კომპლექსს:
 მთა: **მ**. რადგანაც ძველ სომხურსა და ძველ ქართულში ეს სიტყვა გვაქვს.
 საფიქრებელია, იგი შემოსულიყო არა სომხურის გზით ქართულში, არამედ და-
 მოუცილებლად გაჩენილიყო სამწერლობო ენაში ბერძნული დედნის მეშვე-
 ნობით [შდრ. 9, გვ. 86]. ამრიგად, თვისებრივად დიფთონგიდური ხასიათის
 ბგერა (**ბ** → **ბ** [u] → ბართ. **ბგ**) თავად იმდროინდელი აღმოსავლურა ბერძნულის
 წარმოთქმაში უნდა არსებულებოდა, რომლის კვალმაც ასახვა პოვა თვით ძველი
 ქართულისა და ძველი სომხურის რამდენიმე სიტყვაში (**მოხე**//**მოვსეს**), **ბაბი-**
ლონი//**ბაბილონი**). ძველ ქართულში არსებულ მსგავს სხვა სიტყვებში **ბგ**
 არა გვაქვს (შდრ. **ზაბილონი**//**ზაბულონი**...)

უნდა ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც სამწერლობო ქართულში გაჩნდა
 და დამკვიდრდა **ბაბილონი** და **ბაბილონი** ფორმები, ისინი ერთმანეთს ეცი-
 ლებოდნენ პირველობაში. ალბათ ამ მიზეზით უნდა აიხსნას მათა პარალელუ-
 რი ხმარება ერთსა და იმავე ძეგლში ერთსა და იმავე გვერდზე. დროთა გან-
 მავლობაში **ბგ**-ის დაბოლოება, რომელიც პირველად ირიბ ბრუნვებში უნდა
 გაჩენილიყო (**ბაბილონი**ისა, **ბაბილონი**ითა...) ენამ გადაიხარა **ბგ**//**ბ** სიტყვა-
 საწარმოებელ სუფიქსად. ამ დაბოლოების გაჩენა უნდა გამოეწვია ისეთ **ბგ**
 სუფიქსიან სიტყვებს, როგორცაა: **სხლოვანი**, **ვამლოვანი** და მისთ. ამრიგად,



ოცნ—ოვან→ოან: **ბაბილონი**//**ბაბილოცნი**//—**ბაბილოვანი**//**ბაბილოანი**.
 გორც ჩანს, -ოვან სუფიქსის არსებობა ამ სიტყვაში მოჩვენებითია, ისე
 გორც **კეროვანში** -ოვან არაა სუფიქსი. *κρηεν* „სანთელი“ — კერიონი//კერ-
 იონი→(კეროვისა, კეროვნები//კეროვნები)→კეროვანი. „კეროვანი“, რომელიც
 „შუშანიკის წამებაშიც“ გვხვდება, მიღებული ჩანს არა სომხურის [შდრ. 9,
 გვ. 24], არამედ ბერძნულიდან მომდინარე *κρηεν* კერიონ-კეროენ-კეროვან...
 ქართულში არსებული პროცესის გზით.

ლიტერატურა

1. W. P a p e, Wörterbuch der griechischen Eigennamen, Braunschweig, 1875.
2. A. S c h m o l l e r, Handkonkordanz zum griechischen Neuen Testament. Stutt-
gart, 1968.
3. Handwörterbuch der Griechischen sprache, begründet von Franz Passow, I, Leipzig,
1842.
4. იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძველსიტყვაობისანი. I, ქართული
თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ნ. მეღვივეილაძე, თბ.,
1987.
5. ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978.
6. Словарь современного русского литературного языка, т. 2, М.,—Л., 1951.
7. Griechisch-deutsches wörterbuch zu den schriften des Neuen Testaments und der
übrigen urchristlichen Literatur von D. Dr. phil. h-c, Walter Bauer, Berlin—New York,
1971.
8. Ausführliches lateinisch-deutsches und deutsch-lateinisches Handwörterbuch aus den
Guellen zusammengetragen und mit besonderer bezugnahme auf synonymik und antoqui-
täten unter Berücksichtigung der besten hilfsmittel ausgearbeitet von Karl. Ernst Geor-
ges, Lateinisch-deutscher theil., erster band, A—H, Leipzig, 1879.
9. Mittel—Lateinisches Wörterbuch bis zu ausgehenden 13. jahrhundert. Band I,
A—B. Redigiert von Otto Prinz unter mitarbeit von Iohannes Schneider, München, 1967.
10. ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1965.
11. ვ. გაბაშვილი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIV, თბ.,
1987.

გამოყენებული წყაროები

- ასწლ. მატ. — ეპითაღმწერელი, ასწლოვანი მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. გამო-
კვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.
- ბიზანტ. ჰიმნ. — ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები ძველ ქართულ „თთუენებში“, კატალოგი შეადგინ-
ა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კვირიკაშვილმა, თბ., 1987.
- დ. სჯულ. — დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, მ. დოლაძემ,
გ. ნინუამ, თბ., 1975.
- ეზეკ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამო-
კვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.
- მცბეთ. ხელნ. ბარუქ. — წინასწარმეტყველება ბარუქის, მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე,
სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები, ესაია,
იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
- მცბეთ. ხელნ. დაბად. — მცხეთური ხელნაწერი, წიგნი დაბადებისა, რომელსა ეწოდების ებრა-
ელთაგან ბერესით: (მოსეს ხუთწიგნული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამო-
საცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1982.
- მცბეთ. ხელნ. ეზეკ. — წინასწარმეტყველება ეზეკიელისი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა,
ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები, ესაია, იერემია, ბარუქი, ეზე-
კიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

- მცბეთ.** ხელნ. I ეზრა — მცბეთური ხელნაწერი, წიგნი ეზრასი პირველი (მეფეთა I, II, III, IV ნეშტა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ე. დონანაშვილმა, თბ., 1982.
- მცბეთ.** ხელნ. II ეზრა. — მცბეთური ხელნაწერი, წიგნი ნეემიასი, რომელ არს ეზრა მეორე (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ე. დონანაშვილმა, თბ., 1982.
- მცბეთ.** ხელნ. III ეზრა. — მცბეთური ხელნაწერი, წიგნი ეზრა ზორაბაბელისა მესამე (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ე. დონანაშვილმა, თბ., 1982.
- მცბეთ.** ხელნ. იერ. — მცბეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები, ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი, გამოსაცემად მოამზადა ე. დონანაშვილმა, თბ. 1985.
- მცბეთ.** ხელნ. მათე. — მცბეთური ხელნაწერი, სახარება მათესი (დანელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო ე. დონანაშვილმა, თბ., 1986.
- მცბეთ.** ხელნ. IV მეფ. — მცბეთური ხელნაწერი, წიგნი მეოთხე მეფეთა, ებრაელებრ მალაქიმ, რომელ არს მეორე (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ე. დონანაშვილმა, თბ., 1982.
- მცბეთ.** ხელნ. მიქ. — მცბეთური ხელნაწერი, წინასწარმეტყველება მიქაისი (დანელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო ე. დონანაშვილმა, თბ., 1986.
- სინ.** მრავ. — სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1959.
- ფლავ.** — იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა მუელსიტყვაობისანი, I. ქართულ თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბ., 1987.
- ქართლ. ცხ. II.** — ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959.
- ქართლ. ცხ. IV.** — ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973.

Б. А. ЦХАДАДЗЕ

ОБ ОДНОМ ИНОЯЗЫЧНОМ ГЕОГРАФИЧЕСКОМ ИМЕНИ (ВАВИЛОН) В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В письменных памятниках древнегрузинского языка встречаются случаи параллельного употребления имени Вавилон (с различными написаниями) для обозначения страны и города: *babiloni||babilovni||babiloni||vaviloni||babilovani||babiloani...* В результате анализа выяснилось, что окончанием *on||ovn* выражается греческая *ων*. Переводчик греческую *ων* передает то через *o*, то через *ov*. Этот процесс следует объяснить на материале восточных диалектов византийского языка: *ω(o) → звук дифтонгоидного характера — ov[u]; а) ω → u; б) ω → aw → oγ*.

С течением времени окончание *ovn* осмыслилось в иной функции и стало выступать в качестве словопроизводного суффикса *ovan||oan*, который внешне уподобился (resp. совпал) с груз. суффиксом *ovan:ω(o) → aw [u] → груз. ov*.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიაშვილმა

ლალი ჯოხაძე, ანა მისი

სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, როგორც
სტილისტიკურ საშუალებათა რეზერვი მხატვრულ
ლიტერატურაში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც ფართოდ იჭრება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, დიდ გავლენას ახდენს სალიტერატურო ენაზედაც. ეს გავლენა მნიშვნელოვანწილად გამოიხატება სპეციალური ლექსიკის ერთეულებით! სალიტერატურო ენის განდიდრებაში. ტერმინოლოგიური ერთეულები ფეხს იკიდებს არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაში, სადაც განსხვავებული კულტურული იდიოლექტის [1] მქონე პირებს შორის კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობას ართულებს, არამედ ენის წყრიტ ფორმაშიც, კერძოდ, მხატვრულ პროზაში. აღნიშნულ სფეროში მოხვედრისას მათ ისეთი ფუნქციების შესრულება უხდებათ, როგორც გამოყენების საკუთარ სფეროში — სამეცნიერო ლიტერატურაში არ ახასიათებთ. აღნიშნული ფუნქცია სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სტილისტიკური ხერხების სახით გამოყენებაში მდგომარეობს. მხატვრულ ლიტერატურაში შეჭრით აღნიშნული ერთეულები ახალ ლინგვისტურ სტატუსს იძენენ, გადაიქცევიან რა არა მხოლოდ სალიტერატურო ენის, არამედ მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკურ საშუალებათა რეზერვად, რასაც მხატვრული ტექსტის ინფორმაციული დატვირთვის გაზრდა ახლავს თან.

მხატვრული ნაწარმოების დეკოდირება ნიშნავს შინაარსობრივ-კონცეფციური ინფორმაციის ამოკრეფას შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციიდან [2, 26]. თუ ტერმინოლოგიური ერთეულებისაგან თავისუფალი მხატვრული ტექსტების გაგებას თან სდევს წმინდა სემანტიკური სიძნელები, აღნიშნულ ერთეულების შემცველი მხატვრული ნაწარმოებების დეკოდირებასთან დაკავშირებული სიძნელები ორგვარია: 1. ფორმალური და 2. სემანტიკური.

ფორმალური ხასიათის სირთულენი სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინებს ფორმალურ-სისტემური პარამეტრების არცოდნასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემა მარტივი არაა და ტერმინოლოგიური ერთეულების წარმოქმნის ძირითად წყაროებს უკავშირდება [3, 74].

სემანტიკური სირთულეები ორ ჯგუფად იყოფა: ა) სირთულეები, დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის არცოდნასთან და ბ) სირთულეები, რომლებიც ტერმინების სტილისტურ ხერხებად ხმარებისას გამოწვეულ კონტექსტურ მნიშვნელობის აქტუალიზაციიდან გამომდინარეობს. ამასთან დაკავშირებით, დავძენო, რომ წინამდებარე ნაშრომამდე ტერმინების სტილისტიკური ფუნქციით გამოყენება მათი სემანტიკური თავისებურების გამო [4, 215; 5, 33—51; 3, 16; 6, 40—44; 7, 9] მეცნიერული განხილვის საგნად არ ქცეულა; მაშინ როდესაც სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია სულ უფრო

1 სხვადასხვა ფენის ლექსიკური ერთეულების (ტერმინოლოგიური და საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკა) მოძრაობა და ურთიერთქმედება გარდევალა. ეს ტენდენცია ტერმინოლოგიზაციისა და დეტერმინოლოგიზაციის პროცესების მეშვეობით ხორციელდება. უფრო მეტიც, მათი ასეთი ურთიერთქმედება აუცილებელია. ამას ენობრივი ერთეულების შეზღუდული რაოდენობა და უწყვეტ ნაკადად მომდინარე ახალი ობიექტების დასახელების აუცილებლობა განაპირობებს.

ღრმად იჭრება მხატვრული ლიტერატურის სფეროში, იძენს მისთვის აქამდე უჩვეულო ფუნქციურ დატვირთვას და სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და მხატვრული ნაწარმოებების სტილისტიკურ საშუალებათა რეზერვად ყალიბდება.

სპეციალური ლექსიკის აღნიშნული კუთხით შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თ. პინჩენის ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოები — რომანი „Gravity's Rainbow“ („დედამიწის მიზიდულობის ცისარტყელა“). თვით პინჩენი „ამერიკელი მოდერნიზმის სადღეისოდ ყველაზე ცნობილი ფიგურაა და ძლიერ გამოუტყობობი“ [8, 159]. მწერლის ამოუხსნელობის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი ღრმა რწმენით, მის მიერ აღქმული სამყაროს ორიგინალურ მოდელირებაში მდგომარეობს, რაც კონკრეტულ ენობრივ მასალაში ხორცშესხმისას სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიისა და მხატვრული აზროვნების არაჩვეულებრივ შერწყმა-შეხამებაში მქლავნდება.

ნაწარმოებში აღწერილია მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისში მყოფი ამერიკელი ლეიტენანტის ტაირონ სლოთროპის თავგადასავალი. მოულოდნელად ირკვევა, რომ ტაირონის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გერმანელთა საიდუმლო რაკეტულ დაბომბვას ემთხვევა. ბრძოლის მექანიკურ ინსტრუმენტად გამოყენების შიშით შეპყრობილი ტაირონი ტოვებს ინგლისს და ქალაქიდან ქალაქში გადადის. დროთა განმავლობაში მითად ქცეული ტაირონისაგან მხოლოდ ზედმეტი სახელი „Rocketman“ — „რაკეტის ადამიანი“ რჩება.

ენიდან სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების უმრავლესობა მეტაფორის ფუნქციით გვხვდება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სწორედ ასეთი შემთხვევის დაწვრილებითი ლინგვისტილისტიკური ანალიზის წარმოდგენა. განვიხილოთ ფიზიოლოგიური ტერმინის „smegma“-ს სტილისტიკური ხმარების შემთხვევა თ. პინჩენის რომანში „Gravity's Rainbow“.

K₁² There must be cubicles like this all over the ETO: only the three dingy scuffed-cream fireboard walls and no ceiling of its own. K₂ Tantivy shares it with an American colleague, Lt. Tyrone Slothrop. K₃ Their desks are at the right angles, so there's no eye contact but by squeaking around some 90°. K₄ Tantivy's desk is neat, Slothrop's is a godawful mess. K₅ It hasn't been cleaned down to the original wood surface since 1942. K₆ Things have fallen roughly into layers, over a base of bureaucratic smegma that sifts steadily to the bottom, made up of millions of tiny red and brown curls of rubber eraser, pencil shavings, dried tea or coffee stains, traces of sugar and House-hold Milk, much cigarette ash, very fine black debris picked and flung from type-writer ribbons, decomposing library paste, -broken aspirins ground to powder. K₇ Then comes a scatter of paperclips, Zippo flints, stray matches, pins, nubs of pens, stubs of pencils of all colors, including the hard-to-get helictrope and raw umber, wooden coffee spoons, Thayer's Slippery Elm Throat Lozenges sent by Slothrop's mother, Nalline, all the way from Massachusetts, bits of tape, string, chalk... გვ. 20.

როგორც მოყვანილი ზეფრაზული მთელიდან ჩანს, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია სამხედრო დაწესებულების ერთ-ერთი კაბინეტის აღწერით შემოიფარგლება. იმპლიციტური ინფორმაცია, რომლის გადმოცემაზედაც მთელი შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციაა მიმართული, თავმოყრი-

² K₁...K₇ მიკროკონტექსტებად დაყოფა ლინგვისტილისტიკური ანალიზის გამორჩეულების ერთ-ერთი საშუალებაა (დაწვრილებით იხ. გვ. 4).



ლია ზეფრაზული მთელის ცენტრალურ დეტალში [9], რომელიც ფიზიოლოგიურ ტერმინით სმეგმათი ვადმოიცემა. ტერმინის კონტექსტური მნიშვნელობის გახსნით მთელი შეკუმშული ინფორმაციის გაშლა-დეკოდირება ხორციელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსობრივ-კონცეფციური ინფორმაციის დეკოდირება ტერმინის კონტექსტური მნიშვნელობის დეკოდირების თანაზიარია.

შინაარსობრივ-კონცეფციური ინფორმაცია, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციისაგან განსხვავებით, თვისებრივად ახალი ინფორმაციაა; იგი თანმიმდევრულად მიწოდებული ფაქტობრივი ინფორმაციის ვერტაკალური განვითარების შედეგია. აღნიშნული პროცესი რთულ ფსიქოლინგვისტურ ხასიათს ატარებს, რომელშიც მკითხველის ცოდნის მარაგი (თეზაურუსი) არცთუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობს [10, 14; 11, 26]. აღნიშნულ პროცესში შემაჯავალი ლინგვისტური ელემენტები ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება და ერთმანეთისაგან შინაარსობრივ-კონცეფციური ინფორმაციის ფორმირების პროცესში განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით გამოიხატება. წამყვანი ელემენტი, როგორც წესი, სტილისტური ხერხით გამოხატული ერთ-ერთი სიტყვაა და მას ცენტრალური დეტალი ჰქვია; იმ ენობრივ ელემენტებს კა, რომლებიც ხელს უწყობენ ტერმინის კონტექსტური მნიშვნელობის მთლიან და ზუსტ გახსნა-გაშიფვრას, კერძო დეტალს უწოდებენ [9]. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გასაანალიზებელი ზეფრაზული მთელის ცენტრალურ დეტალს ფიზიოლოგაური ტერმინი სმეგმა წარმოადგენს.

ვერტაკალური ინფორმაციის წარმოქმნის გასარკვევად, მთელი ზეფრაზული მთელი დავყავით მიკროკონტექსტებად, რომელთა საზღვრები ფაქტობრივად წინადადებების საზღვრებს ემთხვეოდა. ცნობილია, რომ მ. ა. კ. პალიდვი წინადადებას ტექსტის გრამატიკის ერთ-ერთ ძირითად ერთეულად მიიჩნევს [12]. შემდეგ აღნიშნული მიკროკონტექსტები მთავარ და ფაკულტატიურ მიკროკონტექსტებად დავყავით [13, 47]. მთავარი ისეთი მიკროკონტექსტებია, რომლებიც ცენტრალურ დეტალთან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართებაში მყოფ კერძო დეტალებს შეიცავენ. ფაკულტატიური კი ისეთი მიკროკონტექსტებია, რომლებიც კერძო დეტალების უფრო მკაფიო გამოკვეთისა და აღქმისათვის გარკვეული ფონის შექმნას ემსახურებიან.

მკითხველის ორიენტაცია ტერმინის კონტექსტური მნიშვნელობის, ხოლო მოგვიანებით კი კონცეფციური ინფორმაციის აღქმაზე, შესიტყვების დონეზე ხდება. შესიტყვება „bureaucratic smegma“, რომელიც სემანტიკური თვალსაზრისით ოკაზიონალურ შესიტყვებათა მესამე ჯგუფს [14, 18] შეეკვძა მთავარად, კომბინაციის მიხედვით P+T³ შესიტყვებათა სტრუქტურულ ტიპს ემთხვევა [15, 438]. შესიტყვების ფარგლებშივე ხდება მეცნიერული ინფორმაციის იმ ნაწილის წამოწევა, რომელიც შემდგომ კონტექსტური მნიშვნელობის საფუძველი უნდა გახდეს. კომპონენტური ანალიზის მიხედვით მარცხნივ მდგომი მსაზღვრელის — bureaucratic — მნიშვნელობა ორი შრიტ განისაზღვრება:

1. ეიწრო — „too much attached to rules; carried on according to official rules and habits“ და 2. ფართო ანუ ასოციაციური, რომლის საფუძველზედაც ხდება ყველა უარყოფითი სოციალური მოვლენის გაერთიანება აღნიშნული სიტყვის ბგერათკომპლექსში.

ატრიბუტული კონსტრუქციის მარცხენა წევრის ორივე შრის მნიშვნელო-

3 სიმბოლო P სალიტერატურო ენის ლექსიკის ერთეულს აღნიშნავს, T კი — ტერმინოლოგიური სისტემისას.

ბების ზემოქმედების შედეგად სახელად ბირთვის სმეგმას განსაზღვრაში არსებული ყველა ელემენტიდან — „Gr. smegma, soap...“, „смерма, сальные выделения кожных желез“, „мыло, мазь“⁴ მხოლოდ სემა „выделения“ („გამონაყოფი“) აქცენტირდება. აღნიშნული პროცესის შედეგად დეფინიციის ყველა სემა პირამიდის სახით აიკინძება სტრატეფიკაციურ-ფაზურ მოდელში [სფმ. 11, 25]; წამოწეული ელემენტი პირამიდის სტილისტიკური ეფექტის სტრატისაკენ იწყებს მოძრაობას, დანარჩენები კი ნეიტრალიზდება, უფერულდება, მიმქრალდება და სფმ-ის ქვედა სტრატებზე დაილექება. თუმცა ეს სიმშვიდე მოჩვენებითია. იგი გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე ენობრივი ელემენტი კვლავ არ ამოქმედდეს და ზედა სტრატებისაკენ არ უბიძგებს მას.

ამ გზით წამოწეული და ფიქსირებული სემის მეტაფორული გააზრების საფუძველზე მისი კონტექსტური მნიშვნელობის გახსნა, როგორც „ჭუჭყი, ნაგავი, სიბინძურე“ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მკითხველის ფსიქოლინგვისტური შემზადება კონტექსტური მნიშვნელობის ამგვარი აღქმისათვის გაცილებით ადრე K₄ და K₅ მიკროკონტექსტების საფუძველზე ხდება: აღნიშნულ წინადადებებში „ჭუჭყის, ნაგვის, სიბინძურის“ სემა ექსპლიციტურად მოცემული სიტყვების „godawful, mess“ და „clean“-ის სემური შედგენილობითაც დასტურდება: „godawful—extremely trying; atrocious“, „mess—state of confusion, dirt or disorder“, „clean—make clean (of dirt, etc)“. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქვე მივუთითებთ, რომ სემები „atrocious—სასტიკი, მკაცრი, უწყალო; მძინვარე, მრისხანე; მხეცური“ და „state of confusion“—გაუოკვევლობის, დაბნეულობის მდგომარეობა სმეგმას იმპლიციტური მნიშვნელობის სრული დეკოდირებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

წარმოიქმნება ერთგვარი უარყოფითი ფილტრი, რომელშიც მხოლოდ უარყოფითი სემები ახერხებს გასვლას. ყოველივე ეს კი უარყოფითი ემოციების წარმოქმნას უწყობს ხელს. პროგნოზირებული მნიშვნელობის განმტკიცება დისტანციურად განლაგებული კერძო დეტალის — debris—საშუალებითაც ხდება K₆-ში: debris—„scattered broken pieces; wreckage“, „fragments; rubbish; ruins“—„ნამსხრევები, ნამტვრევები; ...ნამშენებლო ნაგავი, ნანგრევები, ნაქცევი, ნაზღვევი“.

სმეგმის წინასწარგანსაზღვრული სტილისტიკური ეფექტი და მკითხველის აზრობრივ პირამიდაში მიმდინარე „სელექციური შერჩევის არასრული გადაწყვეტილების პრინციპი“ [11, 26] ავტორს ნებისთ თუ უნებლიეთ ცენტრალური დეტალის მრავალმხრივი გახსნა-კონკრეტიზაციისაკენ უბიძგებს. ეს პროცესი ორ ინფორმაციულ ასპექტში მიმდინარეობს. იმ მრავალრიცხოვან ელემენტებში — pencil shavings, dried tea or coffee stains, და ა. შ., რომლებიც სმეგმას კონკრეტულ სახეზე მიგვითითებენ, მოცემულია ისეთებიც, რომლებიც შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციიდან შინაარსობრივ-კონცეფციურ ინფორმაციაში გადასვლის საშუალებას იძლევიან და ამით ტერმინის კონტექსტური მნიშვნელობის ინფორმაციულ პოტენციალს ზრდიან.

ხანგრძლივობა, სტაბილურობა, აღწერილი სიტუაციის მარად აულობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფარული სემა, რომელიც სმეგმას ინფორმაციული პოტენციალის გაზრდის საფუძველზე ექვემდებარება რეალიზაციას. ეს უკანასკნელი ქრონოტოპის⁵ პირველი წევრის (დრო) ორბიტაშია მოქცეული და

4 განსაზღვრებებში ხაზგასმული სიტყვები სელექციის შედეგად არარელევანტური ხდება და სფმ-ის ქვედა სტრატებზე ილექება.

5 „მხატვრული დროსა და მხატვრული სივრცის ერთიანობა, მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთგანსაზღვრულობა თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში ქრონოტოპის სახელითა ცნობილი“ (16, 1).



სხვადასხვა დონის ენობრივი საშუალებების მრავალჯერადი განმეორების დეგად მიიღწევა. ასე მაგალითად: ა) სიტყვები, რომლებიც ექსპლიციტურად და იმპლიციტურად გამოხატავენ ტემპორალობის სემას — „since 1942“, „layers“, „traces“, „dried“, „much cigarette ash“, „decomposing“; ბ) მიმღობის შემცველი კონსტრუქციები — „...bureaucratic smegma... made up of...“, „...dried tea or coffee stains...“, „...very fine black debris picked and flung...“, „...broken aspiritus...“, გ) აწმყო განუსაზღვრელი [17, 15] — „must be...“, „shares...“, „...are...“, „there's...“, „hasn't been cleaned“ და ა. შ. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გასაანალიზებელ სემას დროის ზუსტი გადმოცემის საბით „since 1942“ მხოლოდ K₅ შეიცავს. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღნიშნოს, რომ ზეფრაზულ მთელსა და მთელი ნაწარმოების დროის რეფერენცია (მინიშნება) ზუსტ თარიღს — 1942 — მეორე მსოფლიო ომის, აღწერილი სიტუაციის საწყისი წერტილის მიმინიშნებელ საშუალებად გადააქცევს. K₆-ის საშუალებით ხორციელდება არა მარტო ხანგრძლივობის მაჩვენებელი ტემპორალური სემის ფიქსირება, არამედ დეტალ — decomposing-ის მეშვეობით ცალკეულ ადამიანთა და მთელი საზოგადოების „ხრწნის, ლობობის“ ცნების შემოტანაც: decompose — „დაშლა, ლობობა, ხრწნა“. პროგნოზირებული მნიშვნელობა — „საზოგადოების მორალური ხრწნა“ — K₇-ში ლებულობის განმტკიცებას. კატეგორიალური მნიშვნელობის [6, 40] მქონე ტერმინი „heliotrope“ გავრცობილ ფრაზულ ეპითეთთან „hard-to-get“ კომბინაციისა და მეტონიმური გააზრების საფუძველზე „ნარკოტიკების“ მნიშვნელობას იძენს; ანალოგიური მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე ორად-ორი ფრაზა — „decomposing library paste“ და „including the hard-to-get heliotrope“ — განსაკუთრებით აძლიერებს საერთო სტილისტიკურ ეფექტს. აღნიშნული დეტალის K₆-ის ბოლოში მოთავსებითა და წინადადების „broken aspirins ground to powder“ დამთავრებით ავტორი თითქოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საზოგადოების არაჯანსაღ ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას. მაგრამ ავტორისეული წილსვლა სმეგმას ესთეტიკური მნიშვნელობის სრული გახსნისათვის აღნიშნულით არ შემოიფარგლება. სიღრმისეული ანალიზის შედეგად მიღებული იმპლიციტური ინფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება კერძო დეტალს „stray“, რომლის პარადიგმატიკა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი — „wander (from the right path). Lose one's way“ და „გაუტრკვევლობის, დაბნეულობის“ სემას უკავშირდება. კერძო დეტალს „Slippery“, რომელიც აღწერილი სიტუაციის დინამიკურობასა და დრამატულობას აძლიერებს, დეფინიციიდან ნეიტრალისებული და მიმქრალი სემები „мазь, мыло, жиры, сальные“ კვლავ მოქმედებაში მოჰყავს [13, 78]. აღნიშნული პროცესების შედეგად სემები „გასრიალება, წაბორძიკება, წაფორხილება, გზის დაკარგვა, სწორი გზიდან აცდენა, დაბნეულობა, გაუტრკვევლობა“ ერთმანეთს გადაეჯაჭვება, გადაეხლართება და ინფორმაციული თვალსაზრისით სმეგმას უფრო სრულყოფილ სიღრმისეულ სურათს იძლევა. ტერმინის კონტექსტური მნიშვნელობის საზღვრები კვლავ იზრდება — იგი ახლა ისეთ სოციალურ მუქყად, ისეთ საბინძურედ წარმოგვიდგება, რომელიც უნებისყოფო ადამიანს ჩაითრევს, ჩაიტანს, შეისრუტავს, შემდეგ კი სიბინძურის ამ მორვეიდან თავის დაღწევის საშუალებასაც არ მისცემს.

ტერმინში დამალული ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის წვდომა ადამიანის აზროვნებაში მიმდინარე რთული სინთეზურ-ანალიზური პროცესების შედეგია. ისინი მთლიანად განპირობებულნი არიან იმ რეტროსპექტული და პროსპექტული აზრობრივი კავშირებით, რომლებიც მყარდება ზეფრაზული მთელის ცენტრში მოთავსებულ მთავარ დეტალსა და კონტაქტურად და დისტანტურად განლაგებულ კერძო დეტალებს შორის. იწყება ორმხრივად მიმართული უწყვეტი ირადიაციის პროცესი, რომლის სტილისტიკური ეფექტის, ტექსტის ენერჯისა და, აქედან გამომდინარე, ესთეტიკური ინფორმაციის ზემოქმედების ძალა ძირითადად ცენტრალური დეტალის აზრობრივი ნაქერობით განისაზღვრება. ზეფრაზული მთელის სტრუქტურული სახე გალაქტიკის მცირე მაკეტს ემსგავსება: ერთი მხრივ, საქმე გვაქვს შედარებით მცირე ირადიაციის მქონე ვარსკვლავებთან — კერძო დეტალებთან, რომლებიც, ახდენენ რა გავლენას ცენტრალურ დეტალზე, თვით ექცვიან მისი ძლიერი ენერჯის გავლენის ქვეშ; ხოლო, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს თვით ცენტრალურ დეტალთან, რომლის აღმასვლა პირამიდის მწვერვალისაკენ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს; იხსნება ტერმინის ხმარებით გამოწვეული ენტროპია, ფარდა ეხდება სიტყვის ძალით საგანგებოდ შენიღბულ სამყაროს. K₁-ის „There must be cubicles like this all over the ETO“ რეტროსპექტული გაცნობიერება სმეგმას კონტექსტურ მნიშვნელობას უკანასკნელ შტრიხს მატებს. გაბატონებული ქაოსის სივრცითი აღქმა (ქრონოტოპის მეორე წევრი) აღარ შემოიფარგლება მხოლოდ აღწერილი სასხედრო დაწესებულების კედლებით; იგი ვაცლავებით ფართოა და მწერლის ფილოსოფიურ კონცეფციასაც გამოხატავს: „cubicles“, ნაწარმოები მათემატიკური ტერმინიდან „cube“, აღნიშნავს რა „The sleeping compartment“, შეკრულ, ჩაკეტილ სისტემაზე მიკვითითებს („პინჩინის მხატვრული სამყაროს ჩაკეტილი სისტემა“ [18,6—220]). აღწერილ „cubicles“-ში შესული ხალხი იძულებულია მასში გაბატონებული ქაოსი, ენტროპია მიიღოს. „ენტროპიის ცნება, როგორც ფიზიკური მოვლენა და როგორც სულიერი პროცესების ზუსტი მეტაფორა“ ერთმანეთის „ურთიერთკავშირის კავშირთა კვდომაში, ასევე გარემომცველი სამყაროს მოჩვენებითობაში გამოიხატება, სადაც ერთადერთ უეჭველ ჭეშმარიტებად აღმოჩნდება არა მართო შექმნის, არამედ ნგრევისადმი გაძლიანების უუნარობა“ [8, 159]. სწორედ ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებენ ან ბრმად, ძილქუშდაცემულნი, ანდა თვით ენტროპია გადააქცევს მათ მძინარა, უმოქმედო, მცონარა ადამიანებად.

როგორც მოყვანილი ზეფრაზული მთელის ლინგვისტილისტიკური ანალიზიდან ჩანს, თითოეული კერძო დეტალი სმეგმას განსხვავებული წახნაგას ჩვენებას ემსახურება, ისინი აკონკრეტებენ, აფართოებენ მის საზღვრებს თვით სოციალურ პროპორციებამდე, და სმეგმა ისეთი საზოგადოების უნივერსალურ თვისებად წარმოგვიდგება, სადაც მმართველობის სადავეები ბოროტებას უპყრია ხელთ. ამრიგად, ავტორის მიერ გამიზნული იმპლიციტური ინფორმაცია იშიფრება, როგორც სოციალური სიბინძურე, სოციალური მანკიერებანი, რომლოთაც საზოგადოების ყველა ფენაა გაჟღენთილი (K₆). ისინი ბადებენ უპასუხისმგებლობას, მოდუნებას, დამახინჯებულ ურთიერთობებს ადამიანთა შორის, ახდენენ მათ მორალურ დაკნინებას, ჭეშმარიტ ფასეულობათა დევალვაციასა და ჩვევენ მათ უმიზნო ხეტიალს ცხოვრების აღწერილ ქაოსში.

გასაანალიზებელი ზეფრაზული მთელის შინაარსობრივ-კონცეფციური ინფორმაციის ამგვარ აღქმას სინტაქსური და მორფოლოგიური სტილისტიკური ხერხები უწყობს ხელს. ასე მაგალითად, ბოლო ორი წინადადება — K₆ და K₇, თუმცა წერტილის საშუალებით გამოიყოფა, ცალკეულ, თავისთავად ერთ-

ულეზად არ აღიქმება: წერტილი ამ შემთხვევაში მძიმის მაგიერია; მას არ და-
ლუძს წარმოქმნილი მსრბოლი რიტმული წყობის დარღვევა არც ტექსტის შერე-
ნით და არც მკითხველის აღქმაში, რასაც სუბიექტური იზოქრონიზმი ჰქვია

[19, 22]. ზეფრაზული მთელის გრძელი მონაკვეთები — „...very fine black debris picked and flung from type—writer ribbons...“, „...millions of tiny red and brown curls of rubber eraser...“, „Thayer's Slippery Elm Throat Lozenges sent by Slothrop's mother, Nalline, all the way from Massachusetts...“ და ა. შ. რიტმულ გაწონასწორებას ექვემდებარება, რის შედეგად ბოლო წინადადება წინა წინადადების ორგანულ გაგრძელებად წარმოგვიდგება. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ აფართოებს სმეგმას ინფორმაციულ საზღვრებს. უპირავი სასვენი ნიშნისა და კავშირის ხმარება (20 მძიმე და 5 კავშირი) K₇-ის ემფატიკურ ორგანიზაციასთან ერთად ხელს უწყობს სემანტიკური სფეროს ემოციური დატვირთვის გაძლიერებას. ზეფრაზული მთელის ბოლოში მოთავსებული მრავალწერტილი თითქოს ინერციით შემოიკრებს ტერმინის კონტექსტურ მნიშვნელობაში ადამიანის მოდგმის ყველა მანკიერ მხარეს... და ყოველივე ეს მიიღწევა ერთი სიტყვით, ერთი ენობრივი ერთეულით, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინი ჰქვია.

ზემოთქმულის შედეგად იმპლიციტური ინფორმაცია ერთ ენობრივ ერთეულში კონვერგირებული სტილისტიკური ხერხების — ლექსიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური, ორთოგრაფიული — დუღაბად წარმოჩნდება. მისი გაშიფვრა-დეკოდირება მხოლოდ ტერმინოლოგიური ერთეულის ლინგვისტიკური ანალიზს ექვემდებარება; ეს უკანასკნელი კი საშუალებას გვაძლევს ბინჩენის მიერ მოდელირებული „გამოუცნობი“ სამყარო თითქმის მათემატიკური სიზუსტით ავსხნათ.

200-ზე მეტი ზეფრაზული მთელის ანალიზის შედეგად გამოარკვეა, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინებს ძალუძთ ყველა ტიპის სტილისტიკური ხერხის ფუნქციის შესრულება: დაწყებული ლექსიკონისეული და კონტექსტური მნიშვნელობების ურთიერთობის საფუძველზე წარმოქმნილი სტილისტიკური ხერხებიდან (მეტაფორა, მეტონიმია...) და დამთავრებული ლოგიკური და ნომინატიური მნიშვნელობების ურთიერთქმედების საფუძველზე წარმოქმნილი მნიშვნელობებით (ანტონიმასია [20]). სამწუხაროდ, ჩვენს ამონაკრებში ზოგი ტრობი არ ფიგურირებს, რაც განპირობებულია არა ტერმინოლოგიური ერთეულების ამ სტილისტიკურ ხერხად გამოუყენებლობით, არამედ იმ მეთოდოლოგიური სახის შეზღუდვებით, რომლებიც ამონაკრების შედგენას დაედო საფუძვლად; კერძოდ, ჩვენი ინტერესების სფეროში შედიოდა მხოლოდ ტერმინი — არსებითი სახელი.

მოეყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

„...of course when Pirate makes the mistake of verifying the fantasy with Loaf, it's not very long at all before higher echelons know about it too. Into the dossier it goes, and eventually the Firm, in Their tireless search for negotiable skills, will summon him under Whitehall, to observe him in his trances across the blue baize fields and the terrible paper-gaming, his eyes rolled back into his head reading old, glyptic old graffiti on his own sockets...“ (გვ. 16).

მოყვანილ ზეფრაზულ მთელში სამი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინია გამოყენებული. ერთ-ერთი მათგანი „glyptic“ ეპითეტის ფუნქციას მქონე ზედსართავი სახელითაა წარმოდგენილი, დანარჩენი ორი კი „baize“ და „graffiti“ — შესაბამისად ეპითეტისა და მეტაფორის ფუნქციის მქონე არსებითი სა-

ხელმეცხე. ტერმინი „baize“ საფეიქრო წარმოებას მიეკუთვნება და შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. ბაიკა, თივთიკი; 2. ბიზი; 3. თაზვა, მალაზოლიანი მალდი; 4. უხეში მალდი (განსაკ. მწვანე)⁶. აღნიშნული მნიშვნელობებიდან რეალისტდება მეოთხე მნიშვნელობა — „უხეში მალდი (განსაკ. მწვანე)“, რაც გამოწვეულია მისი უნარით აღძრას უარყოფითი ემოციები მკითხველში (იხ. გვ. 135) აღნიშნული მნიშვნელობის აქტუალიზაციის შედეგად სახელადი ბირთვი შესიტყვებაში „baize fields“ ხასიათდება როგორც უხეში მცენარეულობით დაფარული მიწისფერი. მეორე ტერმინი „graffiti“ განეკუთვნება ხელოვნებას და „მაგარ ზედაპირზე ამოჩხანნილი სურათის ან წარწერის“ მნიშვნელობა აქვს. მეტაფორული გაზარების შედეგად იგი ისეთ კონტექსტურ მნიშვნელობას იძენს, რომელიც „თვალის გუგებზე ამოჩხანნილი წარსულის საშინელი სურათების“ სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს.

შემდეგი მაგალითი:

„Jessica's been standing near the seance table with a handful of darts idly plucked from the board on the wall, her head bent, pale nape and top vertebra visible above the brown wool collar and through some of her lighter brown hair, fallen either side along her cheeks. Brass throats and breasts warm to her blood, quake in the hollow of her hand. She seems herself, gentling their feathered crosses, brushing with fingertips, to have slid into a shallow trance...“

მოყვანილ ზეფრაზულ მთელში სტილისტიკური ფუნქციით „ხერხემლის“ აღნიშნული ანატომიური ტერმინი „vertebra“-ა გამოყენებული. ამ ტერმინის მარტხნე მდგომ მსაზღვრელთან ხმარება მის მეტონიმიურ გამოყენებაზე მიუთითებს, რის შედეგადაც შექმნილი მნიშვნელობა იხსნება როგორც „ღამიანის თაი“.

მოყვანით კიდევ ერთი მაგალითი:

„Every day for 2½ years, Pirate went out to visit the St. James Adenoid. It nearly drove him crazy. Though he was able to develop a pidgin by which he and the Adenoid could communicate, unfortunately he wasn't nasally equipped to make the sounds too well, and it got to be an awful chore. As the two of them snuffled back and forth, alienists in black seven-button suits, admirers of Dr. Freud the Adenoid clearly had no use for, stood on stepladders up its loathsome grayish flank shoveling the new wonderdrug—cocaine-bringing hods full of the white substance, in relays, up the ladders to smear on the throbbing glandcreature, and into the germ toxins bubbling nastily inside its crypts, with no visible effects at all...“ (გვ. 18).

მოყვანილი მაგალითი განსაკუთრებით მდიდარია ტერმინოლოგიური ერთეულების სტილისტიკური გამოყენების შემთხვევებით. მასში სპეციალური ლექსიკის ხუთი ელემენტი იხმარება: Adenoid, germ toxins, crypts და hods. მოყვანილ ზეფრაზულ მთელში იმთავითვე ყურადღებას იპყრობს მეცნიერული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თავისუფალი ტერმინოლოგიური შესიტყვების — ტერმინი + ტერმინი — T+T [15, 438] „germ toxins“-ის ხმარება. მისი ელემენტები სხვადასხვა ფუნქციითაა დატვირთული. აღნიშნული ფუნქციური დატვირთვის ინფორმაციული ღირებულება [21, 11] განისაზღვრება იმ კონტექსტური მნიშვნელობით, რომელიც შესიტყვებაში შემავალი კომპონენ-

⁶ განმარტებები მოცემულია ბიბლიოგრაფიაში აღნიშნული ლექსიკონების მიხედვით.



ტების მნიშვნელობათა ურთიერთქმედების საფუძველზე წარმოიქმნება. ახე მაგალითად, ბაქტერიის აღმნიშვნელი მიკრობიოლოგიური ტერმინი „germ“ იხმარება ეპითელის ფუნქციით და მიუთითებს ტოქსინის შემცველობაზე. უკუ უკანასკნელი თავის მხრივ მეტაფორული გააზრებისა და წარმოქმნილი კონტექსტური მნიშვნელობის ზეფრაზულ მთელთან ურთიერთობისას იღებს სხვა ტერმინოლოგიური ერთეულის „კუჭის წვენის“ მნიშვნელობას. შემდგომ, სიტყვა „hods“, რომელიც მშენებლობის სფეროს განეკუთვნება და „თაბაშირისა და აფურისათვის განკუთვნილ საზიდარს“ ნიშნავს, ჰიპერბოლიზაციის შედეგად შთანთქმული კოკაინის უზარმაზარი რაოდენობის აღმნიშვნელი ხდება.

სტილისტიკური გამოყენების თვალსაზრისით მრავალსმთქმელია საქმე იქნა ტერმინი „Adenoid“⁷. თუ ტერმინის ორთოგრაფიული მხარე ანტონომასიის სტილისტიკურ ხერხზე მიგვანიშნებს, მისი ლოგიკური და ნომინატიური მნიშვნელობების ორიგინალური შერწყმა-მოდიფიკაცია საშუალებას აძლევს ავტორს, მისი პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, ხან უსულო, ხან კი სულიერი რეფერენტი წამოსწიოს წინ.

აღნიშნულ ზეფრაზულ მთელში ტერმინოლოგიური ერთეულების სტილისტიკური ფუნქციით ხმარების ყველაზე საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს შეფარდებითი ტერმინი „crypts“ [22, 54]. აღნიშნული ერთეული თავის სემანტიკურ სტრუქტურაში შეიცავს როგორც სპეციალურ, ასევე არასპეციალურ მნიშვნელობებს, რომელთაგანაც სამი მნიშვნელობის ერთდროული რეალიზაცია ხდება [11]: ერთ-ერთი მათგანი სალიტერატურო ენის სფეროს განეკუთვნება და „აკლდამას, საქვალეს, ეკლესიის ქვეშ მოთავსებულ სამარხს“ ნიშნავს; დანარჩენი ორიდან კი ერთი ისტორიული ტერმინია — „კრიბტა“, ხოლო მეორე კი ანატომიური — „კრიბტა“. კონტექსტური მნიშვნელობა, რომლის აქტუალიზაციისკენ მიმართულია პოლისემიური ეფექტი, იზიფრება როგორც „ადენოიდისათვის უწმინდესი და უსაყვარლესი ადგილი — მუცელი, სტომაქი“.

სტილისტიკური ხერხების ამ მრავალფეროვან კასკადს ირონია აგვირგვინებს. ირონია, როგორც სტილისტიკური ხერხი და მწერლის მოდლობის (სუბიექტური დამოკიდებულების) გამოხატვის ერთ-ერთი ძლიერი საშუალება, ნთლიანად მსჭვალავს მოყვანილ ზეფრაზულ მთელს. ასე მაგალითად, პაიროტის სურვილი, გამოსცეს ადენოიდის მსგავსი ცხვირისმიერი ბგერები — დაამყაროს მასთან კავშირი, თუნდაც არასწორი, მახინჯი საშუალებებით, ადენოიდის ყინი გამოიყენოს მეცნიერთა შემოქმედებითი პოტენციალი მათთვის შეუფერებელ, დამამცირებელ სამულშაოზე. აღიაროს სტომაქი ცხოვრებისეულ უწმინდეს მცნებად და სხვ.

ამრიგად, ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მეცნიერული ინფორმაციის გადაცემის და შენახვის პოზიციებიდან. დღეს სპეციალური ლექსიკის შესწავლის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა: იგი სალიტერატურო ენის გამდიდრების და მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკური რეზერვის წყაროდ გადაიქცა.

⁷ სამწუხაროდ, სტატიის მოცულობა არ იძლევა ამ ტერმინის რამდენადმე ამომწურავი ანალიზის წარმოდგენის საშუალებას.

1. ჩარკვიანი გ. კ., ინგლისურ-ქართულ კულტურათა ანალოგიების და კონტრასტების საკითხისათვის ინგლისური ენის სწავლებაში, ჟურნალში — „უცხო ენები სკოლაში“, თბ., 1973, № 4.
2. Гальперин И. Р., Текст как объект лингвистического исследования, М., 1981.
3. Даниленко В. П., Русская терминология, М., 1977.
4. Будагов Р. А., Литературные языки и языковые стили, М., 1967.
5. Savory Th., The Language of Science, L., 1953.
6. Как работать над терминологией, основы и методы, пособие составлено по трудам Д. С. Лотте и Комитета научно-технической терминологии АН СССР, М., 1968.
7. Пронина Р. Ф., Пособие по переводу научно-технической литературы, М., 1973.
8. ჟურნალი „ციცკარი“, თბ., 1987, № 1.
9. Гогуадзе Л. М., Уровни прочтения текста, сборник научных трудов МГПИИЯ им. М. Тореза, вып. 228, М., 1984.
10. Тураева З. Я., Лингвистика текста, М., 1986.
11. ჯობაძე ლ. ე., სიტყვის მრავალმნიშვნელობა და მისი სტილიზტიკური ფუნქცია, ჟურნალში — „უცხო ენები სკოლაში“, თბ., 1975, № 4.
12. Halliday M. A. K., An Introduction to Functional Grammar, L., 1985.
13. Джохадзе Л. Е., Стилистическое исследование многозначного слова в художественном тексте, КД, М., 1977.
14. Мерабишвили И. В., Семантические параметры окказиональных словосочетаний, АКД, Тб., 1978.
15. Месхи А. В., Типы словосочетаний в стиле языка научной прозы, Сообщения АН Груз. ССР, Тб., 1984.
16. ენუქიძე რ. ი., დროულ-სივრცობრივ მიმართებათა ლინგვისტური ორგანიზაცია მხატვრულ ტექსტში, თბ., 1984.
17. Gordon E. M., Kyulova I. P., A Grammar of Present—Day English, M., 1980.
18. The Grim Phoenix, New York, 1979.
19. Антипова А. М., Ритмическая система английской речи, М., 1984.
20. Galperin I. R., Stylistics, M., 1981.
21. Гальперин И. Р. Информативность единиц языка, М., 1974.
22. Санкин А. А., Андреевко А. М., Опыт выявления терминологического значения слова на лингвистическом уровне, в журнале: Иностранные языки в высшей школе, вып. 16, М., 1981.

Л. Е. ДЖОХАДЗЕ, А. В. МЕСХИ

НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКАЯ ТЕРМИНОЛОГИЯ КАК РЕЗЕРВ СТИЛИСТИЧЕСКИХ ВОЗМОЖНОСТЕЙ В ХУДОЖЕСТВЕННОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

Предлагаемая статья посвящена изучению научно-технической терминологии в непривычной для нее функции — стилистической, что сопровождается усложнением декодирования художественного текста, с одной стороны, и раздвижением семантических границ — с другой.

В результате анализа 200 СФЕ из романа Т. Пинчона «Радуга земного притяжения» выяснилось, что научно-технические термины мо-

М. В. ЭСАКИЯ

КОСВЕННЫЕ РЕЧЕВЫЕ АКТЫ И ВАРИАНТЫ ИХ СИНТАКСИЧЕСКОГО ОФОРМЛЕНИЯ В ПРОЦЕССЕ КОММУНИКАЦИИ

В последние десятилетия в лингвистике сложился коммуникативный подход к изучению единиц языка, в свете которого исключается рассмотрение отдельных структур вне коммуникативного целого. Составляющие это коммуникативное целое единицы коммуникации — речевые акты — признаются элементами текста-дискурса, который определяет их направленность, исходя из общей интенции [1]. Минимальной единицей, интегрирующей в себе соответствующие языковые элементы для процесса коммуникации, лингвистами признается такой речевой акт, в котором осуществляется именно общение, а не просто передача безадресной информации [2]. В суждениях лингвистов, тем не менее, остается много спорного и разноречивого, но все они уделяют особое внимание способам реализации коммуникативного намерения при помощи языковых средств.

Решению отдельных проблем коммуникации способствовало создание специальной «теории речевых актов». Это название понимается двояко: в широком и узком смыслах. Во-первых, оно обозначает объяснение явлений речевой деятельности вообще, а во-вторых, является названием одной конкретной теории, разрабатывающей проблемы коммуникации [3]. Однако наряду с положительными результатами теория речевых актов не затрагивает ряда проблем, имеющих важное значение для ее теоретических постулатов. Так, нерешенными остаются вопросы соотношения иллокутивной силы с практической; стратегической цели речевого общения с тактическими целями составляющих его структурных элементов; влияние социального статуса человека на его речевую деятельность и т. д. [4].

На недостатки теории речевых актов как базисного концептуального аппарата для построения прагматической теории речевого общения указывает Д. Франк, которая, наряду с этим, разрабатывает схему ее продуктивного использования в лингвистическом анализе. Это предлагается восстановить связь риторики (наряду с грамматикой) с реализацией интенции в процессе речевой деятельности и этим найти выход из тупика, в который, по ее мнению, попала лингвистическая прагматика. Лингвист указывает на преимущества диалога для анализа и выработки схемы реализации коммуникативного намерения в речевой деятельности, т. к. налицо оказываются как эксплицитные и имплицитные интенции говорящих, так и речевые реакции их партнеров по диалогу [5]. Д. Франк говорит о влиянии синтаксических моделей на связанность диалога; влияние это, по ее мнению, проявляется как на уровне содержания, так и на уровне организации, и степень его подлежит установлению [6].

В данной работе использована классификация Дж. Серля, выделяющего пять типов речевых актов [7] с дальнейшей детализацией Е. И. Беляевой [8], а также теория косвенных речевых актов Дж. Серля [9]. Нами используются также отдельные положения другой работы Е. И. Беляевой, в частности, прагматические параметры [10]. Однако представляется спорным утверждение автора о том, что неконвенциональные способы выражения интенции не должны быть предметом специального обучения [11]. С целью доказательства важ-

ности установления подобных конструкций мы обращаемся к учебному тексту, в котором представлены как конвенциональные, так и неконвенциональные способы выражения коммуникативного намерения.

Обратимся к тексту из учебного пособия Роберта О'Нейла «Kegnel one». Рассмотрение синтаксических конструкций на материале данного диалога позволяет проследить соотношение интенции говорящих и ее синтаксического оформления. Диалог ведется между американским банкиром Ховардом Сноу и похитителем его дочери Джорджем Кингом. Девушка похищена с целью шантажа и вымогательства, и в диалоге Кинг объясняет, что ему нужно от банкира. Т. о. интенция деятельности и интенция инициатора диалога в данном случае совпадают. Если принять диалог в целом за макс-речевой акт, то интенцию его инициатора можно сформулировать как приказ поступить определенным образом (директив-прескриптив).

Согласно параметрам, выработанным Е. И. Беляевой, ролевые отношения между коммуникантами можно определить как асимметричные (различия в общественном положении), дистанция между ними может квалифицироваться как далекая (отсутствие психологической близости), предмет приказа может дифференцироваться как нетрудоемкий, срочный, важный; сам приказ отдается в неделикатной форме; обстановка общения неофициальная. Именно этими факторами определяется речевое воплощение интенций участников диалога.

Анализируемый диалог, в свою очередь, состоит из отдельных реплик — мини-речевых актов, и та часть из них, которая принадлежит инициатору, направлена на выполнение основной интенции. Проследим, какими синтаксическими конструкциями осуществляется эта интенция.

Первая реплика адресата диалога — Н...hello? —, являясь конвенционально выраженным репрезентативом-констативом, отражает, во-первых, растерянность (многоточие, перебивка слова), а, во-вторых, удивление (вопросительный знак, интонация) по поводу раннего звонка, т. е. экспрессивные средства синтаксиса способствуют как имплицитному, так и эксплицитному выражению психологического состояния (экспрессив). Т. о. данный речевой акт является косвенным.

Реплика второго коммуниканта — Is that Howard Snow? — содержащая интенцию определить личность собеседника, представляет собой конвенционально выраженную вопросительную фразу (директив-реквестив). В ответных фразах заключено: признание себя называемым субъектом (репрезентатив-констатив), а также вопросы, направленные на установление личности собеседника и времени — Yes. Who's that? What time is it? You woke me up! Оба вопроса выражены конвенционально. Что же касается последней реплики, она содержит две интенции: репрезентативную (констатация) и экспрессивную (возмущение), т. о. являясь косвенным речевым актом. Репрезентативная сторона этого речевого акта осуществляется грамматически правильным оформленным предложением, а его экспрессивную сторону формируют средства экспрессивного синтаксиса: восклицательный знак, интонация. Однако в интенцию собеседника не входит отвечать на вопросы адресата, и он приступает к реализации своего намерения, выражаясь короткими недвусмысленными (прямыми) фразами, первая из которых — в форме повелительного наклонения (Listen to me Mr Snow) является директивом (приказ), а вторая и третья — репрезентативами-констативами — I'm phoning from London. And I'm phoning about your daughter. Реакция Сноу на директивные и репрезентативные реплики Кинга выражена эмоционально — он взволнован, произносит обрывки фраз. Его речь представлена в виде эллиптических предложений, оформляющих отрывочные мысли — My daughter? Janet? What's



the matter? Is sh...? (директивы-реквестивы и экспрессивы). Усиление эффекта, кроме такого средства экспрессивного синтаксиса как эллипсис, способствуют также интонация, паузы, апозиезис (графически-вопросительные знаки, многоточие). Ответные реплики Кинга основной своей интенцией имеют ознакомить собеседника с положением дел. Первая из них заканчивает оборванную фразу Сноу — She's all right (репрезентатив-констатив), следующими он сообщает о похищении — We've got her, Mr Snow. Do you understand? We've got her. Синтаксический повтор, а также вопросительное предложение (при помощи интонации) подчеркивают двусмысленность ситуации; это косвенные речевые акты, выражающие репрезентативы-констативы и директивы-суггестивы (предостережение). Несмотря на повторы и намеки Кинга, его интенция остается для Сноу нераскрытой. Фраза You've got her? — (инверсия инверсии), а также и все последующие анафорические вопросительные предложения показывают, что он не понимает, о чем идет речь — What do you mean? What do you want to tell me? What is this?—A joke? Последняя его реплика, представляющая собой эллиптическую конструкцию, является косвенным речевым актом, сочетающим в себе две иллокутивные силы — директив-реквестив и репрезентатив-дедуктив. Кинг тоже переповторяет эллиптическую реплику собеседника, но его интенция — выразить непонимание, а удивление, смешанное с иронией — A joke?; выполнению этой интенции способствует интонация. Последующие его реплики представляют собой косвенные речевые акты репрезентативы-констативы и экспрессивы. Большую роль в их оформлении также играет интонация, т. к. сами по себе эти предложения нейтральные и выражают мысль грамматически правильно — No, Mr Snow, it isn't a joke. I'm not laughing. И все-таки интенция собеседника не достигнута, Сноу отвечает — I don't understand. (репрезентатив-констатив и директив-реквестив, выраженный посредством интонации). Далее следует фраза Кинга, представляющая собой анафорический дейксис [12] — Do you understand this? Это косвенный речевой акт, сочетающий репрезентатив-дедуктив и экспрессив (ирония), созданию иронического эффекта способствует интонация. Последующие предложения продолжают линию реализации основной интенции инициатора диалога; с одной стороны, они репрезентативны (констативы) и нейтральны с точки зрения построения и экспрессивных средств, но, с другой стороны, последняя реплика является одновременно и директивом-прескриптивом — We kidnapped her yesterday. And now we want a million dollars for her. Ответные реплики Сноу, представленные анафорическими эллиптическими предложениями, являются экспрессивами, выражающими замешательство, непонимание, растерянность, а также директивами-реквестивами. Созданию эффекта способствуют: пунктуация, повтор, перебивка фразы — What? You... you what? Кинг как бы восстанавливает эллиптический вопрос Сноу и отвечает на него репрезентативным словом-предложением (Yes...) — Yes, I think you understand now. There's a plane from New York to London at eleven o'clock this evening. Get on that plane, Mr Snow. Get on it! Следующее предложение, нейтральное с точки зрения экспрессивных средств, не считая интонации, подчеркивающей подтекст, является косвенным речевым актом, сочетающим репрезентатив-дедуктив и директив-суггестив. Далее идущее предложение является грамматически нейтральным репрезентативом-констативом. Последующие реплики являются косвенными речевыми актами — директивами-прескриптивами (эффект усиливается повтором императивного предложения) и экспрессивами (интонация). После этого Сноу задает новые вопросы с целью выяснить, что от него требуется дальше; это эллиптические.

ские предложения, в которых повтор подчеркивает волнение говорящего (директив-реквестив и экспрессив). — And then? What then? Ответ Кинга снова представляет собой косвенный речевой акт, сочетающий репрезентатив-констатив и директив-прескриптив косвенный речевой акт — репрезентатив-дедуктив и директив-суггестив; два директивных (прескриптивных) предложения, выраженных грамматической конструкцией императива. — There's a hotel in London called „The Park Hotel“. I think you know it. Stay there. And wait. Взволнованная речь Сноу опять передается повтором анафорических, эллиптических предложений (директивы-реквестивы и экспрессивы). — Wait? Wait for what? Ответ тоже дается в эллиптической форме, как бы являясь подхватом вопроса: эти предложения являются директивами-прескриптивами — My next phone call. At „The Park Hotel“ That's all now. Восклицания Сноу в виде повелительных предложений являются косвенными речевыми актами, сочетающимися директивы-прескриптивы и экспрессивы. — Wait! Stop! Далее следуют вопросы, еще раз подчеркивающие неопределенность положения, непосвященность и волнение говорящего; это косвенные речевые акты — директивы-реквестивы и экспрессивы — Who are you? What's your name? Hello? Hello?

Итоги проведенного анализа, выявляющего основную иллокутивную цель диалога — макси-речевого акта, а также иллокутивную направленность составляющих его мини-речевых актов обоих коммуникантов и синтаксические способы их выражения могут быть суммированы в следующей таблице.

Коммуникант	Всего речевых актов	Косвенные речевые акты							Прямые речевые акты			
		Всего	Первичные иллокутивные акты			Вторичные иллокутивные акты			Всего	Директивы	Репрезентативы	Экспрессивы
			Директивы	Репрезентативы	Экспрессивы	Директивы	Репрезентативы	Экспрессивы				
Кинг	20	11	8	—	3	1	10	—	9	4	4	1
Сноу	21	14	1	1	12	11 (реквестивы)	3	—	7	6 (реквестивы)	1	—

Кроме того, можно сделать следующие выводы.

1. Интенция инициатора диалога, т. е. его стратегическая цель предопределяет коммуникативную направленность (директивно-прескриптивный речевой акт) диалога и тактические цели его составляющих речевых актов; обуславливает преобладание директивных и репрезентативных (косвенно директивных) речевых актов со стороны инициатора диалога (см. таблицу).

2. Приведенные в начале статьи параметры позволяют заключить, что на речевую деятельность коммуникантов действительно оказывает влияние их социальный статус, принадлежность к разным коллективам, а следовательно, психологическая дистанция.

3. Исследование фактического материала показывает, что основная интенция — директив-прескриптив в большинстве случаев выражается директивами — первичными иллокутивными актами внутри косвенных, а также прямыми речевыми актами. Косвенный речевой акт, в котором первичный иллокутивный акт является директивным, в качестве вторичного иллокутивного акта имеет репрезентатив (в речи инициатора диалога).

4. Роль второго коммуниканта (зависимого) в диалоге предопределяет наличие в его речи экспрессивных и директивно-реквезитивных речевых актов (см. табл.). Экспрессивные речевые акты составляют большую часть его реплик и являются первичными иллокутивными актами в составе косвенных речевых актов, сочетаясь с директивно-реквезитивными и репрезентативно-констативными речевыми актами. Экспрессивные речевые акты реализуются при помощи таких средств экспрессивного синтаксиса, как: интонация, паузы, эллипсис, апозиопезис, повторы, и пунктуационные знаки (многоточие, вопросительные и восклицательные знаки).

5. Т. о., следует сделать вывод, что синтаксис отражает интенцию речевой деятельности, в которой, в свою очередь, воплощается интенция человеческой деятельности вообще.

Выводы, сделанные в данной работе, являются итогом не только анализа учебного материала, представленного в статье, но и обобщением результатов, которые получены в ходе исследования английских, а также грузинских неучебных источников. Наряду с отдельными несовпадениями, обусловленными различиями в синтаксической структуре английского и грузинского языков, наблюдаются и соответствия. Так, в грузинском языке, как и в английском, главная интенция диалога находится в коррелятивной связи с его коммуникативной направленностью.

Литература

1. Н. И. Гез, Формирование коммуникативной компетенции как объект зарубежных методических исследований, *Иностранные языки в школе*, 1985, № 2, с. 17.
2. Г. В. Колшанский, Лингвокоммуникативные аспекты речевого общения, *Иностранные языки в школе*, 1985, № 1, с. 71.
3. И. М. Кобозева, «Теория речевых актов» как один из вариантов теории речевой деятельности, *Новое в зарубежной лингвистике*, вып. XVII, М., 1986, с. 7.
4. Там же, с. 21.
5. Д. Франк, Семь грехов прагматики: тезисы о теории речевых актов, анализе речевого общения, лингвистике и риторике, *Новое в зарубежной лингвистике*, вып. XVII, М., 1986, с. 372.
6. Там же, с. 373.
7. Дж. Серль, Классификация иллокутивных актов, *Новое в зарубежной лингвистике*, вып. XVII, М., 1986.
8. Е. И. Беляева, Модальность в различных типах речевых актов, *Филологические науки*, 1987, № 3, с. 66.
9. Дж. Серль, Косвенные речевые акты, *Цит. изд.*
10. Е. И. Беляева, Коммуникативная ситуация и речевой акт просьбы в английском языке, *Иностранные языки в школе*, 1987, № 1, с. 8.
11. Там же, с. 7.
12. У. Вейнрейх, О семантической структуре языка, *Новое в лингвистике*, вып. 5, М., 1970.
13. R. O'Neill, *Kernel One*: Longman, 1978, с. 88.

მარინე ჯაში

უპირობის მოვლენა თანამედროვე გერმანულში

ზმნის პირის კატეგორიასთან მჭიდროდა დაკავშირებული უპირობის კატეგორია. „პირიანობისა და უპირობის მოვლენები ურთიერთსაწინააღმდეგო და ამავე დროს თანაფარდი კატეგორიებია. უპირობის გრამატიკული კატეგორია ჩვეულებრივ განიხილება, როგორც პირის კატეგორიის ოპოზიცია. იგი წარმოადგენს „პერსონალობის“ ერთ-ერთ სახესხვაობას“ [1, 12].

უპირობის მოვლენა დიდი ხანია უკვე მრავალი ენათმეცნიერის, ლოგიკოსის, ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის კვლევის საგანს წარმოადგენს და დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას.

უპირობის მნიშვნელობა თავის გამოხატულებას პოვეს უპირობ კონსტრუქციებში. უპირობ კი მიიჩნევენ ისეთ კონსტრუქციებს, რომელთა პრედიკატი იხმარება მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირის ფორმით და არ გააჩნია სუბიექტი.

თუკი პირიანი ფორმა მიუთითებს, რომ მოქმედების სუბიექტი არის ერთ-ერთი პირი (I, II ან III), ანდა პირთა განუსაზღვრელი რაოდენობა, ე. ი. — გარკვეული სუბიექტის არსებობას, უპირობ ფორმა, მისგან განსხვავებით, მიუთითებს, რომ პირი, სუბიექტი საერთოდ არ არის, ის რედუცირებულია. პირიან ზმნაში მოცემულია ან მოქმედება ან მდგომარეობა, უპირობი კი ზმნაწივეა მოცემული მოქმედებაც და მოქმედიც.

„პირიანი ფორმა უფრო ღრმად და ძლიერად აღიქმება, ვიდრე უპირობ ფორმა და უპირობ ფორმასთან იგულისხმება რაღაც განუსაზღვრელი მესამე, რომელიც ზემოქმედებს სუბიექტზე“ [2, 38].

ასხვავებენ უპირობას მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე. ეს უკანასკნელი უფრო პროდუქტიულია, რადგან უპირობ მნიშვნელობას გადმოსაცემად იყენებენ პირიან ზმნებსაც (ზოგჯერ მათი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილების ხარჯზე). მორფოლოგიურ უპირობაში იგულისხმება აგენსის უკუგდების ფორმალური მაჩვენებლის არსებობა ზმნა-სიტყვის მორფოლოგიური ერთეულის ფარგლებში. მორფოლოგიურ დონეზე პირის გრამატიკული კატეგორია ნეიტრალიზებულია უპირობ ზმნებთან, რადგან მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირს არ გააჩნია ოპოზიციის წევრები, რის გამოც აღნიშნული ფორმა კარგავს თავის მნიშვნელობას და წარმოგვიდგება წმინდა სტრუქტურულ მოვლენად. ზმნის უპირობა კი უშუალოდ არის დაკავშირებული მის გამოყენებასთან მეტყველებაში — აქტუალიზაციასთან. იგი ვლინდება უფრო მსხვილ ენობრივ, სამეტყველო ერთეულთა სისტემაში, როგორცაა კონსტრუქციასაწინადადებები, რომლებიც უკვე სცილდებიან მორფოლოგიის ფარგლებს და განიხილებიან სინტაქსურ დონეზე, სადაც უკავშირდებიან უსუბიექტო წინადადების ცნებას. უპირობ წინადადების ცენტრალურ მარჯვანაზებელ ლერქს წარმოადგენს შემასმენელი, რომელთანაც კავშირშია წინადადების სხვადასხვა მეორეხარისხოვანი წევრები.

ს. კაცნელსონი თანმიმდევრულად გამოყოფს უპირობის ორ ტიპს: სემანტიკურსა და ფორმალურს. სემანტიკური უპირობა განპირობებულია ზმნასთან პირიანი ფორმების არსებობის შეუძლებლობით, მაგალითად: ქართულში — წვიმს, რუსულში — моросит, გერმანულში — es regnet. ასეთ წინადადებებში

სუბიექტი მართლაც აკლია, რამდენადაც მათში არა გვაქვს არსებითი სახელი, რომელსაც შეეძლო შეესრულებინა სუბიექტის ფუნქცია. ამიტომ სემანტიკურად უპირო წინადადებებს „მყარ იმპერსონალებს“ უწოდებენ. ფორმალურა უპირობა კი განპირობებულია სრული პარადიგმის მქონე ზმნების უპირო ხმარებით. მაგალითად *ihn friert* — „მას (სიგრილვ) აციებს“. ფორმალურ უპირო წინადადებებში გვაქვს პირის ნაცვალსახელები ირიბ ბრუნვაში.

სემანტიკურად უპირო წინადადებები აღნიშნავენ ერთიან მოვლენებს ან სიტუაციებს და შეიძლება იყვნენ როგორც ორწევრიანი, ისე ერთწევრიანი: *es regnet* — „წვიმს“. გერმანულ ენაში ანალოგიური სემანტიკის მქონე უპირო წინადადებები ყოველთვის ორწევრიანია, ფორმალურ ელემენტად გვევლინება არა ზმნა, არამედ ქვემდებარე *es: es donnert, es blitzt, es schneit* და ა. შ.

სემანტიკურად უპირო წინადადებებს ხშირად ადარებენ და შეპყავთ ნომინაციური წინადადების მოდელში, მაგალითად: *Stille* — „სიჩუმე“. აქ ცენტრალური სიტყვის სინტაქსურ მნიშვნელობას მიიჩნევენ უპირო წინადადების — *es ist still* — „სიჩუმეა“ — შემსამენლის მნიშვნელობის ანალოგიურად, ამიტომ „უპირო წინადადებები შეიძლება დუბლირებულ იქნან შესაბამის ნომინაციურ სტრუქტურებში“ [3, 45].

როგორც აღნიშნავს ს. კაცენლსონი, ნულოვანი ვალენტობის მქონე ენობრივი პრედიკატები ასახელებენ მოვლენებს დაუნაწევრებლად. ასეთი სახელებითი პროპოზიციები შეიძლება თავისი ენობრივი ფორმით იყოს ზმნური: *es dämmert* — „ბინდდება“, ან ზმნიხედური: *es ist dämmerig* — „ბინდია, ბინდი დვას“, ან სახელადი: *Dämmerung* — „ბინდი“. ყოველ ასეთ შემთხვევაში ენობრივი ფორმის მიღმა იმალება გლობალური პროპოზიცია, რომელიც არა ანაწევრებს მოვლენას [4, 107].

ფორმალურად უპირო წინადადებები აღნიშნავენ ადამიანის სულიერ ან ფიზიკურ მდგომარეობას, მაგ., *es ist mir angst (mir ist angst), es dürstet mich (mich dürstet)* — „მეშინია“, „მწყურია“, და ა. შ.

გერმანულ ენაში ისინი ხშირად პირიანი სტრუქტურების თანაფარდი არიან: *Ich habe Angst. Ich habe Durst.* აქ შეიძლება ვილაპარაკოთ გაუპიროვნების თავისებური ტრანსფორმაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელობის განსაზღვრული ელფერის გადმოცემასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ უპირო წინადადებაში ბრუნვის პოზიციური ნიშნადობის ძვრა იწვევს შესამჩნევ ძვრას ზმნის სემანტიკურ შინაარსშიც. „უპირო კონსტრუქცია გამოხატავს სპონტანურ მოქმედებას, რომელიც ადამიანის ნება-სურვილის გარეშე ხდება, ხოლო პირიან კონსტრუქციაში ხაზგასმულია განცდილი შეგრძნების მულტიფორმა და მისი ინტენსივობა“ [5, 114].

როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენებში უპირო წინადადების სამი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი გამოიყოფა: 1. ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი უპირო წინადადებები (მყარი იმპერსონალები): *es schneit, es regnet, es donnert, es blitzt.* — „თოვს“, „წვიმს“, „ქუსს“, „ელავს“ და ა. შ.; *es ist warm, es wird warm* — „თბილა“, „დათბება“ და ა. შ. 2. ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების გამოხატველი უპირო წინადადებები: *es friert mich, es hungert mich, es fröstelt mich* — „მცივა“, „მშობა“, „მათრთოლებს“, 3. ადამიანის უნებლოე მისწრაფებანი: *es weint (in mir) es lacht (in mir)* — „მეტირება“, „მეცინება“ და ა. შ.

გარესამყაროს აღქმით გამოწვეული შთაბეჭდილებებისა და ცოცხალ ბუნებაში მიმდინარე ცვლილებების გამოხატვა ქართულში არ ხდება უპირო ზმნებით. აქ მიმართავენ განუსაზღვრელ პირიან ზმნას ან ნაცვალსახელებს „ვი-



ლაც“, „რაღაც“, „ყველაფერი“. მაგალითად: es klopft — „ვიღაც, რაღაც ნებს, აკაკუნებენ“ es zickt mich (nach)—„სული (გული) მეწევა, მიხამობს მესკენ, რაიმესაკენ““. es grünt, es blüht — „ყველაფერი ყვავის“.

რაც შეეხება უპირო წინადადების სტრუქტურას, გერმანულში ორი ძირითადი ჯგუფი შეინიშნება: ზმნური და სახელადუმესამენელიანი (პრედიკატივად გამოდის არსებითი ან ზედსართავი სახელი): se regnet, es ist warm, es ist Tag.

თანამედროვე ქართულში პირნაკლ კონსტრუქციებში მხოლოდ ზმნური შემასმენელია, თუმცა რამდენიმე ზმნას ისტორიულად შედგენილი შემასმენელი შეესაბამებოდა, მაგ., ცივა — ცივ (არს), ცხელა — ცხელ (არს). უპირო, ანუ პირნაკლი, ზმნები შეიძლება იყოს ერთ-, ორ- ან სამპირიანი, რომელთაც დიკარგული აქვთ სუბიექტური ან ობიექტური პირის გაცემა.

გერმანიკულ ენებში, კერძოდ გერმანულში, დამკვიდრდა ისეთი უპირო ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენებს ან ადამიანის მდგომარეობას, რომელიც არაა დამოკიდებული მის ნება-სურვილზე. სხვა გერმანიკული ენებისაგან განსხვავებით (მაგ. ისლანდიური ენა) პრაქტიკულად არა გვაქვს გერმანულში ისეთი უპირო ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის აქტიურ მოქმედებას ან საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს. ზოგ გერმანიკულ ენაში (მაგ. ინგლისური) გვაქვს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი უპირო ზმნები, მაგრამ არა გვაქვს ადამიანის მდგომარეობის გამომხატველი უპირო კონსტრუქციები, რითაც ასე მდიდარია გერმანული ენა. გერმანულ ენაში, აღნიშნულ კონსტრუქციებში პირიანი ზმნები უფრო მეტი გამოიყენება, ვიდრე უპირო. ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება ისეთი უპირო კონსტრუქციები, რომელთა აზრობრივ ბირთვის პირიანი ზმნები შეადგენენ: würgen, reißen, zucken es würgt mir im Halse — „ყელში მიჭერს“, es reißt mir(mich) in allen Gliedern — „(ტანში) მამტვრეს“ და ა. შ.

მოცემული კონსტრუქციების ობლიგატორულ წევრს წარმოადგენს ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი). ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის გამოსახატავად გვაქვს ისეთი პირიანი ზმნები, რომლებიც უპირო კონსტრუქციებში გამოხატავენ სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესებს; მათ პირიან კონსტრუქციებში თავისი ლექსიკური მნიშვნელობით არაფერი აქვთ საერთო ადამიანის სულიერ განცდებთან. მაგ.: treiben, ziehen, locken. Sie treiben Steine (Ziegel). Es treibt ihn in die Heimat — „ისინი ზიდავენ ქვებს (აგურს)“ „მას გული (სული) მიუწევს სამშობლოსაკენ“.

გარდა ამისა, გერმანულ ენაში უპირო წინადადებებს უკავშირდება აგრეთვე ე. წ. უპირო პასივი, „პასიური და უპირო კონსტრუქციები ხშირად ერთი და იმავე კომუნიკაციურ-სემანტიკური შინაარსის გამოხატვის პოზიციურ ვარიანტებად გამოდიან. ეს არის აგენსის ან მოქმედების წყაროს უკუგდება ქვემდებარის ცენტრალური პოზიციიდან“ [6, 34]. ასეთ შემთხვევებში მოქმედების მაწარმოებელი საესებით ან უმეტესწილად იგნორირებულია. რამდენადაც პასივი განიხილება როგორც ქვემდებარე-აგენსის რედუქციის საშუალება, ამდენად სემანტიკურ პლანში უპირო პასიური წინადადებები ემთხვევა უპირო კონსტრუქციებს. უპირო პასიურ კონსტრუქციაში ერთმანეთს ეჯახება პასიურა ფორმა და აქტიური შინაარსი, პირიანი ზმნა ორიენტირებულია სუბიექტისაკენ, მაგრამ რედუცირებულია წინადადებაში, ამიტომ უპირო პასიური კონსტრუქციები ადვილად განიცდიან ტრანსფორმაციას პირიან კონსტრუქციებად man ქვემდებარით: Es wird hier oft getanzt—hier tanzt man oft.

წინადადების უპირო გაფორმებას გარკვეული მიზანი აქვს სინტაქსურ დონეზე: მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება მოქმედებაზე. სწორედ ეს მიზანი უდევს საფუძვლად პირიანი ზმნების უპირო კონსტრუქციებში ხმარებას. როცა მოქმედების სუბიექტი ცნობილი არ არის, ან, ამა თუ იმ მიზეზით, არ არის დასახელებული (die Blume duftet; es duftet im Garten — „ყვავილი სურნელს აფრქვევს“, „ბაღში სურნელი იფრქვევა“), ან იმ შემთხვევაში, როცა უცნობია აღქმის წყარო. განსაკუთრებით ხშირია ქლერადობისა და ნათების გამოხატეელი ზმნების უპირო ხმარება: es flimmt mir vor den Augen — „თვალებთან მიციმციმებს“; es saust mir in den Ohren — „ყურებში მიბზუის“ და ა. შ. ასეთ ზმნებს ოჯახიონალურ უპირო ზმნებსაც უწოდებენ, რომელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს გერმანულ ენაში.

უპირო ზმნებს უკავშირდებიან გერმანულ ენაში აგრეთვე მდგრადი ზმნური შესიტყვებები, რომლებიც იხმარებიან მხოლოდ უპირო ფორმით და წინადადებების გარეშე დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიათ, რადგანაც არ გამოხატავენ დასრულებულ აზრს: es gibt, es fehlt (mangelt) an, es liegt an, es handelt sich um... და ა. შ.

წინადადების უპირო გაფორმება ხელსაყრელია ენისათვის, რადგანაც, თუ ზოგ შემთხვევაში უპირო კონსტრუქცია ქმნის ქვემდებარის უპირობას, მეორე შემთხვევაში ქვემდებარის რედუქცია დაკავშირებულია კონტექსტთან, როგორც ვ. ვინოგრადოვი აღნიშნავს, „გარკვეული სიტუაცია, წინამდებარე გამოწვევაში უსუბიექტო კონსტრუქციების ხმარების შესაძლებლობას იძლევა, მთავარი აქცენტი კეთდება თვით მოქმედებაზე. წინადადებები, რომლებშიც პირი არ არის მოცემული ან დაფარულია, ხშირად ცვლიან სრულ პირიან წინადადებებს, შეაქვთ რა ფრაზაში მათთვის ნიშანდობლივი აგენსას (მოქმედის) დაჩრდილვის ელფერი“ [7, 368].

დებერსონიფიკაცია გერმანულში უფრო მეტადაა გავრცელებული და ერთ-ერთ პროდუქტიულ სტილისტურ ხერხად გვევლინება. ამ დროს მოქმედი აიღუშალებს ან ჩქმალავს სუბიექტს, რითაც ხაზს უსვამს მოქმედების თავისთავადობას, უნებლიობას ან მოქმედი პირის განუხსაზღვრელობას. წინადადების უპირო გაფორმება გერმანულ ენაში ხშირად ენის ეკონომიის მიზანსაც ემსახურება: ინფორმაცია, რომელიც მოცემულია უპირო წინადადების ფორმით, მიუხედავად იმისა, რომ შეკუმშულია, მაინც ღრმა შინაარსის შეცველია. განსაკუთრებით კარგად შეესისხლხორცა უპირო კონსტრუქცია სასაუბრო მეტყველებას, რომელიც საჭიროებს ერთდროულად გამოწვევამის სამოკლესა და სიღრმეს. ისინი ანიჭებენ მეტყველებას მეტ ხატოვნებას და ქმნიან გამოწვევამის სტილისტურ ეფექტს: Heute raucht's = („დღეს მძიმე დღეა“, „ვიღაცას მოხვდება“, „კარგი დღე არ დაადგება“); Bei dem qualmt's = („მას გული მოსდის, „ის ბრაზობს“); Jetzt hat es bei ihm gezündet = („როგორც იქნა შეიგნო“); Bei ihm rappelt's im Kopfe = („მას ცოტა აკლია (თავში)“); Wie es fällt, so bullert's = („ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოვძახებო“ (ანდაზა).

ამგვარი ტიპის გამოწვევამებში, როგორც წესი, პირიანი ზმნები გამოიყენება არა თავისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით, არამედ უმეტესად გადატანითი მნიშვნელობით, რის გამოც მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს გერმანულ ენაში. მათი გამოყენების სფეროა ბელეტრისტიკა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ უპირო წინადადებები გერმანულ ენაში, ქართულისაგან განსხვავებით, ასრულებენ გარკვეულ სინტაქსურ, სემანტიკურ

და სტილისტურ ფუნქციებს. სინტაქსურად ისინი წარმოადგენენ ორწევრიან სტრუქტურებს, ზოგჯერ ფორმალური სუბიექტის es-ის წყალობით ან სწავლული მეორეხარისხოვანი წევრებისა და, მიუხედავად სუბიექტის რედუცირებისა, აზრობრივად დასრულებული კონსტრუქციები არიან. სემანტიკური თვალსაზრისით უპირო წინადადებები ახდენენ ზმნის მნიშვნელობის აქტუალიზაციას, ზმნის მიერ გადმოცემული მოქმედების წინა პლანზე წამოწევას. ე. ი. ყურადღების ცენტრში ექცევა თვით მოქმედება, ხოლო მოქმედების სუბიექტი, ან მოქმედების გამომწვევი წყარო არ წარმოადგენს მოქმედლის ინტერესის ობიექტს და, ბოლოს, უპირო წინადადებები გამოიყენება ვერბალურ ენაში, როგორც პროდუქტიული და ეფექტური სტილისტური საშუალება მოქმედების სუბიექტის განზრახ მიჩქმალვისა, რაღაც უცნობი, იდეალური მოქმედი ძალის აღიარების ან მოქმედების თავისთავად, სტიქიურად წარმოჩენის მიზნით.

ლიტერატურა

1. А. В. Бондарко, Грамматическая категория и контекст, Л., 1971.
2. Ц. Н. Шрайбер, Безличные предложения с глагольным сказуемым в современном немецком языке, в кн.: Вопросы синтаксиса немецкого языка, Л., 1959.
3. К. П. Акулова, Разграничение членов предложения в современном немецком языке, Л., 1971.
4. С. М. Кацнельсон, Категория субъекта и объекта и теория валентности (на материале немецкого языка), в кн.: Категория субъекта и объекта в языках различных типов, Л., 1982.
5. Е. И. Шендельс, Грамматика немецкого языка, М., 1959.
6. Т. Б. Алисова, Семантико-коммуникативный субстрат безличных предложений, в кн.: Инвариантные синтаксические значения и структура предложения, М., 1969.
7. В. В. Виноградов, Русский язык (Грамматическое учение о слове), М., 1947.
8. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, თბ., 1960.
9. ა. კობრიია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
10. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

М. Н. ДЖАШИ

ЯВЛЕНИЕ БЕЗЛИЧНОСТИ В СОВРЕМЕННОМ НЕМЕЦКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Категория безличности тесно связана с категорией лица глагола. Явления личности и безличности являются противоположными и в то же время соотносительными категориями. Личные значения отражают соотносительность обозначаемого действия с грамматическим субъектом, безличные же — отсутствие у обозначаемого действия такой соотносительности. В отличие от грузинского, безличное оформление предложения является выгодным для немецкого языка: предложение имеет смысл и без полноценного подлежащего, доминирующим членом является сказуемое (иногда вместе с другими второстепенными членами предложения), внимание сконцентрировано на действии вне агенса, что создает образность речи и является эффективным стилистическим средством в языке.

თბილისის ი. ჯავახიძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. წერეთელმა

პ რ ი ტ ი კ ა ლ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ბონდო არველაძე, რუსულან კუსრაშვილი

„საკმეიან შენგან...“

1985 წლის აღმანახ „კრიტიკის“ № 4-ში გამოქვეყნდა ბონდო არველაძის რეცენზია „ერთი მონოგრაფიის გამო“ იოსებ ლორთქიფანიძის წიგნზე „იოსებ გრიშაშვილი“ (გამოცემლობა „მეცნიერება“, 1984). 1988 წელს ჟურნ. „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია, № 2) დაიბეჭდა ი. ლორთქიფანიძის წერილი „იძულებითი პასუხი გვერლით მყოფ ადამიანს“, რომელშიც ავტორის უდიდესი აღშფოთება გამოთქმული რეცენზენტის მიმართ.

ჩვენი რეცენზიის მიზანი გახლდათ ი. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში ნებისთი თუ უნებლიეთ გაპარული არცთუ მცირე რაოდენობის ლიტერატურული და ფაქტობრივი შეცდომების აღნუსხვა, რათა ავტორს მომავალში გაეთვალისწინებინა, მაგრამ ი. ლორთქიფანიძე, ისე როგორც ზნორად ხდება ხოლმე, მადლობის ნაცვლად უფრო განრისხდა და ლანძღვაზე გადავიდა (ვითომ მეცნიერი, რეცენზენტის „მეცნიერული“ საქმიანობა, მატალი რეცენზენტი, აღექვით დაავადებული, თავდაყრბებული, ახალი პოეზიის ისტორიაში ჩაუხედავი, ნაკლებ გაინობიერებული, გაუთვითცნობიერებელი და მსგავსი სხვა. რაც მთავარია, „კრიტიკაში“ დაბეჭდილი რეცენზია, რომელსაც ბ. არველაძე აწერს ხელს, თურმე მისი ვერ იქნებოდა. მის უკან იდგა სხვა, ურომლისოდაც ავტორი ვერაფერს ვერ დაწერდა). ადრევე „იძულებითი პასუხის“ ავტორს!

გამოცემული წიგნი როგორც მეცნიერულ-ლიტერატურულად, ისე ტექნიკურად ყოველად გაუმართავია, რის გამოც ბევრი საკითხი და ფაქტი მკითხველის მარჩეილობაზე გადადის — ესა თუ ის შეცდომა ავტორს ეკუთვნის, თუ კორექტორს. არადა არც ის იქნება მართალი, თუ ყველა შეცდომას კორექტორს გადავბარებთ. ი. ლორთქიფანიძე კი თავს იმით იმართლებს, რომ გამოცემლობაში თხოვთმეტბახიანი წიგნი რვა თაბახამდე დივიყანეს და ამან გამოიწვია უხეივი კორექტურული შეცდომები, ხოლო რეცენზენტის შენიშვნები ძირითადად ამ კორექტურულ შეცდომებზე მოდილა („მაცნე“, გვ. 142), მაგრამ კორექტურა არის და კორექტორიც. ამის შესახებ დაწვრილებით ვლაპარაკობთ რეცენზიაში. თუ ვინმე დაინტერესდება ი. ლორთქიფანიძის თუნდაც ასეთ „თავის მართლებაში“, ეთხოვთ, გაეცნოს ზემოთ დასახელებულ რეცენზიას. აქ კი მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ იმ შეცდომების ჩამოთვლით, რაც მონოგრაფიაშია დაშვებული. თუმცა კარგი იქნებოდა ავტორის წიგნისთვის დაერთო „შეცდომების გასწორება“, მაგრამ, ვფიქრობთ, ვერც ამით ეშველებოდა საქმეს, რადგან შეცდომა საქმარზე ბევრია და მათი „გასწორება“ ავტორისათვის არც ისე იოლი იქნებოდა. ასე თუ ისე მკითხველის ხელში აღმოჩნდა არა მთლად კორექტურული შეცდომებით სავსე წიგნი, რომლის შესახებაც, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს რეცენზიაში მიუვითითეთ. ამს დაემატებთ კიდევ, რომ ი. ლორთქიფანიძის მიერ შემოთავაზებული ციტატა ყარაიოდელა ლექსიკონის შესახებ ვეძებთ მის მიერ დასახელებულ წყაროში (ეურნალი (ეუბატრი და ცხოვრება“, 1714, № 5, გვერდის მითითება დააიწყება). აღმოჩნდა, რომ იგი ჟურნალის № 5-ში კი არა, № 15-შია (გვ. 16). როგორი ამბავია, ამ „კორექტურული შეცდომის“ გამო ეურნალის ათი მონობის გადაფურცელა. მსგავსი ამბები ზეპირი აზროვნებით განთქმულ ი. ლორთქიფანიძის ზნორად ემართება, რის გამოც მკითხველი ბევრჯერ ჩაუყენებია უხერხულ მდგომარეობაში, ხოლო პრესაში სხვადასხვა ავტორი აღშფოთებულია.

ი. ლორთქიფანიძის რატომღაც მისთვის არასასურველ ავტორებზე მიანია ი. კრიშაშვილის მკვლევრები ბ. არველაძე და რ. კუსრაშვილი. ამიტომ ცდილობს გვერდა ლეარის ჩვენს გამოკვლევებს და, რაც ი. გრიშაშვილს ეთვება, ყველაფერს საწყისად თავისი შრომები წარმოაჩინოს. სწორედ ასეთ არაკოლეგიალობაზე და, ამავე დროს, ფაქტობრივ შეცდომებზე მივითთა რეცენზიაში, რაზეც ი. ლორთქიფანიძემ ლანძღვის ბული დააყენა თავის „იძულებითი პასუხში“... აქაც იმდენი უსაფუძვლო თავის მართლება, რომ საუბროდ ჩავთვალეთ გ. ტაბიძისა და ი. გრიშაშვილის „აბსოლუტურ ბატონ-პატრონს“ ელემენტარული ახსნა-განმარტება მაინც მიეცეს, რაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის არ უნდა სკარდებოდეს.

ადამიანის ბუნება ისეთი უცნაური რამაა, რომ მას ვერარა ღმერთი ვერ შეეცლის; ვერც თვითონ შეეცლება, როგორადაც არ უნდა ეცადოს. ამიტომ არც ი. ლორთქიფანიძისთვისაა ა-

სიამოვნო, თავისი მკითხველი ვარდნა მკითხავად აქციოს. მაგრამ რა ქნას, თუთონ კი მკითხველს, დავისახელბის, წადი მერე და იმტერიე თავი, ვეძებ მითითებულნი. „პასუხში...“ ასევე ი. გრიშაშვილის მიერ მომზადებულ ლექსიკონზე ეკითხვობთ: თუ „რა ღვაწლი მიუძღვნა ჟურნალს ამ საქმეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ჩანს, რეცენზენტისთვის ამის მითითება აშკარად არასასურველია, ამაზე ვერა“ (გვ. 142). ჭერ ვეძებთ ამ ხუთგვერდიან პასუხში ეს „ამაზე ვერა“ და ვერასდ ვერ მივაგენით, ამიტომ ვერც მივხვდით, რის თქმა სურდა „ვევნი“ სტორს. ასევე გაუგებარია, თუ რას გულისხმობს სიტყვებში ინსტიტუტის ღვაწლის შესახებ — „რეცენზენტისათვის ამის მითითება აშკარად არასასურველია“. ისე ე. ი. გრიშაშვილის ლექსიკონის მიმართ ინსტიტუტის ღვაწლზე თუ მიღვა საქმე, ყველაზე უკეთ რ. კუტარაშვილმა უწყისი. რა ღვაწლს გულისხმობს ავტორი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ სწორედ ლიტერატურის ინსტიტუტის უკანასკნელ წლებამდე რომ აბსოლუტურად შორს იდგა ამ საკითხისაგან და წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად იყო ეს უნიკალური ლექსიკონი, ფაქტია. მხოლოდ ახლა, 15 წლის შემდეგ დაიძრა ადგილიდან ეს საქმე და, დღერთმა ქნას, ამ ლექსიკონმა დღის სინათლე ეხილოს.

იქვე, ცნობილი მოშორებით (გვ. 144) ი. ლორთქიფანიძე გვემცნობს კომენტარს შესახებ, რომელიც დარბრთია ი. გრიშაშვილის ავტობიოგრაფიული წერილისთვის „მე“ და „შეტანი IV ტომში. ზუსტად ასე წერს: ამონაწერი... „დაერთეთ IV ტომში შესული წერილს — „მე“ კომენტარს“. რომელი IV ტომი იგულისხმება? არც გამოცემის წელი, არც გვერდი. რასან ამბობს „დაერთეთ“, ე. ი. მის მიერ გამოცემული ი. გრიშაშვილის თხზულებათა IV ტომი უნდა იყოს, რომელიც 1985 წელს გამოვიდა. ავტორს გვერდი რომ მიეთითებინა, ასე არ გაგვირთულებოდა „მე“-ს ძებნა. ვეძებთ ხან გვერდი-გვერდ, ხან სარჩევში და, წარმოიდგინეთ, ვერ ვნახეთ. შეიძლება კიდევ სხვა IV ტომი გამოსცა ი. ლორთქიფანიძემ, მაგრამ ჩვენ რომ გვეგონია, იმ IV ტომში არც „მე“-ა და არც მისი კომენტარი!

უხეზა რა თუ. თუმიანიანის დაქრბაღისის ი. გრიშაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, ი. ლორთქიფანიძე დიდი აღშფოთებას გამოთქვამს რეცენზიის ავტორისადმი, რომელსაც ამ წერილის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის (იხ. ბ. არველაძე — „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი XIX—XX საუკუნეებში“, 1978, გვ. 220): „მისი ნაშრომი გამოქვეყნებულია 1978 წელს, ამიტომ მისი მსჯელობა ახირებული სუბიექტურობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ“ (გვ. 143). და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ ამ წერილის მიგნება პირველად მას ეკუთვნის (და მიუთითებს დაუბეჭდავ მასალაზე, რომელიც დატულია ი. გრიშაშვილის არქივში, ა. 1—14—47); ასევე აღნიშნავს, ი. გრიშაშვილის სახლ-მეზუხუმის ოფიციალურ გახსნამდე დიდი მუშაობა ჩატარესო ცნობილმა ბიბლიოგრაფებმა — ა. მაკა-გარიანიმა და თ. ნაკაშიძემ, რომელთა ხელმძღვანელობით დაშვებულა პირველი არქივი. მისი მეცნიერული აღწერილობა კი გამოცემლობა „მეცნიერებას“ 1970 წ. გადაეცა. „ასე რომ, — ასკენის ი. ლორთქიფანიძე, — რასაც რეცენზენტი თავისთავზე მიიწერს, — მტყნარი სიცრუეა. მის ისიც კარგად მიუხსენება, რომ ბიბლიოთეკა-მეზუხუმის პირველგამცემი... იყვნენ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ი. გრიშაშვილის თხზულებათა ავტობიოგრაფიის გამოსაცემად მომზადება. ეს იყო 1966 წელს“. ეს ციტატა გრცლად იმიტომ მოვუყვანეთ, რომ უფრო ნათელი გახდეს ი. ლორთქიფანიძის საოცარი უსუსტრობა იმ ელემენტარულ საკითხში. ვფიქრობთ, მკითხველისთვის აბსოლუტურად გასაგებია (მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო „პირველობის“ დამკარგებმა ი. ლორთქიფანიძემ), რომ შეიძლება მათზე ადრე სცნაძე მოიძია და გაიცნო ი. გრიშაშვილის ხელითვე წესრიგში მოყვანილი არქივის მასალები, მით უმეტეს მისი აღწერილობაც გაკეთდა; იქნებ, მართლაც, ყველაზე პირველად ი. ლორთქიფანიძემ „მივიანო“ მას, მაგრამ პირველად როდის გამოქვეყნდა იგი, როდის გაიცნო მკითხველმა ი. გრიშაშვილის სიტყვაზე ფაქტია — 1978 წელს. ამიტომ მისი პირველი პუბლიკატორი (და არა გამოცემი) ბ. არველაძეა და სხვა არავის. არაო, გვეკამათება ი. ლორთქიფანიძე, ეს წერილი მე შევიტანე 1967—68 წლებში მომზადებულ IV ტომშიო. მაგრამ ი. ლორთქიფანიძის ისიც კარგად უნდა მოეხსენებოდეს — მასალის მიგნება და შენახვა ერთია, პუბლიკაცია კი მეორე. 1967—68 წლებში მომზადებული ტომი ხომ თითქმის 20 წელი იდო კარადაში ხელნაწერის სახით (როგორც ზემოთ ვთქვით, გამოვიდა 1985 წელს). ყველასთვის ცნობილია, რომ არქივებსა და კარადებში ჭერ კიდევ ბევრია გამოუქვეყნებელი მასალა, ვინც პირველად გამოაქვეყნებს, იგაა მათი პირველი პუბლიკატორი. შეიძლება, ეს მეცნიერმა არ იცოდეს? თურმე არც კლება! მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ხსენებული წერილი IV ტომში ვერ ვნახეთ!

ი. ლორთქიფანიძე მაინც არ თმობს თავის „პოზიციას“. როგორ, გაიძახის იგი, ვაქ წელზე მეტი მუშაობდა ბ. არველაძის მეუღლე ტექსტოლოგიის განყოფილებაში და მისი საშუალებათა მაინც უნდა სცოდნოდა, რომ ი. გრიშაშვილის სიტყვა 15—16 წლით ადრე იდო ტომებში, „ვიდრე ბ. არველაძის რეკლამისებური წერილი იხილავდა დღის სინათლესო“ (იქვე). მკითხველმა განსაჯოს: ტექსტოლოგიის განყოფილების კარადაში 20—30 წელია 50-მდე „დაობებუ-

ლი“ ხელნაწერი ტომი დევს. თუ ი. ლორთქიფანიძეს არა, სხვას ვიღას მოეხსენება, როგორი დიდი მესხიერების პატრონიც არ უნდა იყოს მკვლევარი, მაინც ვერ დაიხსომებს ამ 20—30 წლის მტკვრითყიფილ მასალას. ან მას კი ახსოვს, მაგალითად, რ. კუსრაშვილის მიერ მომზადებულ ეგ. ნინოშვილის ეპისტოლარულ წერილებში რა და რა მასალა შეიღის? (პირადად რ. კუსრაშვილის აღარ ახსოვს), ე. ი. თუ ვინმე დამოუკიდებლად მოაგნებს ეგ. ნინოშვილის ანა თუ იმ წერილს და გამოაქვეყნებს, ატეხოს რ. კუსრაშვილმა განგაში, რომ პირველად შეგნებ ეგ წერილი? სწორედ ამანგა თქმული ქართული ბრძნული ანდაზა: „ამირან გულში მღეროდა, ყმანო, ბანი მითხარითო“.

აქვე თავს წინააღმდეგობაში იგდებს ი. ლორთქიფანიძე (ესეც მასი ბუნებაა) და კვლავ გვეკამათება, რატომ არ ეახსენათ იგი ჩვენს მონოგრაფიაში (ბ. არველაძე, რ. კუსრაშვილი — „ი. გრიშაშვილის პოეტური სამყარო“, 1976 წ.), რომელსაც დაუერთო ი. გრიშაშვილის 90-ზე მეტი ფსევდონიმი. ი. გრიშაშვილის არქივზე მუშაობის დროს 60-იან წლებში დაემეცნეთ და თავი მოუყარეთ პოეტის ფსევდონიმებს და შეეიტანეთ ჩვენს მონოგრაფიაში. მოგესხენებათ, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული წიგნის გამოცემა (ზოგისთვის ჩვენი ნაბეჭდი შეიძლება გაუგებარი იყოს). იგი მომზადდა გაცილებით ადრე, ვიდრე გამოქვეყნდა. „შეუბნო-ღებთ კითხვას ი. ლორთქიფანიძეს: რატომ არ იცოდა მან, მის ვეერიდით მჭიდრო ადამიანს რომ პოეტის ფსევდონიმებს იძიებდა? ეს მას უკვე აღარ აინტერესებს. მთავარი მისთვის ახლა ისაა, რომ ზემოხსენებულ მონოგრაფიაზე ადრე მან პირველმა გამოაქვეყნა ჯერ 1968 წელს, ხოლო შემდეგ 1970 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ და გაზ. „თბილისში“ ეს ფსევდონიმები (შეუბნობით მცირე რაოდენობით), ამიტომ პირველი პუბლიკაცია შე შეუთენასო (გაიხსენეთ ზემოთ ბ. არველაძეს რისთვის „ამოკბდა“) და ამიტომ უნდა გვეხსენებინა თურმე იგი. მიუხედავად ყველაფრისა, ვიღებთ ამ შენიშვნას. მაგრამ რასაც სხვისაგან მოითხოვს ი. ლორთქიფანიძე, თვითონაც ხომ ცოტა მაინც უნდა გაიღოს. არა, მის ბუნებაში მხოლოდ საკუთარი პერსონა ბატონობს, იმასაც ვერ ხედავს, რომ მხოლოდ „მე-მე“-ს ძახილით ვერც ნამდვილ მეცნიერებს დააშინებს და ვერც ფონს გავა მეცნიერებაში. სხვისი უარყოფელი, პირველი თვითონ ხდება უარყოფელი.

თითქმის თავადებს ვერ დაუფერეთ, როცა პლაგიატობაში მხილებული ი. ლორთქიფანიძე აქით გვედაკება და ცილისმწამებლადაც კი გვნათლავს.

1971 წელს კრებულში „ტექსტოლოგიური საკითხები“ დისტამბა რ. კუსრაშვილის ვრცელი გამოკლევა (32 გვერდი) „იოსებ გრიშაშვილი რედაქტორ-გამომცემელი“, რომელშიც ავტორმა მეცნიერულად შესწავლა და გაანალიზა ჩვენი სასიძულეთო პოეტის საგამომცემლო მუშაობა. ყველას კარგად მოეხსენება, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ი. გრიშაშვილს საიათოვან-ცხიერებისა და შემოქმედების შესწავლა-გამოცემაში, ასევე აქესენტი ცაგარელის, გ. სუნდუ-კიციანის, ნ. ბარათაშვილის (1939), ალ. ჭავჭავაძის (1940), ა. წერეთლის აკად. გამოცემის III ტომის და მრავალი მიიწვებული პოეტის შემოქმედებათა გამოქვეყნებაში. ამიტომ ამ კუთხით რ. გრიშაშვილის მოღვაწეობის შესწავლა ინტერესიძიებელი არ იყო. ი. ლორთქიფანიძემ კარგად იცოდა ჩვენი ნაშრომის შესახებ და კარგადიც იცნობდა მას. თურმე რეცენზენტიც ყოფილა და სწორედ მისი რეცენზისი „წყალობით“ დაბეჭდილა ეს ნაშრომი კრებულში: „მოთითებულმა ნაშრომმა დღის სინათლე ჩვენი რეცენზისი წყალობით იხილა“ (გვ. 145). შეიძლება რეცენზენტი იყო ი. ლორთქიფანიძე (ნამდვილად არ გვახსოვს), მაგრამ ის კი დანაშაულებით ვიცით, სხენებული ნაშრომი არავის „რეცენზისი წყალობით“ არ დაბეჭდილა. ეს ნამდვილად სრული ტემზარიტებაა და, რასაკვირველია, ამგვარი განცხადება ი. ლორთქიფანიძისაგან გასაკვირი არ უნდა იყოს. გასაკვირი ის გახლავთ (არ ვიცით, უკვე უნდა გვეკვირდეს მისგან, თუ არა), რომ გადის დახლოებით 13 წელი და არცთუ ისეთ პოპულარულ ალმანახში „მწიგნობარი“ (1984 წ.) იბეჭდება იგივე თემა, იმავე სათაურით („ი. გრიშაშვილი რედაქტორ-გამომცემელი“), მაგრამ ძლიერ შემცირებულად (14 გვერდი), ი. ლორთქიფანიძის ხელმოწერით. ვაოცებულვება ჯერ პირადად ვუსაყვედურეთ ჩვენი თემის რეცენზენტს, რატომ დას-პირდა ჩვენი ნაშრომის შემცირებული ვარიანტის გამოქვეყნება (ასე არ გამოდის?!), თავისი ხელმოწერით. თურმე წუ იტყვიო, ი. ლორთქიფანიძესაც შესძლება ამ საკითხზე ნაშრომის დაწერა, ხოლო მის გვერდით მყოფი ადამიანი, რომელიც მთელი წელიწადი სწავლობდა ი. გრიშაშვილის საგამომცემლო მუშაობას, აბსოლუტურად უგულვებელყო და რბილი განაცხადა: როგორ, მე, რომელმაც ბევრი შესანიშნავი ნაშრომი დავეწერე ი. გრიშაშვილზე, მონოგრაფიისთვის ამ თავს ვეღარ დავეწერიო, „ნუთუ აუცილებლად თანავებთარი უნდა მოგვხმომ ამ თავის დასაწერადო?“ ვერავითარი სხვაობა ვერ შეამჩნიეთ რ. კუსრაშვილისა და ჩვენს ნაშრომს შორისო? (გვ. 145) და მსგავსი სხვა. აქაც, რასაკვირველია, არ ვიცით, რომელ მონოგრაფიას გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი, რომელშიც ეს თემა ერთ-ერთ თავად დაუწერია. ჩვენ რომ ვიცით მისი ზემოხსენებული მონოგრაფია („იოსებ გრიშაშვილი“), იქ არც თავებშია იგი შეტანილი და არც ქვეთავებში, ალმანახ „მწიგნობარში“ კი ნამდვილად



დაბეჭდილია. რა დაეარქვათ ი. ლორთქიფანიძის მოქმედებას მეცნიერებაში, თუ არა პლაგიატიზმისა და „გვერდით მყოფ ადამიანს“ რომ ასე ღღისით, შიშით გააძრევას კაცი, მას ჩუმაღებოდნენ. ან ბოდრის მოხილდა. ი. ლორთქიფანიძე ამ რანგის არ გაზღავთ, აქეთ შეტყუებუ გადმოდის და აღმფთვებულნი კი კითხულობს — თანავეტორად ხომ არ ვაგინდიდო რ. უსსრაშვილს ამ საკითხის დამუშავებაშიო. ვინც პირადად იცნობს ი. ლორთქიფანიძეს (მასთან ერთად მის ნაშრომებსაც) ყველა მოგრიდებოდა მასთან კამათს, თანაც მეცნიერულს. ჩვენ ეს ვერცდამოდ — მეცნიერებაში, სადაც მუდამ ღრმად და, მათოლაც, ფუნდამენტურად უნდა შეისწავლებოდეს და წყდებოდეს ყველა საკითხი (ხომ არ გველიძობა უკვე ამ სიტყვებზე?), თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს ამგვარ ადამიანებს, რომლებიც უფრო სერიოზული თვლით უნდა უყურებდნენ არამეთუ მეცნიერულ სამყაროს, არამედ თვანიო მოქმედებასაც და თაკიანთ დამოკიდებულებას „გვერდით მყოფ ადამიანებთან“, ელემენტარული კულტურა მინც უნდა გააჩნდეთ მეცნიერული კამათისა და გამუდმებით არ უნდა გაიზიარებენ „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“, ანდა „უჩემოდ ვინ იმღერებსო“. რატომ ნერვიულობს პატრიცეული ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი — ბ. არველაძის რეცენზია მისთვის პირველი ხომ არ არის? განა ი. ლორთქიფანიძისთვის ჩვეულებრივი აღარ არის, როცა პრესაში თუ კრიტიკულ წყრილებში არაერთხელ მიუთითებინა მსგავს „პასუხში“ შეცდომებზე, უხეხობებზე და საქვეყნოდ გამოუკენებიათ! გავახსენოთ მის ამგვარი რეცენზიები, თუნდაც პასკილები? ი. ლორთქიფანიძეს, როგორც ბევრი რამ, ესეც ჩვენზე უკეთ ახსუს. ამიტომ მკითხველს თავს აღარ შეეწყურებოთ მათი ჩამოთვლით. ისე კი სრულიად დაუმსახურებლად გალანაქული მისი კოლეგები მართლები არიან „პასუხში“ წამოყენებული ყალბი ბრალდებებით წინაშე. „პასუხში“ ყველაფერს, ყველა წინადადებას შეიძლება შეეცამათოს კაცი, იმდენი აბსურდია მასში; თუნდაც ი. ლორთქიფანიძის რიხით წარმოთქმული სიტყვები: „რა ეჩვენება უმართებულო ჩვენს მსჯელობაში ახალი პოეზიის ისტორიაში ჩაუხედავ, მის საკითხებში ნაკლებად გათვითცნობიერებულ ლიტერატორს?“ (გვ. 147). ეს სიტყვები იმან წარმოათქმევინა ახალი პოეზიის ისტორიაში „ჩახედულ“ და „გათვითცნობიერებულ“ ი. ლორთქიფანიძეს, რომ იგი ი. გრიშაშვილს ახალი პოეტური თაობის მეთაურად წარმოგვიდგენს.

ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ფაქტები, თუ როგორ ბაძაღვნი ცნობალი პოეტები და რა ლექსებს უძღვნიდნენ ი. გრიშაშვილს. ამასთან იშველებს ი. გარკინ-ვანჩანის ციტატას, რომელშიც ავტორი ი. გრიშაშვილს ახალი პოეზიის მეთაურად თვლის, ხოლო იქვე მოხმობს კ. აბაშიძის ციტატაში კი ნათქვამია, რომ ი. გრიშაშვილთან ერთად ს. შანშიაშვილიც იყო ახალი პოეზიის მეთაურიო. ბ. არველაძეც ფაქტების მოშველიებით აღნიშნავს, რომ არასდროს ი. გრიშაშვილი არ ყოფილა ახალი პოეზიის მეთაური, რომ „ამ პერიოდში (910-იანი წლები) პოეტური მოღვაწეობა დაწყებული ჰქონდათ ს. შანშიაშვილს, ალ. აბაშვილს, კ. მაყაყაიას, გ. ტბაძეს და სხვებს, რომელთა მეთაური ი. გრიშაშვილი არ ყოფილა“. იგი ერთ-ერთი წამყვანი პოეტო იყო, ხოლო მისი კეშმარტიად უდიდესი პოპულარობა ან მიმბაძველობა მის მიმართ არ ნიშნავს ახალი პოეზიის ერთადერთ მეთაურად აღიარებას. ვფიქრობთ, გასაგებ უნდა იყოს აზრთა სხვაობა. ამის გამო ასეთი სიტყვებით შემკობა რეცენზენტის? ან არადა, როგორ შეიძლება არ მიიღოს კაცმა შენიშვნა, როცა მიუთითებენ, სიათანოვა გიჟურ ლექსებს არ წყრად და რატომ აბრალებ აშუღს ასეთ ავადმყოფობასო. აბა, რას ნიშნავს ი. ლორთქიფანიძის სიტყვები: „საათნოვას ვიკუთრი სიმღერა აწვალებდა ი. გრიშაშვილსო“ (იხ. მონოგრაფია, გვ. 121). როგორ, აყვირობ მონოგრაფიის ავტორი, „ბ. არველაძეს ნეთუ ისე დალატობს მესხიერება, რომ სასკოლო პროგრამიდან მინც არ ახსენებდა ეს ტყაებთ...“ და შენს მშვენიერს, აღტაცებულს გიჟურსა ლტოლვას? ზედმეტად მიჯაჩნია მკითხველს შევახსენოთ უამრავი მაგალითი ქართველ მწერლების ნაწერებში „გიჟურის“ ხმარებისა“ (გვ. 146). ყველაფერს შეიძლება მოელოდეს ადამიანი, სად ისა, რომ პოეტები თვანიო პოეზიაში ხმარობენ სიტყვას „გიჟურს“ და სად ის, რომ თვითონ პოეტები გიჟურ ლექსებს ან სიმღერებს თხზავენ. ამგვარ აბსურდზე ხომ კამათიც არ შეიძლება!

